

ჩ 175.653
3



ზამთა მებრელია

ჩვენი
სახელოვანი
სამხელრო
წინაპრები

«მეცნიერება»



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ხალხთა მეგობრობის მუზეუმი

შაშვე მებრალიძე

რვენი სასელოვანი სამსედრო
წინაპრები

K17565354
3
K 216 472/3
K 247 552/3
K 248 119/3



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1979

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



355 (C 41) (09)

355 (47 . 922+470) (092)

მ 478

ნაშრომში განხილულია რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა, რუსეთის არმიის სამსახურში მყოფი ქართველი ოფიცრებისა და გენერლების ბიოგრაფია, მათი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეობა. ტექსტი ილუსტრირებულია.

მ $\frac{10604}{M 607 (06) - 78}$ 200-77 © გამოცემლობა „მეცნიერება“

რ ე ლ ა ქ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ

659
X 175-659

რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა უაღრესად საყურადღებო და ორგანული ნაწილია ორი მოძმე ერის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისა. ისტორია ამ ორი ხალხის ერთობლივი ბრძოლებისა დამშვენებულია აურაცხელი ფაქტებით და მოვლენებით, რომლებიც ცხადყოფენ ისტორიული ვითარებით შედუღებულ რუსთა და ქართველთა საბრძოლო თანამეგობრობას.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით, 1047 წ. საქართველოში იმყოფებოდა რუსი მხედრობა 3 000 კაცის რაოდენობით, რომლებიც ქართველი ხელისუფლების მოწვევით ჩამოსულან აქ. ხოლო უფრო გვიან, 1564 წ., ივანე მრისხანეს განკარგულებით საქართველოში, კერძოდ კახეთში, ჩამოვიდა 500-კაციანი რუსთა რაზმი, რომელმაც 7 წელი დაჰყო საქართველოში. ეს რაზმი დიდ დახმარებას უწევდა ლევან კახთა მეფეს საქართველოში დაღესტნელ ფეოდალთა და ტომთა მეთაურების თარეშის ალაგმვის საქმეში.

ბევრის მოქმელია იტალიელი მოგზაურის პიეტრო დე-ლავალეს ცნობები დნებრელი კახაკებისა და საქართველოს ზღვისპირა რაიონების მოსახლეობის მოკავშირეობაზე 1617—1627 წლებში თურქეთის წინააღმდეგ. მისი გადმოცემით, ქართველებს არაერთგზის გაუყვანიათ სამშვიდობოზე თურქთა მიერ რკალში მოქცეული კახაკები, ხოლო ამ უკანასკნელთ თავის მხრივ მფარველობის ქვეშ ჰყოლიათ შავი ზღვით მოსიარულე ქართველთა სავაჭრო ხომალდები და სხვ.

ორმხრივი პოლიტიკურ-კულტურული ინტერესების ურთიერთდამთხვევის საფუძველზე რუს-ქართველთა საბრძოლო თანამეგობრობა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან. საყოველთაოდ ცნობილია „ქართველთა ასე-

ულებისა“ და „ქართველ ჰუსართა პოლკის“ თავგანწირული ბრძოლები რუსეთის მტრების წინააღმდეგ. რუსეთ-თურქეთის, რუსეთ-შვედეთის და რუსეთ-პრუსიის ბრძოლების მონაწილე მრავალმა ქართველმა მებრძოლმა გმირულად დადო თავი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1768—1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში საქართველომ აქტიური მონაწილეობა მიიღო როგორც რუსეთის მოკავშირემ და თურქეთის დამარცხების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა.

1774 წ. ქუჩუკ-კაინარჯის შეთანხმებისას რუსეთს მხედველობიდან არ გამოორჩენია საქართველოს ბედი და თურქეთი აიძულა, რომ მის მიმართაც დათმობაზე წასულიყო. კერძოდ, უარი განეცხადებინა იმერეთის სამეფოსაგან ხარკის აღებაზე, აიძულა ეცნო ქუთაისის, შორაპნისა და ბაღდადის ციხეების იმერეთის განკარგულებაში გადასვლა, რომელიც რუს-ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ცხარე ბრძოლებით გამოგლიჯა ხელიდან თურქ დამპყრობლებს.

რუს-ქართველთა საბრძოლო თანამეგობრობა არნახული ძალით გამოვლინდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ. 1801 წლიდან იწყება სრულიად ახალი ეტაპი ორი მეგობარი ხალხის თანადგომისა საერთო მტრების წინააღმდეგ. კანონიერსიამაყეს ჰგვრის თითოეულ ჩვენგანს ბოროდინოს ეპოპეის მონაწილე ქართველ მხედართმთავართა თავდადებისა და მამაცობის გახსენება. მრავალმა ქართველმა სარდალმა პ. ბაგრატიონთან ერთად საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქართველთა მეომრულ შემართებას და უნარს, რუსეთისადმი მათ ერთგულებას.

მრავალჯონის ჰქონდათ შემთხვევა ეწვნიათ რუსთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქრის ძალა ირანელთ 1804—1813 და 1826—1828 წლებში, ხოლო მოძალადე თურქებს 1806—1812 და 1828—29 წლების ომებში. ამ დროს საქართველომ დაიბრუნა თურქთა მიერ ადრე მიტაცებული მესხეთის ნაწილი და ფოთი. ამიერიდან სულ სხვა ხანა დაუდგა საქართველოს ამ აბეზარ მეზობლებს:

„ხმლის საფოლადეს სპარსთასა,
ჟამნი რომ მოხვდა ლბობისა;
ხმა დაუმიდაბლდათ, მოუღბათ
სიტყვის თქმა ამაყობისა,

რა ნახეს ცეცხლი ნაწვიმი
ყუმბარისა თუ ბომბისა“.

(დ. გურამიშვილი)

ისტორიულ ვითარებაში გამობრძმედილი თანამეგობრობა ორ მოძმე ხალხს შორის არნახული სახით გამოიყვანებოდა ხოლმე განსაცდელის უამს. ასე იყო ყირიმის ომშიც, რომლის დროსაც რუს-ქართველთა მხედრობამ, მოწინააღმდეგე ძალების სიჭარბის მიუხედავად, მრავალი ბრწყინვალე ბრძოლა მოიგო და სამუდამოდ გაუფანტა მოლოდინი რუსეთის მტრებს ქართველი ხალხის გადაბირებისა. ამ ეპოქაში რამდენიმე ქართველმა სარდალმა დარიგითმა მებრძოლმა ვაჟკაცობის შარავანდედით შემოსა რუს-ქართველთა გაერთიანებული საბრძოლო დროშა. სათქმელად მარტო ჩოლოქის ამბებიც იკმარებდა. შეიძლება დავასახელოთ ი. ანდრონიკაშვილი და გ. ჯანდიერი, ი. იოსელიანი, ლ. გურიელი, ზ. ნატროშვილი, თუ-ში ელიზბარიძე და მრავალი სხვა. ბევრის მთქმელია კ. მარქსის ყურადღების არეში ი. ანდრონიკაშვილის მხედრული უნარის მოქცევის ფაქტი ყირიმის ომების მოვლენებთან დაკავშირებით.

რუსეთ-თურქეთის ხანგრძლივ ომებში ქართველი ხალხის მონაწილეობამ განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო 1877—1878 წლების ომში. ქართველი ხალხი იმედოვნებდა, რომ ამ ომს შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთაგან განთავისუფლება. ამიტომაც იგი აქტიურად ეხმარებოდა რუსეთს არმიას არა მარტო ბრძოლის ასპარეზზე, არამედ ზურგშიც.

ბერლინის ტრაქტატის ძალით, საქართველოს შემოუერთდა 300 წლის განმავლობაში მოწყვეტილი აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი.

ყოყინა და არეულობა შეჰქონდათ თურქთა შორის ამ ომში ქართველ მოხალისე ცხენოსან რაზმებს. რიგითმა მებრძოლებმა და მათმა მხედართმთავრებმა ზ. ჭავჭავაძემ, გ. ამირაჯიბმა, ი. ამილახვარმა და სხვებმა ოქროს ასოებით ჩაწერეს თავისი სახელები რუსთა და ქართველთა მრავალსაუკუნოვანი საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიაში. „ბაშკადიკლარი, კურუკ-დარა, ყარსი, დევებოინე, ავლიარი, ბეგლი-ახმედი, არტაანი, ახალციხე, ჩოლოქი, მთელი დაღისტანი და ერთობ მთელი კავკასია ჰღალადებენ მათთა სახე-



ლოვანთა საქმეთა“,—სიამაყით წერდა ი. ჭავჭავაძე რუსეთის მტრებზე. წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველთა დამსახურებაზე. ბუნებრივია, შემთხვევითობად არ ჩაითვლება ის ყურადღება, რომელიც დაუთმეს ქართველთა ამ წვლილს წარსულში ცნობილმა ისტორიკოსებმა ვ. პოტომ, ნ. დუბროვინმა, ს. ესაძემ, ხოლო ჩვენს დროს ი. ანთელაფამ, შ. ჩხეტიამ, ა. იოსელიანმა, ნ. ქორთუამ, გ. ავალიანმა და სხვებმა. მიუხედავად საკმაოდ არსებული სამეცნიერო პროდუქციისა, რომელიც მიძღვნილია რუს-ქართველთა საბრძოლო თანამეგობრობისადმი, ჯერ კიდევ მრავალი უმნიშვნელოვანესი ფაქტი და მოვლენა დასადგენი, მრავალი ღვაწლმოსილი ადამიანის დამსახურება ელის გამომზეურებას და გაღრმავებულ შესწავლას.

შ. მეგრელიძის წინამდებარე ნაშრომი, რომელიც დამყარებულია როგორც ცნობილ, ასევე ბიბლიოგრაფიული იშვიათობის ლატერატურასა და მდიდარ პირველწყაროებზე, მნიშვნელოვნად აზღვიდრებს ჩვენს წარმოდგენას შარავანდედით მოსილ თანამემამულეთა დამსახურებაზე.

ნაშრომს პრეტენზია არა აქვს ამომწურავად განიხილოს რუსეთ-საქართველოს თანამეგობრობის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენლის ღვაწლი. ნაშრომის მიზანია წარმოუდგინოს ფართო მკითხველს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. კერძოდ, რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების ის გამოჩენილი მონაწილე, ვისზედაც მასალა დაუგროვდა და ვისი ფოტოსურათიც მოიპოვა. ნაშრომში თანამიმდევრობით განლაგებლასა და გათვალისწინებულ იქნა მათი ძირითადი მოღვაწეობის პერიოდი, თუმცა რიგ შემთხვევაში ასეთი პრინციპის დაცვაც შეუძლებელი აღმოჩნდა. ნაშრომი მნიშვნელოვნად ავსებს 1974 წელს მის მიერ გამოცემულ მონოგრაფიაში „საქართველო აღმოსავლეთის ომებში“ წამოჭრილ საკითხებს.

ფეიქრობთ, შ. მეგრელიძის ეს ნაშრომი თავის წვლილს შეიტანს ჩვენი ახალგაზრდობის სამხედრო პატრიოტული აღზრდის კეთილშობილურ საქმეში, გარკვეულ სამსახურს გაუწევს დაინტერესებულ პირთ სახელმძღვანელო წინაპრების გმირული საქმიანობის შემდგომ შესწავლაში.

ს. ლეკიშვილი



ალექსანდრე ბაგრატიონი

ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი-იმერეტინსკი ქართული სამეფო საგვარეულოს, ბაგრატიონთა წარმომადგენელია. მისი მამა არჩილი 14 წლის გაამეფეს იმერეთში, მაგრამ ოსმალებმა ადრევე ჩამოართვეს ტახტი. იგი მეფობას განაგრძობს კახეთში, შემდეგ ისევ იმერეთს უბრუნდება და ბოლოს გარეშე მტრებისაგან დევნილი იძულებული ხდება სამშობლო დატოვოს და რუსეთს შეაფაროს თავი.

1681 წელს არჩილმა ქვეშევრდომობა სთხოვა მეფე თევდორე ალექსის ძეს (1676—1682), მაგრამ თანხმობა მოგვიანებით მიიღო, არჩილი ჩრდილო კავკასიაში გადადის. აქ მას თან ახლდა მეუღლე ქეთევანი, ვაჟიშვილები მამუკა, ალექსანდრე, დავითი და ქალიშვილი დარეჯანი. მათგან, ჩვენთვის საინტერესო პიროვნება ალექსანდრე 1674 წელს დაიბადა.



1684 წლის 28 აპრილს რუსეთის სამეფო კარის თხოვნით წლის მამუკა და 9 წლის ალექსანდრე ასტრახანიდან მოსკოვს გაგზავნეს. მათ თან ახლდა საკმაოდ დიდი ამაღა 69 კაცის შემადგენლობით — მსლებლებითა და მსახურებით. 6 აგვისტოს ბატონიშვილები მოსკოვში ჩავიდნენ. აქ ისინი დიდი პატივისცემით მიიღეს. ივანე და პეტრე ამ დროს მცირეწლოვნები იყვნენ და სახელმწიფოს მათი და სოფიო მართავდა. ბატონიშვილებს მზრუნველად მან თავადი ვასილ გოლიცინი დაუნიშნა. ცნობილია, რომ მეფე ალექსის გარდაცვალების შემდეგ მის ყოფილ მეუღლეთა საგვარეულოებს, ნარიშკინებსა და მილოსლავსკებს შორის ძლიერი შუღლი გაჩაღდა სამეფო ტახტისათვის. მაგრამ გაამეფეს ორივე ძმა — ივანე და პეტრე. სწორედ ამ დროს მოსკოვს გადასახლდა არჩილის მთელი ოჯახიც. ქართველი მეფე რუსეთის სამეფო კარზე დიდ იმედებს ამყარებდა ოსმალ დამპყრობთაგან სამშობლოს გამოსახსნელად.

ალექსანდრე ბატონიშვილი მუდმივად პეტრესთან იყო. ისინი ერთად იზრდებოდნენ, ერთად ღებულობდნენ განათლებას და განუყრელი მეგობრები გახდნენ. ქართველი ბატონიშვილი რუსულსაც ადრე დაეუფლა.

1687 წელს პოლიტიკური მიზნების უკეთ განსახორციელებლად არჩილმა ალექსანდრე დააქორწინა თავად ივანე მილოსლავსკის ქალიშვილზე, ამ უკანასკნელს კი ალექსი მიხეილის ძის მეუღლესთან ნათესაობა აკავშირებდა.

1688 წელს გარდაიცვალა ბატონიშვილი დავითი, იგი ნოვოდევიჩის მონასტერში დაკრძალეს, ხოლო 1693 წელს ძმის გვერდით მამუკაც დაასაფლავეს.

ალექსანდრე ჩინებულად იზრდებოდა რუსეთის სამეფო კარზე. 1695 წელს მოსკოვში ხანძარმა იფეთქა, მრავალი დიდებული სასახლეს შორის ალექსანდრეს სახლ-კარიც დაიწვა. ალექსანდრე სოფ. ვსესვიატსკოეში გადავიდა უკვე განსვენებული მეუღლის მამულში. 1697 წელს ალექსანდრემ ხელმეორედ იქორწინა ელიზბარ რომანის ძე დავითაშვილის ქალიშვილზე — მარიამზე. იმავე წელს ქართველი ბატონიშვილი, პეტრესთან ერთად, დიდი ელჩობის შემადგენლობაში ევროპას გაემგზავრა. კენისბერგი, ჰაავა, ამსტერ-

დამი და ინგლისის ცნობილი ქალაქები გახდა მისი ახალი განთავსების გზა.

ევროპაში საარტილერიო საქმეს ეუფლებოდა პეტრეს რჩეული 13 ბომბარდირი და მათ შორის ალექსანდრე ბაგრატიონი. დიდი ელჩობის აღმწერელი შენიშნავს: „ყველას ყურადღებას იპყრობდა ქართველი უფლისწული, ქართველი მეფის შვილი ბაგრატიონთა გვარისა, მას თავისი ეროვნული ტანსაცმელი ეცვა და სპარსული ბრწყინვალეობით ატარებდა“.

„ალექსანდრე პირველი ქართველი იყო, — შენიშნავს ვ. ტატიშვილი, — რომელმაც ევროპაში სერიოზულად შეისწავლა ხელოვნება და მეცნიერება. იგი დაწვრილებით გაეცნო აქ თავისი დროის მოწინავე ტექნიკას“.

ბუნებრივია, ინგლისში ყოფნას არ შეეძლო გარკვეული კვალი არ დაეტოვებინა ნიჭიერ ახალგაზრდაზე. მით უმეტეს ეს იყო დრო, როდესაც ბრიტანეთის ნავსადგურებში „განუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდა კოლონიებში ნაძარცვი აურაცხელი სიმდიდრე“. სახელმწიფო კაპიტალიზმის განვითარების გზას ადგა. მისი ქალაქები განირჩეოდნენ სიმდიდრითა და სილამაზით, კულტურული ღირსშესანიშნაობით.

ალექსანდრესთვის ყველაზე საინტერესო იყო ქ. ვულიჩი, სადაც ქვემეხებს ამზადებდნენ. აი აქ საფუძვლიანად შეისწავლა მან საარტილერიო საქმე. „ალექსანდრე ინგლისს ტოვებდა თეორიასა და ტექნიკას დაუფლებული, იგი მზად იყო დიდი პრაქტიკული და სახელმწიფო მოღვაწეობისათვის“.

ევროპაში ყოფნის დროს პეტრე დარწმუნდა, რომ თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირეს ვერ იპოვიდა, თან მეთოფეთა აჯანყების ამბავიც გაიგო და სასწრაფოდ დაბრუნდა რუსეთში. მან ბოლო მოუღო მეთოფეებს და რეგულარული არმიის შექმნა დაიწყო. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პეტრე არტილერიის გარდაქმნას. რუსეთის იმდროინდელი არტილერიის განვითარების საქმე მჭიდროდაა დაკავშირებული ბატონიშვილ ალექსანდრეს სახელთან.

1700 წლის 19 მაისს პეტრემ სახელმწიფო საარტილერიო უმაღლესი სამმართველოს უფროსად გენერალ-ფელდციხმაისტრის წოდებით მისი მეგობარი და საქმის კარგი მცოდნე ალექსანდრე

ბატონიშვილი დანიშნა. ისტორიკოს ნ. ბრანდენტურგის სიტყვებით, „იმ პირებს შორის, რომლებიც რუსეთის არტილერიას მანამდე ზღომძღვანელობდნენ, ალექსანდრე პირველი იყო, რომელმაც ეს პოსტი სპეციალობით არტილერისტმა დაიკავა“. მეფის ერთგული მეგობარი და საქმის სპეციალისტი ენერგიულად შეუდგა საქმის წარმართვას. დაიწყო სათანადო მომზადება არტილერიის გარდაქმნისათვის, მაგრამ შედეგზე ლაპარაკი ნაადრევია იყო. 1700 წლის 19 აგვისტოს, ამ თანამდებობაზე ალექსანდრეს დანიშვნის სამი თვის შემდეგ, ომი დაიწყო შვედებთან, რომელიც ჩრდილოეთის ომის სახელითაა ცნობილი. რუსეთის ჯარი ნარვისაკენ დაიძრა და მის კედლებთან დაბანაკდა. რუსეთის არტილერიას ალექსანდრე ბატონიშვილი მეთაურობდა, მის განკარგულებაში 200-მდე ქვემეხი იყო.

რუსეთის არმია ჯერ კიდევ მზად არ იყო შვედებთან ბრძოლისათვის, ჯარს არ ჰყოფნიდა სურსათ-სანოვაგე, იარაღი. ოფიცერთა და გენერალთა უმრავლესობა უცხოელები იყვნენ, რომელთაც ნაკლებად აინტერესებდათ რუსეთის არმიის დიდება. სუსტი იყო არტილერიაც: ძველად ჩამოსხმული, ერთ დროს კარგი ქვემეხები აღარ ვარგოდა. ლაფეტები კი რამდენიმე გასროლის შემდეგ ტყუებოდა. ყოველივე ამან თავისი შედეგი გამოიღო. 19 ნოემბერს რუსეთის არმიამ ნარვასთან მარცხი განიცადა. შვედებმა ხელთ იგდეს 145 ქვემეხი, 700 გენერალი და ოფიცერი. ტყვედ აღმოჩნდა თვით ბატონიშვილი ალექსანდრეც. ნარვის ბრძოლის ისტორიის აღმწერილი შენიშნავს, რომ დატყვევებისას ჯარისკაცებმა ალექსანდრეს „ტანზე გახადეს, მისი მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ეს შენიშნა გრაფმა რეშილდმა და იგი გამოგლიჯა ჯარისკაცებს, მისცა ტანსაცმელი და მეფეს წარუდგინა“. ქართველი ბატონიშვილი ნარვიდან სტოკჰოლმს გადაიყვანეს. რთული აღმოჩნდა მისი გამოხსნა. „კარლ XII-მ, როდესაც მას სტოკჰოლმს გზავნიდა, — წერს ვოლტერი, — თავის ოფიცრებს ცინიკურად უთხრა: კავკასიის მთების პაპანაქებიანი კალთების შვილმა შვედების ყინულების ტყვეობაში უნდა იცხოვროს, ეს იგივეა, მე რომ ოდესმე ყირიმის თათრების ტყვე ვყოფილიყავ“. კარლ XII-მ კარგად იცოდა ალექსანდრეს ვინაობა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი იყო საქართველოს სამეფო დინასტიის ერთადერთი გამგრძელებელი და რუსეთის არმიის ესოდენ დიდი თანამდებო-

ზისა და წოდების პირი. იგი ყოველგვარ ხერხს მემართავდა, რომ ალექსანდრე უკან არ დაებრუნებინა.

ალექსანდრე სტოკჰოლმის მახლობლად მოათავსეს რამდენიმე სხვა ტყვე გენერალთან ერთად. მათ მეტად რთულ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. შვედებს მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ ისინი. 1702 წლის 2 დეკემბერს ადმირალ თევდორე ალექსის ძე გოლოვინისადმი წერილში ალექსანდრე აღწერს მის მძიმე და აუტანელ პირობებს და ბოლოს დასძენს: „ღვთის წყალობით ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, მაგრამ გაცილებით უფრო ავად, რის გამოც გულითადად გთხოვ, ჩემო მოწყალეო, ერთი კარგი მღვდელი გამომიგზავნო, რათა ქრისტიანულად სიკვდილის ღირსი გავხდე“.

მიუხედავად ურთულესი პირობებისა, ქართველ ბატონიშვილს ტყვეობაშიც ღირსეულად ეჭირა თავი. იგი სხვებს ამხნევებდა და ანუგეშებდა. პეტრე I არაერთხელ შეეცადა მის გამოსყიდვას, მაგრამ შვედებმა დიდძალი ოქრო მოითხოვეს. როდესაც ამის შესახებ ალექსანდრემ გაიგო, პეტრეს აცნობა: „არათუ სათქმელად, ფიქრადაც არ მომსვლია, რაიმე ზარალი მოუვიდეს სახელმწიფოს არათუ ჩემი განთავისუფლებით, არამედ იმიტაც, ვინც კი ჩემზე თუნდაც ათასჯერ უკეთესნი არიან. ჩვენ იმისთვის ვართ მოწოდებულნი, ვითმინოთ და მოვკვდეთ სახელმწიფოსა და მამულის ინტერესებისათვის“. მიუხედავად ამისა, რუსეთის იმპერატორი არ ივიწყებდა თავის სახელოვან გენერალსა და მეგობარს და მაინც ეხმარებოდა ალექსანდრეს და მით უმეტეს მის ოჯახს მოსკოვში.

1706 წელს, შვილის გადარჩენის მიზნით, არჩილმა წერილით მიმართა შვედეთის მეფეს. იგი რუსულ ენაზეა შედგენილი თვით ქართველი მეფის მიერ. არჩილი წერდა: „მის უდიდებულესობას და კეთილშობილ თავადსა და ხელმწიფეს, ღვთის მოწყალე და შთამომავლობით შვედეთის, გოტთა და ვანდალთა მეფეს კარლოსს.

ჩვენ, არჩილი, დავითისა და სოლომონის შტო, იმერეთის მეფის ბაგრატის შთამომავალი, მთელი საქართველოს ძველ წინაპართა კანონიერი ტახტის მემკვიდრე, მოგმართავთ თქვენ.

თქვენი უდიდებულესობის ცნობილმა მღალმა დიდებამ და უბედურებაში მყოფთადმი თქვენმა კეთილშობილურმა დამოკიდებულებამ გადამაწყვეტინა მოწყალეობა მეთხოვა ჩვენი შვილი უფლისწული ალექსანდრესათვის.



ყველა სამფლობელო, რაც კი ქართველ მეფეებს გაგვაჩნდა ღვთის განკარგულებით ორმა ურწმუნო სახელმწიფომ გააჩანაგა და დაიმონა. მაჰმადიანურ სახელმწიფოთა მიერ სამფლობელოს და თავისუფლებას დაკარგულნი, ჩვენ მივენდეთ მისი უდიდებულესობის მფარველობას, როგორც ყველა ხალხის მეთაურს, რომლებიც ბერძნულ წმინდა სარწმუნოებას აღიარებენ. რის გამოც მეფის ძლევამოსილი მფარველობის ქვეშ ვიმყოფებით; ყოველივე ეს მისი უდიდებულესობის ტიტულიდანაც ჩანს.

მეფის სურვილიდან გამომდინარე, ჩემი შვილი მისი უდიდებულესობის სამსახურში იმყოფება, მაგრამ, საუბედუროდ, უკვე ექვსი წელია თქვენს ტყვეობაშია.

მრავალი ტანჯვა, ავადმყოფობა, დაუძლურება და ნაადრევი სიკვდილი ემუქრება მას...

ამიტომ ჩვენ და მთელი ჩვენი ოჯახი მორჩილებით მუხლს ვიდრეკთ და გთხოვთ თქვენს იმპერატორობის უდიდებულესობას გვიბოძოთ წყალობა და თავისუფლება აჩუქოთ ჩვენს შვილს, რომ ჩვენი სიბერე ნუგეშმოკლებული არ იყოს.

ჩვენ და მთელი ჩვენი საქართველოს სამეფო მუდმივად მადლიერნი ვიქნებით თქვენის იმპერატორის უმაღლესობისა და ვადიდებთ თქვენს ისედაც საქვეყნოდ განთქმულ სახელს. მოლოდინით დაეშთებით თქვენი უდიდებულესობის წყალობისა ჩვენი დარდის მიმართ თქვენი მადლიერი მონები.

1706 წლის თებერვლის 2. არჩილი“ .

წერილის შემდეგ კიდევ 4 წელზე მეტი იტანჯებოდა ალექსანდრე ტყვეობაში. 1709 წელს პოლტავასთან დამარცხების შემდეგ შვედეთის მეფე „ლმობიერი“ გახდა. დათანხმდა, ქართველი ბატონიშვილი და თავადი ი. ტრუბეცკოი გაეცვალა გრაფ პიპერსა და შვედლსხვა გენერლებზე, რომლებიც რუსეთის ტყვეობაში იყვნენ.

1710 წლის ბოლოს ალექსანდრე ბაგრატიონი გაანთავასუფლეს, იგი მოსკოვს გამოემგზავრა, სადაც მამა და მეუღლე ელოდებოდა. მაგრამ ბედმა არ არგუნა მას, რომ დიდი ხნის ოცნება აღსრულებოდა. 11 წლის ტყვეობაში ყოფნით დაუძლურებულმა და დაავადებულმა რუსეთის საზღვრებამდეც კი ვერ მიაღწია და 1711 წ. 2 თებერვალს, გზაში, კუნძულ პიტეოსზე გარდაიცვალა. შვედებმა იგი იქვე დამარხეს. კიდევ დიდი მოლაპარაკება გახდა საჭირო და

ბოლოს მოსკოვში გადასვენეს და იმავე წლის 29 მარტს დონის მონასტერში დაკრძალეს. შემდეგ ნოვო-დევიჩიდან გადმოსვენეს და მასთან ერთად დამარხეს მისი მეუღლე და ძმები — მამუკა და დავითი. მათი დაკრძალვის ადგილას არჩილმა ააშენა საძვლე და ეკლესია. 1713 წლის 16 აპრილს იქვე, დონის მონასტერს მიაბარეს სახელოვანი ქართველი მეფე არჩილი, ხოლო 1719 წლის 16 აპრილს დედოფალი ქეთევანი. „დონის დიდი ტაძრის საკურთხევლის ქვეშ შეიქმნა XVIII საუკუნის ქართველ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა ყველაზე დიდი აკლდამა. საქართველოს არც ერთ ადგილას, არც ერთ მის ტაძარში და არც ერთ სასაფლაოზე ჩვენ უკვე ვეღარ ვიპოვით ერთად განსვენებულ ამდენ სახელგანთქმულ და ისტორიულ პირს, რამდენიც აქ დონის მონასტერშია. სოფ. ვსესვიატსკოე ქართველ სამეფო შთამომავალთა საკუთრებად იქცა“: 1722 წლის 30 იანვარს არჩილის სახლში, სადაც არჩილის ქალიშვილმა დარეჯანმა შვედებთან ომის დამთავრების და სპარსეთში სალაშქროდ გამგზავრების აღსანიშნავად ლხინი მოაწყო, პეტრე I-მა ასწია პირველი სასმისი შვედებზე გამარჯვების აღსანიშნავად. ის ფაქტი, რომ პეტრემ ამ სახლში იზეიმა მისი დიდი გამარჯვება, ალექსანდრეს პატივისცემის აღსანიშნავი იყო. როდესაც არჩილი გარდაიცვალა, ანდერძში რუსეთის იმპერატორს თხოვდა, ყურადღება მიექცია მის ერთადერთ ქალიშვილ დარეჯანისთვის, ღირსეულად გაეთხოვებინა იგი და სამეფო გვარი გაგრძელებულიყო ქალიშვილის შტოთი. მაგრამ დარეჯანი მაინც გაუთხოვარი დარჩა. რუსი მკვლევარი ს. დიანინი ამ ფაქტს იმ გარემოებით ხსნის, რომ პეტრე პირველი თვით თავისთავს თვლიდა ქართლის სამეფო ტახტის პირდაპირ მემკვიდრედ და რომ მას არ სურდა სამეფო საგვარეულო არჩილის ქალიშვილის მემკვიდრეობით წასულიყო.

1740 წელს დარეჯანი მიაბარეს დონის მონასტერს.

ასეთი იყო სამშობლოდან დევნილი ქართველი მეფის არჩილის ოჯახის და, კერძოდ, მისი შვილის, რუსეთის არტილერიის პირველი ფელდციხმაისტრის ალექსანდრე ბაგრატიონის ხანმოკლე და სახელოვანი ცხოვრების გზა.



პავლე ციციშვილი (ციციანოვი)

პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი-ციციანოვი იმ ქართველ თავადთა შთამომავალია, რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანი გადასახლდა რუსეთში, თავი ისახელა მამაცობითა და გმირობით, განათლებით, ღრმა ცოდნითა და სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობით საუკეთესო ფურცლები ჩაწერა ამ ქვეყნის ისტორიაში.

3. ციციშვილმა მეტად რთული და მრავალფეროვანი ცხოვრების გზა განვლო — პრეობრაჟენსკის ლეგიონის კურსანტიდან დაწყებული ინჟანტერიის გენერლამდე.

3. ციციშვილს ახასიათებენ როგორც განათლებულ და ნიჭიერ ადამიანს, სამხედრო საქმის დიდ მცოდნეს, პატიოსანსა და სამართლიანს, ფიცხსა და ამაყს, ჯიუტსა და მკაცრს. ყველა ამ თვისებამ ახალგაზრდობაში თუ წინსვლის გზა შეუქრა და უკმაყოფილებაც მოჰგვარა, შემდგომ მათვე განაპირობეს მისივე წარმატებები.

3. ციციშვილი წარმოშობით ძველ ქართველ თავადთა საგვარეულოდანაა, იგი გიორგი XII-ის მეუღლის მარიამ დედოფლის ნათესავი იყო. პავლეს პაპა — პაატა ზაქარიას ძე ციციშვილი XVIII ს. 20-იან წლებში გადასახლდა რუსეთში მეფე ვახტანგ მეექვსესთან ერთად. იგი ქართულ ჰუსართა ასეულში მსახურობდა და 1742 წელს კაპიტნის ჩინით გმირულად დაიღუპა შვედებთან ბრძოლაში. რუსეთში გამგზავრებისას პაატა ციციშვილს თან წაუყვანია 2 წლის ვაჟი დიმიტრი, დაბადებული 1723 წელს. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი პირველთაგანია იმ ქართველთა შორის, რომლებიც პეტერბურგში სწავლობდნენ. მან კადეტთა კორპუსში მიიღო აღზრდა გრაფ რუმიანცევთან და სხვა გამოჩენილ სამხედრო თუ სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად.

1777 წელს დიმიტრი ციციშვილი გარდაიცვალა. მას ექვსი შვილი დარჩა, რომელთაგან პავლე მეორე იყო. იგი დაიბადა 1754 წლის 8 სექტემბერს ქ. მოსკოვში. სამხედრო სამსახური მან პრეობრაჟენსკის ლეგიონში დაიწყო. 1778 წელს იგი უკვე პოდპოლკოვნიკია და ტობოლსკის ქვეით ლეგიონში მსახურობს, ხოლო 1786 წელს პოლკოვნიკი გახდა და გრენადერთა ლეგიონის უფროსად დაინიშნა.

1787 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დასაწყისში პ. ციციშვილის გრენადერთა ლეგიონი რუმიანცევის არმიის შემადგენლობაში მოქმედებდა. ციციშვილის საბრძოლო ნათლობა მოხდა ციხესიმაგრე ხოტინთან და პირველსავე ბრძოლაში დიდება დაიმსახურა, ხოლო 1789 წელს იგი მონაწილეობდა მდ. სალჩასთან ბრძოლაში, სადაც ჰასან ფაშას არმიის განადგურებაში ახალი თავდადებისა და დამსახურებისათვის ეკატერინე II-მ ციციშვილს ბრიგადერის წოდება უბოძა, ხოლო 1793 წლის 2 სექტემბერს იგი გენერალ-მაიორის ჩინში აამალდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1787—1791 წწ. რუსეთ-თურქეთის ომს ციციშვილისათვის დიდი სახელი არ მოუტანია, იმპერატორისა და უმაღლესი სარდლობის ყურადღება მაინც დაიმსახურა.

1794 წელს ა. სუვოროვის პოლონეთზე ლაშქრობა დაეწყო, მისი არმიის შემადგენლობაში იბრძოდა პ. ციციანოვი. აქ ბრძოლებაში მან დაიმსახურა წმინდა ვლადიმერის მეორე კლასის, წმინდა გიორგის მესამე კლასის ორდენები, ხმალი წარწერით „მამაცობისათ-



ვის“ და მამული მინსკის გუბერნიაში 1500 გლეხით, მაშინ
საც სხვა გენერლებს მხოლოდ 500—500 სული არგუნეს.

ამ კამპანიამ ციციშვილს იმდენად დიდი სახელი და დიდება
მოუტანა, რომ სუვოროვი ერთ-ერთი ლაშქრობის წინ ჯარისადმი
მიმართვაში შენიშნავდა: „იბრძოლეთ ისე შეუდრეკლად, როგორც
იბრძოდა მამაცი გენერალი ციციანოვი“, ხოლო ეკატერინე მეორე
ამიერიდან მას „ჩემი გენერალი“ ეძახდა.

1796 წელს პ. ციციშვილი გრაფ ზუბოვის ლაშქრობაში მონა-
წილეობს სპარსეთის წინააღმდეგ და ერთს წელს ბაქოს კომენდან-
ტიცაა. იქ ქალაქის მოსახლეობის პატივისცემა დაიმსახურა და იმ
ჰუსეინ-ყული ხანს მეგობრობს, რომლის ძმამაც შემდეგ სიცო-
ცხლეს გამოასალმა.

ეკატერინე II-ის გარდაცვალების შემდეგ (1796) რუსეთის სა-
მეფო ტახტი პავლე I-მა დაიკავა, რომელმაც დედამისის დროს
გამოჩენილი მრავალი გენერალი თადარიგში და გადასახლებაში
გაისტუმრა, მათ შორის პ. ციციშვილიც. 1801 წელს პავლე ალექ-
სანდრე I-მა შეცვალა და ამ უკანასკნელმა სამხედრო სამსახურში
დააბრუნა; დანიშნა სახელმწიფო საბჭოს კანცელარიის ექსპედიტო-
რად სამხედრო ნაწილში და გენერალ-ლეიტენანტის წოდება უბო-
და.

1801 წლის 12 ოქტომბრის მანიფესტით საქართველო რუსეთს
შეუერთდა. რუსეთის ჯარი კი ჯერ კიდევ 1799 წლის ბოლოს შე-
მოვიდა თბილისში გენერალ ლაზარევის მეთაურობით. შეიქმნა
საქართველოს მმართველობა უმაღლესი მთავრობის სახით, რომელ-
საც რუსი მოხელე კოვალევსკი განაგებდა.

ახალ მოხელეთა თვითნებობამ საყოველთაო უკმაყოფილება
გამოიწვია და საქართველოში რთული ვითარება შეიქმნა.

მეფემ გადაწყვიტა მხარის მმართველად დაენიშნა ისეთი პი-
რი, რომელიც სამხედრო და სახელმწიფო დამსახურებასთან ერთად
კარგად იცნობდა კავკასიას. სწორედ ასეთი იყო პ. ციციშვილი.

1802 წლის 11 სექტემბერს გენერალ-ლეიტენანტი პ. ციციშვი-
ლი დაინიშნა კავკასიის ხაზის ინსპექტორად, ასტრახანის სამხედრო
გუბერნატორად და საქართველოს მთავარმართველად. მისი პირვე-
ლი რეზიდენცია ქ. გიორგიევსკი იყო, მაგრამ დაძაბული ვითარების
გამო იგი მხოლოდ 1803 წ. 1 თებერვალს ჩამოვიდა თბილისში. აქ

მას უფრო მძიმე მდგომარეობა დახვდა, ვიდრე 1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე იყო. ცარიზმის მოხელეთა თვითნებობას ხალხის აღშფოთება გამოეწვია. ბატონიშვილების დავას ბოლო აღარ უჩანდა, სპარსეთის შაჰი საქართველოზე სალაშქროდ ემზადებოდა და ბატონიშვილი იულონი მეფედ აღიარა. ამიტომ იყო, რომ რუსეთის მეფემ განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა მას, თავის შეხედულებებისამებრ ემოქმედა, გადაეწყვიტა რთული სახელმწიფო საქმეები და ა. შ. ბუნებრივია, პ. ციციშვილი მეფის ერთგული მოხელე და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი იყო საქართველოში, მაგრამ მისსავე ვატარებულ ღონისძიებებს ობიექტურად გარკვეული დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა.

55265
17565

პ. ციციშვილი მცირე დროით მოღვაწეობდა საქართველოში და ეს დროც ძირითადად ომებში გაატარა. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოახდინა ქვეყნის სამინაო ცხოვრებაში. ციციანოვი ენერგიული და ნიჭიერი მოხელე იყო საქართველოში, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — ქვეყნის რუსული მმართველობის შემდგომი განვითარება, აოხრებული ქვეყნის მოშენება-დასახლება, სოფლის მეურნეობის გამოცოცხლება-გაუმჯობესება, საფაბრიკო-საქარხნო წამოწყობანი, გზების მშენებლობა, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური საკითხები, განათლება, ყველაფერი მისი საზრუნავი საგანი იყო“.

პ. ციციშვილის პირველი ღონისძიება გახდა კოვალევსკისა და სხვა ბოროტ მოხელეთა გაძევება საქართველოდან და აღშფოთებული ხალხის დამშვიდება. მან სპეციალური წერილით მიმართა ადგილობრივ თავადებს, მთელ ხალხს; იგი წერდა: „ჩემი დამოკიდებულება ჩემს წინაპართა საყვარელ სამშობლოსადმი მიძღულებს მოვავონო დაბნეულ პირებს და საჯაროდ განუტყხადო მამაც და ენერგიულ ქართველ ხალხს, რომ ვიბრძოლებ ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ“.

საქართველოში მშვიდობიანობის დამყარება მეფესა და ციციანოვს შეუძლებლად მიაჩნდათ, სანამ ქართველ სამეფო კარის წევრებს რუსეთში არ გაასახლებდნენ, საქმის მოგვარება ციციშვილმა მოტყუებითა და ქრთამებით დაიწყო, მაგრამ მიზანს რომ ვერ მიაღწია, ძალას მიმართა.

1803 წელს მან პეტერბურგს გაისტუმრა ბატონიშვილები და-

2. შამშე მგვრელიძე

საქართველოს
პარლამენტის
ისტორიული
არქივი

ვითი და ვახტანგი, შემდეგ მეფის ასული ქეთევანი. ამ ფაქტმა დააშინა დანარჩენები და სამშობლოდან გაიქცა რამდენიმე ბატონიშვილი, თავადი თუ ახნაური. ჭარ-ბელაქანს თავი შეაფარა ბატონიშვილმა თეიმურაზმა, იქ მას ბიძამისი ალექსანდრე დაუხვდა. იმერეთს მიაშურეს ფარნაოზმა და იულონმა, გასაქცევად ემზადებოდა დედოფალი მარიამი თავისი შვილებით. ამ უკანასკნელის ძალით გადასახლებას შეეწირა გენერალი ლაზარევი, იგი დედოფალმა ხანჯლით განგმირა.

1805 წლისათვის საქართველოს ყოფილი სამეფო კარის ყველა წევრი რუსეთში გადასახლებული ან სპარსეთსა და იმერეთს გახიზნული აღმოჩნდა.

„ბატონიშვილების, როგორც სოციალური ფენის, გაქრობა, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — საჭირო და სასურველი საქმე იყო. ოღონდ მძიმე ის იყო, რომ ეს ხდებოდა არა ქართული საზოგადოებრივი განვითარების შედეგად, არამედ ამას აკეთებდა უცხო ძალა საკუთარი მიზნებისათვის. მაგრამ ამ პირობებშიც კი ეს აქტი უდავოდ დიდი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის სოციალური განვითარების გზით.“

ციციანოვი დაწვრილებით გაეცნო ცარიზმის მმართველობას საქართველოში და დარწმუნდა, რომ არსებული სახელმწიფო აპარატი, განსაკუთრებით რუსული კანონმდებლობა, არ შეესაბამებოდა და მიუღებელი იყო ქართველი ხალხისათვის, იგი იმასაც მიხვდა, რომ ადრე დანერგული მმართველობის მთლიანად და უცებ გარდაქმნა ცუდად იმოქმედებდა რუსეთის მიმართ ხალხის განწყობაზე; გარდა ამისა, მულმივი ომების გამო მთავარსარდალს არც საამისო დრო ჰქონდა.

მთავარმართებელს ესმოდა, რომ წარმატებების მიღწევა შეუძლებელი იყო ადგილზე დასაყრდენის გარეშე, ე. ი. საჭირო იყო ადგილობრივი ფეოდალების ინტერესების დაცვა. ყოფილ ფეოდალ-მოხელეებს პენსიები დაუნიშნა და რუსული სამოხელეო წოდებები მიანიჭა. ნაწილი ახალი მმართველობის სისტემაში ჩააბა. თავადაზნაურობამ თავისი ინტერესების დასაცავად პირველ წინამძღოლად გარსევან ჭავჭავაძე აირჩია.

ახალმა მთავარსარდალმა გააერთიანა სამოქალაქო და სისხლის სამართლის ექსპედიციები, ხელფასი დაუნიშნა მოურავებს და გარდაქმნები გაატარა მთელ რიგ დარგში. მათი ხელისუფლება კი

კაპიტან-ისპრავნიკებს დარჩა, ე. ი. მოურავთა ინსტიტუტის ყოფნა-არყოფნის საკითხი დასვა. მაგრამ ეს ღონისძიება ნელ-ნელა ტარდებოდა. 1805 წლის 13 მაისს მიღებული რეფორმა ძალაში დარჩა 1840 წლამდე, ხოლო რუსეთის მფარველობაში შესულ სამეგრელოში, იმერეთსა და მუსლიმანურ პროვინციებში არსებული მდგომარეობა უცვლელი დატოვა. იგი „არ ერეოდა“ მათ საშინაო საქმეებში. მან ძველ თანამდებობაზე დატოვა, აგრეთვე, ადგილობრივი თავადები, მაგრამ მაზრების უფროსთა საქმიანობა რუსი ოფიცრების მეთვალყურეობის ქვეშ დააყენა.

რუსული ადმინისტრაციული მმართველობის დამყარებამ შეცვალა საუკუნეებით დამკვიდრებული ადგილობრივი ურთიერთობა. ბატონიშვილებმა დაივიწყეს პირადი შულღი და ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმენ. მათ გვერდში ედგა ახალი რეჟიმით უკმაყოფილო ხალხის ნაწილი. ცარიზმით უკმაყოფილო პირები გარსევან ჭავჭავაძის ირგვლივ იყრიდნენ თავს. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, ერთი იმ პირველთაგანი იყო, რომელიც თავის ღრობზე რუსეთთან დაკავშირებისათვის იბრძოდა და რომელმაც ხელი მოაწერა გიორგიევსკის ტრაქტატს.

პ. ციციშვილმა გარსევან ჭავჭავაძეც რუსეთს „გაგზავნა“, გაბატონებულ კლასებთან ბრძოლას მან კომპრომისზე წასვლა ამჯობინა.

რაც შეეხება გლეხობას, მათ მიმართ შემდეგი ვითარება შეიქმნა. მემამულეთა და მოურავთა მიერ შევიწროებული მოსახლეობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო. დარბეული, გაჩანაგებული ქვეყნის მთელი სიმძიმე მათ აწვათ. ასეთ პირობებში ახალ მმართველს სურდა რაღაც გარდაექმნა, შეეცვალა და ხალხის მდგომარეობა ოდნავად მაინც შეემსუბუქებინა, რათა ავტორიტეტი და პატივისცემა დაემსახურებინა ქართველ ხალხში. უპირველესად, მან გააუქმა სატრანსპორტო ბეგარა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა მშრომელ გლეხობას და მის ნაცვლად სახაზინო ტრანსპორტი შექმნა. ჩერვოდარები კი რუსეთიდან მოიწვია.

პ. ციციშვილმა პირველმა შეცვალა საქართველოში ნატურალური გადასახადი ფულადით. ძველი წესით მხოლოდ სხორბლის გადასახადი დარჩა. გადასახადების შეცვლა ერთი გარკვეული სახის

გადასახადით და მათი დაკანონება უდავოდ პროგრესული ღონისძიება იყო.

ვაჭრობის შემდგომი განვითარების მიზნით მან გააუქმა მრავალრიცხოვანი საბაჟოები, იგი მხოლოდ სურამში, წალკაში, კარაკლისსა და შამშადილში დატოვა.

როგორც ცნობილია, საქართველოში ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე წარმოებდა თუჯისა და სპილენძის დამუშავება. მეფე ერეკლეს დროს ალავერდისა და სხვა ქარხნები საკმაოდ ძლიერა საწარმოები იყო. მათი სახელი საქართველოს გარეთაც იყო ცნობილი. მაგრამ ისინი 1795 წელს ალა მაჰმად ხანმა დაანგრია და ააოხრა. მთავარმართებელმა მათი აღდგენა დაიწყო. მოიწვია სპეციალისტები, რუსეთიდან ჩამოიტანა სათანადო ტექნიკა და მუშაობა გაიშალა.

პ. ციციშვილს კარგად ესმოდა, რომ რკინისა და თუჯის ადგილზე დამუშავებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქვემეხების და განსაკუთრებით ჭურვების რუსეთიდან ჩამოტანა მეტად ძვირი ჯდებოდა. უმოკლეს დროში ადგილზე დამზადებული სპილენძის ფურცლები საუკეთესოდ სცნეს პეტერბურგში.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მთავარსარდალმა გზების გაუმჯობესებასა და ახლის გაყვანას. უპირველესად დაიწყო ჩრდილოეთიდან, დარიალის ხეობით, თბილისისაკენ ე. წ. სამხედრო გზის გაყვანა. ამ გზით მოდიოდა ჯარი საქართველოში, გადმოჰქონდათ სურსათ-სანოვაგე, იარაღი და მთელი ალალი. მართალია, ბუნებრივი პირობების სირთულისა და სახსრების ნაკლებობის გამო, მშენებლობა ნელი ტემპით წარიმართა, მაგრამ რაც გაკეთდა, ისიც დიდ საქმედ ითვლებოდა. მის სიციცხლეში დამთავრდა 100 კმ სიგრძის ქუთაის-სურამის გზის მშენებლობა, შეაკეთეს და გააუმჯობესეს სხვა გზებიც, რომლებიც რაიონებს თბილისთან აკავშირებდა. მას პირველს ეკუთვნის აზრი თბილისიდან ბაქოსაკენ ახალი გზის გაყვანის შესახებ.

მნიშვნელოვანი იყო ის ღონისძიებები, რაც მთავარსარდალმა გაატარა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით.

ცნობილია, რომ ლეკიანობით დაშინებული სოფლის მოსახლე-ბა გახიზნული იყო ქალაქად, ციციშვილმა ყველა ისინი სოფლად დააბრუნა, ხოლო მათ დასაცავად რიგ ადგილებში ჯარი ჩააყენა. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით: „ყოველ სოფელს სურდა მასთან ჯარი

ყოფილიყო დაბანაკებული, გახარებული გლეხები მათ უყურებდნენ არა მარტო როგორც დამცველს, არამედ როგორც სამშუშაომისასარგებლო დამხმარეს. ეს იყო რუსი და ქართველი ხალხების ძმური შეხვედრის პირველი ფაქტები მე-19 საუკუნეში“. მართლაც, რუსი სალდათები მოსახლეობას ეხმარებოდნენ სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით სელის დამზადება-დამუშავებაში. წინათ საქართველოში მხოლოდ სელის თავთავს თუ იყენებდნენ ზეთისათვის, ამიერიდან ღეროებიდან ქსოვილის დამზადება დაიწყო. პ. ციციშვილმა შემოიტანა საქართველოში ჩინური ხორბლის ჯიში. იგი სიმშრალეს უფრო კარგად იტანდა, ვიდრე სხვა ჯიშები და მორწყვას არ საჭიროებდა. ფართო გასაქანი მიეცა მეაბრეშუმეობას. ბელაქნის რაიონში სპეციალური მანქანები ჩამოიტანეს რუსეთიდან, მოიწვიეს სპეციალისტები და ა. შ.

მხარის ენერგიული მმართველი სწავლა-განათლების საკითხებმაც დააინტერესა. მისი ჩამოსვლის დროს განათლება წერა-კითხვის ცოდნას არ სცილდებოდა და მისი მცოდნეც მცირე იყო. გაუნათლებელი იყო თავადაზნაურობაც, რომლის ჩაბმა აუცილებელი იყო ქვეყნის სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში. ამიტომ მთავარმართებლის უშუალო მითითებით თბილისში დაარსდა ორკლასიანი სკოლა. 1804 წელს გაიხსნა კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც 1820 წელს 6-კლასიან სასწავლებლად გადაკეთდა. ვინც სკოლას კარგად დაამთავრებდა, მათ მოსკოვის პანსიონატში გზავნიდნენ. პ. ციციშვილს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ „საქართველოში ევროპული განათლების პირველი სხივი შემოეტანა“.

მთავარსარდალმა დაინახა, რომ ქართველი თავადაზნაურობა ხალისიანად შედიოდა სამხედრო სამსახურში, ამიტომ იგი ცნობილ სავარეულო ოჯახებიდან ბავშვებს სამხედრო სასწავლებელში გზავნიდა. 1805 წლის კანონით თავადაზნაურობის ბავშვებს კადეტთა კორპუსში შესვლის უფლება მიეცა.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პ. ციციშვილმა მხარის სამედიცინო საქმეს. მეცნიერული მედიცინა საქართველოს სამეფომ არ იცოდა. მაგრამ მკურნალობა, როგორც პროფესიული ხელობა, საკმაოდ განვითარებული იყო. მან საექიმო უწყება ყოველ მაზრაში დააწესა. აქ იყო თითო ექიმი და ბებია ქალი. პ. ციციშვილის ინიციატივით მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ყო-

ველწლიურად 12 ახალგაზრდა იგზავნებოდა. მის დროს გაიხსნა თბილისში პირველი აფთიაქი. წამლებისათვის სათანადო მცენარეულობის მოსაშენებლად მარიამ დედოფლის ბაღი (ამჟამად ბოტანიკური ბაღი) გადააკეთეს. აქ ისეთ მცენარეებს აშენებდნენ, რომლებიც რუსეთის შიდა გუბერნიებში არ ხარობდნენ.

პ. ციციშვილის უშუალო მითითებით აღადგინეს 1795 წელს დაარბეული ზარაფხანა. 1804 წლის 15 სექტემბერს ზარაფხანის გახსნასთან დაკავშირებით სპეციალური მედალიც კი გამოსცეს. მის ერთ მხარეს ეწერა „იბერია“, „კოლხიდა“.

XVIII ს. ბოლოს დასაჯლეთ საქართველო საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა, ქვეყანა დამშვიდდა, იმერეთის მეფე სოლომონ II გიორგიევსკის ტრაქტატის ანალოგიურს ეძებდა რუსეთთან, ერეკლე II-ში იგი მოკავშირეს ხელავდა.

სოლომონ II მთელი ძალ-ღონით ცდილობდა აღედგინა ქართლ-კახეთის სამეფო, მაგრამ მისი ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

მეფის რუსეთი მოხერხებულად იყენებდა სოლომონ II-სა და დადიანს შორის არსებულ წინააღმდეგობას. დადიანი მზად იყო რუსეთის მფარველობა მიეღო, ოღონდ შინაურ მეფეს არ დამორჩილებოდა. იმპერატორიც დადიანს იყენებდა პირველი ნაბიჯებისათვის დასავლეთ საქართველოში. დახმარების ხელს უწყობდა მას, რაც იმერეთ-რუსეთის ურთიერთობას აზოთულებდა.

1803 წელს სამეგრელოსთან მფარველობითი ტრაქტატი გააფორმა ციციშვილმა. მართალია, თვით დადიანმა მმართველობა შეინარჩუნა, მაგრამ ეს მანამდე გაგრძელდა, სანამ იგი ცარიზმს აწყობდა. სოლომონ მეფის მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. ისიც ეძებდა მფარველობას, მაგრამ სათანადო გარანტიით, იგი ციციანოვის გვერდის ავლით უშუალოდ იმპერატორთან ცდილობდა საერთო ენა ეპოვნა, რისთვისაც ალექსანდრე I-ს თავისი დიპლომატი ს. ლიონიძე აახლა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. სოლომონი უკმაყოფილო იყო იმით, რომ რუსეთმა ლეჩხუმში სამეგრელოს არგუნა. უშედეგოდ დამთავრდა სოლომონისა და ციციანოვის მოლაპარაკებაც. მიუხედავად ამისა, 1804 წელს იმერეთმა რუსეთის მფარველობა სცნო. სოლომონ მეფემ „ძალით ჩათრევას ნებით ჩაყოლა ამკობინა“, მაგრამ უფლების შეზღუდვას პატრიოტი მეფე არ შერიგებია და იბრძოდა, ვიდრე ცოცხალი იყო. 1804 წლის ტრაქ-

ტატი გურიანუც გავრცელდა. ამრიგად, ქართლ-კახეთი რუსეთის შემადგენლობაში იყო, ხოლო დანარჩენი სამეფო-სამთავროები მისსავე მფარველობაში შედიოდნენ.

საქართველოში ფეხის მტკიცე მოკიდებით ცარიზმმა დაამინა მკამადიანური პროვინციების ხანები და მათ ნებით თუ ძალით რუსეთის უზენაესი ხელისუფლება სცნეს, რაც ოფიციალურად 1802 წელს გაფორმდა ქ. ვიორგიევსკში. მაგრამ ეს დროებითი მოვლენა აღმოჩნდა. ოსმალეთის წაქეზებით კვლავ გრძელდებოდა ლეკთა თავდასხმები ახალციხისა და ჭარ-ბელაქანის მხრიდან. 1803 წელს ახალციხიდან შემოიჭრნენ ლეკები, ააოხრეს სოფ. ქარელი, ხოლო მათ წინააღმდეგ მებრძოლი რუსეთის ასეული მთლიანად ამოჟლიტეს. ციციანოვის ბრძანებით გენერალი ორბელიანი ახალციხეში შეიჭრა. ფაშა იძულებული იყო 600 აბრაგი ლეკი დასასჯელად გადაეცა ციციშვილისათვის.

უფრო ინტენსიურ თავდასხმას საქართველო ჭარ-ბელაქანის მხრიდან განიცდიდა. მომავალ ლაშქრობას საქართველოს ამ ძველ მიწა-წყალზე ციციშვილი ქვეყნის საზღვრების აღდგენით ამართლებდა.

ლაშქრობა გენერალ გულიაკოვს დაევალა. მას ჰყავდა რეგულარული არმიის 1690 მებრძოლი და 5 ათასი ქართველი მილიციელი. მილიცია კახეთის მოსახლეობისაგან შეიკრიბა თავად დიმიტრი ორბელიანის მეთაურობით. ეს იყო რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ მილიციის პირველი შეკრება. აღსანიშნავია, რომ ესოდენ მრავალრიცხოვანი ლაშქარი XVIII ს. მეორე ნახევარში იშვიათად შეკრებილა. ჭარ-ბელაქანი გულიაკოვმა დაიმორჩილა. 1803 წლის 12 აპრილს იგი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, რისთვისაც პ. ციციშვილმა ალექსანდრე ნეველის ორდენი დაიმსახურა.

ჭარ-ბელაქანის დამორჩილებით საქართველოს დაუბრუნდა XVI ს-ში მოწყვეტილი მიწა-წყალი.

შემდეგი დარტყმა ციციანოვმა განჯის სახანოზე მიიტანა. განჯის ხანი საქართველოსადმი მტრულ დამოკიდებულებაში იყო, მასთან იყო ბატონიშვილი ალექსანდრე. გარდა ამისა განჯას, როგორც სპარსეთის მოსაზღვრეს, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს ამ ძველ მიწა-წყალზე ლაშქრობას პ. ციციშვილი კვლავ ქვეყნის საზღვრების აღდგენით ამართლებდა. 1803 წლის

22 ოქტომბერს ჯავად ხანს იგი სწერდა: „განჯა თამარ მეფის დან საქართველოს ეკუთვნოდა და მხოლოდ ქართველ მეფეთა სისუსტის გამო დაჰკარგა იგი“, რომ „რუსეთს გულგრილად არ შეუძლია უცქიროს საქართველოს დაშლას“ და ბოლოს დამორჩილებას სთავაზობდა. ხანის პასუხი კი, სპარსელების იმედით, მეტად გაბედული იყო: „უბედურ ღმერთს ჩამოუყვანისხარო პეტერბურგიდან და თქვენ მიიღებთ სამაგიერო პასუხს“.

2—3 იანვარს პ. ციცივილი იერიშით აიღო განჯა, 1750 კაცი დაკარგა ჯავად ხანმა, 17000-ზე მეტი ტყვედ ჩაბარდა. რუსეთის დანაკარგი 17 ოფიცერი და 227 ჯარისკაცი იყო. ბრძოლაში დაიღუპა ჯავად ხანი და მისი შვილი ჰუსეინ ყული ხანი. ციცივილის ბრძანებით ხანის გვამი შესაფერისი ღირსებით მეჩეთში დაკრძალეს. 1804 წელს ციციანოვი მეფეს ახალ გამარჯვებას ულოცავდა და სწერდა, რომ „რუსეთის არწივები განჯის გუმბათზე დაფრინავენო“ და აღნიშნავდა, რომ ეს გამარჯვება სპარსელებზე მორალური უპირატესობის დამადასტურებელიაო.

ციციანოვის თხოვნით განჯას დედოფალ ელისაბედ ალექსის ასულის სახელი — ელისავეტობოლი უწოდეს.

განჯის აღებისათვის ციცივილის ინფანტერიის გენერლის ჩინი და წმინდა ალექსანდრე ნეველის პირველი კლასის ორდენი უბოძეს, ხოლო სალდათებს თითო მანეთი დაურიგეს. ციცივილი მეტად განაწყენებული იყო როგორც თავისი, ასე მებრძოლთა ჯილდოთი, „მანეთი, — წერდა ციციანოვი, — ეძლევა ჯარისკაცებს საფუშაგო აღლუმისათვის, ციხესიმაგრის აღებისათვის კი საჭირო იყო მედლები, თუ გვიბრძანებენ მიღებულ მანეთებს მივამაგროთ ყუნწები, მაშინაც რომელ ბანტზე ვატაროთ ისინი?“.

განჯის აღებისათვის პ. ციცივილის თხოვნის საფუძველზე ვერცხლის განსაკუთრებული მედლები მოჭრეს, ხოლო ის თითო მანეთი, რომელიც მებრძოლებს დაურიგეს, მთლიანად შეუწირავთ სიონის ტაძრის სამრეკლოს გუმბათის გასაკეთებლად, რაც შუბრისძიება იყო განჯელებზე, მათ რომ აქტიური მონაწილეობა მიიღეს აღმაშენებლის ლაშქრობასა და თბილისის დარბევაში. მართალია, ეს სამრეკლო თავისი ღარიბი არქიტექტურით ჰარმონიაში არ აღმოჩნდა უძველეს ტაძრის სტილთან, მაგრამ იგი დარჩა, როგორც

განჯის იერიშის აღსანიშნავი ისტორიული ძეგლი. განჯაში ციცი-
შვილმა გარნიზონი დატოვა და თვითონ თბილისში დაბრუნდა.

ამ გამარჯვებით ციციშვილმა ისეთი შიში მოჰგვარა ამიერკავ-
კასიის სახანოებს, რომ მთავრების უმეტესი ნაწილი მეგობრობასა
და მფარველობას სთავაზობდა მას. ვინც თვით არ ემორჩილებოდა,
ძალით იპყრობდა. განჯის მარცხი შაჰის მარცხად ითვლებოდა,
ამიტომ აბას მირზა ომის სამზადისს შეუდგა. ციციშვილი მის შესა-
ხვედრად 1804 წ. ერევნისაკენ დაიძრა და ეჩმიაძინთან დაბანაკდა.
აქ მას ალყა შემოარტყა 18000-იანმა სპარსეთის კორპუსმა, რო-
მელსაც ბატონიშვილი ალექსანდრე მეთაურობდა. 27 იანვარს ცი-
ციშვილმა უკუაგდო აბას მირზა, კვლავ გამარჯვება მოიპოვა და
წმ. ვლადიმერის პირველი ხარისხის ორდენით დაიმშვენა გულმკერ-
დი. შემდეგ მან ალყა შემოარტყა ერევანს, მაგრამ ვერ აღო,
რადგან სიცხისა და ბრძოლებისაგან ჯარი დაიღალა. ამ დროს იუ-
ლონი და ფარნაოზი იმერეთიდან შემოიჭრნენ ქართლში, აჯანყება
მოაწყვეს და საქართველოს სამხედრო გზა ჩაკეტეს. აჯანყდა თა-
თართა დისტანციებიც, ხოლო სპარსელებმა რუსეთის ჯარს ერევნი-
დან უკანდასახევი გზა მოუჭრეს. ციციშვილმა უკან დაიხია, მაგრამ
ჯარი გადაარჩინა დაღუპვისაგან. ეს იყო პირველი მარცხი ციცი-
შვილის სამხედრო მოღვაწეობის ისტორიაში. სექტემბრის ბოლოს
იგი თბილისში დაბრუნდა და „წესრიგი“ აღადგინა მთელ სამფლო-
ბელოში. ხანები კვლავ დაიმორჩილა, ფარნაოზი შეიპყრო და ვო-
რონეჟში გადაასახლა, იულონი კი — ტულაში. ჩაახშო აჯანყება თია-
ნეთში და შემდეგ ლიახვის ხეობის ოსები დალაშქრა. 1805 წელი
კვლავ წარმატებით წარიმართა. ციციშვილმა მფარველობაზე აიძუ-
ლა ყარაბაღისა და შექის ხანები, შემდეგ შურაღელის სულთანი.
მაგრამ ამ დროს რუსეთის საერთო მდგომარეობა საფრანგეთთან
ომის მოახლოების გამო გართულდა. ციციშვილს დამხმარე ძალები
იმედი აღარ ჰქონდა, მაგრამ ბაქოზე ლაშქრობა მაინც გადა-
წყვიტა.

1806 წ. იანვრის ბოლოს რუსეთის არმია ბაქოსთან იდგა. მთავარ-
სარდალმა ჰუსეინ ყული ხანს ქსნის ერისთავი ელიზბარი გაუგ-
ზავნა და ჩაბარება მოსთხოვა. ხანმა თანხმობა განაცხადა, 8 თებერ-
ვალს ციხის გასაღების გადაცემის ცერემონიალი დაინიშნა. ქალაქი-
დან ნახევარ ვერსზე ციციშვილს ბაქოს მამასახლისები დახვდნენ



პურიტა და მარილით. ციციშვილმა მოითხოვა პირადად ხანს ბარებინა გასაღები, ჯარი ადგილზე დატოვა და თვით ციხისაკენ წავიდა.

ციხის ახლოს ციციშვილს ხანი 4 კაცის თანხლებით შეხვდა. ხანმა გასაღები გადასცა. ამ დროს ხანის ამალიდან გაისროლეს და სასიკვდილოდ დაეცა მთავარსარდალი და მისი თარჯიმანი ერისთავი. ციციშვილს თავი მოჰკვეთეს და სპარსეთში აბას მირზას გაუგზავნეს. ქალაქის კედლებიდან კი რუსეთის ჯარს ცეცხლი გაუხსნეს და აიძულეს უკან დაეხიათ. ციციშვილის ცხედარი, სიკვდილას ადგილას, თხრილში დამარხეს, იმავე 1806 წ. რუსებმა ბაქო აიღეს. ციციშვილის ცხედარი ქალაქის სომხურ ეკლესიაში გადაიტანეს, ხოლო 1811 წ. იგი საზეიმო ვითარებაში თბილისში გადმოასვენეს და სიონის ტაძარში დაკრძალეს. მის გადმოსვენებას თავად ერისთავსა და თუმანიშვილთან ერთად ხელმძღვანელობდა ქართველი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, მაშინ მარკიზ პაულუჩის ადიუტანტი.

მმართველობის მცირე პერიოდში ციციშვილმა დიდი გამარჯვებები მოიპოვა, მაგრამ ბევრი რამ შეუსრულებელი დარჩა.

ციციშვილი იმ დროს დაიღუპა, როდესაც მეფის რუსეთმა კავკასიისაკენ ლტოლვა დაიწყო. ამიტომ ცარიზმისათვის მისი დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო. კავკასიაში ისევ დაძაბული მდგომარეობა იყო, დამორჩილებული ხანები რუსეთს კვლავ განუდგნენ, ურთიერთობა იმერეთთან გამწვავდა, განახლდა დაღესტნელთა თავდასხმები და ა. შ. ასეთ რთულ ვითარებაში ალექსანდრე I-მა გენერალ პეტრე ბაგრატიონს წერილი გამოაგზავნინა საქართველოში. იგი ადგილობრივ თავადებს სწერდა, რომ რუსეთის ერთგულნი დარჩენილიყვნენ და მის ჯარს დახმარებოდნენ. წერილი პეტრეს ძმამ რომან ბაგრატიონმა ჩამოიტანა. მისი ჩამოსვლა თავდაზნაურთა არჩევნების ყრილობას დაემთხვა. თავადებმა თავისი სურვილები მოთხოვნათა სახით პეტრეს გაუგზავნეს მეფისათვის გადასაცემად. პეტრეს ამ დროს საქართველოში მთავარმართებლად ელოდნენ, მაგრამ იმპერატორი ამ ნაბიჯზე ვერ წავიდა, რადგან პეტრე ქართველ იმეფეთა საგვარეულოდან იყო, ახალ მთავარმართებლად 1806 წ. 2 ივნისს გულდოვიჩი დანიშნა.



პეტრე ბაგრატიონი

ქართველ მეფეთა საგვარეულოს შთამომავალი, ჩვენი ერის საამაყო შვილი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი რუსეთის არმიის იმ მხედართმთავართა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც დიდების ახალ საფეხურზე აიყვანეს რუსული სამხედრო ხელოვნება, ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს თავისი ქვეყნის ისტორიაში და დაიმკვიდრეს ლეგენდარული სარდლის უკვდავი სახელი.

ა. სუვოროვისა და მ. კუტუზოვის შემდეგ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს არ ჰყოლია ისეთი გენერალი, რომელიც ესოდენ პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა არმიაში, ესოდენ პოპულარული იყო თავის ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ, როგორც პეტრე ბაგრატიონი. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იგი 47 წლის ასაკში გარდაიცვალა, შეიძლება განვაცხადოთ, რომ ესოდენ დიდი დამსახურება, სახელი და დიდება,

ცხოვრების ასეთ ხანმოკლე მანძილზე, მსოფლიოს მხედართმთავრები
თა შორის, იშვიათად თუ ვინმეს დაუმსახურებია.

პეტრე ბაგრატიონი 30 წლის მანძილზე იცავდა და ამაღლებდა
რუსეთის არმიის სახელსა და დიდებას; იგი იყო 20 დიდი ლაშ-
ქრობისა და 150 ბრძოლის მონაწილე, საიდანაც ყოველთვის გამარ-
ჯვებული ბრუნდებოდა. იტალიისა და შვეიცარიის ლაშქრობებმა
მსოფლიო სახელი მოუხვეჭეს ა. სუვოროვსა და პ. ბაგრატიონს.
იგი პირველი ებმებოდა ბრძოლაში და უკანასკნელი ტოვებდა
ბრძოლის ველს. ის იყო ადამიანი, რომელიც მცირედით კმაყოფილ-
დებოდა, მისი ტანსაცმელი იყო უბრალო სამხედრო ფორმა, მხარ-
ზე კობტად მოგდებული ნაბადი, თავზე ბუხრის ქუდი და ხელში
მათრახი.

კავკასიის მთები, ოჩაკოვის კედლები, ვარშავის მიდამოები,
იტალიის ბაღები და მინდვრები, შვეიცარიის ალპები, ავსტრიისა
და პოლონეთის დაბლობები, ფინეთის ტბები და ჭაობები, დუნაის
ტალღები და რუსეთის ველები, — აი, დიდი მხედართმთავრის სა-
ხელოვანი ბრძოლის გზა, რომელსაც ბოროდინოს ველზე ფრან-
გების ჭურვის ნამსხვრევმა დაუსვა წერტილი.

პეტრეს წინაპრებიც სახელგანთქმული სამხედრო პირები იყე-
ნენ. მისი პაპა — ალექსანდრე 1759 წელს გადასახლდა ყიზლარ-
ში და რუსეთის სამხედრო სამსახურში შევიდა, პოლკოვნიკის ჩინ-
ამდე მიაღწია. მისი შვილი ივანეც სამხედრო პირი იყო, ის გენერალ-
იც გახდა და 1795 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვში
ვსესვიატსკოეს ეკლესიის ეზოში.

1765 წელს ივანეს ვაჟიშვილი შეეძინა, რომელსაც პეტრე და-
არქვეს. 1782 წელს 17 წლის პეტრე კავკასიაში მუშვეტერთა ლე-
გიონში ჩარიცხეს. ასე დაიწყო პეტრე ბაგრატიონის სამხედრო
ცხოვრების სახელოვანი გზა¹.

¹ დღემდე გაბატონებული იყო აზრი, რომ ვითომც მფარველობა პეტრეს
გაუწია მამიდამ, რომელიც თავად გოლიცინის მეუღლე იყო. ნ. ტარსანიძის სა-
მართლიანი მტკიცებით პეტრესთვის რომ ვინმეს პრეტექცია გაეწია, მას რომელიმე პრივილიგიურებულ გვარდიის პოლკში ჩარიცხავდნენ და არა ჩვეულებ-
რივ მუშვეტერთა პოლკში სერჟანტად. არც მის ამაღლებაში იქნებოდნენ ისე
ძუნწი, რომ 1782 წლიდან 10 წლის მანძილზე მხოლოდ სექუნდმაიორობას მიაღ-
წია.

პირველი საბრძოლო ნათლობა პეტრემ კავკასიაში მიიღო, სადაც იგი 1783—1786 წლებში იბრძოდა მთიელთა წინააღმდეგ. აქვე ისახელა მან თავი, როგორც მამაცმა მეთომარმა. იგი ადვილად იტანდა რთულ სამხედრო ცხოვრებას. მტრებთან ბრძოლებში სწავლობდა სამხედრო საქმეს, იწრთობოდა და ვაჟკაცდებოდა მომავალი სარდალი.

პეტრე მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1787—1791 წლების ომში. კერძოდ, ოჩაკოვის იერიშის დროს იგი ერთ-ერთი პირველი შეიჭრა ციხეში. განსაკუთრებული მამაცობისათვის აქ მან სუვოროვის ყურადღება დაიმსახურა. ამიერიდან პეტრე ხშირად იცვლიდა ნაწილებსა და თანამდებობებს და 1788 წლის ბრძოლის მონაწილე სერჟანტი 1792 წელს უკვე მაიორია, ხოლო 1794 წელს პოლონეთ-ზე ლაშქრობის დროს პოდპოლკოვნიკობა დაიმსახურა. მისი სახელი სწრაფად გახდა ცნობილი ჯარში, ხოლო სუვოროვი საყვარელ მოწაფეს „თავად პეტრეს“ უწოდებდა.

1798—1799 წლებში ბრესტ-ლიტოვსკთან, ბროდთან და ვარშავის მისადგომებთან ბრძოლებში პ. ბაგრატიონს პოლკოვნიკობა და გენერალ-მაიორობა მოუტანა, ხოლო 1799 წელს იტალიის ლაშქრობაში მონაწილეობით პეტრეს ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება.

1789 წელს საფრანგეთში ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა. ახალი კაპიტალისტური ქვეყნის წინააღმდეგ ევროპის მონარქები დაირაზმნენ. შეიქმნა კოალიცია, რომლის მიზანი გახდა საფრანგეთში მონარქიის აღდგენა. ფრანგი ხალხი მონაპოვრის დასაცავად აღდგა, იგი სამართლიან ომს ეწეოდა. 1794 წელს რევოლუციის გამარჯვებას მოჰყვა მსხვილი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ბატონობის დამყარება; ომი ფეოდალურ კოალიციასთან გრძელდებოდა, მაგრამ განმათავისუფლებელი ომიდან თანდათან დაპყრობითი ხდებოდა.

1798 წელს საფრანგეთის წინააღმდეგ ახალი კოალიცია შეიქმნა ინგლისის, ავსტრიის, ნეპოლისა და რუსეთის მონაწილეობით. საბრძოლო ოპერაციები იტალიასა და შვეიცარიაში გაიშალა.

მოკავშირეთა ჯარების უფროსად სუვოროვი დანიშნა, იგი ახალი არმიით რუსეთიდან იტალიისაკენ დაიძრა. ბაგრატიონი ამ არმიის ავანგარდს მეთაურობს და სუვოროვის გამარჯვებათა მულისჩამდგმელია. უშუალოდ მისი დამსახურება იყო ფრანგების



განადგურება მდ. ანდთან, ქ. ლეკოსთან და ქ. მილანის ალბანეთში მთავარი გმირია მაცდონალდისა და მოროს არმიების განადგურებისა მდ. ტრებთან.

4 ავეისტოს ქ. ნოვოსთან მოწინააღმდეგის განადგურებით დამთავრდა იტალიის ლაშქრობა, ფრანგები განდევნილ იქნენ იტალიიდან. ამ ლაშქრობაში დამსახურებისათვის სახელოვანმა სარდალმა ა. სუვოროვმა საყვარელ თანამებრძოლს საკუთარი ხმალი უბოძა. სახელოვანი და საყვარელი მასწავლებლის სუვენარს მამაცი გენერალი სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა.

იტალიაში საბრძოლო მოქმედების დამთავრების შემდეგ სუვოროვმა ბრძანება მიიღო გადასულიყო შვეიცარიაში და რიმსკი-კორსაკოვის კორპუსი განადგურებისაგან ეხსნა.

1799 წლის ბოლოს დაიწყო სუვოროვის არმიის ლეგენდარული ლაშქრობა იტალიიდან შვეიცარიაში. არმიის ავანგარდს კვლავ ბაგრატიონი მეთაურობდა.

რთულ ბუნებრივ პირობებში დაიკავა მან სენ-გოტარდი, დამლია წინააღმდეგობა „ემმაკის ხილთან“. უზრუნველყო მთელი არმიის შვეიცარიაში გადასვლა, ხოლო თვით შვეიცარიაში გადალახა როსშტოკის უღელტეხილი და მუტენის დაბლობში გავიდა. ამ გზაზე კი მანამდე არც ერთ არმიას არ გაეცლო. ამ დროს რიმსკი-კორსაკოვის კორპუსი ფრანგებმა შეავიწროვეს და სუვოროვის განადგურებაც გადაწყვიტეს. რუსეთის არმია ავსტრიელთა ღალატის შედეგად ალყაში აღმოჩნდა. სურსათ-სანოვაგე გათავდა, შველა კი არსაიდან არ ჩანდა. ურთულეს პირობებში ალყიდან გასვლა უშუალოდ პეტრე ბაგრატიონის ხელმძღვანელობით განხორციელდა. იგი გაიჭრა ბრაგელის მთით გლარისისაკენ, საიდანაც თოვლიან მთებში გზა გაიკაფა. პანიკისის ხეობის გავლით შვეიცარიის ლაშქრობა დამთავრდა.

სუვოროვის ლაშქრობამ შვეიცარიაში მსოფლიო სტრატეგთა განცვიფრება გამოიწვია. ცნობილმა ფრანგმა სარდალმა მასენმა განაცხადა, რომ თავის ყველა გამარჯვებას ანაცვალებდა სუვოროვის ერთ ლაშქრობას შვეიცარიაში. ამ ლაშქრობის დროს ბაგრატიონმა საავანგარდო და საარტიგარდო ბრძოლების მანამდე არნახული მაგალითი უჩვენა. ლაშქრობამ უდიდესი სახელი და დიდება მოუხვეჭა პეტრეს და ამიტომაც იყო, რომ პეტერბურგი დიდი ზეიმით



შეხვდა მას. მაგრამ, მიუხედავად სამეფო შთამომავლობისა და დიდი დამსახურებისა, მაღალ საზოგადოებაში თავი მაინც მორიდებით ეჭირა. ერთ-ერთ მეჯლისზე მეფის სასახლეში პეტრე მოეწონა გრაფის ახალგაზრდა ასულს ელისაბედ სკვარონსკაიას და მასთან გაცნობა გადაწყვიტა. პეტრემ ეს შენიშნა და წასვლა დააპირა. ლამაზმა ქალიშვილმა დაიფიქრა იმ დროს მაღალ წრეებში მიღებული წესი, გაეშურა კარებისაკენ, გზა გადაუჭრა პეტრეს და მომხიბლავი ხმით უთხრა: „თავადო, მამაც გენერალს არ შეეშენის სუსტ არსებასთან უკან დახევა“. ასე მოხდა მათი გაცნობა, მაგრამ გაირკვა, რომ ელისაბედს პეტრეს ცოლობა არ სურდა. ბოლოს კი მეფის ბრძანებით მოხდა მათი დაქორწინება. მეჯვარე თვით იმპერატორი პავლე I იყო. ქორწინება მყარი არ აღმოჩნდა. პეტრე მალე სალამ-ქროდ წავიდა, ელისაბედმა კი რუსეთი დატოვა და ვენაში გადავიდა. საცხოვრებლად. დაიწყო სიმდიდრით და სილამაზით განებივრებული ქალის თავისუფალი ცხოვრება — მეჯლისი, სალონი, საიდუმლო რომანები და ა. შ. იგი ღრმად მოხუცი ქ. ნიცაში გარდაიცვალა. მიუხედავად რამდენიმე ოფიციალური ქორწინებისა ელისაბედი სიკვდილამდე ბაგრატიონის გვარს ატარებდა.

1799 წლის 9 ნოემბერს საფრანგეთის კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ გადატრიალება მოაწყო — დირექტორია დაემხო, ნაპოლეონი პირველი კონსული გახდა; 1804 წ. საფრანგეთი იმპერიად გამოცხადდა, გენერალი ნაპოლეონი კი იმპერატორად. საფრანგეთის თავდაცვითი ომი აშკარა დაპყრობით ომად გადაიქცა.

1805 წ. ახალმა კოალიციამ — ინგლისის, რუსეთის, ავსტრიის, შვეციისა და ნეაპოლიტანის სამეფოს შემადგენლობით — ბრძოლა დაიწყო ნაპოლეონის წინააღმდეგ. 120-ათასიანი არმია, რომელიც ინგლისის დასაპყრობად ლამინშესთან ბულონის ბანაკში იყო თავმოყრილი, სასწრაფოდ დაიძრა აღმოსავლეთისაკენ. ნაპოლეონმა ალყა შემოარტყა და კაპიტულაცია აიძულა ავსტრიის 46-ათასიანი არმიას, ხოლო რუსეთის 50-ათასიანმა არმიამ, რომელსაც კუტუზოვი მეთაურობდა, მანევრებით უკან დახევა დაიწყო. და თუ ეს არმია განადგურებას გადაურჩა, უდიდესი დამსახურება პეტრე ბაგრატიონს ეკუთვნის. საარჩევნო ბრძოლების ნაცადმა ოსტატმა რამდენიმე სერიოზული დარტყმა აგემა და უკუაგდო ფრანგების ავანგარდით მარშალ მიურატის მეთაურობით. სამაგალითოდ დარჩა სამხედრო



ზელოვნების ისტორიაში ბაგრატიონის საარჩევნო ბრძოლაში ამშტეტენთან, ხოლო ქ. კრემსთან ნაპოლეონის პირველი დაპყრობების მთავარი მიზეზი ბაგრატიონი იყო. გაბრახებულმა ნაპოლეონმა გადაწყვიტა გზა მოეჭრა რუსეთის არმიისათვის ქ. ვენასთან და გაენადგურებინა იგი.

ნაპოლეონმა შეძლო ავსტრიელებთან მოლაპარაკებით ქ. ვენა აეღო; რუსეთის არმია კატასტროფის წინაშე იდგა. მიურატის ავანგარდის შეკავება ბაგრატიონს დაევა. არჩევნები დასაღუპავად იყო განწირული, მაგრამ არმიის გადასარჩენად ამ მსხვერპლის გაღება კუტუზოვს ბედნიერებად მიაჩნდა. ბაგრატიონმა მოლაპარაკებით შეძლო 20 საათით დროის მოგება, რითაც საშუალება მისცა მთავარ ძალებს მტერს დაშორებოდა ორი დღის ლაშქრობის მანძილზე, ხოლო მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ 6-საათიან სასტიკ ბრძოლაში კვლავ ბაგრატიონმა გაიმარჯვა. როდესაც იგი კუტუზოვს შეუერთდა, უკანასკნელი განცვიფრებული აღმოჩნდა. შენგრაბენთან ბრძოლებში გამარჯვებისათვის კუტუზოვის წარდგენით პ. ბაგრატიონს გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი უბოძეს და წმინდა გიორგის მეორე კლასის ორდენით დააჯილდოვეს.

1805 წლის 2 დეკემბერს გრანდიოზული ბრძოლა გაჩაღდა აუსტერლიცთან. ბაგრატიონმა ბრძანების მიღებამდე არ დათმო ბრძოლის ველი, რისთვისაც კამპანიის გამირად თვლიდნენ. ნაპოლეონის გამარჯვებას აუსტერლიცთან მესამე კოალიციის დაშლა მოჰყვა, მომდევნო წელს კი მეოთხე კოალიცია შეიქმნა — რუსეთის, პრუსიის, შვეციისა და საქსონიის შემადგენლობით. ნაპოლეონმა სწრაფად გაანადგურა პრუსია და დაიკავა ბერლინი. რუსეთის 180000-იანი არმია იძულებული გახდა უკან დახევა დაეწყო, რაც წარმატებით ხორციელდებოდა პ. ბაგრატიონის საარჩევნო ბრძოლებით. 8 თებერვალს პროისიშ-აილაუსთან სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად, როდესაც ნაპოლეონი დამარცხებულად თვლიდა თავს, მთავარსარდალმა ბენიგსენმა უკან დახევა ბრძანა. ხოლო 1807 წელს გადაწყვეტ ბრძოლაში ფრიდლანდთან გამარჯვება ნაპოლეონს დაჩა, რომელმაც რუსეთს თავს მოახვია ტილზიტის ზავი. რუსეთი კონტინენტალურ ბლოკადაში აღმოჩნდა ინგლისის წინააღმდეგ.

1808—1809 წლებში რუსეთი ომს აწარმოებდა შვეციასთან.



საბრძოლო მოქმედება ფინეთის ტერიტორიაზე გაიშალა. ფინეთი, მაშინ შვეციის შემადგენლობაში შედიოდა. იქ მოქმედ კორპუსში, რომელსაც გენერალი ფ. ბუკვეგსვედენი მეთაურობდა, ერთ დივიზიას სათავეში პ. ბაგრატიონი ედგა. მისი დივიზია ცენტრით უტევდა ბოტკინის ყურის სანაპიროსაკენ. რთულ წინააღმდეგობათა დაძლევის შემდეგ მან დაიკავა ქ. ტამერფორი და ბერნებერგა. შვეციის არმია გათიშული აღმოჩნდა. ბაგრატიონის შეტევის შესაჩერებლად შეედებმა ორჯერ გადასხეს დესანტი რუსეთის არმიის ზურგში და ქ. აბო დაიკავეს, მაგრამ ბაგრატიონმა სწრაფად გაანადგურა შეედები; 1809 წელს შეტევა განახლდა შვეციაზე, რუსეთის არმია სამ კორპუსად გაიყო, ამჟამად ბაგრატიონი ერთ მათგანს მეთაურობდა.

25 მარტს 17000 მეგრძოლით ბოტკინის ყურის ყინულებით, ალანდის კუნძულების გავლით, მან სტოკჰოლმზე ლაშქრობა დაიწყო. ეს ლაშქრობა თავისი სიძრულთით რუსეთის არმიის ისტორიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია. ბაგრატიონმა გაიარა ისეთი რთული გზა, სადაც არასოდეს არც ერთ არმიას არ გაეგლო, რის შედეგად დიდ ალანდაზე შეედებს ალყის საშიშროება შეექმნათ, ისინი უწყსრიგოდ გარბოდნენ, დედაქალაქისაკენ გზა ხსნილი იყო. შეედები იძულებული გახდნენ ზავი ეთხოვათ და რუსეთისთვის ფინეთი და ალანდის კუნძულები დაეთმოთ.

ამ ლაშქრობაში წარმატებისათვის პ. ბაგრატიონმა ინფანტერიის გენერლობა, ე. ი. სრული გენერლის ჩინი დაიმსახურა.

დიდია პეტრე ბაგრატიონის დამსახურება რუსეთ-თურქეთის 1806—1812 წლების ომში. შვეციასთან ომის დამთავრების შემდეგ პ. ბაგრატიონი მოლდავეთის არმიის მთავარსარდლად დაინიშნა. ეს არმია ბალკანეთში მოქმედებდა, მისი მოღვაწეობა მთავარსარდლის თანამდებობაზე დაემთხვა სლავი ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობას თურქეთის წინააღმდეგ. ამიტომ ისინი რუსეთის არმიის მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. პ. ბაგრატიონი შეთანხმებულად მოქმედებდა მათ მხედართმთავრებთან და ერთმანეთს აცნობდნენ მოქმედების გეგმას. მისი მოღვაწეობა მთავარსარდლის თანამდებობაზე მოლდავეთის არმიაში საინტერესოა იმით, რომ იგი აქ პირველად მეთაურობდა ცალკე არმიას და, სამხედრო საქმეების გარდა, პოლიტიკურ საკითხებს წყვეტდა. ომის დამთავ-



რება თურქეთთან მ. კუტუზოვს მოუხდა, რომელმაც ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, 1812 წელს რუსეთზე ლაშქრობის წინ, ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების გაფორმება შეძლო.

კონტინენტალურ ბლოკადაში ჩაბმული რუსეთი რთულ ვითარებაში აღმოჩნდა და იგი არღვევდა ტილზიტის ზავს. გარდა ამისა მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე ნაპოლეონს ესმოდა, რომ მისი ამოცანის განმტკიცებას წინ ედგა რუსეთი.

1812 წლის 24 ივნისს ნაპოლეონის 600000-იანმა არმიამ რუსეთის საზღვრები გადმოლახა. აქ კი სამი არმია იყო განლაგებული. პირველ არმიას, ნემანზე განლაგებულს, 110000 კაცის შემადგენლობით ბარკლაი დე ტოლი მეთაურობდა, მეორეს 50000-ს, რომელიც ლიტვაში იდგა, გენერალ-ლეიტენანტი პეტრე ბაგრატიონი, ხოლო მესამეს — სარეზერვო 45000-იანს, გენერალი ტორმასოვი. ერთიანი მთავარსარდალი არ იყო.

მოწინააღმდეგის ძალების სიჭარბის გამო ორივე არმია უკან იხევდა წინასწარ მომზადებული ე. წ. დრისის ბანაკისაკენ, რომელიც პრუსიელ გენერალ ფულეს გეგმით მოეწყო. მაგრამ უვარგისობის გამო გადაწყდა ამ პოზიციის მიტოვება და სმოლენსკთან არმიების შეერთება. მართალია, ნაპოლეონს სურდა ორივე არმიის ცალ-ცალკე განადგურება, მაგრამ ვითარებამ აიძულა იგი ქვეყნის შიგნით შეჭრილიყო, გზადაგზა ჯარის ნაწილები დაეტოვებინა. მისი არმია სუსტდებოდა, მომარაგება რთულდებოდა.

პ. ბაგრატიონი, როგორც სუვოროვის მოწაფე, პასიური თავდაცვის წინააღმდეგი იყო, შეტევა კი აქტიური თავდაცვის საშუალებად მიაჩნდა.

ნაპოლეონის 116000-იანი არმია ცდილობდა 50000-იანი პეტრე ბაგრატიონის არმიის განადგურებას, მაგრამ მამაცი და ნიჭიერი გენერალი მოძრაობის მიმართულებას იცვლიდა და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. იყო მომენტი, როდესაც ნაპოლეონს გარდაუვლად მიაჩნდა ბაგრატიონის დატყვევება, მაგრამ უკანასკნელმა დამარცხება აგემა მარშალ დაუს და ხელიდან გაუსხლტა მას.

ამ დროს პირველი არმია ბრძოლებს გარეშე უკან იხევდა; პ. ბაგრატიონი ბრძოლას მოითხოვდა, მაგრამ სამხედრო მინისტრი უკან დახევას განაგრძობდა. აღმფოთებული ბაგრატიონი მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს როსტოპჩინს სწერდა: „მე არ მესმის რას

მოითხოვს ჩემგან ბარკლაი დე ტოლი, რომელიც წუთში მილიონ-ჯერ იცვლის აზრს ჯარების მოძრაობის შესახებ“, ხოლო მომდევნო წერილებში დასძენდა: „არას გზით არ შემოძლია შევეურიგდე ბარკლაის უმოქმედობას. ღვთის გულისათვის, გამგზავნეთ სადაც გნებავთ, თუნდაც პოლკის მეთაურად მოლდავეთში ან კავკასიაში“.

ტყესა და ჭაობებში, ზაფხულის პაპანაქება სიცხეში, აქ სადაც იშვიათად იყო სოფლები და სასმელი წყალიც კი, ბაგრატიონის არმია უკან იხევდა და მტერს დარტყმებს აყენებდა. მისმა არმიამ დასძლია ურთულესი სიძნელეები და პირველ არმიას სმოლენსკთან შეუერთდა; სმოლენსკში ბაგრატიონს, როგორც ხარისხით უფროსს, პირადად მიეგება ბარკლაი დე ტოლი, მაგრამ ბაგრატიონმა, როგორც სამხედრო მინისტრს, უფროსობა მას დაუთმო და უთხრა: „გეცხადებით, როგორც უფროსს. რუსეთი განსაცდელშია, ჩვენ მხოლოდ სამშობლოს ხსნაზედ უნდა ვიფიქროთ და ამ მიზნისაკენ წარემართოთ ჩვენი სამხედრო ღონისძიებანი“. მიუხედავად ამისა, ორივე არმია ცალ-ცალკე მოქმედებდა.

4 აგვისტოს სმოლენსკთან გრანდიოზული ბრძოლა გაჩაღდა: 5 აგვისტოს მთელი დღის განმავლობაში ორივე მხარე გმირულად იბრძოდა ქალაქთან. დიდი დანაკლისის შემდეგ ნაპოლეონმა იერიში შეაჩერა. მეორე დღეს ბარკლაიმ კვლავ უკან დაიხია. მტერი ცეცხლმოდებულ ქალაქში შევიდა. აღშფოთებული ბაგრატიონი მოსკოვს კვლავ სწერდა როსტოპჩინს: „ბარკლაიმ ტყუილად დასთმო ხელსაყრელი პოზიცია... ის ფრანგებს თქვენთან ჩამოიყვანს“, ხოლო მომდევნო წერილში დასძენდა: „მითხარით, ღვთის გულისათვის, რას იტყვის ჩვენი დედა რუსეთი, რომ ასე ვირცხვენთ თავს, ...რატომ ვუნერავთ ქვეშევრდომებს ზიზღს. ვისი გვეშინია. ჩემი ბრალი არ არის, რომ მინისტრი მერყევი, მხდალი, უნიჭო და ზანტია... მთელი არმია ტირის და აგინებს მას... ღმერთს გეფიცებით, უბედურება ხდება...“ მტერი წინ მიიწევა, არმია და ხალხი ლელავდა, შიშმა მოიცვა სასახლის წვერებიც. ასეთ ვითარებაში მთავარსარდლად 67 წლის მოხუცი კუტუზოვი დანიშნეს.

17 აგვისტოს მ. კუტუზოვი ჩავიდა ცარიოვო-ზაიმისჩეში. უკან დახევა გაგრძელდა. 23 აგვისტოს სოფ. ბოროდინოსთან წინასწარ შერჩეულ პოზიციებზე ჯარი განლაგდა. ნაპოლეონს აქ 135000-ათასიანი არმია მოჰყვა 587 ქვემეხით, რუსეთის არმია კი 120000 კაცს

ითვლიდა 640 ქვემეხით. რუსეთის პოზიციების მარჯვენა ფრთას ბარკლავი დე ტოლის არმია იცავდა, ხოლო მარცხენას კი ბაგრატიონისა. აქ სასწრაფოდ ააგეს სიმაგრეები, რომლებსაც ბაგრატიონის ფლემები უწოდეს. შუაში რაევსკის ბატარეა განლაგდა.

დილით ნაპოლეონმა გასამხნეველად ჯარს მიმართა: „მეომრებო, აი, ის ბრძოლა, რომელიც თქვენ ესოდენ გსურდათ... იმოქმედეთ ისე, როგორც იბრძოდით აუსტერლიცთან, ფრიდლანდთან, ვიტებესკსა და სმოლენსკთან. დაე შთამომავლობამ სიამაყით მოიგონოს ეს დღე. თითოეულმა მათგანმა თქვენზე თქვას „იგი მონაწილეობდა დიდ ბრძოლაში მოსკოვთან“. პეტრე ბაგრატიონი კი თავის მეომრებს შემდეგი სიტყვებით ამხნევებდა: „ჩემო მეგობრებო, დღეს ჩვენ ბრძოლის ველზე ვხვდებით ჩვენი და მთელი სამყაროს მტრებს... ნუ გეშინიათ ნურც სიკვდილის, ნურც უბედურების. სიკვდილს ვერავინ გაექცევა. იგი ერთნაირად ეწევა როგორც მდინარეს, ბრწყინვალე სასახლეში, რბილ საგარბქელზე, ისე ღარიბს ქონში, თივაზე. ვანა უმჯობესია არ არის სამშობლოს დამსაცავად ბრძოლის ველზე მახვილით ხელში სიკვდილი?“.

26 აგვისტოს (8 სექტემბერს) ქვემეხების ცეცხლით დაიწყო ბოროდინოს ბრძოლა. ფრანგების მთავარი დარტყმა ბაგრატიონის პოზიციებზე წარიმართა. აქ მოქმედებდნენ მოწინააღმდეგის მთავარი ძალები — რჩეული კორპუსები და სახელოვანი მარშლები.

ნაპოლეონი იერიშს იერიშზე აწვითარებდა. ფრანგების მესამე იერიშით ვაოცებულმა ბაგრატიონმა 57-ე ლეგიონს გულწრფელად შესძახა: „ყოჩაღ, ფრანგებო“. მოიერიშე ნაწილები, მიუხედავად დიდი დანაკლისისა, სწრაფად ივსებოდა; იერიშს იერიში სცვლიდა, ფლემები ხელიდან ხელში გადადიოდა. ნაპოლეონი არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდა, ოღონდ ბაგრატიონის წინააღმდეგობა დაეძლია. 6 საათის განმავლობაში შვიდი იერიში მოიგერიეს ბაგრატიონის არწივებმა. მას მოჰყვა მერვე — თავისი სიმწვავეთ ყველაზე მძაფრი. ცხენოსანი და ქვეითი ერთმანეთში აირია. ბაგრატიონი რუხ მერანზე ამხედრებული ერთი ლეგიონიდან მხოორესთან გადადიოდა და, სადაც გამოჩნდებოდა, მტრის რიგებში „მეხი და ზარი“ შეჰქონდა. ამ დროს იგი მძიმედ დაიჭრა, მავრამ ბრძოლის ველს არ ტოვებდა. ბოლოს კი სისხლისაგან დაცლილი ცხენიდან ჩამოვარდა. ე. ტარლეს სიტყვებით, ეს იყო ბრძოლის ყველაზე კრიტიკული და

ყველაზე საბედისწერო მომენტი. ამ დროს „თითქოს სული გაუფრინდა მთელ მარცხენა ფრთას“. ბრძოლის ველიდან დაჭრილი რაინდი მახლობელ გორაკზე გაიყვანეს, საიდანაც ბრძოლის ველს კვლავ უყურებდა. შემდეგ კი ეტლით მოსკოვს წაიყვანეს. ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ მოსკოვთან ფრანგების მიახლოების გამო პ. ბაგრატიონი ვლადიმერის გუბერნიის სოფ. სიმში გადაიყვანეს. აქ იგი მისი მოყვრისა და მეგობრის თავად ბორის ალექსის ძე გოლიცინის მამულში მკურნალობდა. მოძრაობამ გაართულა ჭრილობა, მაგრამ კარგი მოვლის შედეგად 9 სექტემბერს ყავარჯნით გავლა შეძლო. კუჭუზოვმა მოსკოვი დატოვა. ამ ფაქტს უმაღლედნენ ბაგრატიონს. მაგრამ ერთ მსახურს, როდესაც მას მოსკოვში აზნაუნიდნენ, წამოცდა, რომ „მოსკოვში ფრანგები არიანო“; პეტრემ ჭრილობა დაიფიწყა, განერვიულებულმა მოძრაობა დაიწყო, ჭრილობა გაეხსნა და განგრენად გადაექცა.

ამ დროს მან იმპერატორის წერილი მიიღო: „თავადო პეტრე ივანეს ძეგ—წერდა იგი,—მე დიდი სიამოვნებით თვალყურს ვადევნებდი თქვენს გამირობას და ერთგულ სამსახურს. ძლიერ დაღონებული ვარ თქვენი ჭრილობით, რომელმაც თქვენ ჩამოგამორათ ბრძოლის ველს, სადაც თქვენი ყოფნა ახლანდელ სამოარ ვითარებაში ესოდენ საჭირო და სასარგებლოა. მსურს და იმედი მაქვს ღმერთი მოგანიჭებთ მალე განკურნებას თქვენი მოქმედების ახალი დიდებითა და პატივით შესამკობად“. ამავე დროს ერთდროულად ხმარების სახით მამაც მხედართმთავარს 50000 მანეთი უბოძეს.

ოთხი დღის აუტანელი ტკივილებისა და ტანჯვა-წამების შემდეგ, 1812 წლის 12 სექტემბერს, დღის 12 საათზე, რუსეთის არმიის საყვარელი გენერალი სოფ. სიმში 47 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქვეყნის რთულ ვითარებაში ბოროდინოს გმირი ღირსეული ცერემონიის გარეშე დაკრძალეს სოფლის სამრეკლო ეკლესიაში.

1839 წლის ივნისში გამოჩენილი პარტიზანის, პეტრე ბაგრატიონის ყოფილი ადიუტანტის გენერალ-ლეიტენანტის დენს დავიდოვის ინიციატივით სახელოვანი სარდლის ნეშტის გადასვენება გადაწყდა ბოროდინოს ველზე. ცერემონიის შესრულება თვით დენის დავიდოვს დაევალა. მაგრამ მას აღარ დასცალდა, იგი რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა. ეს საპატიო მოვალეობა შემდეგ მიანდეს კიევის ჰუსართა პოლკის მეთაურს პოლკოვნიკ კენსკის.

გადასვენების ცერემონიას დიდძალი ხალხი ესწრებოდა. სიტყვებით გამოსულებმა აღნიშნეს პ. ბაგრატიონის დიდი დამსახურება. 5 ივლისს ჰუსართა პოლკის ოფიცრებმა კუბო მორთულ ეტლზე დაასვენეს. ხალხის მოთხოვნით ცხენები ეტლიდან გამოხსნეს და პატივისცემის ნიშნად ეტლი რამდენიმე კილომეტრით მსარდამხარ გასწიეს. 20 ვერსი მიაცილებდა ხალხი საყვარელი გმირის ცხედარს.

27 წლის შემდეგ პ. ბაგრატიონი უკანასკნელი ლეგენდარული ბრძოლის ველს დაუბრუნდა და იმ ძეგლის კვარცხლბეკის ქვეშ დაკრძალეს, რომელიც ბოროდინოს გმირთა სამახსოვროდ ააგეს. საფლავს გარშემორტყმული ჰქონდა თუჯის გალავანი, ხოლო ნიშნად პატივისცემისა საპატიო ყარაულის სახით თუჯიდანვე ჩამოსხმული ორი გრენადერი ედგა. საფლავზე ეწერა: „ინფანტერიის გენერალი თავადი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი. მეთაურობდა დასავლეთის არმიას, დაიჭრა ბოროდინოს ბრძოლაში 1812 წლის 26 აგვისტოს, გარდაიცვალა ჭრილობისაგან 1812 წლის 12 სექტემბერს 47 წლისა“. ეს ძეგლი შეიკეთალა 1912 წელს, ბოროდინოს ბრძოლის 100 წლისთავზე. ხოლო სამამულო ომის 150 წლისთავთან დაკავშირებით 1962 წელს ბოროდინოს ველზე პ. ბაგრატიონის საფლავი ახალი მარმარილოს ქვებითა და წარწერით შეამკეს.

პეტრე ბაგრატიონის პატივსაცემად მისი სახელი დაერქვა ფრიდლანდს — კალინინის ოლქში; მის სახელს ატარებს ერთ-ერთი საუკეთესო ქუჩა მოსკოვში, მოსკოვის ერთ-ერთი მეტროპოლიტენის სადგური და ა. შ. ხოლო სამამულო ომის დროს მთავარსარდლობამ ერთ-ერთ უდიდეს ოპერაციას ბელორუსიაში 1944 წელს კოდური სახელწოდება „ბაგრატიონი“ უწოდა.



სიმონ განგებლიძე

სიმონ განგებლიძე ქართველ თავადთა საგვარეულოს წარმომადგენელია. იგი 1757 წლის 24 მაისს დაიბადა მოსკოვში. მისი მამა, გიორგი ქრისტეფორეს ძე განგებლიძე, 1734 წელს ქართველ მეფისწულ ბაქარ ვახტანგის ძეს ახლდა რუსეთში. უკანასკნელის დახმარებით გიორგი ქართულ ჰუსართა პოლკში ჩაუტრიცხავთ, 1740 წელს მეფისაგან მიუღია მამული 40 კომლი გლეხით პოლტავის გუბერნიის დაბა ოსტაპოვოში.

გიორგი განგებლიძე მონაწილე იყო რუსეთის ომებისა შვედეთთან, პრუსიასა და თურქეთთან. 1768—1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ერთ-ერთი ბრძოლის დროს მაიორი განგებლიძე მძიმედ დაჭრეს და 1772 წელს გარდაიცვალა. მისმა მეუღლემ მამული გაყიდა და უკრაინიდან პეტერბურგს გადასახლდა.



1771 წლის 1 იანვარს მისი შვილი, 14 წლის სიმონ განგებლიძე სამხედრო სამსახურში შედის ჰუსართა ლეგიონში, რომელიც სოფ. გოროდის მხარეში იდგა. მისი კარიერა კაპრალის ჩინით დაიწყო. 6 წლის შემდეგ ეს ლეგიონი დაიშალა, რის შემდეგ სიმონი იუნკარად გადაიყვანეს ახლად ჩამოყალიბებულ მოლდავეთის ჰუსართა ლეგიონში და მომდევნო წელს იქ იგი პრაპორშჩიკი გახდა.

1788 წელს სიმონი პორუჩიკის ჩინით გადადის იაროსლავლის ქვეით ლეგიონში, რომელიც ფელდმარშალ პოტიომკინის არმიის შემადგენლობაში მონაწილეობს 1787—1791 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, კერძოდ ოჩაკოვის ალყაში. ციხეზე იერიშის დროს სიმონ განგებლიძე მოხალისეთა რაზმის რიგებში პირველი ავიდა სიმაგრის კედლებზე. თურქი ჰეომრები უდიდესი ენერგიით იცავდნენ ოჩაკოვს, მაგრამ რუსეთის არმიის იერიშს მაინც ვერ გაუძლეს. სიმონი აქ ფეხში დაჭრეს; უდიდესი სიმამაცისათვის მას კაპიტნის ჩინი და სპეციალურად დაწესებული ოქროს ნიშანი უბოძეს. ამ ნიშანს წმინდა გიორგის ორდენის ლენტით ატარებდნენ.

1789 წ. სექტემბერში სიმონ განგებლიძე მონაწილეობს ციხე-სიმაგრე გაჯიბეის აღებაში; ეს სიმაგრე თანამედროვე ოდესის საფუძველი იყო. ამ დროს სიმონი 32 წლისა იყო და მაიორობა დაიმსახურა.

1791 წელს განგებლიძე კონტრ-ადმირალ უშაკოვის სადესანტო რაზმის მეთაური იყო. იგი დუნაის შესართავებს იცავდა. ამით დამთავრდა მისი მონაწილეობა 1787—1791 წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

ომის დამთავრების შემდეგ სიმონი თავისი ჯარით მოლდავეთში იდგა, აქედან კი ვარშავაში გაგზავნეს.

1794 წელს ვარშავაში აჯანყებამ იფეთქა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ. აჯანყებას მრავალი რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი შეეწირა. სიმონი კი სიკვდილს მისმა ერთმა ახლობელმა ოჯახმა გადაარჩინა; აქ ერთ-ერთი გენერლის ქვრივის ოჯახში იგი შვილობილად იყო მიღებული, თავადის ქალი „ბებიად“ მიაჩნდა და მისი დიდი მშობლიური სიყვარული დაიმსახურა.

აჯანყების წინ სიმონი მივლინებიდან ბრუნდებოდა. როდესაც ვარშავას მიუახლოვდა, გზაზე ხშირი მოძრაობა შენიშნა, მისი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ ამ ხალხმრავლობაში მხოლოდ



მამაკაცები იყვნენ. სიმონი მთავარსარდალ ბარონ იველსტრომთან გამოცხადდა, მოახსენა მივლინების ანგარიში და ქალაქთან ხალხზე შეერებაც ამცნო. ბარონმა სიცილით განუცხადა, რომ „შენც იმას ფიქრობ, რომ აჯანყებაა მოსალოდნელი?“. განგებლიძე დაემშვიდობა მას. გზაზე გადაწყვიტა, „ბებია“ ენახულა. მაგრამ ჩვეულებრივი შეხვედრის მაგიერ იქ ცივი ატმოსფერო დახვდა. ცივი იყო სიმონის პოლონელი მეგობრის კაზიმირის ღიმილიც. სიმონი დაემშვიდობა მათ და გაბრუნდა.

შუალამისას ქვემეხების სროლისა და განგაშის ხმა გაისმა. განგებლიძე თავისი დენშჩიკითა და ადიუტანტით მთავარსარდალის შენობისაკენ წავიდა, ქუჩაში უკვე ხალხმრავლობა იყო, აქ მას შეხვდა კაზიმირი, რომელმაც გულითადი სამსახური შესთავაზა და ხმამაღლა პოლონურ ენაზე ლაპარაკით „ბებიას“ ბინაზე მიიყვანა, სადაც იგი პატარა ოთახში გამოკეტეს; ცოტა ხნის შემდეგ აჯანყებულები „ბებიას“ სახლში შეცვივდნენ, მაგრამ კაზიმირმა ლანძღვა-გინებით ისინი ბრძოლისაკენ გაისტუმრა. განგებლიძე მიხვდა, რომ ვარშავის დატოვება აუცილებელი იყო. ამ დროს არცთუ ისე შორს რუსეთის ქვემეხების ხმა მოესმა, საითაც იგი დაუყოვნებლივ დაიძრა და უენებლადაც მიადგა მათ პოზიციამდე. აქ, როგორც უფროსს, მას მეთაურობა შესთავაზეს. სიმონმა დაინახა, რომ ჭურვები მცირე იყო და ადგილზე დარჩენა კი შეუძლებელი, ამიტომ მან შეძლო ალყიდან გასვლა და თავისი ნაწილებით ქალაქგარეთ მთავარ ძალებს შეუერთდა; ვარშავა რუსეთის არმიის ალყაში მოექცა და აჯანყება დამარცხდა.

ვარშავის ოპერაციას სუფოროვი მეთაურობდა. მისი წარდგენით განგებლიძეს პოდპოლკოვნიკობა უბოძეს და ოქროს ნიშნით დააჯილდოვეს.

ეს იყო მისი უკანასკნელი დამსახურება ეკატერინე II-ის მეფობის ეპოქაში.

1796 წელს ტახტზე პავლე I ავიდა, განგებლიძემ პოლკოვნიკობა მიიღო, ხოლო 1799 წელს იტალიაში ფრანგების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს თავდადებისა და დამსახურებისათვის გენერალ-მაიორობა უბოძეს. იგი ეგერთა ლეგიონს მეთაურობდა და სუფოროვის არმიის ავანგარდში მოქმედებდა — ბაგრატიონის რაზმში. შემდეგ იგი მონაწილეობს ანაპის იერიშში 1807 წელს,



მადაც მან ვლადიმერის მესამე კლასის ორდენი დაიმსახურა, რომელიც დაეწინაურა და ყუბანის ექსპედიციებში — წმინდა გიორგის მეორე კლასის ორდენი.

1810 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში, განგებლიძე მეთაურობს ადმირალ სარიჩევის ფლოტის სადესანტო ნაწილებს, რომლებიც ტრაპიზონის დასამორჩილებლად გაიგზავნა; ნაქტომბერს ესკადრა ოდესიდან გავიდა და 9-ში ტრაპიზონის წინ იდგა. საარტილერიო ცეცხლის შემდეგ რუსეთის 300 მეომარი ხმელეთსაკენ დაიძრა ნავებით. გადასხმა წარმატებით დაგვირგვინდა. სადესანტო ჯარებმა ზღვის სანაპირო დაიკავეს და ხელთ იგდეს იქ განლაგებული არტილერია, მაგრამ თურქებმა ადრევე შეკრიბეს ძალები და რუსეთის დესანტი აიძულეს სანაპირო დაეტოვებინათ. დიდი მსხვერპლის შემდეგ სარიჩევმა გადაწყვიტა უკან დახვევა და სევასტოპოლში დაბრუნდა.

1812 წელს, სამამულო ომის დაწყებისას, განგებლიძე თავის პოლკით მოლდავეთში მოქმედებდა; აქტიურად იბრძოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ; იგი უშუალო მონაწილეა ქ. ტორნის, ბაუცენის იერიშისა და აღებისა. აქ გამოჩენილი გმირობისათვის წმინდა გიორგის მეოთხე კლასის ორდენი დაიმსახურა. სიმონ განგებლიძეს ახასიათებენ, როგორც შეუპოვარს და მამაც მებრძოლს, ბრძოლებში ნაცად მეომარს. ომის დასასრულს, ერთ-ერთ ბრძოლაში, ყუმბარის აფეთქების შედეგად მან კონტუზია მიიღო.

1818 წელს სიმონ განგებლიძე სამხედრო სამსახურიდან გავიდა ფორმისა და ხელფასის შენარჩუნებით. მას დიდი ოჯახი ჰყავდა და ქალაქში ცხოვრების საშუალება არ ჰქონდა. ამიტომ იგი მეუღლის მამულში, ეკატერინოსლავის გუბერნიაში, სოფ. ბოგოღაროვცაში დასახლდა. მისი მეუღლე — თავადის ქალი ეკატერინე სპირიდონის ასული მანველიშვილი იმდენად ერთგული მეგობარი ყოფილა მეუღლისა, რომ სიმონთან ერთად ხშირად ბრძოლებშიც მონაწილეობდა. სიმონი მეტად ჯანმრთელი ადამიანი ყოფილა. მან მხნედ გაატარა 40 წლის მძიმე სამხედრო სამსახური.

1827 წლის 17 თებერვალს სიმონ განგებლიძე გენერლის ჩინით გარდაიცვალა. მისმა მეუღლემ, მანველიშვილმა მამული შეიღებეს დაუნაწილა, ხოლო თვითონ ლოცვაში გაატარა დარჩენილი

15 წელი. სიმონ და ეკატერინე განგებლიძეებს სამი ქალიშვილი და სამი ვაჟიშვილი — ნიკოლოზ, ალექსანდრე და სპირიდონი ჰყავდათ. ერთ-ერთი მათგანი იყო მომავალი დეკაბრისტი ალექსანდრე განგებლიძე.

ა. განგებლიძე 1801 წ. დაიბადა. იგი ჯერ ოდესაში სწავლობდა, შემდეგ კი პეტერბურგის პაეთა კორპუსში. აქ იგი გაეცნო მოწინავე ახალგაზრდობას და ლიტერატურას, რომლებმაც გადაწყვეტილი გააღწია მოახდინეს ალექსანდრეს მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, რომ იგი დეკაბრისტი გამხდარიყო.

14 დეკემბერს, აჯანყებასთან დაკავშირებით, განგებლიძე დააპატიმრეს და 1826 წ. 13 ოქტომბრამდე პეტრე-პავლეს ციხეში იჯდა. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მას ვლადიკავკაზში გზავნიან ერთ-ერთი ასეულის მეთაურად; აქედან იგი ხშირად იგზავნება საქართველოში მიმავალი მაღალი თანამდებობის პირების გამცილებლად.

ყოფილი დეკაბრისტი 1827 წ. ერევნის აღებაში მონაწილეობდა. ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ იგი იცნო მთავარსარდალმა და თბილად მიესალმა. ხოლო შემდეგ თურქეთთან ომში, ყარსის აღებისა და ახალციხის ოპერაციებში ისახელა თავი. ამ ომში მონაწილეობისას იგი შეხვდა ალექსანდრე პუშკინს და ყოფილ დეკაბრისტებს ბესტუჟევსა და გოლცინს. ომის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე თბილისში ცხოვრობს 1832 წლამდე. აქ იგი ახლო იყო დეკაბრისტებთან და მოწინავე ქართველ საზოგადოებასთან. სწორედ ამიტომ ადრევე გაასახლეს საქართველოდან. განგებლიძეს არ ღირსებია დიდი თანამდებობა, ჩინები და ორდენები, მაგრამ იგი არც მოელოდა მათ, რადგან პასკევიჩმა თავის დროზე განაცხადა, რომ 14 დეკემბრის მონაწილე ოფიცრებს არ შეუძლიათ იოცნებონ სამსახურებრივ წარმატებებზე; ადრევე იგი თადარიგში გავიდა და ცხოვრობდა თავის მამულში — სოფ. ბოგოდაროვკაში, ეკატერინოსლავის გუბერნიაში.

1837 წელს ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორის გრაფ ვორონცოვის თხოვნით მას: „დანაშაული“ აპატიეს, მაგრამ თავადანაურთა არჩევით ორგანოებში მონაწილეობის უფლება მაინც არ დაუბრუნეს.



გიორგი ერისთავი

ცნობილი სარდალი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, თავის დროზე დიდად განათლებული პიროვნება გიორგი იასეს ძე ერისთავი დაიბადა 1760 წელს გორის მაზრაში.

საქართველოს სამეფო კარზე გიორგი ერისთავს სარდლის თანამდებობა ეკავა. რუსეთთან საქართველოს შეერთებას იგი ორმოცი წლის ასაკში შეხვდა. ამ დროს იგი უკვე საქმოდ ცნობილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე იყო. ამიერიდან იგი რუსეთის სამხედრო სამსახურში შევიდა, სადაც პოდპოლკოვნიკობა უბოძეს. 1802 წელს იგი ჩარიცხეს ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკში. დაიწყო მისი ახალი სახელოვანი სამხედრო კარიერა. პირველი დიდი წარმატება გ. ერისთავს ჯერ კიდევ 1803 წელს ხვდა წილად ლეკებთან ბრძოლაში. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, მართალია, ქვეყანა შედარებით დაწყნარდა, მაგრამ ლეკ-

ბი მაინც განაგრძობდნენ განუწყვეტელ თავდასხმებს ჭარ-ბელაქანის მხრიდან. მათ წინააღმდეგ ბრძოლა გენერალ გულიაკოვს დაევალა, რომელსაც 1690 მეტრძოლი ჰყავდა. მის დასახმარებლად ქახეთის მოსახლეობიდან 5000-იანი მილიცია შეკრიბეს დ. ორბელიანის მეთაურობით. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა გიორგი ერისთავმაც, რომელიც ბრძოლებში ამ მილიციის უშუალო მეთაური იყო. გადამწყვეტი ბრძოლა ბელაქანთან მოხდა, აქ სამაგალითო გამირობის, მამაცობისა და მილიციის ხელმძღვანელობისათვის მან წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენი დაიმსახურა და პოლკოვნიკის ჩინიც მიანიჭეს. 1808 წელს გ. ერისთავს ახალი წარჩინება ხვდა წილად სპარსელებთან ომში, რისთვისაც მას წმინდა ანას მეორე კლასის ორდენი უბოძეს, ხოლო 1812 წელს გენერალ-მაიორის ჩინში აამაღლეს. მომდევნო წელს მას ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენით აჯილდოვებენ. 1814 წელს გ. ერისთავს ნიშნავენ საქართველოში განლაგებული მე-19 დივიზიის პირველი ბრიგადის მეთაურად. მთიულებთან ბრძოლაში იგი კვლავ იმსახურებს წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენს, ხოლო 1826 წ. გენერალ-ლეიტენანტის ხარისხს და 21-ე დივიზიის მეთაურად ნიშნავენ. სპარსელებთან პირველსავე ბრძოლაში დიდი წარმატებისათვის მას კვლავ წმინდა ანას ორდენი უბოძეს, მაგრამ ამჟამად აღმასებითა და ბრილიანტებით დამშვენებული. მეტად თვალსაჩინოა გიორგი ერისთავის აქტიური მონაწილეობა 1826—27 წლების რუსეთ-ირანის ომში.

1827 წ. როდესაც პასკევიჩი ერევნისაკენ დაიძრა, გენერალ-ლეიტენანტ ერისთავს ნახიჩევანის ოლქის დაცვა დაევა. მის ვანკარგულებაში მცირერიცხოვანი რაზმი იყო და ამიტომ აქტიურ მოქმედებას მას არ ავალებდნენ. კადეე მეტი, პასკევიჩმა იცოდა რა მისი შეუპოვარი მამაცობა, ზუსტად განსაზღვრული დავალებაც კი მისცა — დაეცვა ოლქის საზღვრები, მცირე მოძრაობა განეხორციელებინა არაქსს იქეთ, რომ ერევნიდან მოწინააღმდეგის ძალები ჩამოეცილებინა, მაგრამ კატეგორიულად აუკრძალა სპარსეთის სიღრმეში შეჭრა ან სხვა რაიმე სერიოზული ოპერაციის წამოწყება.

მიუხედავად ამისა, ვითარება სულ სხვაგვარად წარიმართა, ვიდრე პასკევიჩი ვარაუდობდა; საშიშროება სწორედ იმ მხრიდან

შეიქმნა, საიდანაც მას სრულიად არ ელოდა. ცნობილი ვახდა, რომ აბას მირზა ერევნის სახანოს დატოვების შემდეგ მთელი თავისი ძალებით ნახიჩევანის ოლქისაკენ დაიძრა. ირანელმა სარდალმა იცოდა, თუ როდენ მცირე ძალები ჰყავდა ერისთავს და, მოელოდა რა მის იოლ განადგურებას, ნახიჩევანის დაცემას ვარაუდობდა. სპარსეთის წინააღმდეგ კამპანიის მთელი ბედი კვლავ საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა, აბას მირზას გამარჯვების შემთხვევაში პასკევიჩი იძულებული იყო არა მარტო თავრიზზე ლაშქრობა გადაედო, არამედ ხელი აეღო ერევნის ოპერაციაზე და ალყაც მოეხსნა. მაგრამ ვიდრე აბას მირზა ამიერკავკასიის საზღვრებს მიუახლოვდებოდა, გ. ერისთავმა დამხმარე ძალა მიიღო. მას განკარგულებაში გადაეცა გენერალ პანკრატოვის რაზმი და ულანთა ლეგიონი. ამჟამად გ. ერისთავი თვით დაიძრა აბას მირზას შესახვედრად. მათი შეხვედრა მდინარე არაქსზე მოხდა, მდინარის ორივე მხრიდან ძლიერი ცეცხლი გაჩაღდა. ულანის ლეგიონთა მებრძოლებმა რამდენიმე შეტევა განახორციელეს სპარსეთის ცხენოსანთა ნაწილებზე, რომლებმაც არაქსის გადმოლახვა შეძლეს. ულანთა იერიში იმდენად ძლიერი იყო, რომ მტრის კავალერია უკუაგდეს და სპარსელთა მთავარმა ძალებმა მდინარის გადმოლახვა ვერ გაბედეს. მტერმა უკან დაიხია. ერისთავი ნახიჩევანში დაბრუნდა და თვით გადავიდა საზღვარს ჯუღთასთან.

2 ოქტომბერს, როდესაც პასკევიჩმა ერევანი აიღო და გამარჯვებას ზეიმობდა, ერისთავი თავისი რაზმით დარგინის ხეობით სპარსეთის საზღვრებისაკენ დაიძრა და თავრიზამდე შუა გზაზე ქ. მარანდი დაიკავა. რაზმმა დაბანაკება და დასვენება ვერც კი მოასწრო, როდესაც აბას მირზას მოახლოების ცნობა მოვიდა, ისიც მარანდზე მიდიოდა, მაგრამ როდესაც გაიგო ქალაქი ერისთავს უკვე დაკავებული ჰქონდა, გეგმა შეცვალა — დაიკავა ნახიჩევანის გზა და წინ გატრილ რუსეთის რაზმს გზა მოუჭრა არაქსიდან. ერისთავის რაზმი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ იგი ერევანთან პასკევიჩის გამარჯვებამ იხსნა. ერევნის დაცემა და პასკევიჩის გამარჯვების ცნობა სწრაფად მოედო აბას მირზას ლაშქარს. მან დიდი გავლენა მოახდინა სპარსეთის არმიაზე — პანიკამოცულები ჯარი უწყესრიგოდ დაიფანტა; დარჩენილ ნაწილებს, რომლებსაც აბას მირზას მემკვიდრე მეთაურობდა, შეტევაზე ფიქ-

რაც არ შეეძლოთ. მას ბრძანება მოუვიდა, ქალაქიდან ძვირფასე-
ულობა გაეტანათ და მთელი სამხედრო მარაგი გაენადგურებინათ,
რომ რუსებს ხელთ არ ევდოთ.

გ. ერისთავმა, როგორც კი დააზუსტა ცნობები სპარსელთა
შესახებ, გადაწყვიტა სწრაფად ესარგებლა შექმნილი ვითარებით,
ვიღრე აბას მირზა ახალ ლონისძიებებს გაატარებდა და სპარსეთის
სიღრმეში შეიჭრა, ოპერაციის მთელი პასუხისმგებლობა თავის-
თავზე აიღო და პასკევიჩის ნებართვის გარეშე თავრიზისაკენ და-
იძრა. ერისთავმა გაითვალისწინა ყველა დეტალი, მაგრამ, მიუხე-
დევად ამისა, მოძრაობა მეტად სახიფათო აღმოჩნდა. თავრიზი
კარგად იყო გამაგრებული საკმაოდ მრავალრიცხოვანი გარნი-
ზონით, მაგრამ ბედმა თითქოს „სამაგიერო გადაუხადა სპარსელებს
მხეცობისათვის, რომელიც ალა მაჰმად ხანმა ჩაიდინა თბილისში“.
ბრძოლა ერისთავის გამარჯვებით დამთავრდა და იგი უკვე ქალა-
ქის სიმაგრეებთან იდგა. თავრიზის დასაცავად იმ დროს აბას მირ-
ზას მიერ დატოვებული 6000-მდე მეგრძოლი იყო, რომელთაც
სპარსეთის უმაღლესი კარის ერთ-ერთი მოხელე ალაიარ ხანი მე-
თაურობდა. ერევნის აღებისას რუსეთის ჯარის მიახლოებისა და
აბას მირზას უკანასკნელი წარუმატებლობის ცნობებს იმდენად
დიდი გავლენა მოუხდენია ჯარზე, რომ მეგრძოლებმა ქალაქი და-
ტოვეს და მისი უახლოესი გამაგრებული ადგილები ბრძოლის
გარეშე დაიკავე ერისთავის რაზმმა.

თავრიზი იმ დროს 60000 მცხოვრებს ითვლიდა და საკმაოდ
დიდ ქალაქად ითვლებოდა. ერისთავისათვის უცნობი იყო აპირებ-
დნენ თუ არა ქალაქის დაცვას სპარსელები, რომელთა ციხესიმა-
გრე საკმაოდ დიდი მოცულობისა იყო და აღჭურვილი იყო მრავალ-
რიცხოვანი ქვემეხებით. იგი ელოდებოდა ვითარების გარკვევ-
ას. ქალაქის მახლობლად სიმშვიდე სუფევდა. უცებ ციხესიმაგრის კა-
რები გაიღო და გამოჩნდნენ უმაღლესი თანამდებობის პირები ქა-
ლაქის თავის თანხლებით, მათ წინ მიუძღოდა სამღვდლოება
ხატებითა და ჯვრით გამარჯვებულთა შესახვედრად. გენერალმა
ერისთავმა ქალაქის წარმომადგენელთა სიტყვა მოისმინა და 13
ოქტომბერს მუადლისას მუსიკითა და გაშლილი დროშებით თავ-
რიზში შევიდა. ირანის ასეთი ძლიერი ციხესიმაგრე აქამდე არა-
სოდეს ასე იოლად არ ჩაბარებია მოწინააღმდეგეს.



რუსეთის არმიის ხელში აღმოჩნდა სპარსეთის არმიის სურსათი და სამხედრო საჭურველი, მდიდარი არსენალი, საწყობი და, რაც მთავარია, თოფის წამლისა და იარაღის ჩამომსხმელი ქარხნები. ამ ქარხნებში უკანასკნელ დროს მეტად ენერგიულად მუშაობდნენ ინგლისელები.

აბას მირზას ტახტი, საბრძანებელი კვერთხი, 40 ქვემეხი და 2 დროშა სამხედრო ნადავლი გახდა. ტყვეთა რიცხვი ძლიერ მცირე იყო, მაგრამ მათ შორის იყო ალიაჩ ხანი — სპარსეთის უმაღლესი მინისტრი, რომელსაც თავრიზის დაცვა ევალებოდა. მან სცადა ქალაქიდან გაქცევა, მაგრამ მალე დაატყვევეს, კახაკმა ცხენზე შემოისვა და ქალაქში სამარცხვინოდ გაატარა.

გენერალ ერისთავის გამარჯვება — თავრიზის დაცემა სპარსეთის უდიდეს პოლიტიკურ მარცხს წარმოადგენდა; ეს ნიშნავდა ქვეყნის მთელი ჩრდილო ნაწილის დაკარგვას, ხოლო ციტადელის რუსების მიერ დაკავებამ ყოველგვარი საშუალება წაართვა აბას მირზას ომი გაეგრძელებინა და ტახტის დაკარგვის საშიშროებაც შეუქმნა.

პასკევიჩმა დიდხანს არ იცოდა თავრიზის აღების ამბავი. ერევანის აღების შემდეგ მთავარსარდალმა ჯარი შეასვენა. მან ცნობა მიიღო სპარსეთის სიღრმეში გენერალ ერისთავის რაზმის მოძრაობის შესახებ და ლაშქრობა განაახლა.

პასკევიჩი დაიძრა თავრიზის ასაღებად, მან მხოლოდ გზაზე მიიღო ცნობა, რომ თავრიზი გენერალმა ერისთავმა აიღო. ეს მისთვის მოულოდნელი იყო, რადგან მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ გაუგზავნა ბრძანება ერისთავს, შეჩერებულიყო და მის ბრძანებას დალოდებოდა. „თქვენს მოძრაობას თავრიზისაკენ მცირე ძალებით, — წერდა პასკევიჩი, — ნაადრევად ვთვლი, იცოდით რა, მე მთავარ ძალებით თვით მოვდიოდი თავრიზისაკენ საწყობებისა და ტრანსპორტის თანხლებით, რომელთაც შეუძლიათ მხოლოდ უზრუნველყონ ნაძვლილი შეტევითი მოქმედება, თქვენი ბრწყინვალეობა უნდა დაკმაყოფილებულიყო დარგინის ხეობის დაკავებით: ხელი შეგეწყობთ ჩემი მოძრაობისათვის, შემდეგ ადგილზე სურსათის მომარაგებით, ჩემი რაზმის ლაშქრობა შეგემსუბუქებინათ. ეს-ლა მე ვშიშობ, რომ თქვენ არ შეგემთხვავთ ის, რაც ამას წინათ გენერალ-ლეიტენანტ კრასოვსკის და თქვენი წინდაუხედაობის გა-

მო იძულებული გავხდე თქვენი "შეცდომა გამოვასწორო". პასკევიჩი კატეგორიულად უბრძანებდა მას ადგილზე დაჩქინილიყო და ახალ ბრძანებას დალოდებოდა.

მაგრამ პასკევიჩის წერილი თავრიზის ადების წინა დღეს იყო დაწერილი და, ბუნებრივია, ერისთავს მან ადგილზე ვერ მოუხსწრო. ერისთავზე განრისხებულმა პასკევიჩმა უხეშად მიიღო აბას მირზას ელჩი, რომელიც ზავს ითხოვდა. იგი უკან გავზავნა და აბას მირზას შეუთვალა ეცნობებინა შეხვედრის ადგილი, თვით კი რაზმით თავრიზისაკენ დაიძრა. რადგანაც არტილერია საჭირო არ იყო, მარანდაში დატოვა და მოძრაობა გაიადვილა; მიუხედავად ამისა, შემოდგომის დღეებში გზები იმდენად ძნელი გასასვლელი გახდა, რომ რაზმი მცირე მანძილს გადიოდა; შემდეგ იძულებული იყო ქვეითი ჯარისკაცები დაეტოვებინა და მხოლოდ კავალერიით გაგრძელდა გზა. მალე იგი თავრიზს მიუახლოვდა, სადაც ერისთავი საზეიმო შეხვედრისათვის მზად იყო. პასკევიჩს ქალაქგარეთ დახვედრა მან სამღვდელთა, ქალაქის უფროსი, მამასახლისები, საპატიო ბეგები და მრავალრიცხოვანი ხალხი საზეიმო ტანსაცმელში. პასკევიჩის მოძრაობის გზა ქალაქის მახლობლად ყვავილებით შეამკეს; ყვავილებს რწყავდნენ აღმოსავლური წესით, ხარების თბილი სისხლით, რომელსაც იქვე კლავდნენ მთავარსარდლის პატივსაცემად; ქალაქის სიმაგრის კარებთან იარაღქვეშ იდგა ერისთავის რაზმი; როგორც კი პასკევიჩმა ფეხი შედგაცხის კედლებთან ასაღებ ხიდზე, ერისთავი მიესალმა პასკევიჩს რაზმის დროშების დახრით და ვაშას ძახილით, სპარსელების ქვემეხებმა კი ზალბი მისცა.

პასკევიჩს ბინა აბას მირზას სასახლეში მოუშადადეს და აქ ქალაქის წარმომადგენლებთან ერთად ერისთავმა პასკევიჩს ქალაქის გასაღები გადასცა.

ასეთ საზეიმო ვითარებაში მეტად ორიგინალური იყო მთავარსარდლისა და რაზმის უფროსის გენერალ ერისთავის შეხვედრა. პასკევიჩი მთელი მრისხანებით და საყვედურებით თავს დაესხა მას. მოხუცმა ქართველმა გენერალმა წყნარად მოისმინა ყველაფერი და, როდესაც პასკევიჩმა დაამთავრა სიტყვა, მას თავრიზის აღება მიულოცა.

პასკევიჩს სხვა გზა არ ჰქონდა, გადაეხვია, ხოლო მეფეს მისთვის ახალი ჯილდო სთხოვა. თავრიზის აღებისათვის გ. ერისთავი

ანდრია პირველწოდებულის ორდენით დააჯილდოვეს, ბრძოლის ასპარეზიდან მაინც დაითხოვა. შემდეგ იგი სენატორად გვევლინება.

მთელი რიგი ცერემონიის შემდეგ პასკევიჩის ჯარი თავრიზის მახლობელ ქალაქებში განლაგდა, ერისთავის რაზმი კი თვით დედაქალაქში და დაიწყო საზავო მოლაპარაკება.

სპარსეთთან ომის დამთავრების შემდეგ იგი მონაწილეობას ღებულობს ცარიზმის მიერ ჩრდილო კავკასიის დამორჩილებაში. აქ იგი ცალკეულ ნაწილებს მეთაურობს. 1830 წელს ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ სენატში სხდომებზე დასწრების უფლებაც მიიღო.

1846 წელს დამსახურებულ და ღვაწლმოსილ 86 წლის მოხუცს უმაღლესი სამხედრო ჩინი — ინფანტერიის გენერლობა უბოძეს და თავადაზნაურობის წოდების მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარედ დანიშნეს. რუსეთის სამხედრო სამსახურში განვლილი დამსახურებისათვის მას კვლავ მაღალი ჯილდო — წმინდა ვლადიმერის პირველი ხარისხის ორდენი უბოძეს, ხოლო სამოქალაქო დარგში დამსახურებისათვის — ალექსანდრე ნეველის.

ღვაწლმოსილი მოხუცი ამიერიდან თავის მამულში, გორში ცხოვრობს, მაგრამ საქართველოს საჭირობოროტო თუ საზეიმო საკითხების კურსშია; ახლოა მეფის ნაცვალ ვორონცოვთან და მეგობრობს მას. ამიტომ იყო, რომ არც ერთი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი საკითხი არ გადაწყდებოდა მის გარეშე, ეხებოდა ეს გორის მახრას თუ საერთოდ საქართველოს.

როდესაც ყირიმის ომი დაიწყო, მოხუცი გენერალი 90 წლისა იყო, მაგრამ მაინც ვერ ისვენებდა სახლში; მან რამდენჯერმე სთხოვა მეფეს ნება მიეცა სამხედრო სამსახურს დაბრუნებოდა. მეფისაგან იმ დროს ერთგულმა მსახურმა უარი მიიღო, მაგრამ დამწვიდდა იმპერატორის თავაზიანი წერილით: „სამშრომობა არც ისე რთულია, — წერდა მეფე, — რომ ისეთი ხანდაზმული და ბრწყინვალე მოხუცები შეაწუხოს, როგორც თავადი ერისთავია“. გ. ერისთავი სისტემატურად ღებულობდა გაზეთებს, მეგობრების წერილებს და თვალყურს ადევნებდა ბრძოლის ასპარეზზე ჯარების მოქმედებას. მხიარული და ამაყი იყო მოხუცი, როდესაც არმიის წარმატების ცნობებს მიიღებდა, ხოლო ძლიერ განიცდიდა მის

წარუმატებლობას. ამიტომ იყო, რომ 1854 წლის 27 ოქტომბრის ინკერმანის ტრაგედია ყირიმის ნახევარკუნძულზე მას დაუმაღლეს.

გ. ერისთავის სამხედრო მოღვაწეობას ცნობილი ისტორიკოსი პ. იოსელიანი შემდეგნაირად ახასიათებს: „მისი სახელი, როგორც გმირისა ბრძოლის ველზე, სამხედრო ისტორიას ეკუთვნის: უდავოა, რომ იგი დაკავშირებულია მოვლენებთან კავკასიისა და ამიერკავკასიაში რუსეთის მმართველობის დასაწყისიდან მისი სიცოცხლის ბოლომდე“.

გ. ერისთავი მეტად პოპულარული პიროვნება იყო საქართველოში და მისი სახელი პეტერბურგის მაღალ წრეებშიც საკმაოდ ცნობილი ყოფილა. საყურადღებოა, რომ მონარქიისადმი სიყვარულის პარალელურად იგი მოწინავე აზრებს ატარებდა და ცხოვრების მომავალი ესმოდა. იგი იშვიათი პატრიოტი იყო, რის გამოც რუსი ისტორიკოსი კ. ბოროზდინი შენიშნავს: „ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ რუსეთში ისეთი პატრიოტები მოიხსოს, როგორიც თავადი ერისთავი იყო“, ხოლო თავის სამშობლოში გ. ერისთავი სარგებლობდა საყოველთაო პატივისცემითა და ნდობით. არ ყოფილა არც ერთი საზოგადოებრივი საქმე, რომელსაც იგი დიდი სიყვარულით არ გამოხმაურებოდა.

როდესაც გლეხთა განთავისუფლების საკითხი დადგა, 1861 წლის 19 თებერვლის მეფის მანიფესტის ხმამ საქართველომდე მოაღწია; საქართველოს თავადაზნაურობა სასოწარკვეთილებას მიეცა და უმრავლესობა უკმაყოფილებას იამოთქვამდა. ყმა გლეხის გარეშე თავადს ცხოვრება ვერ წარმოედგინა. მოხუცი გ. ერისთავი კი ოპტიმისტურად შეხვედრია ამ ისტორიულ მოვლენას. დაბნეულ და გაუგებრობაში მყოფ გორის მაზრის თავადაზნაურობას რჩევისათვის მოხუცი სენატორისათვის მიუმართავს, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. გ. ერისთავს დაუმშვიდებია ისინი, განუმარტავს, რომ ეს გარდაუვალი და აუცილებელი საქმე იყო და ბოლოს განუცხადებია: „გახსენით კვანძი და მიეცით გლეხებს თავისუფლება თქვენვე, თორემ ისინი იარაღით მოიპოვებენ მას“.

1861 წელს იმპერატორი ალექსანდრე II ქუთაისს ეწვია. ხანდაზმულობის მიუხედავად ერისთავი მეფეს ეახლა. ამ უკანასკნელ-

მა წარსული დამსახურებისათვის წმინდა ანდრიას ორდენი ჩა-
მოჰკიდა.

1863 წელს 103 წლის ასაკში ღვაწლმოსილი მოხუცი გარდა-
იცვალა. იგი მიაბარეს იკორთის ეკლესიას, რომლის დასავლეთ
სვეტთან დაკრძალეს და მარმარილოს დიდი ქვით შეამკეს.



ალექსანდრე ჭავჭავაძე

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ხალხის XIX ს. პირველი ნახევრის მთელ ისტორიასთან. იგი ამ ეპოქის დიდი პოეტი, ნიჭიერი მხედართმთავარი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე იყო.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩვენს ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, შევიდა როგორც რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მანვე აქცია იგი წამყვან ლიტერატურულ მიმდინარეობად და ქართული ლიტერატურის პანთეონში კლასიკოსის საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. მაგრამ საკმაოდ საინტერესოა მისი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზი.

ალექსანდრე ჭავჭავაძე კახეთის ცნობილ თავადთა საგვარეულოს წარმომადგენელია. მისი მამა გარსევან ჭავჭავაძე (1757-1811) მეფე ერეკლე II-ის დესპანი იყო რუსეთში; კაცი თავისი დროის



დიდად განათლებული და ერეკლეს მეტად სანდო და საყვარელი ადამიანი. 1783 წელს ჯერ კიდევ 26 წლის ჭაბუკს წილად ხვდა ხელი მოეწერა ესოდენ დიდი დოკუმენტისათვის, როგორც გიორგიევსკის ტრაქტატი იყო, რომლითაც საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა.

1786 წელს პეტერბურგში გარსევანს ვაჟიშვილი შეეძინა. ქართველი დესპანის პატივსაცემად იგი იმპერატრიცა ეკატერინე II-მ და მისმა შვილმა ალექსანდრემ მონათლეს და სახელად ალექსანდრე შეარქვეს.

ალექსანდრეს დედა მარიამი (მაია) ივანეს ასული ავალიშვილი დრამატურგ და ცნობილ მოგზაურ გიორგი ავალიშვილის და იყო. მაია განათლებული ქალი იყო, თავის შვილს მანვე შეასწავლა მშობლიური ენა და წერა-კითხვა.

1795 წელს 9 წლის ალექსანდრე კერძო პანსიონში მიაბარეს და იქ სწავლობდა 1798 წლამდე.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ გარსევანი ოჯახით სამშობლოში დაბრუნდა. საქართველოში მაშინ ისეთი სასწავლებელი არ იყო, სადაც ალექსანდრეს შეეძლო სწავლის გაგრძელება, ამიტომ მას პეტერბურგიდან დაუქირავეს მასწავლებელი, რომელმაც შეასწავლა ფრანგული, გერმანული და სპარსული ენები.

1804 წელს საქართველოში იგლეხთა ამბოხება მოხდა. აჯანყების დროს ანანურში — მთიულეთში აფრიალდა. ეს იყო ბრძოლა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ. აჯანყების გამოყენებას ცდილობდნენ უტახტო ბატონიშვილები: იულონი და ფარნაოზი იმერეთს აფარებდნენ თავს, ალექსანდრე ირანში იყო და შაჰის ჯარებით ფიქრობდა სამეფო ტახტის აღდგენას, მაგრამ იგი სამშობლოს ხილვას ვერ ეღირსა და 1844 წელს 73 წლის ასაკში იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია თეირანში. აჯანყების დაწყებისთანავე ფარნაოზი იმერეთიდან მთიულეთში გადავიდა და სათავეში ჩაუდგა მას. ალექსანდრე ჭავჭავაძე ახლო ურთიერთობაში ყოფილა ფარნაოზთან და ამიტომ კახელმა თავადებმა ახალგაზრდა ყმაწვილი წერილით გაგზავნეს მასთან. ალექსანდრე მთიულეთს დარჩა, ვიდრე აჯანყება არ დამარცხდა და ხელმძღვანელები

არ შეიპყრეს. აჯანყებაში მონაწილეობა ალექსანდრეს პირველი პოლიტიკური ნათლობა იყო.

აჯანყება მკაცრად ჩაახშო მეფის მთავრობამ. მონაწილეთაგან 70 კაცი სასამართლოს გადასცეს. მეთაურები ციმბირში გაასახლეს. მათგან ფარნაოზი ვორონეჟში, იულონი — ტულაში, ხოლო მომავალი პოეტი ალექსანდრე მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ტამბოგს გააგზავნეს და იქ გუბერნატორს ჩააბარეს. ახალგაზრდობისა და მამის ავტორიტეტის გამო მას სამი წლით გადასახლება აკმარეს.

1805 წლის 30 ნოემბერს რუსეთის სამეფო კარზე დიდი ავტორიტეტის მქონე გარსეევან ჭავჭავაძემ შვილის პატიება სთხოვა მეფეს და იგი განთავისუფლეს. როდესაც „ალექსანდრე I წყალობას იღებდა, იგი იმედს არ ჰკარგავდა, რომ „კეთილგონიერებით“ და კარგის ყოფაქცევით ყოფილი ელჩის შვილი და იმპერატრიცა ეკატერინას ნათლული „დანაშაულს გამოისყიდდა“ და მომავალს გაუმართლებდა“.

ცბიერ იმპერატორი არ მოტყუვდა. მოწინავე იდეებით მოაზროვნე ახალგაზრდა სამხედრო სამსახურში შედის, სამხედრო ჩინით სამშობლოში ბრუნდება, მთავარმართებლის აღიუტანტი და რუსეთის ერთგული პიროვნება ხდება.

1807 წელს, განთავისუფლების შემდეგ, ალექსანდრე ჭავჭავაძე პეტერბურგს გაიწვიეს და მეფის ბრძანებით პაჟთა კორპუსში ჩარიცხეს, რომელიც 1809 წ. დაამთავრა.

პაჟის წოდება რუსეთში 1711 წელს დაწესდა, კორპუსი კი 1759 წლიდან არსებობდა. იგი პრივილეგირებული სამხედრო სასწავლებელი იყო და პაჟებს დიდგვაროვანთა და გენერალთა შვილებიდან ამზადებდა. ამ სასწავლებლიდან გამოდიოდა ძველი გვარდიის ოფიცრობა, აქ იზრდებოდნენ ტახტის ერთგული დამცველები, მაგრამ ხშირად აქედანვე გამოდიოდნენ მოწინავე აზროვნების პირები; კიდევ მეტიც, თვითმპყრობელობის ამკარა მტრებიც. ამ კორპუსში სწავლობდნენ მომავალი რუსი რევოლუციონერი-რესპუბლიკანელი რადიშჩევი, სახელოვანი დეკაბრისტი პესტელი და სხვა მრავალი. ალექსანდრე ჭავჭავაძეს მათთან უშუალო ურთიერთობა ჰქონდა. ასეთ ატმოსფეროში აღიზარდა ალექსანდრე და, ბუნებრივია, მან გავლენა იქონია მომავალი პოეტის,



გენერლისა და სახელმწიფო მოღვაწის მსოფლმხედველობის წარმართა
 ყალიბებაზე.

ამიტომაც პაეტა კორპუსში სწავლა მეტად მნიშვნელოვანია ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებაში. იქ, პეტერბურგში, რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში შეითვისა მან იმ წლების რუსული კულტურის მოწინავე იდეები, შეიგრძნო იმ პირთა მისწრაფება, რომლებიც შემდეგ „სენატის მოედანზე იარაღით გამოვიდნენ“.

1809 წელს ალექსანდრემ დაამთავრა პაეტა კორპუსი და ლეებ გვარდიის ჰუსართა პოლკში ჩაირიცხეს. იმავე წელს პოდპორუჩიკის ჩინი მიიღო, მომდევნო წელს კი პორუჩიკობა.

1811 წელს ალექსანდრე სამშობლოში დაბრუნდა და მთავარმართებელ მარკიზ პაულუჩის ადიუტანტად დაინიშნა.

1812 წელს ჭავჭავაძის მონაწილეობით მოლაპარაკება გაიმართა შირვანის მუსტაფა ხანთან. ამ უკანასკნელზე პაულუჩი ექვიანობდა, რომ ურთიერთობა ჰქონდა ირანის ტახტის მემკვიდრე აბას მირზასთან. ალექსანდრეს დავალებული ჰქონდა შირვანის ხანის ერთგულების შენარჩუნება: დაეალების ბრწყინვალედ შესრულებისათვის ჯილდოდ ბრილიანტის ბეჭედი დაიმსახურა.

1812 წელს, როდესაც ალექსანდრე შირვანიდან დაბრუნდა, კახეთში აჯანყება მძვინვარებდა. მთავარმართებელმა ამბოხებულ გლეხთა დასამშვიდებლად გადაწყვიტა ალექსანდრე ჭავჭავაძის გამოყენება. ცდა უშედეგო გამოდგა. სოფ. ჩუმლაყთან იგი დევნი დაჭრეს. ჭრილობის მორჩენის შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძე ნაპოლეონის წინააღმდეგ იბრძვის. 1813 წლის 21 სექტემბრიდან 1814 წლის 6 ივლისამდე იგი ევროპაში ლაშქრობის მონაწილეა — რუსეთის პირველი არმიის რიგებში, რომელსაც ბარკლაი დე ტოლი მეთაურობდა. იგი მონაწილეობდა 1813 წლის 2 ოქტომბერს საკავალერიო ბრძოლებში მტერთან საქსონიაში; 4 — 6 ოქტომბერს გენერალურ ბრძოლაში ლაიფციგთან; 9 — 10 ნოემბერს კაზენსკის — დეფილესთან; 1814 წლის 20 იანვარს ბრიენთან, 21 იანვარს საფრანგეთში — ვერსგერთან, 3 მარტს არსიო-სიურ-ობერთან, ხოლო 13 მარტს პარიზთან, რის შემდეგ მოკავშირეების ჯარებთან ერთად იგი საფრანგეთის დედაქალაქში შედის. შემოადინიშნულ ბრძოლებში მამაცმა ოფიცერმა შემდეგი ჯილდოები დაიმსახურა:

ანას მეორე ხარისხის ორდენი, პრუსიის პურლემერიტი, ოქროს ხმალი წარწერით „მამაცობისათვის“ და საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი.

20 წლის ახალგაზრდა პოეტი და მეომარი ისე კარგად ფლობდა ფრანგულ ენას, როგორც მშობლიურს. პარიზში იგი ესწრებოდა სპექტაკლებს და კონცერტებს, ხშირი სტუმარი იყო სხვადასხვა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებისა, აღფრთოვანებული იყო ლუვრისა და ვერსალის მუზეუმებით. მან იცოდა, რომ აქ, ვერსალში, მისი თანამემამულე სულხან-საბა ორბელიანი ჯერ კიდევ თითქმის საუკუნის წინ საფრანგეთის იმპერატორს ევედრებოდა დახმარება აღმოეჩინა საქართველოსათვის.

პარიზში ახალგაზრდა ოფიცერმა საკმაოდ კარგა ხანს დაჰყო, ამ დროს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ეს დარჩა მისთვის პრაქტიკულ საგანმანათლებლო სკოლად.

1817 წელს პოლკოვნიკის ჩინით ალექსანდრე კავკასიაში დაბრუნდა. ბარკლაი დე ტოლიმ ალექსანდრე საუკეთესოდ დაახასიათა პაულუჩისადმი წერილში: „ახლა ვალდებულად ვთვლი თავს უდრმესი მაღლობა მოვახსენოთ თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩემთან გამოგზავნის გამო. მე მასში ვპოვე ენერგიული და სამსახურისადმი ერთგული ოფიცერი. იგი უკვე დაჯილდოვებული ლაიფციგის ბრძოლისათვის წმ. ანას მეორე კლასის ორდენით; თქვენს მხრივ რა განკარგულებაა გაცემული წმინდა ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენით მისი დაჯილდოების შესახებ?“.

პარიზიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე საქართველოში ჩამოდის, აქ იგი სამსახურს განაგრძობს ადგილობრივ კორპუსში ლეიბ პლსართა პოლკში. ამიერიდან იგი რუსეთს არ სტუმრებია.

1817 წელს პოლკოვნიკი ალექსანდრე ჭავჭავაძე ნიჟეგოროდის პოლკში გადაიყვანეს, რომელიც მის მშობლიურ კახეთში, წინანდლის ახლოს იდგა. აქ იგი უშუალოდ ხელმძღვანელობს თავის მეურნეობასაც. პოეტი და ოფიცერი ხომ ცნობილი მემამულეც იყო. მისი მამული თელავისა და სიღნაღის მაზრებში იყო გადაჭიმული.

კარგი მოსავლის დროს იგი 30 ათას თუნგ ღვინოს ამზადებდა (სამი თუნგი უდრიდა ერთ ვედროს). მისი ღვინოები ევროპაშიც სახელგანთქმული ყოფილა. მისი 1500 გლეხი ამენებდა თუთის ხეს და მეაბრეშუმეობას წარმატებით მისდევდა.



პოეტის მეურნეობა განცვიფრებას იწვევდა თანამედროვეთა შორის. 1820 წ. ზაფხულში პოეტს კახეთში ეწვია საფრანგეთის კონსული გამბა. მუკუხანში მას უნახავს რამდენიმე გლეხი, რომლებიც მამულქებად ყოფილიყვნენ იმ დროს, როდესაც ნაპოლეონმა ეგვიპტეში ილაშქრა. ფრანგებს ტყვედ ჩავარდნიათ ისინი. ერთხანს საფრანგეთში უცხოვრიათ, ხოლო შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ. კახელ გლეხთა თავგადასავლის თხრობა დიდი ინტერესით მოუსმენია გამბას მის მშობლიურ ენაზე.

საყურადღებოა, რომ ალექსანდრეს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა გლეხობასთან. ერთ-ერთი გლეხისათვის გრიგოლ მაისურაძისათვის მას მხატვრობისადმი ინტერესი შეუმჩნევია და იგი პეტერბურგში სამხატვრო აკადემიაში გაუგზავნია თავისი ხარჯით.

1822 წლის 18 თებერვალს ალექსანდრე ჭავჭავაძე ნიყეგოროდის პოლკის მეთაურად დაინიშნა, ხოლო 1823 წლის აპრილში გენერალ ერმოლოვთან საგანგებო დავალებათა შემსრულებლად. 1826 წელს მას გენერალ-მაიორის ხარისხი უბოძეს.

იმავე წლის ზაფხულში საქართველოში ჩამოვიდა დიდი რუსი მწერალი ა. გრიბოედოვი. მან შეიყვარა საქართველო, მისი ლამაზი ბუნება და ხალხი. იგი დაუმეგობრდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს. მისი ხშირი სტუმარი იყო და ბევრი საერთო აღმოაჩინდათ ორი მოძმე ერის საუკეთესო შვილებს.

იმავე წლის ზაფხულში ა. გრიბოედოვი ალექსანდრე ჭავჭავაძეს ესტუმრა თბილისში, სადაც შეხვდა მის ულამაზეს ასულს ნინოს; 15 წლის გოგონა შეუყვარდა და იმავე წელს ჯვარი დაიწერა მასზე. დაქორწინებიდან ერთი კვირის შემდეგ ა. გრიბოედოვი მეუღლითურთ და თავისი ამალით სპარსეთისაკენ გაემგზავრა.

1827 წლის 8 მარტს ალექსანდრე დანიშნეს ულანთა მეორე დივიზიის პირველი ბრიგადის მეთაურად. ამ ბრიგადით მონაწილეობდა იგი 1826—1828 წლების რუსეთ-ირანის ომში. ამ დროს იგი გენერალ ერისთავის რაზმში იყო. იბრძოდა ნახიჩევანთან, ჯულფასთან, ურდობათთან, მარანდათთან, თავრიზსა და ერევანთან. სპარსეთზე ლაშქრობის დროს გაიზარდა ალექსანდრეს ავტორიტეტი და პასკევიჩის არაერთი ქება-დიდება დაიმსახურა; მან ორჯერ უკუაჯღო ქურთების ცხენოსანი ჯარის შეტევა, შემდეგ კი

კონტრშეტევით გაფანტა და გაანადგურა იგი. თავი ისახელა ალექსანდრემ ურდობათის ექსპედიციისაში, ერუენის აღებისას კი პირველს მიჰქონდა იერიში მტერზე. გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის იგი დააჯილდოვეს წმინდა ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენით და ვერცხლს მემლით. სპარსეთთან ომი დამთავრებული არ იყო, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძე ახალშემოერთებული სომხეთის ოლქის უფროსად დაინიშნა. მას უხდებოდა ხალხის ცხოვრების ყოველგვარი საჭირბოროტო საკითხების მოგვარება.

რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომის დროს ალექსანდრემ მცირე — 2000-იანი რაზმით გაილაშქრა ბაიაზეთის სანჯაყზე, ბრძოლით აიღო ციხესიმაგრე, დაიკავა ქალაქები თოფარკალი, ხამური და დიადინი. ამ წარმატებებისათვის იგი წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს: ალექსანდრეს გმირობა და მამაცობა პასკევიჩმა სპეციალური ბრძანებით აცნობა მთელი საქართველოს მოსახლეობას. ამ ომში ალექსანდრე ჭავჭავაძე უკვე საკმაოდ ცნობილი სარდალი გახდა. მის წარმატებებს პასკევიჩმა სხვა თვალთ შეხედა და ალექსანდრეც იძულებული იყო გადადგომა ეთხოვა, მაგრამ პეტერბურგი არ დათანხმდა. სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი პასკევიჩს სწერდა: „ხელმწიფე იმპერატორმა არ ინება ეს წარჩინებული გენერალი სამსახურს ჩამოაშოროს“.

1830—1832 წლებში ალექსანდრე ჭავჭავაძე სხვადასხვა სახის სამუშაოებზე გვხვდება. იგი კომისიას მეთაურობს, რომელიც ხეესურთა საჩივრებს არჩევდა; ხელმძღვანელობს ირანთან დარჩენილ რეპარაციების აღებას და ა. შ. სადაც კი მუშაობდა, იგი ყველგან დიდი პატივისცემითა და კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. ერთ-ერთ ოფიციალურ ბარათში მასზე წერდნენ: „აი, ადამიანი, რომელიც ცნობილია თავისი ენერგიით, რომელსაც ხალხი ენდობა და პატივს სცემს“.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ეპოქის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ეხმაურებოდა. ისეთი დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება, როგორიც ის იყო, არ შეიძლება როგორმე დაკავშირებული არ ყოფილიყო იროენულ-განმათავისუფლებელ მიქრობაშთან, კერძოდ 1832 წლის შეთქმულებასთან. მაგრამ პოეტისა და გენერლის მონაწილეობას შეთქმულებაში საიდუმლოდ ინახავდნენ. ეს ნათ-



ლად ჩანს შეთქმულების გახსნის შემდეგ მონაწილეთა დაკითხვა და
 დან. მაგრამ ისიც ირკვევა, რომ პოეტმა არა მარტო იცოდა შეთქ-
 მულების არსებობა, არამედ მისი მონაწილეც იყო.

ფაქტია, რომ სასამართლო ორგანოებმა ალექსანდრე დამნა-
 შავედ სცნეს და ტამბოვს გაისტუმრეს, სადაც ჯერ კიდევ 28 წლის
 წინათ იხდიდა სასჯელს კახეთის 1804 წლის აჯანყებაში მონაწი-
 ლეობისათვის.

სახელოვან პატრიოტსა და პოეტს მშობლიური ქვეყნის წარ-
 სული, აწმყო და მომავალი აწუხებდა, მისზე ფიქრობდა და მისთ-
 ვის იღვწოდა. ყოველივე ამის ნათელი დადასტურებაა ალექსანდრე
 ჭავჭავაძის ოფიციალური ისტორიოგრაფიული დოკუმენტი „საქა-
 რთველოს მოკლე ისტორიული ნარკვევები და მდგომარეობა 1801
 წლამდე“. ალექსანდრემ იგი მეფე ნიკოლოზს წარუდგინა მოხსენე-
 ბის სახით. ეს წერილი ალექსანდრეს დაუწერია 1837—1838 წლებ-
 ში. ნარკვევიდან ნათელი ხდება, რომ ავტორს კარგად სცოდნია
 საქართველოს ისტორია და მისი წყაროები. იგი თანაუგრძნობს
 საქართველოს რუსეთთან შეერთებას, ამ ოფიციალურ წერილში
 კი იგი დიდ პატრიოტად გვევლინება. „ახლანდელი საქართველოს
 მნახელი, — წერს იგი, — ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა
 ოდესღაც ჰყვოდა... მას, მსგავსად სხვა სახელმწიფოებისა, ჰქონ-
 და დიდება, ჰყავდა თავისი გმირები, მგოსნები და მწერლები“.

ნარკვევებში ალექსანდრე 1812 წლის აჯანყებასაც შეეხო. ამ
 აჯანყების მიზეზს იგი რუს მოხელეთა თვითნებობაში ხედავს, მაგ-
 რამ მგოსანი და მოღვაწე რუსეთთან ურთიერთობის წინააღმდეგი
 არ არის, იგი მოითხოვს მხოლოდ მოხელეთა თვითნებობის აღკვე-
 თას. ნარკვევებში ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართველი ხალხის ვაჭ-
 რობა-მრეწველობის განვითარების საქმესაც ეხება.

1838 წელს ალექსანდრე დაინიშნა ამიერკავკასიის მმართვე-
 ლობის საბჭოს წევრად. ამ დროს მის სახელთან დაკავშირებულია
 რიგი პროექტების შემუშავება; 40-იან წლებში მდგომარეობა გამ-
 წვავდა საქართველოში შემავალ მუსულმანურ პროვინციებში,
 აღალართა უფლებათა განსაზღვრისა და მათთვის საარსებო საშუა-
 ლეების გამონახვის გამო.

ამ მდგომარეობათა მოსაწესრიგებლად შეიქმნა სპეციალური
 კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ ალექსანდრე ჭავჭავაძე დაი-

ნიშნა. მას უდიდესი მუშაობა ჩაუტარებია ამ საქმეში, დაწვრილებით შეუსწავლია საქმის ვითარება და მოსაზრება მთავარმართველობის საბჭოს წარუდგინა ორი პროექტის სახით: 1. ალაღართა უფლებების შესახებ და 2. ალაღართა საარსებო საშუალებათა შესახებ. ამასთანავე, წარდგენილ იქნა საკითხის ირგვლივ განმარტებითი ბარათი და ალექსანდრე ჭავჭავაძის რამდენიმე პირადი მოსაზრება. ყველა ამ საბუთში ალექსანდრე ჭავჭავაძეს რიგი პროგრესული მოსაზრებები აქვს გატარებული. მან პირველმა წამოაყენა მოსაზრება შეეზღუდათ ალაღარებისათვის დასახლებული მამულების შეძენის უფლება. მან საჭიროდ სცნო ალაღარებისათვის სავალდებულო გაეხადათ ფიზიკური შრომა, სახელმწიფო და სამხედრო სამსახური. პროექტის მიხედვით ბეგარადვალდებულთა მდგომარეობაში უნდა გადაეყვანათ ყველა ის ალაღარი, რომელიც სამხედრო ან სახელმწიფო სამსახურზე უარს იტყოდა. ამავე დროს, ჭავჭავაძე ხაზს უსვამდა ალაღართა შორის საჭირო განათლებისა და, საერთოდ, ამიერკავკასიის მოსახლეობის სწავლა-აღზრდის საქმეს. მან პირველმა გამოთქვა აზრი თბილისში პრივილეგიურებულ წოდებათა შვილებისათვის კადეტთა კორპუსის გახსნის შესახებ.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, თითქმის განუწყვეტლივ, მეფის რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, მას არასოდეს არ დავიწყებია თავისი სამშობლოს ბედი; იგი იყო და დარჩა მშობლიური ხალხის დიდი პატრიოტი, ჭირ-ვარამის გულწრფელი თანამოზიარე, მისი თავგამოდებული მოსარჩლე. მან გაბედულად გაილაშქრა რუსი მოხელის, სენატორ განის წინააღმდეგ, როდესაც უკანასკნელმა ვახტანგ VI-ის კანონების აბუჩად აგდება სცადა. ყოფიანი შენიშნავს, რომ „გენერალ-ლეიტენანტ თავად ჭავჭავაძეს, რომელიც მაშინ სახელმწიფო საბჭოს ერთადერთი წევრი იყო საქართველოდან, მამაცობა გააჩნდა პროტესტი გამოეთქვა განის დადგენილებათა წინააღმდეგ და განემართებია ისტორიული და დოგმატური მნიშვნელობა ვახტანგის კოდექსების წიგნისა, რომელმაც განი და მისი თანამოაზრეები აიძულა ელიარებინათ, რომ მათ შეცდომა დაუშვეს“.

1842 წლის 4 ივლისს ალექსანდრე ჭავჭავაძეს გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი უბოძეს და ამიერკავკასიის საფოსტო ნაწილის



უფროსად დანიშნეს, ხოლო 1843 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა ქვეყნის ჩრდილო კავკასიაში და დიდოეთი დაიმორჩილა.

ამის შემდეგ ბრუნდება საქართველოში და მშვიდ ცხოვრებას განაგრძობს თავის სასახლეში.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ყოფილ მადათოვის მოედანზე ცხოვრობდა. შემდეგ ახალი ადგილი აურჩევია და 1832 წ. თავისი ცნობილი სახლის აშენება დაუწყია გოლოვინის ქუჩაზე. ეს ადგილი მაშინ ქალაქის გარეუბანი ყოფილა; სასახლის წინა ფსადი გოლოვინის ახლად გამართულ გამზირზე გამოდიოდა, უკანა კი შემდეგ საკომენდანტო (ახლა გრიბოედოვის) ქუჩაზე.

სახლი ორსართულიანი იყო, რომელიც 40-მდე ოთახს ითვლიდა. გოლოვინის მხრიდან მალაზიები და ღვინის საწყობი იყო, საცხოვრებელი ბინა კი დღევანდელი გრიბოედოვის ქუჩიდან. ორ სახლს შორის საუკეთესო მოწყობილი ეზო იყო, რომლის შუა ადგილას მთაწმინდიდან გამოყვანილი წყარო მოჩუხჩუხებდა. მისი ბინა პირველი ყოფილა საქართველოში, რომელიც ევროპულად იყო გამართული; ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე იყო გენერალ იოანე ორბელიანის ასული სალომე.

ალექსანდრეს სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდა. ნინო (1812—1857), რომელიც გრიბოედოვის მეუღლე იყო და 17 წლისა დაქვრივდა; ქმრის ანდერძის თანახმად ნინომ მეუღლის ნეშტი მთაწმინდას მიაბარა. ნინო აღარ გათხოვილა, თუმცა ხელის მთხოვნელი ბევრი ჰყავდა, გარდაიცვალა 1857 წ. სოფრით, მისი ნეშტიც მთაწმინდას მიაბარეს მეუღლის გვერდით.

ეკატერინე (1816—1882) მეუღლე იყო სამეგრელოს მთავარ დადიანისა. დაკრძალულია მარტვილში, მეუღლესთან.

დავითის (1818—1889) ოჯახი შამილის ნაიბებმა გაიტაცეს წინანდლიდან 1854 წ.

სოფიო (1833—1862) კავკასიის სასწავლო ოლქის ბარონ ნიკოლაის მეუღლე. ბარონი ნიკოლაი 1848 წლიდან მსახურობდა თბილისში კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად, შემდეგ 1852—1859 წლებში კავკასიის სამეურნეო ოლქის მზრუნველად. 1861 წ. გადავიდა კიევში და მოღვაწეობდა განათლების დარგში, სოფიო კიევში გარდაიცვალა და იქვე დაუსაფლავებიათ.

შემდეგ მეუღლეს ვიბორგში გადაუსვენებია, სადაც ბარონის საგვარეულო სასაფლაო იყო.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი ცნობილი იყო თბილისში. მის სახლში ყოველთვის იყო სტუმარი საქართველოს თუ რუსეთის სხვადასხვა მხრიდან და ხშირად სხვადასხვა სახის და ხასიათის შეკრებები ეწყობოდა. აქ იკრიბებოდნენ საქართველოსა და რუსეთის გამოჩენილი მწერლები და პოეტები, სამხედრო პირები თუ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები; ქართველი მწერლები და პოეტები აქ კითხულობდნენ ნაწარმოებებს. აქ იკრიბებოდნენ ულამაზესი ქართველი ქალები, რომლებშიც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ალექსანდრეს ქალიშვილები. აქ გაიცნო და დაუახლოვდა ეკატერინე მთავარ დავით დადიანს და 1839 წ. იქორწინა მასზე.

აქ იყრიდა თავს ქართველი არისტოკრატია, აქ ჩაიცივეს პირველად ევროპული მოდის ტანსაცმელი. აქ ხდებოდა სხვადასხვა სახის გაართობა. მეუწარგიას ცნობებით, აქ ჩაისახა ქართული თეატრის შექმნის იდეაც.

1846 წელს უეცრად გარდაიცვალა უდიდესი ქართველი მოჭირანახლე, პოეტი-რომანტიკოსი, სამშობლოს ღვინისა და ვარამის გამომხატველი რაინდი, საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ჭავჭავაძე. 5 ნოემბერს იგი ვორონცოვს უნდა გამოცხადებოდა; როდესაც ეტლით ეშვებოდა მისი სახელობის ქუჩაზე და გოლოვინის გამზირს უახლოვდებოდა, ვიღაცამ წყალი გადმოასხა ქუჩაში ზემო ბინიდან, ცხენები დააფრთხო, ალექსანდრეს მაზარის კალთა ეტლის ბორბლებში მოჰყვა, იგი გადმოვარდა ეტლიდან და იმავ დღეს გარდაიცვალა. იგი შუამთის მონასტრის საგვარეულო აკლამაში დაკრძალეს. სიძემ, დავით დადიანმა მას მარმარილოს ფეხალი დაუდგა.

1848 წელს ალექსანდრეს სასახლე მის ვაჟს დავითს გაუყიდა. თვით სასახლე აღარ შემორჩა, მაგრამ ქუჩა 1842 წლიდან ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელს ატარებს.



იასონ ჭავჭავაძე

XIX ს. პირველი ნახევრის გამოჩენილ ქართველ გენერალთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია გენერალ-მაიორ იასონ ივანეს ძე ჭავჭავაძეს.

ი. ჭავჭავაძე დაიბადა 1804 წელს სოფ. წინანდალში. იმ დროს კახეთში იდგა ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონი, რომლის თვალწინ გაიარა იასონის ბავშვობამ. ამ ლეგიონმა შთაუწერა მას და მის ძმებს — სპირიდონსა და რომანს სამხედრო სამსახურისადმი სიყვარული. ისინი სისტემატურად ხედავდნენ ლეგიონის წვრთნასა და მთელ მის მოუსვენარ ცხოვრებას, ხოლო ლეგიონის ოფიცრობა მათი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ძმები ჭავჭავაძეები რუსეთ-ირანის 1826—1827 და რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომების მონაწილენი იყვნენ. იასონი ნიჟეგოროდის იმ დრაგუნთა ლეგიონში მსახურობდა, რომელსაც მაშინ მეთაურობდა პო -

კოენიკი ივანე ანდრონიკაშვილი; ამ ლეგიონში დაიწყო იასონის მხედრული ცხოვრების გზა, აქვე მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა და ამ ლეგიონშივე დაასრულა სამხედრო მოღვაწეობა. ახალგაზრდა იასონმა პირველსავე ბრძოლებში ისახელა თავი. მამაცმა მებრძოლმა ადრევე მიიპყრო მეთაურთა ყურადღება. განსაკუთრებით სამახსოვრო იყო პირველი საბრძოლო ნათლობა — ბრძოლა ბაიბურთან 1829 წლის 27 სექტემბერს, როდესაც მოწინააღმდეგეთა არმიები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ განლაგდა. უცებ თურქთა მხრიდან ცხენზე მჯდომი ოფიცერი ნიჟეგოროდის ლეგიონისაკენ გამოქანდა, მიუახლოვდა რუსთა მწყობრს, გაისროლა დამბაჩა და უკანვე გაიქცა; თურქ ოფიცერს დაედევნა თეთრ ცხენზე მჯდომი იასონ ჭავჭავაძე. მებრძოლებმა დაინახეს, რომ იასონი უკან მობრუნებას არ ფიქრობდა და მის დასაცავად დაიძრა ოცეული, მას მიჰყვა ესკადრონი, ამ უკანასკნელს კი მთელი ლეგიონი და ასე აეწყო იერიში, რომელიც ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონის ისტორიაში შევიდა, როგორც ბრძოლის საგანგებო მაგალითი.

თურქი ოფიცერი თავის მწყობრს დაუბრუნდა, მასთან ერთად მოწინააღმდეგის განლაგებაში ნიჟეგოროდის ლეგიონი შეიჭრა, რომელსაც წინ მიუძღოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული, ხმაალმართული ესკადრონის მეთაური ი. ჭავჭავაძე. შერკინება ისეთი მოულოდნელი და მძაფრი აღმოჩნდა, რომ თურქებმა ბაიბურთი სასწრაფოდ დატოვეს. ამ ბრძოლას თვალყურს ადევნებდა კავკასიის კორპუსის სარდალი გენერალი პასკევიჩი, რომელიც აღფრთოვანებული დარჩა უცნობი ოფიცრის მამაცური მოქმედებით. ბრძოლის გმირს, ი. ჭავჭავაძეს უმაღლესი ჯილდო ელოდებოდა, მაგრამ მან იგი დაკარგა შემდეგი ვითარების გამო. ბაიბურთის აღების შემდეგ დრაგუნები სოფელში გაიფანტნენ, ეს მაშინ, როდესაც საჭირო იყო მოწინააღმდეგის დაუყოვნებლივ დადევნება და მისი საბოლოო განადგურება. ლეგიონის მეთაურმა ი. ანდრონიკაშვილმა ი. ჭავჭავაძეს დაავალა სწრაფად შეეკრიბა მებრძოლები და დასწეოდა მას. ის იყო მან დავალება შეასრულა, როდესაც გრენადერთა ბრიგადა და მისი მეთაური გენერალი ნ. მურავიოვი შეხვდა (შემდგომ, 1855 წელს კავკასიის კორპუსის სარდალი). გენერალმა ი. ჭავჭავაძეს უბრძანა ესკადრონით მის ბრიგადას

შეერთებოდა. მაგრამ ახალგაზრდა ოფიცერმა უარი განუცხადა და მოახსენა თავისი მეთაურის დავალება, დასწეოდა ნიჟნეგოროდის ლეგიონს. ბრძანების უგულვებელყოფა პატივმოყვარე გენერალმა შეურაცხყოფად მიიღო და ლანძღვის შემდეგ სასტიკად დაემუქრა იასონს. უკანასკნელმა ხმალს სტაცა ხელი და გენერალიც გასცილდა. ეს ფაქტი მურავიოვმა მთავარსარდალს მოახსენა და მოითხოვა ი. ჭავჭავაძის საველე სასამართლოსადმი გადაცემა.

მეორე დღეს პასკევიჩმა ნიჟნეგოროდის ლეგიონი დაათვალიერა, შემოუთარა ესკადრონს, მადლობა განუცხადა ბაიბურთის იერიშისათვის და დასძინა: „ასეთი იერიში ჩემი საბრძოლო სამსახურის მთელ მანძილზე არ მინახავს“.

მთავარსარდალი გადაეხვია ლეგიონის მეთაურს პოლკოვნიკ ივანე ანდრონიკაშვილს და სთხოვა მისთვის ეჩვენებინა თეთრ ცხენზე მჯდომარე ის ოფიცერი, რომელიც წინა დღით ასე მამაცურად გაუძღვა იერიშს. პასკევიჩს წარუდგინეს ი. ჭავჭავაძე. გენერალმა მაშინ იკითხა, ეს ის ჭავჭავაძე ხომ არ იყო, რომელსაც მურავიოვი უჩიოდაო. როდესაც დასტური მიიღო, პასკევიჩმა იასონს განუცხადა: „იცი თუ არა, ახალგაზრდავ, რომ გენერლის ბრძანების შეუსრულებლობისათვის დახვრეტა გემუქრებათ. გუშინ თქვენ ასჯერ დაიმსახურეთ გიორგის ჯვარი, მაგრამ თქვენ მას ეღარ მიიღებთ“.

მამაცობის თაყვანისმცემელმა სარდალმა გმირი ჯილდოზე არ წარადგინა, მაგრამ დასასჯელადაც არ გაიმეტა. ამას ხელი შეუწყობ იმ გარემოებამაც, რომ მურავიოვსა და პასკევიჩს შორის გარკვეული უთანხმოება იყო და პატივმოყვარე გენერლის სასიამოვნოდ იშვიათი მამაცობის ავტორი აღარ გასწირა. მურავიოვმა კი ეს შეურაცხყოფად მიიღო და კავკასია დატოვა.

1846 წელს ნიჟნეგოროდის ლეგიონი ჩრდილო კავკასიაში გადაიყვანეს. 1849 წელს სათავეში ჩაუყენეს უკვე საკმაოდ ცნობილი და დამსახურებული გენერალ-მაიორის ჩინში ამალღებული იასონ ჭავჭავაძე.

1853 წელს თურქეთთან ომის მოახლოებასთან დაკავშირებით ნიჟნეგოროდის ლეგიონი მცირე აზიის ბრძოლის ასპარეზსა-კენ დაიძრა. გამგზავრების წინ ლეგიონის მეთაურმა ი. ჭავჭავაძემ ლაზარეთი შემოიარა და აუადმყოფ ჯარისკაცებს მიმართა: „ბიჭე-

ბო, ჩვენ სალაშქროდ მივიღივართ, დიდი ცოდვა ჩამოვრჩეთ წმინდა ნიშნებს, რას იტყვიან თუ ჩვენ, ნიყეგოროდლები, არასრული რიგებით გამოვცხადდებით“, „მოვიღივართ, ყველა მოვიღივართ. თქვენო ბრწყინვალეობა“, — პასუხობდნენ ავაღმყოფები. პოსპიტალი იმავე დღესვე დაიცალა. ლეგიონი თბილისისაკენ დაიძრა. მას წინ მოუძლოდა სახელოვანი მეთაური, ხოლო შემდეგ კი მოდიოდა ეტლი, რომელშიც ისხდნენ ჭრილობამოუშუშებელი ახალგაზრდა პორუჩიკები ზ. ჭავჭავაძე და ი. ამილახვარი.

1853 წლის 20 ოქტომბერს ნიყეგოროდის ლეგიონი უკვე თბილისს უახლოვდებოდა. ქალაქი ზეიმით შეხვდა ლეგიონს და ნადიმი გაუმართა. აქედან ლეგიონი ალექსანდროპოლში ჩავიდა და გენერალ ბებუთოვის განკარგულებაში შევიდა.

ბრძოლას ამ ასპარეზზე, სუბოთანთან, თავი მოეყარა 40000-იან თურქთა არმიას, რომელსაც აბდი ფაშა მეთაურობდა. თურქეთის კავალერია რიგ ადგილებში ამიერკავკასიის საზღვრებშიც შემოიჭრა და ქრისტიანებით დასახლებულ სოფლებს ანადგურებდა. სომეხი მოსახლეობის ნაწილი გაჟლიტეს, ნაწილმა კი რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიას შეაფარა თავი.

1853 წლის 14 ნოემბერს მოქმედი კორპუსის ძალებმა მდ. არფაჩი გადალახეს; მარცხენა ფლანგზე უტევდა კავალერიის გენერალ ბოგოუთოვის, ხოლო მარჯვენა მხარეს ი. ჭავჭავაძის ნიყეგოროდის ლეგიონები. შეტევა 11 საათზე დაიწყო ბაშკადიკლართან. ბებუთოვის კორპუსი 10000-მდე მეომარს ითვლიდა, მოწინააღმდეგე კი 40000 აღემატებოდა, მას ახმედ ფაშა მეთაურობდა. მტერი არტილერიითაც ჭარბობდა და უკეთესი პოზიცია ეკავა. მაგრამ ვერავითარმა უპირატესობამ ვერ მოუტანა წარმატება თურქთა ჯარს. მოწინააღმდეგის ცენტრზე იერიში მიიტანა ბაიანდურის გმირმა ი. ორბელიანმა.

ბრძოლის დროს აღმოჩნდა, რომ მარცხნივ, მდინარის გაღმით ხეობაში, 24-ქვემეხიანი თურქთა ორი ბატარეა განლაგებულიყო და ფლანგიდან ურტყამდა მოიერიშე რუსეთის რაზმს, წინსვლა შეუძლებელი იყო. ამ დროს კი ი. ბაგრატიონ-მუხრანელის და ი. ორბელიანის ქვეითი ლეგიონები ცენტრს უტევდნენ. მათი სწრაფი იერიშით თურქთა ქვემეხები რუსთა ხელში აღმოჩნდა. მაგრამ როდესაც მეორე ბატარეაზე იერიში მიჰქონდათ, გააფთრებული

ბრძოლის დროს შეუპოვარი გენერალი ი. ორბელიანი სასიკვდილოდ დაიჭრა, თურქთა რიგები კი დამხმარე ძალებით იზრდებოდა. შეიქმნა ბრძოლის კრიტიკული მომენტი. ამ დროს თურქთა განლაგების ზურგში ნიჟევგოროდელთა ლეგიონმა ბრძოლის მსვლელობა შეცვალა. მას წინ მე-7 ესკადრონი მიუძღოდა, რომელსაც ზ. ჭავჭავაძე მეთაურობდა. ორმხრივ ცეცხლში მოხვედრილ თურქთა განლაგება აირია, მოწინააღმდეგემ უკან დახევა იწყო. გამარჯვება შორს არ იყო, რომ კაპიტანი ზ. ჭავჭავაძე და მისი ორდინარეცი სლეპუენიკოვი მოწინააღმდეგის ბატალიონის ალყაში არ მოხვედრილიყვნენ. მაგრამ მათ მიეგება მამაცი ი. ამილახვარი, რომელმაც თავისი მცირერიცხოვანი მებრძოლებით ხმლით გაიკაფა გზა და მეგობრები იხსნა. ამ დროს კი თურქთა ცენტრი და მარცხენა მხარე განადგურებული იყო — მოწინააღმდეგე გარბოდა, ხოლო მარჯვენა მხარეს, სადაც ი. ჭავჭავაძე მოქმედებდა, თურქების დიდი ძალა აღმოჩნდა, იგი მეტი იყო რუსეთის მთელ კორპუსზე და, მათ რომ საშუალება მისცემოდათ რუსთა ზურგში გაჭრილიყვნენ, ბრძოლის ბედი სულ სხვაგვარად წარიმართებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქები დიდად სჭარბობდნენ ი. ჭავჭავაძის კავალერისტებს, ნიჟიერმა მეთაურმა მომენტი შეარჩია დარტყმისათვის — როდესაც მოწინააღმდეგე ხეობას გადმოდიოდა და არ შეეძლო მთელი ძალებით ბრძოლაში ჩაბმა და დამარცხებაც ავემა.

ხეობას იქით უკუვადებული თურქები 5-ჯერ შეეცადნენ კონტრიერიზზე გადასულიყვნენ, მაგრამ ამაოდ. როგორც სათანადო ლიტერატურაშია აღნიშნული, ბაშკადიკლარის ბრძოლა თავის ბრწყინვალე დასასრულს ი. ჭავჭავაძის ნიჟევგოროდის ლეგიონს უნდა უმადლოდეს. ბრძოლის დამთავრების შემდეგ ბაშკადიკლარიდან სუბოთანამდე მტერს სდევნიდნენ ნიჟევგოროდელი დრაგუნები.

ამ ბრძოლაში გენერალ ი. ჭავჭავაძის უდიდეს დამსახურებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი წმინდა გიორგის პირველი კლასის ორდენის ღირსად სცნეს. ეს ჯილდო ლეგიონის მეთაურთათვის ჩვეულებრივ გათვალისწინებული არ იყო, ამით მხოლოდ უმაღლეს სარდლობას აჯილდოებდნენ.

1854 წლის 4 ივლისს გურიის რაზმმა, რომელსაც მამაცი გე-

ნერალი ი. ანდრონიკაშვილი მეთაურობდა, სელიმ ფაშას ბათუმის კორპუსი გაანადგურა ჩოლოქთან, ხოლო 20 დღის შემდეგ ბებუ-თოვმა ახალი ბრწყინვალე გამარჯვება იხეიმა ანატოლიის მთავარ ძალებზე სოფ. ქიურუქდარასთან. ამ ბრძოლაში თავი ისახელა ი. ჭავჭავაძემ თავისი ნიჟეგოროდის ლეგიონით. მისმა გამბედაობამ, დარტყმის მომენტის დროულად შერჩევამ დიდი როლი შეასრულა ბრძოლის წარმატებით დამთავრებაში.

ბრძოლის ერთ მომენტში მოწინააღმდეგე ცდილობდა რუსთა კორპუსის ზურგში გაჭრას. ეს მოხდა ი. ჭავჭავაძის ლეგიონის განლაგებაში. მიუხედავად იმისა, რომ ნიჟეგოროდელები მცირერიცხოვანი იყვნენ მოწინააღმდეგესთან შედარებით, ისინი მამაცურად ეკვეთნენ მტერს, შეაჩერეს და შემდეგ უკუაგდეს იგი. დაუვიწყარი იყო იასონის მაღალი ტანი, „ყელზე გიორგის ჯვრით, იგი თუჯისაგან ჩამოსხმულ ქანდაკებას მოგაგონებდათ“. იასონი დარწმუნებული იყო წარმატებაში. შეუერთია რა მომენტი მტერს, დაუყოვნებლივ იერიში მიიტანა და ექვსი ქვემეხი გამოგლიჯა ხელიდან. თურქეთის ჯარი გათიშული აღმოჩნდა და მოწინააღმდეგე ქიურუქდარას ველზე გაიქცა. ვ. პოტოს სიტყვებით, ეს იყო ისეთი გმირობა, რომელიც გაოცებას იწვევდა თანამედროვეთა შორის. ი. ჭავჭავაძე ბრძოლის მთელ მომენტში ცეცხლის ქვეშ იყო, მაგრამ იერიშს მშვიდად ხელმძღვანელობდა; იგივე ვ. პოტო შენიშნავს, რომ მხოლოდ ჭავჭავაძის რკინისებრი ნებისყოფის მეთაურებს შეეძლოთ პირადი მაგალითით ბრძოლის ასეთი ენთუზიაზმი შეექმნათ. თავადი ჭავჭავაძე ნაცრისფერ ცხენზე ხმალამოწედილიმტრის შუა გულში ტრიალებდა, მის გვერდით სასიკვდილოდ დაეცნენ ოფიცრები და რიგითი მეზრძოლები, პირადად მას ორჯერ მოუკლეს ცხენი, ხოლო როდესაც მესამეზე ჯდებოდა, თვით დაჭრეს ზურგში, მაგრამ ბრძოლა დამთავრებამდე არ მიუტოვებია. ქიურუქდარას ბრძოლამ ფენერალ ი. ჭავჭავაძეს წმინდა სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენი მოუტანა.

ამ ოპერაციის შემდეგ კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე დროებით სიწყნარე ჩამოვარდა, ჯარები დასასვენებლად და შესავსებად სხვადასხვა ადგილას დაბანაკდნენ, ნიჟეგოროდის ლეგიონი განჯის მახლობლად განლაგდა.

• 1855 წლის დასაწყისში კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად



მურავიოვი დაინიშნა. მურავიოვსა და ი. ჭავჭავაძეს შორის უთანხმოება ჩმოება ჯერ კიდევ 1829 წელს ჩამოვარდა ბაიბურთის აღებისას. ეს მომენტი ახსოვდა გენერალს და გადაწყვიტა ი. ჭავჭავაძის მოცილება ლეგიონის მეთაურობიდან. საჭირო იყო საბაზი. მურავიოვმა გადაწყვიტა ნიჟეგოროდის ლეგიონის დათვალიერება, მაგრამ ჭავჭავაძისათვის ოფიციალურად არ უცნობებია, თუ როდის და სად მოხდებოდა ეს. იასონმა საპატიო ყარაული მოამზადა საჯაროდ აღვილთან. მართლაც მურავიოვმა იქ ჩაიარა, მაგრამ არ შეჩერდა და მახლობლად მდებარე მალაკანთა სოფელში, გლეხის სახლში გაჩერდა. ი. ჭავჭავაძე თან გაჰყვა; მურავიოვმა მიიღო იგი, მაგრამ გენერალი ყველაფერზე უსაფუძვლოდ მიზეზობდა და საყვედურობდა. მურავიოვმა განუცხადა, რომ ახლა, მშვიდობის დროს, როცა არ იცის ლეგიონის მეთაურმა როდის მოვა მთავარსარდალი მასთან, რას იზამს იგი ომის დროს? იასონიც არ დაიბნა და უპასუხა: „ომი ორი წელია მიმდინარეობს და თუ რა გააკეთეს ნიჟეგოროდელებმა ბაშკადიკლარასა და ქიურუქდარასთან, შეგიძლიათ ალექსანდრებოლში გაიგოთ თქვენი წინამორბედისაგან“. ამ დროს გიორგის ჯვარიც შეისწორა და მურავიოვმაც ლაპარაკის ტონი შეცვალა. მეორე დღეს ლეგიონის დათვალიერება გადაწყდა. მურავიოვი კვლავ მიზეზობდა, რომ ჭავჭავაძეს საპარადო ფორმა არ ეცვა, რომ ულყაზე იჯდა და ა. შ. მიუხედავად ამისა, დათვალიერება მშვიდად დამთავრდა. მურავიოვმა იგივე სცენა გაიმეორა მოქმედი კორპუსის დათვალიერებისას ალექსანდრებოლში. ჯარი აქ ბებუთოვმა წარუდგინა. მთავარსარდალი ლეგიონთა მწყობრებს უვლიდა და ესალმებოდა მათ, მაგრამ ნიჟეგოროდელთა ლეგიონს ჩუმად ჩაუარა. გენერალი ჭავჭავაძე დაუყოვნებლივ მივიდა გაერთიანებულ დივიზიის მეთაურთან გენერალ ნიროდთან და საყვედურის ტონით უთხრა: „გრავო, ახლა საცერემონიო სვლა დაიწყება, მე ლეგიონს ადგილიდან არ დავტრავ, ვიდრე მთავარსარდალი მას არ მიესალმება“. ნიროდის რჩევა-დარიგება უშედეგო იყო. იასონი მხოლოდ ერთს იმეორებდა, რომ ლეგიონის ღირსებას და დიდებას იცავს, რომ სამსახურებრივ კარიერაზე არ ფიქრობს და ვალდებულად თვლის თავს, რომ მისი მეზობლები დაიცვას შეურაცხყოფისაგან, რომელიც მათ მთელი კორპუსის წინაშე მიაცენეს. ნიროდი იძულებული იყო მდგომარეობა ბებუთოვი-

სათვის მოეხსენებინა, უკანასკნელიც დიდხანს ემუდარებოდა იასონს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს იძულებული გახდა ვითარება თვით მურავიოვისათვის ეცნობებინა. ორივენი სასწრაფოდ ჩასხდნენ ეტლში, ნიყეგოროდის ლეგიონის წინ მოვიდნენ დამთავრსარდალი უხალისოდ მისვალმა მათ, ბოლოს ი. ჭავჭავაძეს მიმართა: „ახლა თქვენ კმაყოფილი ხართ?“ დამშვიდებულმა ლეგიონის მეთაურმა ხმალი ჩუმად ჩაუშვა ქარქაშში და თავი დახარა. მართალია, ახლა იასონი გამოვიდა გამარჯვებული, მაგრამ ბუნებრივი იყო, პატივმოყვარე სარდალი ამ ფაქტს არ დაივიწყებდა.

მაისში ლეგიონი კვლავ ბრძოლის ველზე დაიძრა, ყარსი ალყაში მოაქციეს. ნიყეგოროდის ლეგიონი იმიერსოღანულს მოქმედებდა. აქ ი. ჭავჭავაძის მაგიერ ლეგიონის მეთაურად დუნდუკოვკორსაკოვი დაინიშნა.

ი. ჭავჭავაძე მურავიოვმა რუსეთში გადასაყვანად წარადგინა და თანაც შემდეგნაირად ახასიათებდა მას: „ლეგიონის ახლანდელ მეთაურს გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძეს წარმატებით შეუძლია ბრიგადის მეთაურის ადგილი დაიკავოს რუსეთში“.

ი. ჭავჭავაძემ დატოვა თავისი საყვარელი ნიყეგოროდის ლეგიონი, ნიყეგოროდელებმაც გულთბილად გააცილეს სახელოვანი და ნაცადი მეთაური. მის ხელში მოიპოვა ლეგიონმა წმინდა გიორგის ნიშნები დროშებზე, ვერცხლის სტივორები და ოქროს დუგმები. „ამ საპატიო შენაძენებით თავად ჭავჭავაძის სახელი სამუდამოდ დარჩა ლეგიონის ისტორიაში“.

გენერალი ი. ჭავჭავაძე რუსეთში გადასვლის მაგიერ, 30 წლის სამხედრო სამსახურის შემდეგ, გადადგა. იგი დაუბრუნდა მშობლიურ სოფ. წინანდალს და 1857 წელს იქვე გარდაიცვალა. იგი ქ. თბილისში, ქაშვეთის ეკლესიაში დაკრძალეს.



ზაქარია ჭავჭავაძე

XIX ს. პირველი ნახევრის რუსეთის სამხედრო მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილი უკავიათ ისეთ სახელმწიფო გენერლებს, როგორც იყვნენ პავლე ციციშვილი, პეტრე ბაგრატიონი, ალექსანდრე და იასონ ჭავჭავაძეები და ივანე ანდრონიკაშვილი. XIX ს. მეორე ნახევრის ისტორიას კი ამშვენებენ არჩილ და ზაქარია ჭავჭავაძეები, ივანე ამილახვარი, კონსტანტინე მამაცაშვილი და ა. შ.

ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძე დაიბადა 1825 წლის 25 ოქტომბერს სოფ. წინანდალში. მასზე უდიდესი გავლენა იქონია ნიჟეგოროდის ლევიონმა, რომელიც იმ დროს კახეთში იდგა და რომლის ოფიცრობა ჭავჭავაძეების ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ამიტომაც, ოჯახში მცირე განათლების მიღების შემდეგ, 12 წლის ზაქარია შეიყვანეს სამხედრო სკოლაში, რომელიც ნიჟეგოროდის

დრაგუნთა ლეგიონთან არსებობდა ყარაღაჯში. ასეთი სკოლები სხვა ლეგიონებთანაც ყოფილა, მაგრამ იქ მხოლოდ წერა-კითხვას ასწავლიდნენ, ეს სკოლა კი კადეტთა კორპუსის მსგავსი იყო, ე. ი. აქ იზრდებოდნენ მომავალი ოფიცრები და ისეთ განათლებას ღებულობდნენ, რომ მსურველს შემდეგ უმადლეს სასწავლებელშიც შეეძლო სწავლის გაგრძელება. ეს სკოლა აახლოებდა ქართველ და რუს ახალგაზრდობას, მეგობრობას ნერგავდა მათ შორის, ამ მხრივ იგი თითქმის პირველი დაწესებულებაა საქართველოში. ზ. ჭავჭავაძემ ბავშვობა ამ სკოლაში გაატარა და 17 წლის ახალგაზრდა ამავე ნიჟევროოდის ლეგიონში მოხალისედ ჩაირიცხა. დაიწყო მისი სამხედრო ცხოვრების სახელოვანი გზა, რომელმაც მას „კავკასიის გმირის“ სახელი მოუტანა.

პირველი საბრძოლო ნათლობა ზ. ჭავჭავაძემ 1845 წელს მიიღო ჩრდილო კავკასიაში და აქვე მიიღო პრაპორშჩიკის წოდებაც, მანვე თავი ისახელა სულაყის ხაზზე. დაღესტანი და ჩეჩნეთი გახდა მისი დიდების ასპარეზი. ამ ბრძოლებში გამოჩნდა იგი, როგორც შეუპოვარი და მამაცი ოფიცერი, წმინდა ანას მესამე და მეოთხე ხარისხის ორდენები — ბანტით, პორუჩიკობა, შტაბსკაპიტნობა და მაიორობა — აი ის, რაც მან კავკასიის მთიანეთში მძიმე ბრძოლებით მოიპოვა. იგი აქ გახდა ნიჟევროოდის ლეგიონის მე-4 დივიზიონის მე-7 ესკადრონის მეთაური. მისი უშუალო დამსახურებით დივიზიონმა თავისი უბრალო შტანდარტი გეორგიევსკის შტანდარტით შეცვალა. ეს მოხდა სოფ. ბასთან ბრძოლის შედეგად, სადაც ზაქარია ბრძანების გარეშე შეება მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს და სასტიკად გაანადგურა იგი.

განსაკუთრებით სამახსოვრო დარჩა ზაქარიასათვის შეტაკება სულაკთან — ქაირ ბეგის რაზმთან. მართალია, ქაირ ბეგი დაიღუპა და მისი რაზმი განადგურებული აღმოჩნდა, მაგრამ ზაქარია შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. მოწინააღმდეგის მოქნეული ხმალი ზაქარიას მოხვდა მხარზე, სადაც რკინის ეპოლეტებმა შეაჩერა და მცირე ჭრილობით გადარჩა; ამავე ბრძოლაში იგი ტყვიით დაიჭრა ყელში და ბოლოს კი მორიგმა ტყვიამ მარჯვენა ხელის მტევანი დაუმსხვრია. მტრის გარემოცვაში მოხვედრილი დაღუპვისაგან ახალგაზრდა მეომარმა და მეგობარმა ივანე ამილახვარმა იხსნა. ისიც ამ ბრძოლაში დაჭრეს. ეს უკანასკნელი იგონებს, რომ ზაქა-



რია ჭავჭავაძე შეიჭრა მოწინააღმდეგის განლაგებაში. „ეხვედრებოდა თუ როგორ იბრძოდა ალყაშემორტყმული და მის თავზე მოთათა-სობით ხმალი ბრწყინავდა“ .

მიმედ დაჭრილი ქართველი ოფიცერი მთარჩინა ადვილობ-რივმა მკურნალმა უსტრახანმა და სულ მალე იგი საბრძოლველად გაემართა.

1853 წ. 30 ოქტომბერს ნიჟეგოროდის ლეგიონი ალექსანდრე-პოლში (ახლა ლენინაკანი) ჩავიდა და დასვენებაც ვერ მოასწრო, როდესაც ცნობა მოვიდა მზვერავი ასეულის დაღუპვის შესახებ. ამას მოჰყვა ბაიანდურის ბრძოლა. სადაც მცირერიცხოვანმა რაზმმა ილია ორბელიანის მეთაურობით უკუაგდო თურქეთის მთელი კორპუსი, ხოლო შემდეგ ბაშკადიკლართან — ბებუთოვის კორპუ-სის გამარჯვების მთავარი გმირი გახდა.

ბრძოლის კრიტიკულ მომენტში თურქთა განლაგების ზურგში მქუხარე „ვაშა“ გაისპოდა. ეს იყო ნიჟეგოროდის ლეგიონი. მის წინ მე-7 ესკადრონი მიდიოდა, რომელსაც ხელში ხმალამოწყვდილი ზ. ჭავჭავაძე მიუძღოდა, მისი რაზმი მამაცურად ეკვეთა მტერს.

ზ. ჭავჭავაძემ განსაკუთრებით ისახელა თავი ქიურუქ-დარას ბრძოლაში, რომელიც 1854 წ. 24 ივლისს გაჩაღდა ყარაღალის მთე-ბის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებზე. მოქმედი კორპუსის მეთა-ური გენერალი ბებუთოვი აქ 18000 მეომრით იბრძოდა 60000 ოს-მალოს წინააღმდეგ. კრიტიკულ მომენტში, როცა დივიზიონის უფროსი დაიჭრა, ამ შენაერთის მეთაურობა ზ. ჭავჭავაძემ იკისრა.

სამჯერ მოუკლეს მას ცხენი, ხოლო შემდეგ თვით ზაქარიაც დაჭრეს, მაგრამ ბრძოლის ველი მას არ დაუტოვებია. აქ, ბრძო-ლის ერთ მონაკვეთზე, ნიჟეგოროდელები იძულებული იყვნენ დროებით უკან დაეხიათ. ნეიტრალურ ზონაში რუსთა ქვემეხები დარჩა. თურქი ოფიცერი ხმალამოღებული მიუძღოდა მეზრძო-ლებს, რათა ქვემეხები გაეტაცა. „ბატონებო, იხსენით ქვემეხები“, — გაისმა ზ. ჭავჭავაძის მქუხარე ხმა და მეზრძოლები თურქებს ეკვეთ-ნენ. მათ წინ მიუძღოდა მოწინააღმდეგის და თავის სისხლში გასვრილი მეთაური — ზაქარია. რაზმმა დიდი დანაკლისი განიცა-და, მაგრამ მტერი უკუაგდო. ამ ბრძოლაში მტერმა დაკარგა 7 000 მეზრძოლი 15 ქვემეხით. ეს იყო მოულოდნელი, წინასწარი დაგეგ-მვის გარეშე მომხდარი ბრძოლა, აქ არ იყო დახმარების იმედი,

არ იყო რეზერვი — მოქმედებდა რაზმის მთელი ძალა. ამ ბრძოლაში მთავარი როლი ნიყეგოროდის ლეგიონმა შეასრულა, ხოლო ამ უკანასკნელიდან მე-7 ესკადრონი განირჩეოდა, რომელსაც ზ. ჭავჭავაძე მეთაურობდა.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ ზ. ჭავჭავაძე ჯერ დაღესტნის რეგულარულ, შემდეგ კი ტვერის დრაგუნთა ლეგიონს მეთაურობს. ამ დროს იგი მუდმივად მონაწილეობს ექსპედიციებში ჩრდილო კავკასიაში. მონაწილეა შამილის უკანასკნელი რეზიდენტის გუნდზე იერიშისა და ლაშქრობებისა კავკასიის ომის დამთავრებამდე, რაც 1864 წელს დასრულდა. ამ ბრძოლებში მამაცობისა და მხედრული გამჭრიახობისათვის ზაქარაიას პოლკოვნიკის წოდებას ანიჭებენ და აჯილდოებენ სტანისლავის და ანას მეორე ხარისხის ორდენებით გვირგვინითა და ხმლებით, ვლადიმერის მეოთხე კლასის ორდენით, მესამე კლასის ორდენით, ხმლით და ოქროს ხანჯლით წარწერით „მამაცობისათვის“. თვით ლეგიონი კი, რომელსაც ზ. ჭავჭავაძე მეთაურობს, ჯილდოვდება ნიშნებით და თულუღებით წარწერით „კავკასიის ომში წარჩინებისათვის“. ზ. ჭავჭავაძე მუდმივად ჩაირიცხა ტვერის ლეგიონის სიაში, სიკვდილამდე ატარებს ამ ლეგიონის ფორმას. მასვე მიენიჭა დაღესტანის რეგულარული ცხენოსანი ლეგიონის მუნდირი.

1871 წელს ზ. ჭავჭავაძეს გენერალ-მაიორის ხარისხი მიენიჭა და დაინიშნა კავკასიის, კავალერიის დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაურად.

1877 — 1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დასაწყისიდან გენერალი ზ. ჭავჭავაძე მოქმედი კორპუსის მთავარი ძალების კავალერიის მეთაურია. ოსმალეთის საზღვრებზე გადასვლის პირველი დღიდანვე — 24 აპრილიდან იგი ავანგარდში მოქმედებს და პირველივე ბრძოლებიდან საბრძოლო ოპერაციების დამთავრებამდე ამ ომის მონაწილეა.

ომის დასაწყისი რუსეთის იარაღის წარმატებით აღინიშნა. ძირითადი ძალები თითქმის უბრძოლველად გავიდა ყარსის რაიონში და ციხესიმაგრე ალყაში მოაქცია. ახალციხის რაზმმა აიღო არტანის, ხოლო ერევნის რაზმმა ბაიაზეთი და 200 კილომეტრით შეიჭრა თურქეთის სიღრმეში. ყარსის რაიონში ერთ-ერთი დაზვერვის დროს ზ. ჭავჭავაძემ მოწინააღმდეგის დაჯგუფება აღმოაჩინა,



რომელსაც ალყაში მყოფი ყარსის გარნიზონისადმი დახმარება უნდა. აქ მოხდა ბეგლი-ახმეტის დიდი საკავალერო ბრძოლა. მოწინააღმდეგის კავალერიას რუსეთის ყოფილი გენერალი მუსა ფაშა კუნდუხოვი მეთაურობდა. 28 მაისს ჭავჭავაძემ მოწინააღმდეგის ბანაკზე მოულოდნელი თავდასხმა გადაწყვიტა. კავალერია მან სამ რაზმად გაყო. თითოეულს კონკრეტული დავალება მისცა. საერთოდ კი ბრძოლას თვით ზაქარია მეთაურობდა და მისი ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. კავალერიის ბრძოლებში იგი იერიშის ორგანიზაციით, მოულოდნელობით და სიძლიერით ერთ-ერთ იშვიათ ბრძოლად მიაჩნიათ. მტერს ბრძოლის ველზე მიუტოვებია მთელი თავისი ალალი და დაჭრილები, მას საკმაოდ დიდი ხნით დაუტარგავს ბრძოლის უნარი. მორიგი დიდება ზ. ჭავჭავაძეს კიზილთაპასთან ბრძოლამ მოუტანა, სადაც იგი თავში დაჭრეს, ეს მისი მეექვსე ჭრილობა იყო.

1877 წ. ზაფხულში მდგომარეობა თურქთა სასარგებლოდ შეიცვალა. მათ ალყა შემოარტყეს ბაიაზეთს და ერევნის რაზმს უკანდასახევი გზა მოუჭრეს. ამოქმედდა ანატოლიის მუშირი მუხტარ ფაშაც. რუსთა კორპუსის მეთაურმა მ. ლორის მეღიქოვმა სპეციალური რაზმი გამოყო გენერალ გეიმანის მეთაურობით, რომელსაც ერევნის რაზმთან კავშირში მოქმედებით უნდა გაენადგურებინა თურქების საველე ძალები, რომლებიც ბრძოლისათვის ხელსაყრელ სიმაღლეზე გამაგრებულიყო. მაგრამ გენერალმა გეიმანმა აქ წინდაუხედაობა გამოიჩინა, მოწინააღმდეგის განლაგებისა და მისი მიდამოების წინასწარი შესწავლის გარეშე იერიში გადაწყვიტა. მტრის ზურგში სამოქმედოდ მან გენერალ ზ. ჭავჭავაძის კავალერია გაგზავნა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გზა კავალერიისათვის გაუვალი იყო, მით უმეტეს საომარი მოქმედების გაშლა. მიუხედავად იმისა, რომ ზ. ჭავჭავაძის კავალერია მაინც შევიდა მტრის ზურგში და შეუპოვარი იერიში მიიტანა მტერზე, ბრძოლა მაინც უშედეგოდ დამთავრდა. ამ მარცხმა კი განაპირობა ბრძოლის ამ ასპარეზზე საერთო თავდაცვაზე გადასვლა. მხოლოდ დამხმარე ძალების მოსვლის შემდეგ, ოქტომბერში გახდა შესაძლებელი შეტევაზე გადასვლა და მოწინააღმდეგის განადგურება ავღიარ-ალაჯის სიმაღლეებზე. ჭავჭავაძის კავალერიის აქტიური მოქმედების შედეგი იყო მუხტარ ფაშას საველე ჯარების დატყვე-

გება. გამარჯვებულს ჩაბარდა 8 ფაშა, 250 ოფიცერი და 16000 რიგითი მებრძოლი.

მორიგი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს ზ. ჭავჭავაძის კავალერისტებმა დევე-ბოინის სიმაღლეებზე და ყარსის იერიშის დროს. აქ ზაქარია ჭავჭავაძემ წმინდა გიორგის მესამე კლასის ორდენი დაიმსახურა და ამ ორდენის სამგზის კავალერი გახდა.

1878 წლის დასაწყისიდან, გენერალ გეიმანის გარდაცვალების შემდეგ, ზაქარია ჭავჭავაძე სოლანლუდის რაზმს მეთაურობს არზრუმთან. ამ დროს მიენიჭა მას გენერალ-ლეიტენანტის წოდება და წმინდა ანას, წმინდა გიორგის მესამე ხარისხის ორდენები ოქროს ხმლითა და ბრილიანტებით.

1877—1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ გენერალ-ლეიტენანტი ზ. ჭავჭავაძე კავკასიის კავალერიის დივიზიის მეთაურად დაინიშნა.

1885—1893 წლებში ზაქარია კავკასიის არმიის პირველ კორპუსს მეთაურობს. იმავე წელს მან ეს კორპუსი თავის მეგობარ ი. ამილახვარს გადააბარა და თვით თადარიგში გავიდა. ამასთან დაკავშირებით იმავე წელს მას თბილისში შეხვედრა მოუწყვეს. ზაქარიას შტაბის შენობასთან ი. ამილახვარი შეხვდა თავისი ამალით. ორკესტრმა ტვერის დრაგუნთა ლეგიონის მარში შეასრულა, რადგან ამ ლეგიონთან იყო მისი სახელი დაკავშირებული და მის მუნდირს ატარებდა. სადილი „საქალაქო კრების“ დარბაზში გაიმართა, თვით დარბაზის ცენტრში მას შეხვდა ჯარების მეთაური გენერალ-ადიუტანტი ს. შერემეტიევი და გენერალ-ადიუტანტი სვიატოპოლკმირსკი. ზ. ჭავჭავაძის პირველი სადღეგრძელო თვით შერემეტიევმა წარმოთქვა. „თქვენო ბრწყინვალეზავ თავადო ზაქარია გულბათის ძეგ, კავკასიის არმიის ჯარებმა, რომლის წმინდა დროშებზე კავკასიის წარსულია გამოხატული, თქვენი სახელი თავისი ისტორიის ფურცლებზე ჩასწერა, როგორც უკვდავი სიმამაცის და კავკასიის ბრძოლების ბრწყინვალე გამარჯვების განსახიერება“. მრავალი მესალმების შემდეგ თბილისის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. ერისტმა ბუხარის ემირ აბდულ ხანის სახელით ზაქარიას გადასცა ფირმანი და „ამომავალ მზის“ ორდენი ბრილიანტებით.

ბოლოს კი იუბილარმა განაცხადა: „როგორც ძნელი იყოს დავემშვიდობო კავკასიის არმიის ბრწყინვალე კორპუსს, მაინც ჭეშმარიტად კმაყოფილი ვარ, რადგან იგი თავად ამილახვარს გადავბარე. თავის დროზე ნიჟეგოროდის ლეგიონში მას ესკადრონი ჩავაბარე, თავადმა ამილახვარმა არამცთუ შეინარჩუნა ესკადრონის ყოფილი სახელი, არამედ დაამკვიდრა და განამტკიცა იგი. თავად ამილახვარს გადავეცი დრავუნთა ბრწყინვალე დივიზია. ახლა მასვე ვაბარებ კორპუსს, მასთან ერთად ვიმედოვნებ და მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ თუ მას კორპუსის ხელმძღვანელობა მოუხდება თმში, ღმერთის შემწეობით იგი ჯარს დაჯილდოებს კავკასიის წარსულ, ჭეშმარიტ დიდებით“.

ზ. ჭავჭავაძის თადარიგში გასვლასთან დაკავშირებით, 1893 წელს ურუნალი „კვალი“ წერდა: „დღეს, როცა ასეთ ძველებურ ვაკაცას კიდევ ვხედავთ საქართველოში, მომავლის იმედით გული გვეცხება, რადგან ამისთანა გმირები, თითქოს გზად და ხილად არიან მოვლენილნი საქართველოს წარსულსა და მომავალს შორის. მაგრამ, როდესაც მოვიგონებთ ამისთანა დამსახურებულ კაცის ლაშქარს, ძალას, მხნეობას, როდესაც შევასწრებთ თვალს მის კიდევ ცოცხალ მჩქეფარე თვალებს, მის ლამაზ ჭეშმარიტ ჭაღარას დამშვენებულს გმირულის სახით, გვენანება, რომ ჯერ კიდევ დაუღალავი ღონით, მხნეობით და გამოცდილებით საესე გმირი გვეთხოვებოდეს სამშვიდობოსავე წასასვლელად“.

1894 წელს აღინიშნა ზ. ჭავჭავაძის ოფიცრობის 50 წლისთავი, ამასთან დაკავშირებით ბრილიანტის ნიშანი და ალექსანდრე ნეველის პირველი კლასის ორდენი უბოძეს, ხოლო 1898 წელს ტვერის ცხენოსანი ლეგიონის უხუცეს გენერალ-ადიუტანტის საპატიო წოდება მიანიჭეს და წმინდა ვლადიმერის პირველი კლასის ორდენით დააჯილდოვეს. ამავე 1898 წელს შესრულდა რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომის 20 წელი.

ზეიმის დღედ დაინიშნა პლევნის აღების დღე — 28 ნოემბერი. მაგრამ ნიჟეგოროდელებმა ეს დღესასწაული ადრე დაიწყეს — 28 მაისს ბეგლი ახმეტის ბრძოლის დღესთან დაკავშირებით. ლეგიონში შეაკრიბნენ ბრძოლის მონაწილენი. თბილისიდან ჩავიდა კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი ზ. ჭავჭავაძე. ზეიმზე, მას განსაკუთრებით მიესალმა ნიჟეგოროდის ლეგიონის მეთაური

ბავრატონ-მუხრანელი. მან მოახსენა: „როგორც კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე უკანასკნელი ომის მონაწილე, თავისუფლად შემიძლია განვაცხადო, რომ ნიყეგოროდის ლეგიონი თავის ყველა წარმატებას ამ კამპანიაში უნდა უმადლოდეს მას, ვის მტკიცე ხელსაც იგი გამარჯვებისაკენ მიჰყავდა.“

ჩემი ლეგიონის სახელით ვიღებ სამახსოვრო თასს და ვადღეობ ჩემებს ღვიძლ ნიყეგოროდელს, ბევლი ახმეტის გმირს ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძეს“.

1903 წელს ნიყეგოროდის ლეგიონმა ბაშკადიკლარის და ქიურუქ-დარას ბრძოლებს 50 წლისთავი იხეიმა. ლეგიონის სტუმრები იყვნენ ამ ბრძოლების მონაწილენი გენერალ-ადიუტანტები ზაქარია ჭავჭავაძე და ივანე ამილახვარი. უკანასკნელმა პირველმა შემოიარა მწყობრი, მიესალმა ლეგიონს და შემდეგ გვერდში ამოუდგა პირველ მწყობრს, რათა ლეგიონის წევრად შეხვედროდა მასზე უფროსს ნიყეგოროდელს ზ. ჭავჭავაძეს. უკანასკნელმა მიიღო პატაკი და ლეგიონს მიესალმა. ძველ ნიყეგოროდელებს კვლავ აცვიფრებდა ყოფილი მეთაურის ფიგურა, ახსოვდათ, რომ სწორედ ამ დღეს, 50 წლის უკან, როდესაც იგი მე-7 ესკადრონს მეთაურობდა, მან მიიღო პირველი ორდენი — წმინდა გიორგის ჯვარი, საზეიმო ვახშამზე კი პირველი სადღეგრძელო ზაქარია ჭავჭავაძეს და ივანე ამილახვარს მიეძღვნა.

1905 წელს მეტად დიდი დანაკლისი განიცადა ქართველ მხედართმთავართა ოჯახმა. 29 აგვისტოს დაკრძალეს გენერალ-ადიუტანტი ივანე გივის ძე ამილახვარი, ხოლო ორი თვის შემდეგ — 25 ოქტომბერს გარდაიცვალა მეორე ცნობილი მხედართმთავარი, „კავკასიის არმიის რაინდი“, გენერალ-ადიუტანტი ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძე. ვახეთი „კავკასიი“ ზაქარიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით წერდა: „ალარ გეყავს ომის უკანასკნელი რაინდი, იგი უკანასკნელი მოჰიკანია კავკასიის მეომართა სახელოვან ოჯახიდან, უკანასკნელი წარმომადგენელი იმ ბრწყინვალე სამხედრო ბელადებიდან, რომლებიც ოდესღაც ჩვენ ივერიამ მოგვცა“.

ზაქარია ჭავჭავაძე წინანდალს წაასვენეს და საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს შუამთის ახალ მონასტერში.



ნიკო ჭავჭავაძე

კავალერიის გენერალი ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე კავკასიის არმიის ვეტერანთა პლეადას ეკუთვნის. იგი 1830 წელს დაიბადა თელავის მაზრის სოფ. ყვარელში. განათლება მან თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მიიღო.

16 წლის ჭაბუკი სამხედრო სამსახურში განეწესა ქართულ მილიციაში, რომელსაც ლეკთა თავდასხმებისაგან კახეთის დაცვის მიზნით ადგილობრივი მოსახლეობიდან აკომპლექტებდნენ. სამხედრო მოღვაწეობის პირველივე დღეებიდან ნ. ჭავჭავაძე უფროსთა გაოცებას იწვევდა შამაცობითა და თავდადებით. ყოველივე ეს იყო საწინდარი, რომ მან მოკლე დროში დაიმსახურა პრაპორშჩიკობა, პოდპორუჩიკობა და პორუჩიკობა.

1853—1856 წლების რუსეთ-ოსმალეთის ყირიმის ომის დროს კავალერიის ესკადრონის უფროსი ნ. ჭავჭავაძე აქტიურ მონაწი-

ლობას ღებულობდა ბაშკადიკლარის, ქიურუქ-დარას და ჩოლოქის ლეგენდარულ ბრძოლებში. ბაშკადიკლართან მისი ესკადრონი ხშირად ქვეითად მოქმედებდა. როდესაც იგი მტრის განლაგებაში შეიჭრა, ხელთ იგდო მოწინააღმდეგის ქვემეხები და რამდენიმე იერიში წარმატებით მოიგერია, ხოლო როდესაც ჭავჭავაძის დრაგუნები გადამწყვეტ იერიშს ავითარებდნენ, თურქთა მთელი ასეული დაატყვევეს.

მსუბუქი ჭრილობით გადარჩენილი ადრევე დაუბრუნდა მწყობრს და ქართული დრუჟინას შემადგენლობაში ჩოლოქის ბრძოლაში მონაწილეობს. ქართული დრუჟინა ომის დასაწყისში შეიკრიბა; მას მეთაურობდა პოლკოვნიკი გიორგი ჯანდიერი, მამაცობით სახელგანთქმული და ზედმეტსახელად „დროშა გიორგით“ ცნობილი. დრუჟინა ნ ასეულისაგან შედგებოდა — თითოეული მათგანი აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს წარმოადგენდა. მესამე ასეულს, რომელსაც მოყვითალო ნიშანი ამშვენებდა და თელავის მაზრის მოსახლეობისაგან იყო დაკომპლექტებული, პორუჩიკი ნ. ჭავჭავაძე მეთაურობდა.

ჩოლოქის ბრძოლა 1854 წ. 4 ივლისს მოხდა. გურჯის რაზმი, რომელსაც სახელგანთქმული გენერალი ი. ანდრონიკაშვილი მეთაურობდა, სელიმ ფაშას მთელ კორპუსს ეკვეთა. დრუჟინა პირველი შეიჭრა მოწინააღმდეგის განლაგებაში და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება. დრუჟინას ასეულის მეთაურები ვახვახიშვილი და ანდრონიკაშვილი გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე, ხოლო ნ. ჭავჭავაძე მძიმედ დაიჭრა. უდიდესი ძალისა და ენერჯის მამაცი ოფიცერი მოწინააღმდეგეს „ერთი-მეორეზე აწყობდა“. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მოწინააღმდეგის ტყვია ყელში გავლით ბეჭის სიღრმეში გაეჩხირა. დაჭრილ, ღონემისდილ მეომარს თურქმა ოფიცერმა ხმლით ჭრილობა დაუმატა ხელზე. ჩოლოქის ბრძოლა სელიმ ფაშას კორპუსის განადგურებით დამთავრდა. ნ. ჭავჭავაძე ქუთაისს გადაიყვანეს. აქ უკვე სახელგანთქმულმა სახალხო მკურნალმა თურმანიძემ მას ოპერაცია გაუკეთა, ტყვია სხეულიდან ამოიღო და მეორე დღეს „ეს ზღაპრული ათლეტი“ ამხედრებულ თავის ნაწილს დაეწია, რომელიც უკვე თბილისს ბრუნდებოდა.

ომის დამთავრებამდე ბრძოლებში მას მონაწილეობა აღარ მიუღია.

გამოჯანმრთელებული მეომარი მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა მწყობრს, როდესაც გადამწყვეტი ბრძოლები გაჩაღდა შამილის წინააღმდეგ. იგი აქტიური მონაწილეა ამ ბრძოლებისა და შამილის დატყვევებისა. აქ, კავკასიის ბრძოლებში, დაიმსახურა მან წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენი ხმლით და ბაბთით.

1859 წელს აღმოსავლეთ კავკასიის—დაღესტნის დამორჩილების და რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ნ. ჭავჭავაძე დარგოს ოლქის მმართველად დანიშნეს, 1865 წ. პოლკოვნიკის ჩინში ამაღლებული დაღესტნის ოლქის უფროსია, ხოლო შემდეგ — განჯის სამხედრო გუბერნატორი.

1877 წელს თურქეთთან ომის დასაწყისში ნ. ჭავჭავაძე კავკასიის ბრძოლის მთავარ ასპარეზზე მოქმედებს, მაგრამ როგორც კი აჯანყებამ იფეთქა კავკასიის მთიანეთში — ჩეჩენთსა და დაღესტანში, ამ მხარეში ნამსახური, ხალხისა და ბრძოლის ასპარეზის მცოდნე, უკვე სახელმძღვანელო მეთაური და ადმინისტრატორი უკან დააბრუნეს. მან უდიდესი როლი შეასრულა ამ აჯანყების ჩაქრობაში. მოლაპარაკებით, ხშირად ქრთამებითა და ძალით კვლავ დაიმორჩილა ეს მხარე და 1880 წელს კავალერიის გენერლის ჩინით დაღესტნის სამხედრო გუბერნატორად დანიშნეს, წმინდა ნეველის ორდენიც უბოძეს და საგანგებო უფლებებითაც აღჭურვეს.

ამრიგად, მოღვაწეობის ძირითადი პერიოდი მან გაატარა მხარეში, სადაც იარაღით იბრძოდა, და როგორც ცარიზმის მოხელეს აქ მას შური და მტრობა უნდა დახვედროდა, მაგრამ „ამ კედელს სიძულვილისას მან სიყვარული, სიბრალული და მამობრივი ზრუნვა მიაგება და მისდამი მიმართული სიძულვილი სიყვარულად გარდაქმნა“ .

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ჭავჭავაძემ მოღვაწეობის ძირითადი დრო ჩრდილო კავკასიაში გაატარა, იგი არ ივიწყებდა მშობლიურ მხარეს და მუდამ მასზე ზრუნავდა. მამაც გენერალს დიდი თანხა შეუწირავს ქართველი ახალგაზრდობისათვის. 20000 მან. გაიღო მან ერთი ქართველის სამთო ინსტიტუტში და ერთისაც უნივერსიტეტში აღსაზრდელად, ხოლო მშობლიური ყვარლის გლეხთა შვილების განათლების საქმეს 5000 მან. შესწირა.

მამაც გენერალს დარჩა იმ დროისათვის საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც საქართველოს წერა-კითხვის საზოგადოებას გადაეცა. ასეთი მაგალითი, თუ ერთადერთი არა, იშვიათი მაინც იყო გასული საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში. მას სურდა ქართველი ხალხის ბედნიერება განურჩევლად წოდებისა; იგი ყველას კეთილი სიტყვით ანუგეშებდა და ყველას დახმარების ხელს უწყობდა.

1897 წლის 9 მარტს დეაწლმოსილი გენერალი და საზოგადო მოღვაწე 67 წლის ასაკში გარდაიცვალა. 13 მარტს გუდოვიჩის ქუჩა (ახლანდ. ჭონქაძის) სოლოლაკში სავსე იყო კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული დელეგაციებითა და თბილისელებით. აქედან ქაშვეთის ეკლესიისაკენ გაასვენეს ნ. ჭავჭავაძე. განსაკუთრებული მზრუნველობით განირჩეოდნენ დაღესტნელები, რომლებმაც ბინიდან გამოსვენების შემდეგ ნათესავეებს ჩამოართვეს კუბო და ეკლესიამდე არავისათვის არ დაუნებებიათ. სამგლოვიარო მიტინგზე მრავალი სიტყვა წარმოითქვა და დეპეშები წაიკითხეს კავკასიის ყველა კუთხიდან.

გამოსულ ორატორთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა სახელოვანი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის სიტყვა, რომელმაც, დაახასიათა რა ნ. ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, აღნიშნა: „ერთი გულშემატკივარი კაცი კიდევ მოაკლდა ჩვენს ქვეყანას, კაცი ჭკუიანი, თავისი საკუთარი მხნეობითა და ნიჭით დიდ ხარისხამდე მიღწეული, თავისი საკუთარი ბეჯითობით და დეაწლით გონებაგაჩხნილი, თვალაჩილებული, კარგი მცოდნე ჩვენის ყოფაცხოვრებისა, კარვად ჩახედული ჩვენს აკვარგიანობაში. პატარაობითვე ჩვენს შორის გაზრდილა, ჩვენთან ერთად ჭირსა და ღვინაში ყოფილა, ჩვენთან ერთად უგრძნია საგრძნობელი; ჩვენთან ერთად უგლოვია საგლოველი და ჩვენთან ერთად უღვინია სიხარული... საკვირველია კაცმა ხელთ იგდოს ის წერილები, რომლებიც მას მიუწერია საქართველოს შესახებ პეტერბურღში დიდ კაცებისათვისა“. და ბოლოს საკუთარი ლექსიც წაიკითხა. იგი მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით:

„და შენც, ცხედარო, ქვეყნიურ ვალს
ქრისტიანულად ხარ გადამხდელი:

იქ წინაპრებთან მიხვალ პირნათლად
აქაც სახელის დამტოვებელი“.

სამგლოვიარო მიტინგის შემდეგ ცხედარი გომბორის გზით კახეთისაკენ წაასვენეს. მეორე დღეს მას შეხვდა სამგლოვიაროდ მორთული თელავი. აქ კი კახეთის მოსახლეობას მოეყარა თავი. გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. სიტყვა წარმოთქვეს ბარბარე სულხანიშვილმა, მღვდელმა იოანე შაუკაშვილმა და ი. ზურაბიშვილმა.

ბ. სულხანიშვილმა, თავის სიტყვაში დაახასიათა რა ნ. ჭავჭავაძე, თქვა: „ღიახ შენ იყავი და იქნები მარადის გმირი, უხვად შემკული ყოველი გმირული თვისებებითა, შენი გულწრფელობა, უანგარობა, ღრმა ჩაფიქრება, თავდადების, სიმართლის და ჭეშმარიტების აღიარება, დაჩაგრულთათვის დაუზოგავად თავის გამოდება, მთელი ერის გმირული გამოსარჩლება გზდიან ღირსად იყო ჩვენთვის საუკუნოდ სამაგალითო და სასიქადულო სათაყვანებელი“. 15 მარტს გენერალი ნ. ჭავჭავაძე სოფ. ყვარელში დაკრძალეს.



არჩილ ჭავჭავაძე

ქართველ თავადთა ერთ-ერთი საგვარეულოს წარმომადგენელი, სახელმწიფო-სამხედრო მოღვაწე არჩილ გულბაათის ძე ჭავჭავაძე დაიბადა 1841 წელს.

1862 წელს იგი სამხედრო სამსახურში შედის ტვერის დრაგუნთა ლეგიონში პრაპორშჩიკის სამხედრო წოდებით. ეს ლეგიონი მაშინ დასავლეთ კავკასიაში მოქმედებდა, აქ კიდევ ორ წელს გრძელდებოდა ე. წ. კავკასიის ომი. ამიტომ სამხედრო სამსახურში განწესების პირველივე დღიდან ახალგაზრდა არჩილი ბრძოლებში ჩაება. მამაცობითა და გამჭრიახობით მან მეთაურთა ყურადღება მიიპყრო და 1864 წელს უკვე სახელმწიფო-სამხედრო ჭაბუკ მეომარს პორუჩიკის წოდება ამწვევენებს. იგი ხშირად იცვლის თანამდებობებს, სპეციალურ კურსებზე ლეზულობს განათლებას და 1873 წელს ქუთაისის ცხენოსანი რეგულარული ლეგიონის მეთაურთა



შემოწმებაში მონაწილეობს, მომდევნო წელს კი ა. ჭავჭავაძის
 რის დრაგუნთა I ესკადრონის მეთაურია.

1876 წელს თურქეთთან ომის მოახლოებასთან დაკავშირებით
 კავკასიის არმიის ძირითადი ნაწილები საზღვრებისაკენ დაიძრა;
 ომის წარმატებით წარმართვისა და ზურგის დაცვის მიზნით კავკასიის
 ხალხებიდან მილიციის ნაწილების შეკრება დაიწყო. მათ შორის
 შეიკრიბა დალესტნის ცხენოსანი ლეგიონი.

ამ ლეგიონის ფორმირების დროს დალესტნის მოსახლეობის
 დიდი პატრიოტიზმი გამოვლინდა; მოხალისეთა დიდმა რაოდენობამ
 მთავრობას აფიქრებინა კიდევ ახალი ლეგიონი ჩამოეყალიბებინა
 და ლეკების მაღალი მხედრული საბრძოლო თვისებებით
 ესარგებლა. ამ ახალი ლეგიონის მეთაურად დაინიშნა ტვერის
 მე-15 დრაგუნთა ლეგიონის ესკადრონის ყოფილი მეთაური, მაიორი
 არჩილ ჭავჭავაძე. მოქმედი კორპუსის მეთაური მ. ლორის
 მედიკოვი ამასთან დაკავშირებით კავკასიის არმიის შტაბის უფროსს
 სწერდა: „თბილისში ჩემს ყოფნის დროს, პატივი მქონდა
 მომეხსენებინა მის უმაღლესობისათვის, თუ რამდენი დანაკლისი
 იქნება ტვერის ლეგიონისათვის თავად ჭავჭავაძის წასვლა, რადგან
 იგი თავისი საბრძოლო თვისებებით ლეგიონის უდავოდ საუკეთესო
 ოფიცრად ითვლებოდა“.

ა. ჭავჭავაძე უშუალოდ ხელმძღვანელობდა ლეგიონის ფორმირებას
 და მის წრთვას. 1877 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ლეგიონი
 მზად იყო სალაშქროდ და 22 თებერვალს იგი დარუბანდიდან
 თურქეთის საზღვრებისაკენ დაიძრა. ა. ჭავჭავაძის ლეგიონი
 მოქმედი კორპუსის მთავარი ძალების შემადგენლობაში შევიდა.
 1877 წლის 24 აპრილს თურქეთთან ომის გამოცხადებასთან დაკავშირებით
 ლეგიონმა სხვა ნაწილებთან ერთად საზღვრები გადალახა. აქ იგი
 ავანგარდში მოქმედებს კავკასიის ცხენოსანი ბრიგადის შემადგენლობაში,
 რომელსაც გენერალ-მაიორი ილია ჩოლოყაშვილი მეთაურობდა.
 ა. ჭავჭავაძის ლეგიონი საავანგარდო ბრძოლებით ყარსის
 ჩრდილოეთით გავიდა. აქ ცნობილი გახდა თურქთა ცხენოსანი
 არმიის მოახლოება, რომელსაც რუსეთის ყოფილი გენერალი
 მუსა ფაშა კუნდუხოვი მეთაურობდა. ბეგლი ახმეტთან
 საკავალერიო ბრძოლა გაჩაღდა. ამ ბრძოლის ხელმძღვანელი და
 გამირი იყო მისი ძმა — ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძე,
 რუსეთის



მოქმედი კორპუსის ძირითადი ძალების კავალერიის მეთაური. მაგარა
 რამ გამარჯვებაში დიდი დამსახურება მიუძღვის თვით არჩილსაც.
 მიუხედავად იმისა, რომ დაღესტნის ლეგიონი და მთელი ბრიგადაც
 მოძველებული თოფებით იყო შეიარაღებული, მან აიძულა მოწინააღმდეგის
 ახალ, სწრაფმსროლელი თოფებით შეიარაღებულ
 კავალერიას ბრძოლის ველი დამარცხებულს დაეტოვებინა. გამარ-
 ჯვებულს უამრავი ნადავლი დარჩა. ბრძოლა უკვე დამთავრდა.
 თოფების ხმა მხოლოდ აქა-იქ გაისმოდა. ბრიგადის მეთაური გენე-
 რალი ილია ჩოლოყაშვილი დაღესტნის ლეგიონს ათვალიერებდა
 და მადლობას უხდოდა მეომრებს მამაცობისათვის, რომ იგი უცებ
 ცხენზე შეირყა და სასიკვდილოდ დაეცა.

12 მაისს განსაკუთრებული ცხენოსანი რაზმი შეიქმნა, რო-
 მელიც მალე ყარსიდან ჰაჯი-ხალილისაკენ დაძრეს. ამ რაზმის შე-
 მადგენლობაში აქტიურად მოქმედებდა ა. ჭავჭავაძის დაღესტნელ-
 თა ლეგიონი, მან თურქების ერთ-ერთი ბანაკი გაანადგურა და
 უკუაგდო მოწინააღმდეგე.

ომის დასაწყისში დიდი წარმატება მოიპოვა ერევნის რაზმმა,
 რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი ა. ტერგუკასოვი მეთაურობდა.
 რაზმმა აიღო ბაიაზეთი და 200 კილომეტრით, აღაშქერთის დაბ-
 ლობით, თურქეთის სიღრმეში შეიჭრა. შემდგომ კი იგი რთულ ვი-
 თარებაში აღმოჩნდა. თურქებმა ბაიაზეთი ალყაში მოაქციეს და
 რაზმს უკან დასახევი გზა მოუჭრეს, ხოლო წინ ანატოლის მუშირი
 იდგა. თურქთა მთავარი ძალების გასანადგურებლად მ. ლორის მე-
 ლიქოვმა გენერალ გეიმანის რაზმი დაძრა, რომელსაც ტერგუკა-
 სოვთან კავშირში მოქმედებით თურქთა ძალები უნდა გაენადგუ-
 რებინა. გეიმანის რაზმში მოქმედებდა ა. ჭავჭავაძის ლეგიონი. 12
 ივნისს გაჩაღდა ზიეინის ბრძოლა. აქ მოწინააღმდეგის ზურგში კა-
 ვალერია გაიგზავნა, რომელსაც მეთაურობდა თვით კორპუსის კა-
 ვალერიის მეთაური ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძე. კავალერის-
 ტები მამაცურად ეკვეთნენ მტერს, განსაკუთრებით გამოირჩეოდ-
 ნენ არჩილ ჭავჭავაძის ცხენოსანი დაღესტნელები, მაგრამ კავალერი-
 ამ ვერ შეძლო აქტიურად წარემართა შეტევა, რადგან ბრძოლის ას-
 პარეში გეოგრაფიული მდებარეობით მიუდგომელი აღმოჩნდა.
 გარდა ამისა, რუსეთის კავალერია ცუდად იყო შეიარაღებული,

რაც დაღესტნელებმა მოწინააღმდეგის ნადავლის იარაღის გამოასწორეს.

განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვით ძმებს — არჩილსა და ზაქარია ჭავჭავაძეებს — ავღიარ-ალაჯის ოპერაციაში. 6 ივლისს ალაჯის სიმაღლეებთან მოწინააღმდეგეთა კავალერიის შეჯახების დროს ბრძოლაში არჩილი დაიჭრა, მაგრამ მას ეს არ უშხეღია და ბრძოლის ველი არ დატოვა.

ალაჯის სიმაღლეზე გამაგრებულ მუხტარ ფაშას ძლიერ სურდა სულთნის დავალება განეხორციელებინა — უკუეგდო რუსეთის არმია არაბჩაის იქეთ და ამიერკავკასიაში შეჭრილიყო. ამიტომ იყო, რომ ასე ენერგიულად ამაგრებდა იგი ალაჯის სიმაღლეებს, აგროვებდა და ამარაგებდა ჯარს. პირველი ბრძოლები ალაჯის სიმაღლეებზე, სადაც ძირითადად არჩილის ლეგიონი მოქმედებდა, უშედეგოდ დამთავრდა. მაგრამ საბოლოო ოპერაცია რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. ოპერაციის მთელ მანძილზე განსაკუთრებით გამოირჩეოდა დაღესტნის მესამე ლეგიონი, რომელიც გენერალ ლაზარევის რაზმში შედიოდა და მტრის ზურგში მოქმედებდა. მოულოდნელი იერიშით მან აიძულა იარაღი დაეყარა მტრის მთელ ასეულს, გადარჩენილებმა კი პირი უკან იბრუნეს. არჩილ ჭავჭავაძეს აქ წილად ხვდა ყველაზე ძლიერად გამაგრებული ორლოვის სიმაღლეების აღება. მისმა მამაცურმა იერიშმა განაპირობა მოწინააღმდეგის ზურგში გენერალ ლაზარევის წარმატება, რომელმაც მთელი ოპერაცია დააგვირგვინა. მეორე დღეს გამარჯვებულს ჩაბარდა 8 ფაშა, 250 ოფიცერი და 8 ათასი მეტრძოლი.

ყარსის ოპერაციაში წარმატებებისათვისა. ჭავჭავაძეს პოდპოლკოვნიკის წოდება მიენიჭა და წმინდა გიორგის მეოთხე კლასის ორდენი ებოძა, ხოლო დაღესტნის ცხენოსანი ლეგიონი წმინდა გიორგის დროშით დააჯილდოვეს. ჯილდო ლეგიონს გადაეცა 1878 წ. 13 ოქტომბერს.

ყარსის აღების შემდეგ 15 ნოემბერს ა. ჭავჭავაძის ლეგიონი არზრუმისაკენ გადაისროლეს, სადაც იგი ქალაქის საბლოკადო ჯარებს შეუერთდა. აქაც თავი ისახელეს დაღესტნელებმა და მისი მეთაური წმინდა ვლადიმერის ორდენითა და ბაბთით დაამშვენეს.

არზრუმთან ჭავჭავაძემ სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენი და ოქროს ხმალი დამსახურა წარწერით „მამაცობისათვის“.

1879 წლის 18 მარტს ა. ჭავჭავაძე დანიშნეს დაღესტნის პირველი ცხენოსანი ირეგულარული ლეგიონის მეთაურად და ამ ლეგიონით მონაწილეობს კასპიისპირეთში ე. წ. ახალ თექინის ექსპედიციაში. აქ 1883 წელს მას პოლკოვნიკობა უბოძეს. იმავე წლის 28 აგვისტოს გეორქთაფესთან ბრძოლაში პოლკოვნიკი ჭავჭავაძე წმინდა ანას მეორე კლასის ორდენით და ხმლით დააჯილდოვეს.

1888 წელს ა. ჭავჭავაძის ლეგიონი კახეთში იდგა. როდესაც მეფე ალექსანდრე მესამე საქართველოში ჩამოვიდა, ლეგიონი მეფეს მოაცილებდა. წინანდალში ერთ-ერთ სახალხო ზეიმზე დედოფლის ყურადღება მიიპყრო ჭავჭავაძის წითელმა ყაბალახმა. გრაფმა შერემეტიევმა არჩილს სთხოვა დედოფლისათვის გადაეცა იგი. უკანასკნელმა დაიხურა და სამახსოვროდ წაიღო.

ა. ჭავჭავაძე უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა დაღესტნელებში. საერთოდ აღიარებულია, რომ მას პირველს მიუძღვის მთავარი დამსახურება დაღესტნელთა რუსეთის სამხედრო სამსახურში გაწვევასა და თავდადებაში. არჩილის სახელი იმდენად პოპულარული ყოფილა დაღესტანში, რომ 1920-იან წლებამდე პირველ სადღეგრძელოს მისი მისამართით სვამდნენ. ეს ქართველი და დაღესტნელი ხალხის მეგობრული ურთიერთობის დამადასტურებელია.

1889 წელს ა. ჭავჭავაძე დრაგუნთა სევერსკის ლეგიონის მეთაურად დანიშნეს, რომელსაც 1896 წ. 24 დეკემბრამდე ედგა სათავეში, ვიდრე გენერალ-მაიორის ხარისხს მიანიჭებდნენ. ამ დროს იგი დელეგაციის წევრია, რომელიც კოპენჰაგენში გააგზავნა დანიის მეფისათვის ქორწინების 50 წლისთავის მისალოცად. დანიის მეფე ლეგიონის შეფი იყო.

გენერალ-მაიორი ა. ჭავჭავაძე კავალერიის მე-9 დივიზიის ბრიგადის მეთაური გახდა. განსაკუთრებული დამსახურებისათვის იგი შემდეგ კავალერიის იმავე დივიზიის მეთაურია. იგი საერთო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა დივიზიის ოფიცერთა და რიგით მებრძოლებს შორის.

დივიზიის მეთაურის თანამდებობაზე იგი მხოლოდ ერთი თვე



იყო. 1902 წლის 27 ივნისს გენერალ-მაიორი ა. ჭავჭავაძე გავაქვნიან
 ცვალა. დაკრძალულია სოფ. წინანდალში საგვარეულო სასაფლაო-
 ზე.

გარდა რუსეთის ორდენებისა, ა. ჭავჭავაძის გულ-მკერდს
 ამშვენებდა სპარსეთის ლომი და მზე, დანიის — საკომანდრო
 ჯვარი პირველი კლასის, რუმინეთის — „ამომავალი მზის“ მეორე
 ხარისხისა და სხვა ორდენები.

არჩილ გულბათის ძე ჭავჭავაძის სახით კავკასიის კავალერიამ
 დაკარგა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ხოლო კავკა-
 სიის არმიამ მამაცი სამხედრო მეთაური. ქართველი ხალხის საამა-
 ყო და მამაცი შვილის დაკრძალვაზე რუსეთიდან 200-მდე დეპეშა
 იყო, ხოლო მრავალ გვირგვინს შორის სევერსკის დრაგუნთა ლე-
 გიონის გვირგვინი, რომელსაც ეწერა „სახსოვრად ცნობილ და
 დიდებულ მეთაურს — მამაც არჩილს“.



ილია ორბელიანი

დიმიტრი ორბელიანის დიდებულ ქართულ ოჯახს, რომელსაც უფროსი ვაჟიშვილი, დიდი ქართველი პოეტი, სახელმწიფო მოღვაწე და სარდალი გრიგოლ ორბელიანი ამშვენებდა, 1816 წელს მესამე ვაჟიშვილი შეეძინა — მომავალი გენერალი ილია ორბელიანი. მართალია, უფროს ძმასთან შედარებით ილიას სიცოცხლის გზა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ ისიც რთული, მრავალფეროვანი და სავსეა მამაცობისა და სამშობლოსათვის თავდადების მაგალითებით.

16 წლის ილია სამხედრო სამსახურში განაწესეს — ქართულ გრენადერთა ლეგიონში. ასე რომ ყმაწვილობაში დაიწყო მისი სახელოვანი სამხედრო სამსახური; ასევე ჭაბუკმა მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა ადღერთან პოდპროპორშჩიკის ჩინით, ორი



წლის შემდეგ კი, 1834 წ., მამაცი მეომარი უკვე ოფიცრად აღიჭურვილა.

1841 წლიდან ი. ორბელიანი მონაწილეობს ბრძოლებში შამილის წინააღმდეგ. ექსპედიციას ამჟამად თვით კავკასიის კორპუსის უფროსი გოლოვინი მეთაურობდა. რამდენიმე ბრძოლაში მოწინააღმდეგესთან შეუპოვარი იერიშის დროს გამირობისა და მამაცობისათვის ილია წმინდა სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

მაგრამ პირველ წარმატებებს უბედური შემთხვევაც მოჰყვა. 1842 წ. თებერვალში პოლკი, რომელშიც ილია მსახურობდა, გენერალ-ლეიტენანტ ფეიზის რაზმის შემადგენლობაში იყო და ჩრდილო კავკასიაში იღვა. შამილი ყაზიყუმუხის სახანოს ემუქრებოდა. ილიას მცირერიცხოვან რაზმს დაევალა ამ სახანოს საზღვრებთან განლაგებულიყო და მაშველი ჯარების მისვლამდე, ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობით, დაეცვა იგი.

21 მარტს ილია ყაზიყუმუხის მმართველ ხანს შტაბს-კაპიტან გარუნ ბეგს ეწვია. მას იგი დიდი ხანია იცნობდა და მეგობრულად ც გადაეხვივნენ ერთმანეთს. მეგობარ ბეგს ილიამ შესთავაზა, რომ შეეკრიბა მილიცია და რუსთა ჯარების მისვლამდე დაეცვა სახანო. მაგრამ შამილი მრავალრიცხოვანი რაზმით უკვე ქალაქს მიუახლოვდა და მის ირგვლივ განლაგდა. ორბელიანი თავისი მცირე რაზმით ციხეში ჩაიკეტა. გადაწყდა ღამით ალყიდან გაქრა, გარუნ ბეგიც დათანხმდა. მაგრამ ხანის ცოლმა, ოჯახის გადარჩენის მიზნით, გაქცევის სამზადისი შამილს აცნობა. შამილმაც პატიება აღუთქვა, ვინც ჩაბარდებოდა. მრისხანე მბრძანებელთან ყველამ ფარხმალი დაყარა. ყაზიყუმუხელებმა დარგოს ციხის კარები გააღეს, ი. ორბელიანი მიატოვეს და შამილს ჩაბარდნენ — მათ შორის ილიას ერთგული ბეგებიც. ვინც წინააღმდეგობა გაუწია, ყველა გაქლიტეს, გადარჩენილნი კი დაატყვევეს. მათ შორის დიდების გზაზე მდგარი ახალგაზრდა ოფიცერი ილია ორბელიანიც. აქვე იყვნენ პოდპოლკოვნიკი სანაკოვეი და პოდპორუჩიკი ონანოვი.

1842 წლის 22 მარტს ილია და რამდენიმე რუსი ოფიცერი შამილს მიჰვებარეს. ხალხმრავლობა იყო მრისხანე შეიხის მისაღებში. ტყვეების გამოჩენისას სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ იგი ილიას გამბედავმა სიტყვებმა დაარღვია: „შამილ, მოვალეობის შესრულები-

სას ჩვენ ტყვედ აღმოვჩნდით. ესლა თქვენს ხელთა ვართ. რას ისურვებდით? რა გაქვთ განზრახული ჩვენს მიმართ? ჩქარა გადაწყვიტეთ ჩვენი ბედი. სიკვდილი, ტყვეობა თუ თავისუფლება გველის ჩვენ?“ „ჩემს გადაწყვეტილებას გაიგებთ თავის დროზე“, — მოკლე და მრისხანე იყო პასუხი. შამილმა ბრძანა რუსი ტყვეები ერთ სახლში მოეთავსებინათ, ხოლო მათთან მყოფი 20 ჭარღისათვის თავები მოეკვეთათ. ბრძანებით აღშფოთებულმა ილიამ გაბედა და მთის გამგებელს შეჰკადრა: „შამილ! ასეთი სიმკაცრე შენს დიდებას არ შეეფერება, თუ ამით შენ გსურს ჩვენი დაშინება, ჩვენ ხომ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ! სიმართლე რომ გითხრათ, სიკვდილს ვამჯობინებდი თქვენს ტყვეობაში ყოფნას“.

შამილმა ხელი ჩაიქნია და ახალდაპყრობილი სახანოს საქმეების მოწესრიგებას შეუდგა.

მრისხანე შეიხმა რუს ტყვეთა ბედი ვერ გადაწყვიტა, რადგან თვით მისი შვილი გაზი მაგომა თბილისში ჰყავდათ ტყვეობაში და ტყვეთა გაცვლით ფიქრობდა მის დაბრუნებას. მით უმეტეს, რომ მას ხელთ ჰყავდა ცნობილი თავადიშვილის, უკვე საკმაოდ ცნობილი გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა.

მეორე დღეს შამილმა თვით ინახულა ილია ორბელიანი და ამცნო: „თუ თქვენს თავში შვილს მომცემენ რუსები, მაშინ გაგიშვებთ თბილისში, წინააღმდეგ შემთხვევაში დაგჩეხავთ ყველას და ჯოჯოხეთში გაგზავნიან“.

შვილის დაბრუნებაზე ილიამ ეჭვი გამოთქვა, მაგრამ პირობა მისცა, რომ ამას წინათ დატყვევებულ 200 მთიელიდან რამდენიმეს დაუბრუნებდნენ. შამილმა მათი გადაყვანა სოფ. დარგოში ბრძანა. 8 დღის დამქანცველი მგზავრობის შემდეგ ტყვეები დარგოში ჩაიყვანეს და შამილის სახლიდან 80 მეტრის მანძილზე ბნელ ორმოში ფეხებშეშორაკილნი ჩაყარეს. ორმოში 15 კაცი აღმოჩნდა. დაიწყო ტყვეობის მძიმე დღეები. აუტანელ პირობებში მყოფმა ტყვეებმა გაქცევა გადაწყვიტეს. ისინი სამ ჯგუფად გაიყვნენ. ილია, კახაკი გოლოვანოვი და რიგითი ზაგორსკი ერთი აზრისა აღმოჩნდნენ — გარნიზონისაკენ შორეული გზით წასულიყვნენ, რადგან მთიელები უმოკლესი გზით დაედევნებოდნენ.

კენჭისყრით ორმოდან პირველი ილიას ჯგუფი ამოვიდა. ისინი დაემშვიდობნენ ერთმანეთს, პირჯვარი გადაიწერეს და გზას გაუდ-

გნენ. ეს მოხდა 22 ივნისს წვიმიან ბნელ ღამეს, რის გამოც ტყეს იოლად შეაფარეს თავი, მაგრამ რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ წინსვლა შეუძლებელი გახდა, მით უმეტეს, რომ ილიამ ცალი ფეხიდან ბორჯილის მოხსნა ვერ შეძლო. წვიმა და ქარი მეორე დღესაც გრძელდებოდა, უჭმელობამ კიდევ უძლური გახადა ისინი. გზაზე ისინი ორჯერ წააწყდნენ მწყემსებს. ერთ შეტაკებაში ილია გადარჩა, მეორეჯერ კი ხევში გადახტა, ფეხი და ხელი იტყინა; უგონოდ მყოფი ილია შეიპყრეს და კვლავ შამილს მიჰგვარეს, სადაც სხვა გაქცეული პირებიც დახვდა, გარდა სანაქოევის ჯგუფისა, რომელსაც ბედმა გაუღიმა და სამშვიდობოს გავიდა.

ტყვეთა გაცვლაზე მოლაპარაკება გრძელდებოდა; ბოლოს შეთანხმება მიღწეულ იქნა — გაეცვალათ კაცი კაცზე. 1842 წლის 28 ნოემბერს ილიას თავისუფლება ელირსა.

ტყვეობის 8 თვის მძიმე თავგადასავალი ილიამ აღწერა და გამოაქვეყნა გაზ. „კავკასში“ (1849, № 1—5). შემდეგ ეს ტექსტი მცირე შესწორებებით ე. ვერდერეესკიმ შეიტანა წიგნში: „შამილის ტყვეობაში“, აქედან კი გ. ლეონიძემ თარგმნა. ი. ორბელიანის ტექსტის ხელნაწერი ლენინგრადის ისტორიულ არქივში აღმოაჩინა და ცნობებიც გამოაქვეყნა ი. ტროიციკიმ, შემდეგ გ. ჩიქოვანმა. 1968 წელს ტექსტი შეისწავლა გ. შარაძემ, რომელიც უფრო ვრცელი აღმოჩნდა „კავკასში“ გამოქვეყნებულ ტექსტთან შედარებით. ტექსტში, გარდა თავგადასავლისა, ი. ორბელიანს მოცემული აქვს შამილის მხარის გეოგრაფიული დახასიათება, განხილულია მმართველობის სისტემა, ანდის დაპყრობა და ა. შ. ასე რომ, იგი პირველადი წყაროა და დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი შამილის ისტორიის შესწავლისათვის. ილიას ტყვეობის ამბავი დაედო საფუძვლად ჩვენი სახელოვანი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს“. ილია ნიკოლოზის უმცროსი და საყვარელი ბიძა იყო დედის მხრივ.

ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ მამაცი ოფიცერი განაგრძობს სამხედრო სამსახურს და 1843 წლის 15 ივლისს ახალი დამსახურებისათვის პორუჩიკობასა და ერთდროულად ორი წლის ხელფასს ღებულობს.

მომდევნო წლიდან ილიას კვლავ შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში ვხვდებით და ახალი წარმატებებისათვის შტაბს-კაპიტნობას

იმსახურებს. წლების განმავლობაში გრძელდებოდა ილიას ბრძოლები ანდსა და დარგოში, ხშირია მისი მონაწილეობა ხელჩართულ შეტაკებებში, რისთვისაც წმინდა გიორგის მეოთხე კლასის ორდენით დაიმშვენა გულ-მკერდი.

1846 წელს კავკასიის კორპუსის მეთაურს მ. ვორონცოვს იგი ელიზავეტოპოლის მაზრის მეთაურთან გადაყავს განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებლად. წარმატება წარმატებას მოჰყვა, ამას კი თან სდევდა ჩინებში ამალგება: 1846 წელს ილია მაიორია, 1847 წელს — პოდპოლკოვნიკი, 1848 წელს — პოლკოვნიკი და, ბოლოს, 1852 წელს — გენერალ-მაიორი.

ასე, რომ 10 წლის წინათ ყირიმის ომის დასაწყისში ნაკლებად ცნობილი პორუჩიკი, უკვე სახელმოსხვეცილი, პოლკის მეთაურის თანამდებობაზე, გენერლის ჩინში გვევლინება.

ომის დაწყების ცოტა ხნით ადრე ი. ორბელიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილიშვილზე დაქორწინდა.

1853 წელს ომი თურქეთთან ოფიციალურად ჯერ კიდევ გამოცხადებული არ იყო, როდესაც კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე მოწინააღმდეგეები საბრძოლველად მზად იყვნენ. ყარსის მხრიდან ოსმალები კავკასიაში შემოსაჭრელად ემზადებოდნენ. მათი მსხვერპლი გახდა დაზვერვაზე გაგზავნილი ნიყეგოროდის პოლკის ორი ასეული. 2 ნოემბერს ი. ორბელიანის მცირე რაზმი, რომელიც 7 ქვეითი ბატალიონის, ერთი დრაგუნთა ესკადრონის და არტილერიის სამი ბატარეისაგან შედგებოდა, ბაინდურისაკენ დაიძრა. როდესაც იგი სოფელს მიუახლოვდა, მახლობელი სიმაღლეებიდან თურქებმა არტილერიის ძლიერი ცეცხლი გახსნეს და დიდი ძალებით შეტევაზე გადავიდნენ. რთულ ვითარებაში მამაცი გენერალი არ დაიბნა, ადგილზე თავდაცვა მოაწყო. მთელი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის რამდენიმე შეტევა წარმატებით მოიგერია და როდესაც მასველი ძალებიც მიიღო, დიდი დანაკარგის შემდეგ თურქებმა იკადრეს ბრძოლის ველი დამარცხებულებს დაეტოვებინათ. ი. ორბელიანს ამ გამარჯვებამ უდიდესი როლი შეასრულა მოვლენათა შემდგომ განვითარებაში. თუმცა ზოგიერთი რევოლუციამდელი და საბჭოთა ისტორიკოსიც ჯეროვნად ვერ აფასებს ი. ორბელიანის რაზმის წარმატებას და ბრალსდებს მას, რომ

მტერს არ დაედევნა და საბოლოოდ არ გაანადგურა ასეთი ამოცანის შესრულება კი იმ მცირე ძალებით, რომელიც ი. ორბელიანს ჰყავდა, შეუძლებელი იყო. ამიტომ, ჩვენი აზრით, ის სწორად მოიქცა, რომ წონასწორობა არ დაჰკარგა და გამარჯვებულის ნაცვლად დამარცხებულმა არ დატოვა ბრძოლის ველი, ან რომ მისი რაზმი ანატოლიის კორპუსის მსხვერპლი არ გახდა. ალბათ შემთხვევითი არ იყო ის გარემოებაც, რომ მეფის რესკრიპტში აღნიშნულია მისი სამაგალითო მამაცობა, გამჭრიახობა, ბრძოლის სანიმუშო ხელმძღვანელობა და რომ იგი წმინდა სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენის ღირსად სცნეს.

1853 წლის 4 ნოემბერს ომი თურქეთთან ოფიციალურად გამოცხადდა. ბაიანდურთან ბრძოლის შემდეგ ილია ორბელიანმა ცნობა მიიღო, რომ მას ტყუპი ვაჟიშვილები შეეძინა; შვეებულება ითხოვა და ცოლ-შვილის სანახავად წავიდა წითელწყაროში. ადგილზე ჩასვლა ვერც კი მოასწრო, რომ ილიამ გაიგო მოწინააღმდეგე ახალი ბრძოლისათვის ემზადებაო და უკანვე გაბრუნდა. ბაშკიდეკლართან 10-ათასიანი მოქმედი კორპუსი, რომელსაც გენერალი ბებუთოვი მეთაურობდა, 40-ათასიან თურქთა კორპუსს უნდა შეებმოდა. მტერი არტილერიითაც სჭარბობდა და უკეთესი პოზიციაც ეკავა. ამიტომ იყო, რომ აღფრთოვანებულმა თურქთა სარდალმა ახმედ ფაშამ ბრძოლის წინ თავის მეომრებს მიმართა: „აი ურჯულოთა ძალები, რომელთაც ჩვენი დაშინება სურთ. რატომ არ ვიბრძოლოთ, როდესაც ჩვენს ოთხ მებრძოლზე ერთი მოწინააღმდეგე მოდის. შევბოჭოთ ისინი და ყარსში შევრეკოთ“.

31 ნოემბერს გაშლილი დროშებით და მუსიკით თურქები ბრძოლაში ჩაებნენ. მათი შეტევა მოგერიებული იქნა და ბებუთოვი თვით გადავიდა იერიშზე. ამ დროს ბრძოლის ველზე გამოცხადდა რუხ ცხენზე მჯდარი ილია ორბელიანი. ქვემეხების ცეცხლში იგი წინ წარუძღვა ბრძოლებში ნაცად თავის ბატალიონებს. ი. ორბელიანისა და ბაგრატიონ-მუხრანელის პოლკებს მოწინააღმდეგის ცენტრზე მიჰქონდა იერიში.

მამაცი მეთაური ტყვიამ ცხენზე შეარყია, მაგრამ ბრძოლის ველს არ ტოვებდა, ვიდრე მეორე მძიმე ჭრილობა არ მიიღო, რომელიც სასიკვდილო აღმოჩნდა. სისხლიდან იცლებოდა გმირი, როდესაც ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს. მისმა რკინისებრმა

ჯანმრთელობამ კიდევ 18 დღე გაუძლო აუტანელ ტანჯვა-წამებას და ბოლოს 10 დეკემბერს ალექსანდრეპოლში ბრძოლებში და-
ცრეცილი ლეგიონის დროშის კოცნაში დალია სული. მასთან
ერთად გარდაიცვალა და ერთად დამარხეს მისი ერთ-ერთი ვაჟი-
შვილი.

1854 წელს, კახეთზე შამილის თავდასხმის დროს ილიას ოჯახი
წინანდალში დასთან ისვენებდა. 4 ივნისს სოფელს თავს დაე-
სხნენ შამილის მიუზიდები და სხვებთან ერთად ილიას ოჯახიც გა-
იტაცეს, მათ შორის ილიას ულამაზესი მეუღლე ბარბარე, რომე-
ლიც 8 თვეს იზიარებდა ტყვეობის მძიმე ხვედრს. მხოლოდ მი-
სი მაზლის გრიგოლ ორბელიანის ზრუნვის შედეგად გახდა შესა-
ძლებელი ტყვეთა გამოსყიდვა. ილიას ვაჟი გიორგიც სამხედრო
პირად გვევლინება და საკმაოდ ცნობილი გენერალიც გახდა.



ნიკოლოზ მერისთავი

1856 წლის 3 მაისს განსაკუთრებით დიდი ხალხმრავლობა იყო თბილისის ქუჩებში. ქალაქში ხმა დაირხა: ნიკოთის ბრძოლების გმირი, ფლიგელადიუტანტი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ ერისთავი აღარ გეყავსო.

დღის 12 საათზე სიონის ტაძარში საქართველოს ეგზარხოსმა არქიეპისკოპოსმა ისიდორემ წირვა ჩაატარა განსვენებულის პატივსაცემად, რომელსაც დიდძალი ხალხი, მათ შორის მრავალი გამოჩენილი სამხედრო პირი, ესწრებოდა.

ნ. ერისთავი ერთ-ერთი იმ ბედნიერ პირთაგანი იყო, რომელიც სრულიად მოკლე ხანში დაწინაურდა, ურიცხვი ჯილდოები და პატივისცემა დაიმსახურა. მილიციის პრაპორშჩიკი, სახალხო ლაშქრის მოხალისე, 10 წელში გახდა პოლკოვნიკი, იმპერატორის

ფლიგელ-ადიუტანტი და არმიის ერთ-ერთი საუკეთესო პოლკის მეთაური.

ნ. ერისთავი 1820 წელს დაიბადა ქსნის ერისთავთა შთამომავლის დიდებულ ოჯახში. პირველი საბრძოლო ნათლობა მან ოსეთში მიიღო 1840 წელს. იქვე მიიღო პროპორშიკობაც, ჭრილობაც, პენსიაც და მხოლოდ 1844 წელს დაუბრუნდა მწყობრს. ახალგაზრდა პროპორშიკი განთქმული ქართული დრუჟინას შემადგენლობაში ჩარიცხეს და დაღესტნისაკენ გაგზავნეს, სადაც ჩვეული მამაცობისათვის მალე ენიჭება პოდპორუჟიკობა და წმინდა ანას მესამე კლასისა და წმინდა ვლადიმერის მეოთხე კლასის ორდენები ბაბთით. მეფისნაცვალმა ვორონცოვმა, რომელიც პირადად იყო მოწმე ერისთავის სამხედრო გმირობისა, იგი კავკასიის რეგულარულ არმიაში გადაიყვანა და ქართველ გრენადერთა პოლკში ჩარიცხა. ვორონცოვი იმდენად იყო მოხიბლული ახალგაზრდა ოფიცრით, რომ მალე თავის ადიუტანტადაც კი დანიშნა.

ყირიმის ომის წინ ის უკვე ლაიბგვარდიის „ფილანდიის“ პოლკის კაპიტანი იყო და მალე ომის დასაწყისში იგი პოდპოლკოვნიკი გახდა, თუმცა კვლავ მთავარსარდლის ადიუტანტად დარჩა.

ყირიმის ომმა ახალი დიდება მოუტანა ნიჟიერ ოფიცერს, მან განსაკუთრებით ისახელა თავი ნიგოთის ბრძოლაში.

1854 წლის საბრძოლო მოქმედება პირველად გურიაში გაიშალა. ბათუმის კორპუსი სელიმ ფაშას მეთაურობით შეტევაზე გადავიდა, პირველ იოლ გამარჯვებას დაჩვეული ოსმალთა სარდალი ქუთაისის აღებას ფიქრობდა, მაგრამ მისი გეგმები ნიგოთთან დასამარდა.

საზღვრებიდან მართებულად უკან დაწეული გურიის რაზმი, რომელსაც გენერალი ივ. ანდრონიკაშვილი სარდლობდა, მდ. რიონის ორივე მხარეს განლაგდა. მარცხენა მხარეს 5 ქვეითმა ბატალიონმა 14 ქვემეხით ჩოხატაურის ქედის სიმაღლეები დაიკავა გენერალ ბრუნერის მეთაურობით. 2, 5 ბატალიონი ქვეითი, გურიის მილიციის 10 ასეული და 4 ქვემეხი პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ ერისთავის მეთაურობით სოფ. ნიგოთთან დაბანაკდა. აქ გადიოდა ორპირიდან ოზურგეთისაკენ მიმავალი გზა აკეთის გადასასვლელით. გურიის რაზმის სხვა ნაწილებით ი. ანდრონიკაშვილი რიონის მარჯვენა მხარეს ცხენისწყლის შესართავთან გამაგრდა.



სელიმ ფაშას მოწინავე ნაწილი ჰასან ბეგის მეთაურობით ოსურგეთიდან იმერეთისაკენ დაიძრა. როდესაც ჰასან ბეგმა გაიგო ნიგოთთან რუსეთის მცირე ძალების განლაგება, სასწრაფოდ მის გასანადგურებლად წავიდა. მაგრამ არც ნ. ერისთავს მიუტოვებია უყურადღებოდ ჰასან ბეგის მოძრაობა და მისი მოქმედების კურსში იყო. მან გაიგო თურქთა ავანგარდის მოძრაობა, არ დაელოდა მას და 27 მაისს თვით დაიძრა შესახვედრად. ნიგოთში დატოვა ბანაკი და ადალი ორი ასეულით. სოფ. შუხუთთან პოდპოლკოვნიკი ერისთავი თურქეთის ავანგარდს წააწყდა. მას პატარა მინდორი დაეკავებინა, ტყეში კი რეგულარული ნაწილები დაბანაკებულიყო.

ერისთავმა დაუყოვნებლივ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის განლაგებაზე. ქვემეხების ცეცხლისა და ხელიართული ბრძოლის შემდეგ მტერი იძულებული იყო გაფანტულიყო. ნ. ერისთავი მტერს დაედევნა და უკან დასახევი გზა მოუჭრა. ბრძოლიდან უცებ გაქრა თურქეთის მილიცია, თვით ჰასან ბეგთან ერთად, იგი ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდე, რუსეთის რაზმის ზურგში შესულიყო და ნიგოთის ბანაკს დასხმოდა თავს.

ქვემეხების მოულოდნელი ხმის შედეგად ერისთავი მიხვდა ვითარებას და ჯარის ნაწილით ბანაკის დასახმარებლად წავიდა, ნაწილს კი მოწინააღმდეგის დევნის გაგრძელება უბრძანა. ნ. ერისთავი იმ დროს მივიდა ადგილზე, როდესაც თურქეთის მრავალრიცხოვანი რეგულარული ნაწილების მოქმედებით კრიტიკულ მდგომარეობაში იყო ერისთავის რაზმის ადალი და ზურგში დატოვებული რაზმი. ახლა თურქები ორ ცეცხლს ქვეშ აღმოჩნდნენ და ტყეს მისცეს თავი, სადაც გურიის მილიციას წააწყდნენ, რომელიც შუხუთის ბრძოლიდან ბანაკში ბრუნდებოდა. თურქების მასობრივი ყლელა გადამწყვეტ მომენტში შევიდა. განსაკუთრებით ისახელა თავი იმერეთის მოქალაქეთა საგვარეულოს ასეულმა 75 წლის ჭაიხოსრო მიქელაძის მეთაურობით. ამ ბრძოლაში ნახავდით ბავშვსა და მოხუცს, გლეხს, მღვდელსა და თავადს, აღჭურვილს სხვადასხვა სახის იარაღით. ბრძოლა ერისთავის რაზმის სრული გამარჯვებით დამთავრდა. მტერმა დიდი ზარალი ნახა. ბრძოლაში თვით ჰასან ბეგიც დაიღუპა. უკანასკნელს მამაცმა ალ. ჭყონიამ წააცალა თავი.

როდესაც ი. ანდრონიკაშვილმა ნ. ერისთავის გამარჯვების შემთხვევაში ბავი გაიგო, მთელი რაზმით დაიძრა ოზურგეთისაკენ. მტერს კი ქალაქი დაეტოვებინა და ჩოლოქის მარცხენა ნაპირს გამაგრებულ-იყო გურიის საზღვრებთან.

აქ 4 ივნისს გაჩაღდა ცნობილი ჩოლოქის ბრძოლა, რომელიც კვლავ მომხდურთა სასტიკი დამარცხებით დასრულდა. ამ ბრძოლაში პოდპოლკოვნიკი ნ. ერისთავი თავისი რაზმით ცენტრში მოქმედებდა და გამარჯვების დიდება სხვა ნაწილებთან ერთად მანაც დაიმსახურა.

ამ ბრძოლის შემდეგ პოდპოლკოვნიკი ნ. ერისთავი მოხსენებითი ბარათით იმპერატორთან გაიგზავნა. ნიკოთისა და ჩოლოქის ბრძოლებისათვის მეფემ მას პოლკოვნიკობა უბოძა და წმინდა გიორგის მეოთხე კლასის ორდენით დააჯილდოვა. პეტერბურგიდან ნ. ერისთავი გურიის რაზმში დაბრუნდა, მაგრამ მან ყირიმის ასპარეზზე გადასვლა ამჯობინა, სადაც სმოლენსკის პოლკს მეთაურობდა. ყირიმის ფრონტზეც კვლავინდებური სიმამაცით იბრძოდა, მაგრამ მალე (1856 წ. 26 მარტს) გარდაიცვალა; გმირი პოლკოვნიკი სოფ. სიბელში (ამჟამად სევასტოპოლის უბანია) დაკრძალეს.

დიდებული სამხედრო კარიერა ელოდებოდა 35 წლის პოლკოვნიკ ნ. ერისთავს. მისმა სიკვდილმა საერთო მწუხარება გამოიწვია არა მარტო სამხედრო წრეებში, არმედ მთელ ქართველ ხალხში.



ივანე ანდრონიკაშვილი

ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი კავკასიის არმიის მამაც, გამჭრიახ და გაბედულ გენერალთა რიცხვს ეკუთვნის. იგი იყო უბრალო, გულით კეთილი, სულით მამაცი, უშიშარი, პატიოსანი და სამართლიანი ადამიანი.

იგი უყვარდა ყველას მისი თვითმყოფადობისათვის, პატრიარქალური სტუმართმოყვარეობისათვის, უანგარო პატიოსნებისა და ადამიანისადმი კეთილმოსურნეობისათვის. ყველა ამ თვისებამ მას დიდი პოპულარობა მოუპოვა საზოგადოებასა თუ ხელქვეითებს შორის.

წარმოშობით ივანე ანდრონიკაშვილი ქართველი არისტოკრატიული გვარიდანაა. არსებობს მოსაზრება, რომ ქართველი თავადების ანდრონიკაშვილების წინაპრები ტრაპიზონის კომნენების სამეფო საგვარეულოდან იყვნენ. იმპერატორ ემანუილის ბიძაშვი-



ლმა ანდრონიკ კომნენმა მისი ბიძაშვილი მოკლა და პასუხისგების
 თავიდან აცილების მიზნით სამშობლო დატოვა და 1143 წ. საქარ-
 თველოში გადმოსახლდა.

1198 წ. თამარ მეფის დროს ქართველებმა იმპერატორ ალექ-
 სის ტრაპიზონი წაართვეს და იგი ანდრონიკ კომნენის შვილიშვილს
 ალექსის უბოძეს. ანდრონიკის შთამომავლები ამიერიდან, კომნენ-
 თა მაგიერ, ანდრონიკაშვილებად იწოდებიან.

ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1798 წლის 11
 ნოემბერს სოფ. ქოდალოში. მისი დედა მარიამი მეფე ერეკლე
 II-ის შვილიშვილი და იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ
 II-ის დისშვილი იყო. ივანეს მამას — მალხაზს დიდი მამულები
 ჰქონდა კახეთში და ცოლის მხრიდან იმერეთში. იმერეთში ცხოვ-
 რობდა იგი დროის უმეტეს ნაწილს. მას ჰყავდა ორი შვილი — ივანე
 და ანა. ივანე იზრდებოდა დედის ოჯახში, იმერეთში.

1810 წელს, როდესაც იმერეთის სამეფო რუსეთმა შეიერთა,
 ივანე და დედამისი ვორონეჟს „გაგზავნეს“, ხოლო 1812 წელს პე-
 ტროვრადში გადაიყვანეს. აქვე იყო იმერეთის დედოფალი მარი-
 ამი, რომელმაც ივანეს აღზრდა იკისრა.

17 წლის ახალგაზრდა ივანე ლაიბ-გვარდიის ცხენოსან ლე-
 გიონში განაწესეს. სამხედრო საქმით გატაცებული ახალგაზრდა
 სწრაფად იწვედა წინ. 1822 წელს იგი პოდპორუჩიკია, ხოლო 1824
 წელს გვარდიის შტაბს-როტმისტრი.

ამ დროს ივანეს მამა გარდაეცვალა. გვარდიაში სამსახური
 დიდ ხარჯებს ითხოვდა, მისი მამულები კი უპატრონობის გამო
 გაპარტახდა და შემოსავალს აღარ იძლეოდა. იგი იძულებული გა-
 ხდა დრაგუნთა ლეგიონში გადასულიყო, სადაც შტაბს-როტმის-
 ტრობის ნაცვლად მათობა უბოძეს.

ანდრონიკაშვილის სამხედრო დამსახურება 1826—1828
 წლების რუსეთ-ირანის, 1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის
 და 1853—1856 წლების ყირიმის ომებთანაა დაკავშირებული.

1816 წელს საქართველოში მთავარმმართველად და კავკასი-
 ის კორპუსის მთავარსარდლად ერმოლოვი დაინიშნა. მეფემ მას
 დაავალა სპარსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება, მაგრამ რუ-
 სეთი დათმობაზე არ წავიდა, რასაც ომი მოჰყვა ირანთან.

1826 წ. 13 სექტემბერს ელიზავეტპოლთან რუსეთის რაზმი

მოწინააღმდეგეს შეხვდა. სპარსელებს თვით ტახტის მემკვიდრე აბას მირზა სარდლობდა. ბრძოლაში ნიჟეგოროდის პოლკიც მონაწილეობდა, რომლის ერთ-ერთ დივიზიონს ი. ანდრონიკაშვილი მეთაურობდა. როდესაც მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეებს ნიჟეგოროდელები ეკვეთნენ, ი. ანდრონიკაშვილი თავისი დივიზიონით მტრის განლაგებაში შეიჭრა, ხოლო ქვეითმა ნაწილმა ხიმტებით მიიტანა იერიში და სპარსელებმა გაქცევით თავს უშველეს; ბრძოლის ველზე დარჩა მრავალი მოკლული და დაჭრილი, სამხედრო ქონება და ტყვეთა რიცხვიც დიდი იყო. ბრძოლის გმირი ი. ანდრონიკაშვილი წმინდა ვლადიმერის მეოთხე კლასის ორდენით დააჯილდოვეს. ეს იყო მისი პირველი საბრძოლო ჯილდო. ამ ბრძოლაში მან როგორც საუკეთესო კავალერიისტმა პასკევიჩის ყურადღება მიიპყრო. სპარსეთთან ომი გაგრძელდა, ანდრონიკაშვილი პასკევიჩთან ერთად მონაწილეობდა ლაშქრობაში და კვლავ ისახელა თავი ციხესიმაგრე აბას-აბადის ალყასა და აღებაში.

1827 წ. 5 ივნისს, როდესაც აბას-აბადი ალყაში იყო, ციხის გარნიზონის ვადასარჩენად აბას მირზა მივიდა 16-ათასიანი მებრძოლით. პასკევიჩმა მოწინააღმდეგეს მთელი თავისი კავალერია დაუპირისპირა. მძაფრი ბრძოლა მისი გამარჯვებით დამთავრდა. ანდრონიკაშვილის დივიზიონი მტერს დევნიდა, იგი დაეწია სპარსეთის კავალერიის ერთ ნაწილს, რომელსაც ნაჯავ-ხანი მეთაურობდა, სამი დღეობაში ივანეს ხმლის მსხვერპლი გახდა, თვით ხანი შეიპყრო და მთავარსარდალს მიჰგვარა. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცისათვის ი. ანდრონიკაშვილი წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

შემდგომ იგი მონაწილეობს გენერალ-ლეიტენანტ სუხოტინის ლაშქრობაში. განსაკუთრებით თავი ისახელა ეჩმიადინთან 14 და 24 სექტემბრის ბრძოლებში და ერევანზე იერიშში. აქ მოწინააღმდეგის კავალერიაზე ბრწყინვალე გამარჯვებისათვის ი. ანდრონიკაშვილს პოდპოლკოვნიკის ჩინი უბოძეს.

1827 წ. 19 სექტემბერს ანდრონიკაშვილი თავრიზზე ლაშქრობასა და ქალაქის აღებაში მონაწილეობს.

1828 წლის 10 თებერვალს სპარსეთთან ომი დამთავრდა, მაგრამ იმავე წლის 14 აპრილს ომი დაიწყო თურქეთთან. ბრძოლებში

დაღლილი და დაქანცული ჯარი ყარსისაკენ დაიძრა. ი. ანდრონიკაშვილის დივიზიონი ავანგარდში მოქმედებდა.

19 ივლისს ეს დივიზიონი ყარსთან ახლოს თურქების მოწინავე ძალებს შეხვდა. ბრძოლა მოულოდნელად გაჩაღდა; ი. ანდრონიკაშვილის მეომრები მტერს ეკვეთნენ და უკუაგდეს. ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა. მოწინააღმდეგეს დადევნებული რუსი მეომრები მათთან ერთად შეიჭრნენ ციხეში. აქედან პასკევიჩი ახალქალაქისაკენ დაიძრა, გადალაზა ჩიღლირის უღელტეხილი და ციხესთან ანდრონიკაშვილის დივიზიონი მტრის კავალერიასთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება. მოწინააღმდეგე, რომელიც ალყაში მყოფი გარნიზონის დასახმარებლად მიდიოდა, დამარცხებული და განდევნილ იქნა; 24 ივლისს კი ახალქალაქი ჩაბარდა. ახალქალაქის ბრძოლებში წარმატებისათვის პოდპოლკოვნიკ ი. ანდრონიკაშვილს აღმასებით შემკული წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენი უბოძეს. შემდეგ მისი დივიზიონი პასკევიჩთან ერთად ახალციხისაკენ დაიძრა. 5 აგვისტოს, როდესაც ქალაქი ალყაში იყო, მის დასახმარებლად ციხეს თურქეთის 30-ათასიანი კორპუსი მიუახლოვდა. მას მაგომედ ფაშა და მუსტაფა ფაშა მეთაურობდნენ.

9 აგვისტოს პასკევიჩმა იერიში მიიტანა თურქთა კორპუსზე. ზანგრძლივი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ თურქები გაანადგურა. მრავალ ტყვეს შორის მუსტაფა ფაშაც აღმოჩნდა.

15 აგვისტოს რუსეთის კორპუსის იერიშის შედეგად ახალციხე დაეცა. 9 აგვისტოს ბრძოლებში მამაცობისა და ბრძოლის კარგი ორგანიზაციისათვის ი. ანდრონიკაშვილს პოლკოვნიკობა უბოძეს.

ამ დროს, როდესაც რუსეთის მთელი ჯარი ბრძოლის ასპარეზზე იყო, ლეკებმა თავდასხმები გაახშირეს კახეთზე, სადაც რეგულარული არმიისა და მილიციის მცირერიცხოვანი ნაწილები იდგა.

კახეთის დასაცავად და მოქმედი კორპუსის ზურგში სიმშვიდის შესანარჩუნებლად საჭირო იყო სამხედრო მონაცემებით ავტორიტეტითანი ადამიანი, რომელიც მცირერიცხოვანი ჯარით და მისი სახელით მტერს შეაჩერებდა. ასეთი პიროვნება პასკევიჩის აზრით პოლკოვნიკი ი. ანდრონიკაშვილი იყო. 1828 წლის ბოლოს იგი საკორდონო ხაზით უფროსად დაინიშნა. ანდრონიკაშვილმა კა-

ხეთში სრული სიმშვიდე დაამყარა. რიგი ადგილები მუდმივად
შავოდ აქცია.

1829 წლის დასაწყისში ფელდმარშალი პასკევიჩი არზრუმისა-
კენ დაიძრა. 19 და 20 ივლისს დაამარცხა მუშირი გაკი ფაშა და
27 ივნისს არზრუმში დაიკავა. თვით სერასკირი დატყვევებული აღ-
მოჩნდა. ამ ბრძოლებში მწყობრიდან გამოვიდა ნიჟეგოროდის
დრაგუნთა ლევიონის მეთაური. ფელდმარშალი გამოიძახა ი. ან-
დრონიკაშვილი და არზრუმის მახლობლად ნიჟეგოროდის პოლ-
კი ჩააბარა. ახალი მეთაური ენერგიულად შეუდგა მოვალეობის
შესრულებას და ახალ ლაშქრობებში კვლავ თავი ისახელა, გან-
საკუთრებით არზრუმიდან ბაიბურთზე მეორედ ლაშქრობის დროს.
აქ თურქთა ერთი ბატარეია მოძრაობის საშუალებას არ აძლევ-
და პასკევიჩის რაზმს. გენერალმა ანდრონიკაშვილმა თავის დრა-
გუნებით ფარულად შემოიჭრა მალღობს, სწრაფად მიიტანა იერ-
იში. ხელთ იგდო ყველა ქვემეხი და პასკევიჩის ჯარს საშუალება
მისცა ბაიბურთი აეღო. ამ მამაცობისათვის იგი დააჯილდოვეს
წმინდა გიორგის მეოთხე კლასის ორდენით. 1829 წლის კომპანია
თურქეთთან დამთავრდა. 1830 წელს, ჭრილობის გართულების
გამო, ი. ანდრონიკაშვილი პოლკის მეთაურობიდან გადადგა. ამი-
ერიდან იგი დიდი დროით დაემშვიდობა ნიჟეგოროდის პოლკს,
რომლის რიგებში მან ბრწყინვალე რეპუტაცია დაიმსახურა.

1837 წელს ი. ანდრონიკაშვილი დაუბრუნდა სამხედრო სამ-
სახურს. იგი მონაწილეობს მთიელებთან ბრძოლაში, ჯავის ხეო-
ბის აჯანყების ჩაქრობაში, სადაც იგი თოვლიან უღელტეხილზე
გადავიდა და სოფ. ტიბი დაიკავა. მან აქ ისეთი სოფლები დაიმორ-
ჩილა, რომლებიც მანამდე რუსეთის მფარველობაშიც არ ყოფი-
ლან.

1841 წელს ი. ანდრონიკაშვილი დაღესტნის ექსპედიციაში
მონაწილეობს. დარგოსთან ბრძოლებში მას 4 ცხენი მოუკლეს.
ანდრონიკაშვილმა რამდენიმე სოფელი დაიკავა. პარტიზანული
ბრძოლით მან დიდ წარმატებებს მიაღწია.

მართალია, ამ ბრძოლებში ანდრონიკაშვილი ცარიზმის ინტე-
რესების დამცველი გამოდიოდა, მაგრამ მისმა ურთიერთობამ მთი-
ელებთან ისინი ზედმეტი მსხვერპლისაგან იხსნა და უბრალო ხალ-
ხის ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა.

მაგალითად, ასეთი შემთხვევაც იყო. დამორჩილებულმა აუხ-ოველებმა პოლკოვნიკ ანდრონიკაშვილს სთხოვეს დახმარება, რათა ეხსნა მათი ოჯახები, რომლებიც მძევლებად ჰყავდა შამილს. ხალხის თხოვნა მამაცმა პოლკოვნიკმა ბრწყინვალედ შეასრულა. უკან დახევის დროს კი იგი შეეჯახა რაზმს, რომელსაც თვით შამილი მეთაურობდა. ქართველი სარდალ აქაც ვამარჯვებული გამოვიდა. 1841 წლის ექსპედიციაში დამსახურებისათვის ანდრონიკაშვილს გენერალ-მაიორის ჩინი უბოძეს.

1844 წელს კავკასიის კორპუსის მეთაურად და მეფის ნაცვლად მ. ვორონცოვი დაინიშნა, მისი ყურადღება თავიდანვე მიიპყრო ანდრონიკაშვილმა.

1846 წლის 6 ოქტომბერს გენერალ-მაიორი ანდრონიკაშვილი თბილისის სამხედრო გუბერნატორად და გუბერნიის სამოქალაქო ნაწილის მმართველად გვევლინება. მან აქაც ბრწყინვალედ გაამართლა ნდობა. იგი იცნობდა მხარეს და კარგად ესმოდა მოსახლეობის ჭირ-ვარამი და სისხარული.

ი. ანდრონიკაშვილმა შემოიარა მთელი გუბერნია, გაეცნო ხალხის ცხოვრებას, მხარის მდგომარეობას, ყურადღება მიაქცია სასოფლო გზებს, ბრძანა მათი შეკეთება, რიგ ადგილებში კი ახლის გაყვანა; ლეკებისაგან კახეთის დაცვის მიზნით ალაზნის მარცხენა მხარეს, ცარიელ ადგილებში, რუსები და ქართველები დაასახლა.

გუბერნიის საუკეთესო მოვლა-პატრონობისათვის ი. ანდრონიკაშვილს გენერალ-ლეიტენანტის წოდება უბოძეს. ამრიგად, იგი კარგ მხედართმთავართან ერთად კარგი ადმინისტრატორიც აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ანდრონიკაშვილის სტიქია მაინც სამხედრო საქმე და ომი იყო. მართლაც, მალე, 1853—1856 წლებში, მიეცა მას საშუალება კვლავ ესახელებინა თავი ყირიმის ომში. ამ ომის ძირითადი საბრძოლო ოპერაციები ყირიმის ნახევარკუნძულზე გაჩაღდა. მაგრამ ამიერკავკასიის ბრძოლის ასპარეზმა უდიდესი როლი შეასრულა ომის მსვლელობასა და მის დასასრულში.

ჯერ კიდევ ომის ოფიციალურად გამოცხადებამდე თურქები თავს დაესხნენ სოფ. შეკვეთილს (წმინდა ნიკოლოზის საგუმავოს), სძლიეს მცირერიცხოვან რაზმს და დაიკავეს იგი, ხოლო თვის ბოლოს ახალციხის მახრამიც შემოიჭრნენ. ალი ფაშას არტაანის

კორპუსმა ახალციხეს ალყა შემოარტყა. ქალაქის ურთიერთობა თბილისთან შეწყდა. ციხეში მომწყვდეული მცირერიცხოვანი რაზმი დალუბვის წინაშე აღმოჩნდა. როდესაც ახალციხესთან შექმნილი ვითარება ვორონცოვს მოახსენეს, მან გენერალ-ლეიტენანტი ი. ანდრონიკაშვილს დაავალა გარნიზონის გადარჩენა.

როგორც კი რუს-ქართველთა რაზმი ახალციხესთან გამოჩნდა, თურქებმა ციხეს ალყა მოხსნეს და მთავარ ფამაგრებულ ბანაკს მიაშურეს, ფოცხოვის მარჯვენა ნაპირს სოფ. სხვილისთან. სამხედრო საბჭოში შემდგომი მოქმედების შესახებ სხვადასხვა აზრი წამოიჭრა. ჩიბუხის შეუსვენებლივ წევრაში ანდრონიკაშვილმა განაცხადა: „მე სწავლული არა ვარ, ვიცი მხოლოდ ის, რომ აქ გამომგზავნეს თურქთა გასანადგურებლად და ისინი განადგურებული იქნებიან. ხვალ ჩვენ იერიშს მივიტანთ მათზე, დისლოკაციის შესახებ დაწვრილებით მითითებებს შემდეგ მოგართმევთ, ბატონებო“. შეტევა მეორე დღისთვის დაინიშნა. მიუხედავად ცუდი ამინდისა, მოწინავე ქვეითი ნაწილები, არტილერიის ცეცხლის ქვეშ, ფეხით გადავიდა საკმაოდ ღრმა მდ. ფოცხოვზე და 14 ოქტომბერს დილით მტერს ეკვეთა. იერიში იმდენად გაბედული, მძაფრი და განაგარიშებული აღმოჩნდა, რომ, მიუხედავად ძალების სიჭარბისა, თურქებმა დატოვეს გამაგრებული ადგილი და არტაანის მიმართულებით გაიქცნენ. ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგემ დატოვა რამდენიმე დროშა. გამარჯვებულთ დარჩა თვით ალი ფაშას დიდი ქონება და კანცელარია. როდესაც ვორონცოვმა ანდრონიკაშვილის გამარჯვება გაიგო, სწერდა: „სიტყვებს ვერ ვპოულობ, ძვირფასო თავადო ივანე მალხაზის ძევ, რათა სიხარული და მადლობა გამოვხატო, რომელიც მე განვიცადე სხვილისთან თქვენი ბრწყინვალე გამარჯვებით. არაფერი არ იქნებოდა უფრო გადამწყვეტი, კომპლექსური, ბედნიერი და გონივრული, ვიდრე ყველაფერი ის, რაც თქვენ გააკეთეთ. და ამისათვის ღმერთმა თქვენ წარმატებით დაგაჯილდოვათ... მოუთმენლად ველოდები ცნობას თურქების ამ საკვირველი დამარცხების დეტალების შესახებ. მშვიდობით დიდად ძვირფასო თავადო ივანე მალხაზის ძევ, გეხვევით მთელი სულითა და გულით“.

გამარჯვებული გენერალი ი. ანდრონიკაშვილი თბილისს დაბრუნდა, ეს იყო ტრიუმფალური მსვლელობა. მოსახლეობა გზა-

დაგზა ზეიმით ხედებოდა მას. ქ. გორთან გენერალს შეხვდა თავადაზნაურთა ლაშქარი, მაზრის უფროს ალექსანდრე ერისთავის მეთაურობით, რომელიც მის რიგებშივე იბრძოდა ახალციხესთან. ეს ლაშქარი თბილისამდე მიაცილებდა მას და საპატიო ყარაულის როლს ასრულებდა. ქალაქში შეხვედრის ცერემონია საბურთალოს ნინდორზე გაიმართა, იქ სადაც ძველთაგანვე ყოველგვარი ტრადიციული თამაშობები, სახალხო ზეიმები თუ სხვაგვარი გასართობები იმართებოდა. აქ თავი მოეყარა უამრავ ხალხს, გლეხსა და თავადს, ჯარისკაცსა და ოფიცერს. გარდა ადგილობრივისა, აქ იყო თბილისში შემთხვევით თუ სპეციალურად ჩამოსული. აქ იყვნენ ამქრები თავისი დროშებით, ზურნებითა და ხმაურით; აქ იყვნენ ქალაქის საპატიო წარმომადგენლები, გენერლები და სხვ.

ცერემონია ქალაქისაკენ დაიძრა, გზები და შემადლებული ადგილები ხალხით იყო სავსე, ყოველი მხრიდან ვაშას ძახილი გაისმოდა. მთავარსარდლის სასახლის თავზე მოხუცი, ავადმყოფი ვორონცოვი გამოსულიყო და გამარჯვებულს ესალმებოდა. ზეიმი გაგრძელდა თვით გუბერნატორის რეზიდენციაში, სადაც შტაბის უფროსი ბარიატინსკი, ოფიცრები და სხვადასხვა უწყებების მაღალი თანამდებობის პირები დახვდნენ. საღამოს კი თეატრში დამსწრეთა გრიალი და შეძახილები დიდხანს არ შემწყდარა, როდესაც ვორონცოვის ლოჟაში გენერალი ი. ანდრონიკაშვილი გამოჩნდა. ეს მოხდა 1853 წლის 10 დეკემბერს. გამარჯვების სულისჩამდგმელს წმინდა გიორგის მესამე კლასის ორდენი უბოძეს.

1853 წლის ბოლოს ვორონცოვი რეადემ შეცვალა. მტერი განსაკუთრებით გააქტიურდა დასავლეთ საქართველოს მიმართ. ასეთ ვითარებაში ჯარების მეთაურად საჭირო იყო არა მარტო კარგი სარდალი, არამედ ბრძოლის ასპარეზისა და მოსახლეობის მკოდნეც. ასეთ პიროვნებად გენერალი ი. ანდრონიკაშვილი მიიჩნეეს და იგი გურიის რაზმის მეთაურად დანიშნეს. მას ემორჩილებოდა ქუთაისის გუბერნია, სამეგრელო და აფხაზეთი იქ განლაგებული ჯარებითურთ.

1854 წელს საბრძოლო მოქმედება პირველად გურიაში გაიშალა. ბათუმის კორპუსი სელიმ ფაშას მეთაურობით შეტევაზე გადავიდა. იგი ქუთაისის აღებას ფიქრობდა.

ბათუმის კორპუსმა ოზურგეთი დაიკავა. მისი ავანგარდი ჰასან



ბეგის მეთაურობით აღმოსავლეთით დაიძრა, მაგრამ პოლკონიკი ნ. ერისთავმა სოფ. ნიგოითთან გაანადგურა.

როდესაც ი. ანდრონიკაშვილმა ნ. ერისთავის გამარჯვების ამბავი შეიტყო, მთელი რაზმით ოზურგეთისაკენ დაიძრა; თურქებმა ქალაქი დატოვეს და გურიის საზღვართან, მდ. ჩოლოქის მარცხენა მხარეს, გამაგრებული პოზიცია დაიკავეს. აქ განლაგდა სელიმ ფაშას 30-ათასიანი კორპუსი, მაშინ როდესაც გურიის რაზმი სამჯერ ნაკლები შემადგენლობისა იყო. ოზურგეთის მახლობელ ექადიას მთებიდან კარგად მოჩანდა მოწინააღმდეგის ბანაკი; ანდრონიკაშვილმა შეისწავლა იგი და იერიშის გეგმაც შეიმუშავა. 4 ივლისს გაჩაღდა ცნობილი ჩოლოქის ბრძოლა; შეტევაზე პირველი გადავიდა გურიის ქვეითი დრუჟინა თავდგირიძისა და მაჭავარიანის მეთაურობით. დრუჟინამ პირველმა დაიკავა მოწინააღმდეგის სანგრები, ამ დროსკი ქართული ცხენოსანი დრუჟინა, რომელსაც მამაცი თავადი გიორგი ჯანდიერი, ზედმეტსახელად „დროშა გიორგი“ მეთაურობდა, მტრის განლაგების ცენტრში შეიჭრა და მოწინააღმდეგის ქვემეხიც ხელთ იგდო. დრუჟინას დროშა ბოღბისხეველ მამასახლისს ნატროშვილს მიჰქონდა ბრძოლაში. მასკი ზედმეტსახელად „გოლიათს“ ეძახდნენ. ამ დრუჟინას გვერდს უმშვენებდა ბრძოლაში ნაცადი იმერელთა ასეული მოხუცი ქაიხოსრო მიქელაძის მეთაურობით. ბუნებრივია, ბრძოლის მთავარი ძალა რუსეთის რეგულარული ნაწილები იყო; ბრძოლის საბოლოო ბედიც მათ გადაწყვიტეს. გამარჯვებულ გურიის რაზმს მოწინააღმდეგის მთელი სიმდიდრე დარჩა.

მოკლე მოხსენებით ბარათში გამარჯვების შესახებ ი. ანდრონიკაშვილი მეფისნაცვალ რეადეს სწერდა, რომ ქართველი მეომრები რეგულარული არმიის მეზობლთა ღირსეული პატიოტები იყვნენ, რომ „საქართველოს ყველა კუთხის მოლაშქრენი საშინო იყვნენ მოწინააღმდეგისათვის არა მარტო მაშინ, როდესაც მტერი უკან გარბოდა, არამედ გამარჯვების მოპოვებამდეც. მილიციელთა ხმლები სალდათების ხიშტებთან ერთად მუშაობდნენ. მეთაურიდან დაწყებული უკანასკნელ ჯარისკაცამდე დამთავრებული ყველამ პირნათლად მოიხადა თავისი ვალი“. ბრძოლის შემდეგ ნიგოითისა და ჩოლოქის გამარჯვებათა მეფისათვის მოსახსენებლად პეტერბურგს გაიგზავნა ამ ბრძოლების გმირი პოდპოლკოვნიკი

ნიკოლოზ ერისთავი. იქ მას პოლკოვნიკობა უბოძეს, ფლიგელ-ადი-
უტანტად დანიშნეს და წმ. გიორგის მეოთხე კლასის ორდენით
დააჯილდოვეს, ხოლო გენერალ-ლეიტენანტი ი. ანდრონიკაშვილი
წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენის ღირსად სცნეს.

როდესაც ჩოლოქის ამბები ყოფილმა მეფისნაცვალმა ვორონ-
ცოვმა გაიგო, 1854 წლის 11 ივლისს ი. ანდრონიკაშვილს სწერდა:
„ძვირფასო თავადო ივანე მალხაზის ძე! ვჩქარობ... რათა გული-
თადად მოგილოცოთ ახალი ბრწყინვალე წარმატება და სელიმ ფა-
შას არმიის სრული განადგურება... დიდება და პატივი თქვენ და
თქვენს თანამებრძოლებს, რომელთა თქვენდამი სიყვარული და
ნდობა საფუძვლად უდევს ასეთ დიდ საქმეებს. ვხარობ თქვენი გამ-
არჯვებით და ამჟამად ყველგან სახელგანთქმული საქართველოს სა-
ხელით, რომლის დიდებას ასე კარგად უწყობთ ხელს. შეგიძ-
ლიათ წარმოიდგინოთ, რამდენად მოხარული ვარ ჩვენი ნიკო ერის-
თავის ასევე ბრწყინვალე გმირობით... გულითადად გეხვევით და
გთხოვთ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არვის შეუძლია უფრო
მეტად უყვარდეთ და პატივს გცემდეთ, ვიდრე მე“.

უდიდესი ზეიმი და აღფრთოვანება იყო გამარჯვებასთან და-
კავშირებით მთელ საქართველოში. განსაკუთრებით გამოირჩეოდა
ქუთაისი, სადაც ბრძოლის მონაწილენიც და თვით გამარჯვების
მეთაურიც ადრევე ჩავიდნენ. ხალხი ეხვეოდა, ესალმებოდა და გა-
მარჯვებას ულოცავდა ბრძოლის გმირებს.

ცერემონიის დროს გამარჯვებულ გენერალს მიართვეს ბრძო-
ლის ველადან ჩამოტანილი ნადავლი ქვემეხები, რომლებზედაც
სულთან აბდულ მეჯიდის სახელი ეწერა.

ზეიმით შემოხვდა ჩოლოქის გმირს ქ. თბილისი. ცერემონია
იმავე საბურთალოს მოედანზე მოეწყო, სადაც რამდენიმე თვის
უკან ახალციხიდან გამარჯვებით დაბრუნებულს დახვდნენ. ამჟა-
მად კი მის შესახვედრად თვით მეფისნაცვალი რეადრეც გამოსუ-
ლიყო. ზეიმი ქალაქშიც გრძელდებოდა. 8 ივლისს ჩოლოქის ბრძო-
ლის მთელი ნადავლი თბილისს ჩამოიტანეს და მეფისნაცვლის
სასახლის ერთ დარბაზში გამოფენა მოაწყვეს.

ამიერიდან ანდრონიკაშვილი თავის ძველ, თბილისის გუბერ-
ნატორის მოვალეობის შესრულებას დაუბრუნდა.

ყირიმის ომის დამთავრებასთან ერთად მთავრდება ანდრონი-

კაშვილის სახელოვანი სამხედრო მოღვაწეობა. პირადი თანახმად იგი განთავისუფლდა თბილისის გუბერნიის გუბერატორის თანამდებობიდან.

სამხედრო სამსახურიდან გასვლასთან დაკავშირებით 1856 წლის 29 იანვარს ანდრონიკაშვილს ვორონცოვი სწერდა: „ძვირფასო და პატივცემულო თავადო ივანე მალხაზის ძე! მივიღე 15 დეკემბერს გამოგზავნილი თქვენი მეგობრული წერილი, გულითად მადლობას მოგახსენებთ ჩემდამი მეგობრული გრძნობისათვის, რომლითაც აღსავსეა ეს თქვენი ბარათი. ამ ცოტა ხნის წინათ გავიგე თქვენ მიერ სახელოვანი და სასარგებლო სამსახურის დატოვება, მეტად შევწუხდი, მაგრამ თქვენ იმდენად კარგად გიცნობთ, რომ დარწმუნებული ვარ, ამ გადაწყვეტილებას საბატიო მიზეზი ჰქონდა, სამოღვაწეო ასპარეზიდან თქვენი წასვლა დროებითია და რომ საქართველო თქვენ კვლავ გიხილავთ თავის სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში. ღმერთმა ჰქნას, რომ დროებით სიმშვიდემ ძალა დაგიბრუნოთ, რათა კვლავ გამოსადეგი იყოთ სამშობლოსათვის; მანამდე თქვენ მაინც სარგებლობას მოიტანთ, და საქართველოში სამოქალაქო ცხოვრებით და სამშობლოსადმი ერთგულებით სამაგალითო და ყველგან ერთი პირველთაგანი პატივცემული ფეოდალი იქნებით. აი ჩემი თქვენდამი ჭეშმარიტი დამოკიდებულება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ აქ გამოხატულია მთელი ჩემი გრძნობა. მე ყოველთვის მახსოვს და არასოდეს დავივიწყებ 1853 წლის ომის დასაწყისში თუ როგორ დასთანხმდით სათავეში ჩადგომოდით ახალციხისაკენ სალაშქროდ განკუთვნილ ჯარებს. მაშინ თურქებზე ბრწყინვალე გამარჯვებით თქვენ გზა გაუხსენით ყველა შემდგომ წარმატებას, რომლებმაც განამტკიცეს ჩვენი მდგომარეობა და გამარჯვებული გამოგვიყვანეთ. მადლობას გიხდით, რომ გახსოვთ ჩემი მეუღლე, იგი გულითად ჯანმრთელობას და ყოველივე კეთილს გისურვებთ. მას, ჩემთან ერთად, ყოველთვის ახსოვს საქართველო და მუდამ მასზე ლაპარაკობს, რომელიც ჩვენ ასე გვიყვარს; შეიძლება ითქვას, ამავე დროს, მხურვალედ გვიყვარს მისი ყველა თავადი, აზნაური და მთელი ხალხი. ჩვენ ყოველთვის ვლოცულობთ თქვენს ღვთაებრივ მხარის კეთილდღეობასა და წარმატებებზე“.

სამსახურიდან გასვლის შემდეგ ყოფილი გენერალი თავის მა-

მულს დაუბრუნდა კახეთში. მან ჯერ კიდევ ადრე დაიწყო მდინარე იორიდან არხის გაყვანა და ახლა 20 კმ-მდე დაასრულა იგი. ირწყვებოდა მნიშვნელოვანი ფართობი. მოსავლიანობა გაიზარდა; არხზე მოაწყო ორი წისქვილიც. ყურადღება მიაქცია მსხვილფეხა საქონლის ჯიშების გაუმჯობესებას; მოაშენა ცხენების ჯოგი, გაუმჯობესა ვენახის დამუშავება და ღვინის დაყენებაც. ი. ანდრონიკაშვილმა ევროპიდან გამოიწერა ახალი გაუმჯობესებული გუთანი, სალფი მანქანა და ა. შ. გააშენა თუთის ხე და წარმატებით მიჰყო ხელი მეაბრეშუმეობას.

რაციონალურ საწყისებზე მოწყობილი მამული 1860 წელს მან გადასცა ვაჟიშვილს არჩილს, თვით კი მთავარი მეთვალყურის როლს ასრულებდა.

უკანასკნელი წლები ანდრონიკაშვილმა წყნარად გაატარა თავის მამულში. მას ამხნევებდა წარსულის მოგონება, შვილის მომავალი კეთილდღეობა და 4 შვილიშვილის ბედნიერება.

1864 წლის 14 ივლისს მას სამხედრო მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავი იუბილე მოუწყვეს.

ამ დღესთან დაკავშირებით გენერალ-ლეიტენანტ ანდრონიკაშვილს კავალერიის გენერლის ჩინი უბოძეს და მეფემ მამულზე აჩუქა სტავროპოლის გუბერნიაში. იუბილეზე მრავალი სიტყვა წარმოთქვეს, აღნიშნეს განვლილ პერიოდში მისი დამსახურება და სახელოვანი მოღვაწეობა. ბოლოს წაიკითხეს დეპეშები რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან, განსაკუთრებით კი პეტერბურგიდან.

ამ დღემ დიდი სიამოვნება მოჰგვარა იუბილარს, მაგრამ ავადმყოფობამ საშუალება არ მისცა ეს ბედნიერება დიდხანს ეზეიმა, მკურნალობის უშედეგო ჩავლის შემდეგ იგი თავის მამულში წავიდა და ჩაწვა.

1868 წლის 19 ოქტომბერს გამოჩენილი მხედართმთავარი ივანე ანდრონიკაშვილი 75 წლის ასაკში გარდაიცვალა.



ივანე ამილახვარი

„ჯარმა თავისი სამხედრო ძლიერება მტერზე არა მარტო მატერიალურ და რიცხობრივ უპირატესობაში უნდა ეძიოს, არამედ თავის მორალურ და სულიერ ძალაში. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ძველი აღზრდის კავკასიური ეს სისტემა და გვახსოვდეს კარგად“.

(ი. ამილახვარი)

გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი ივანე გივის ძე ამილახვარი ქართლის თავადთა ერთ-ერთი უძველესი სახლის შთამომავალია. არსებობს მოსაზრება, რომ მისმა ერთ-ერთმა წინაპარმა ოტია ზედგენიძემ უდიდესი გმირობა ჩაიდინა. მეფე გიორგი VIII-ს მან განსაცდელი ამცნო და სასახლიდან გაპარვა ურ-

ლაშქრობაში ინდოეთში. გივი ამილახვარი აქ შაჰის გვარდიაში მეთაურობდა. ერთ-ერთ ბრძოლაში გივის მამაცობით განცვიფრებულ ნადირ შაჰს ძვირფასი ხმალი მოუხსნია და თვით ჩამოუკიდია გმირისათვის, ხოლო ლაშქრობის შემდეგ სამხრეთ ქართლის ნაწილიც უბოძებია.

სამხედრო დიდების გარდა გივი ცდილობდა ხალხის სიყვარული დაემსახურებინა. იგი მფარველობდა ღარიბს, სუსტსა და ჩაგრულს; მას აუშენებია შიომღვიმის საეანე. ნანგრევებიდან აღადგინა ფეთხანის ეკლესია და ა. შ. მაგრამ მის მთავარ დამსახურებად სიონის ტაძრის გადარჩენას თვლიან.

1727 წელს თურქეთის ჯარმა თბილისი აიღო. სულთანმა უბრძანა სიონის გადაკეთება მეჩეთად, მსგავსად კონსტანტინოპოლის წმ. სოფიის ტაძრისა. ეს ბრძანება ახალციხის ისაკ ფაშას უნდა განეხორციელებინა. გივიმ მუქარით და ძვირფასი საჩუქრებით აიძულა ფაშა ხელი აეღო ბრძანების შესრულებაზე. ამ ფაქტმა მას უდიდესი ავტორიტეტი მოუტანა.

გივი ამილახვარის საციოცხლის უკანასკნელი წლებმა საქართველოს აშლილობისა და შინაფეოდალური ქიშპობის ვითარებაში გაიარა. 1754 წელს იგი გარდაიცვალა, დასაფლავებულია შიომღვიმის საეანეში. გივი იმდენად ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ თვით მეფე თეიმურაზ II-ს საფლავამდის მიუყცილებია.

გივი ამილახვარს ორი შვილი დარჩა — დავითი და ბარძიმი. დავითი ახალგაზრდა დაიღუპა ლეკებთან ბრძოლაში; ბარძიმი, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის თანამედროვე, ვეღარ ასრულებდა ისეთ პოლიტიკურ როლს, როგორსაც მისი წინაპრები. იგი უბრალო ფეოდალი იყო და მხოლოდ ლეკებთან ბრძოლაში თუ განირჩეოდა. ბარძიმის უფროსი ვაჟი გივი მამასთან ერთად ცხოვრობდა კალაში. ორივენი მრავალი ლაშქრობის მონაწილენი იყვნენ. ერთად იბრძოდნენ ისინი ახალციხესთან პასკევიჩის რაზმში, დარგოს ექსპედიციაში და ა. შ. 90 წლის ბარძიმი კიდევ ცხენზე ჯდებოდა და ახალგაზრდებთან ერთად მონაწილეობდა დოღში. სოფ. კალაში გივი ამილახვარს შეეძინა ვაჟიშვილი, ჩვენთვის საინტერესო პიროვნება, შემდგომში რუსეთის არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი გენერალი ივანე ამილახვარი. იგი დაიბადა 1829 წლის 10 იანვარს. ივანე პაპის სახლში იზრდებოდა ძველ ქართულ ტრადიციებ-

ზე, დედა ანასტასია ორბელიანის ასული — განათლებული ქალი ყოფილა და წერა-კითხვაც მისგან უსწავლია შეიღს. აქ ქალაზე გადიოდა გორი — თბილისის გზა და ამ ოჯახში ხშირად ხედებოდა რუსი საზოგადოება. სტუმრებს ხიბლავდა მოხუცი ბარძიმის მოგონებები, სტუმართმოყვარეობა.

ი. ამილახვარს განსაკუთრებით დაჩა მეხსიერებაში თბილისში 1837 წელს იმპერატორის ჩამოსვლა: იმ დღეს ქალაქი ნიკოლოზ I-ს ხედებოდა და ივანე მთელი ცერემონიის მოწმე გახდა. დიდუბის მინდორზე ჯარის დათვალიერება მოეწყო. ახალგაზრდა ივანემ აქ პირველად დაინახა ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონი, რომელთანაც შემდგომ მისი ცხოვრების საუკეთესო წლები აღმოჩნდა დაკავშირებული.

ივანეს კარგად ახსოვს იმპერატორის პატივსაცემად გამართული მეჯლისი, სადაც მეფეს თავის დროის ულამაზესი ქალი — მართა სოღულაშვილი ახლდა. ეს ქალი შემდეგ ალექსანდრე ერისთავის მეუღლე გახდა, ხოლო მათი ქალიშვილი ანა — ივანე ამილახვარის მეუღლე.

1837 წელს ივანე თბილისის გიმნაზიაში შეჰყავთ; 6 კლასის დამთავრების შემდეგ იგი სოფ. ქალაში დაბრუნდა და მშობლებს განუცხადა, რომ მას ჯარში სამსახური სურს.

მაუხედავად იმისა, რომ ტრადიციის თანახმად უფროსი ვაჟი სახლში უნდა დარჩენილიყო, ოჯახმა უარი არ უთხრა ივანეს. პაპა ბარძიმმა მას სამშობლოსადმი ერთგული სამსახურის დავალება მისცა და ურჩია, ახლო ყოფილიყო ჯარისკაცთან, მეტი ეფიქრე მათზე, ვიდრე თავის თავზე. გაცილებების პაპამ მას საგვარეულოს სამახსოვრო ხმალი შეაბა, რომელიც ოდესღაც მის წინაპარს შაჰ ყული ხანიდან მიუღია ინდოეთში ლაშქრობისას. ამ ხმალს ივანე ამილახვარი 40 წელი ატარებდა.

1850 წელს ივანე მოხალისედ ჩაირიცხა ნიჟეგოროდის ლეგიონში. იგი ყველამ შეიყვარა და უბრალოდ ნიკოს ეძახდნენ. „როდესაც ამ უბრალო, წყნარ ახალგაზრდას უყურებდით, — წერდა ერთ-ერთი მისი თანამედროვე, —... ნუთუ ვინმე იფიქრებდა, რომ შვადი წლის შემდეგ ის უკვე ნიჟეგოროდის დივიზიონის უფროსი, ცნობილი იქნებოდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საკავალერიო ბრძოლის მონაწილე, რომელსაც კი ადგილი ჰქონ-



და კავკასიაში, ხოლო კიდევ 6 წლის შემდეგ უკვე ნიყეგოროდის ლეგიონის მეთაური გახდებოდა და მისი სახელი დიდი ასობით ჩაიწერებოდა კავკასიის ომის მატრიანეში“.

პოლკში მას დახვდა ზაქარია ჭავჭავაძე, რომელსაც კავკასიის არმიის საუკეთესო ოფიცერთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ და საზოგადოებაში გარკვეული ავტორიტეტიც ჰქონდა. აქვე მას დახვდა რუსი ოფიცრობა, რომელიც ბედმა კავკასიაში გადმოსროლა. მათგან ბევრი პროგრესულად მოაზროვნე იყო, ნაწილი კი დეკაბრისტთა აჯანყების მონაწილეც.

1851 წლის 7 თებერვალს ი. ამილახვარის ნიყეგოროდის ლეგიონი სოფ. გემენჩუტთან ბრძოლებში მონაწილეობდა, მე-7 ესკადრონის შემადგენლობაში იბრძოდა, რომელსაც ზაქარია ჭავჭავაძე მეთაურობდა. აქ პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო ახალგაზრდა ივანემ და იმდენად ისახელა თავი, რომ ჯარისკაცმა გიორგის ჯვარი დაიმსახურა. „ეს ჯვარი ჩემთვის, — იგონებს ივანე — განსაკუთრებით ძვირფასია, რადგან იგი მე მთელმა ესკადრონმა მომანიჭა“.

30 აგვისტოს მორიგ ბრძოლაში მე-7 ესკადრონი მოწინააღმდეგის განლაგებაში შეეჭრა. ზ. ჭავჭავაძის მხარდამხარ იბრძოდა ივანე ამილახვარიც. „მე ვხედავდი, — წერს ივანე, — თუ როგორ იბრძოდა ალყაშემორტყმული ზაქარია. მის თავზე ათობით სმალი ბრწყინავდა“. ამ ბრძოლაში ივანე ამილახვარი დაჭრეს ზ. ჭავჭავაძესთან ერთად, მაგრამ მალე გამოჯანმრთელდნენ.

ყირიმის ომი მოახლოვდა. 1853 წლის 30 ოქტომბერს ნიყეგოროდის ლეგიონი ალექსანდრეპოლში იდგა. აქ ცნობა მოვიდა მტერთან მოულოდნელი შეტაკების შესახებ.

30 ნოემბერს ამას მოჰყვა ბაშკადიკლარის ბრძოლა, რომელშიც ივანე უშუალოდ მონაწილეობდა. ბრძოლის ერთ-ერთ მომენტში ყველაფერი ერთმანეთში აირია. ამილახვარს თავს დაესხა თურქი ოფიცერი. ორივემ ერთდროულად ესროლა ერთმანეთს. თურქი ოფიცერი ძირს დაეცა. შემდეგ ანდრონიკაშვილი თურქების ბატარეაზე შეიჭრა და ქვემეხები იგდო ხელთ. გამარჯვებულს დიდი ნადავლი დარჩა.

1854 წელს ინგლისისა და საფრანგეთის ომში ჩაბმამ გაართულა რუსეთის მდგომარეობა, საბრძოლო ოპერაციებმა ძირითა-

დად ყირიმში გადაინაცვლეს, მაგრამ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა სამეგრელო და ფურიაც. დაიწყო ახალი ბრძოლებისათვის მზადება, ჯარების დაკომპლექტება.

ი. ამილახვარი გაიგზავნა გურიის რაზმის მეთაურის გენერალ ანდრონიკაშვილის განკარგულებაში. მას დაავალეს ქართული ცხენოსანი დრუჟინის ფორმირება. როდესაც მას ნიჟეგოროდის პოლკის მეთაური იასონ ჭავჭავაძე აცილებდა, განუცხადა: „მე რეკომენდაცია მოგეცი არა მარტო როგორც ქართველს, რომელსაც შეუძლია დრუჟინის მებრძოლებს ახსნა-განმარტება ჩაუტაროს მათ მშობლიურ ენაზე, არამედ როგორც ოფიცერს, რომელზედაც შემიძლია სრული პასუხისმგებელი ვიყო“.

ამილახვარი თბილისში გენერალ ანდრონიკაშვილთან გამოცხადდა, რომლის თქმით, ი. ამილახვარი ნამდვილი ქართველი თავადი იყო, გააჩნდა დიდი ნიჭი და საბრძოლო გამოცდილება. იგი ყველას უყვარდა თავისი ორიგინალობის, პატრიარქალური სტუმართმოყვარეობისა და უმწიკვლო პატიოსნებისათვის. გენერალმა ამილახვარი ჩაათვალეირა, გამოჰკითხა ვინაობა და გაახსენდა, რომ ივენეს მამა გივი მასთან ერთად იბრძოდა ახალციხესთან. შემდეგ განუცხადა, რომ მას გზავნის დრუჟინას ფორმირებაზე, რომლის მეთაურად მამაცი ჯანდიერი დანიშნეს. „გეტყვი გულახდილად, — უთხრა გენერალმა, — რომ „დროშა გიორგი“ და მისი ღირსეული მეგობრები ძლიერ მამაცნი არიან, მაგრამ მწყობრის წესრიგის არაფერი ესმით. შენ, ძმაო, შემიქენი დრუჟინა ჩვენს დრაგუნთა მსგავსი“. დისციპლინის განსამტკიცებლად ივანე მებრძოლებს შთაავონებდა, რომ მათი ნადავლი უნდა იყოს მოწინააღმდეგის დროშები და ქვემეხები. „ამით თქვენ მატერიალურ სიმდიდრეს ვერ მიიღებთ, — დასძენდა იგი, — მაგრამ შეიძენთ იმას, რის ყიდვაც შეუძლებელია, რაც უნდა დიდი თანხა გაჯანდეთ — ეს არის მებრძოლის სინდისი და ხალხში უკუდავი სახელი“.

დრუჟინას შესამჭიდროებლად, დისციპლინის განსამტკიცებლად და საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების მიზნით ამილახვარის ინიციატივით სპეციალური დროშა დაამზადეს, რაც სიმბოლურად ძველი ტრადიციის, დამოუკიდებელი, ქართული სამხედრო ერთეულის აღდგენასაც ნიშნავდა. ეს დროშა იყო ჩვეულებრივი შავი ტილო. ამ დროშას დიდ პატივს სცემდნენ ქართველი მე-

ომრები. მის წინაშე კიდევ ლოცულობდნენ. ივანე ამილახვარის ენერგიული მუშაობით დრუჟინა უმოკლეს დროში მზად იყო ბრძოლისათვის. მან შექმნა ნაწილი, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მოვალეობა. ქართულმა დრუჟინამ თავი ისახელა 1854 წლის ჩოლოქის ბრძოლაში, სადაც რთულ, გადამწყვეტ მომენტში შეიჭრა მოწინააღმდეგის ბანაკში და მტერს გამარჯვება ხელიდან გამოჰკლიჯა. ამ წარმატებას დრუჟინა ი. ამილახვარს უმადლოდა, რისთვისაც კაპიტნის ჩინი უბოძეს. ბრძოლის შემდეგ დრუჟინა დაითხოვეს, ხოლო ი. ამილახვარი თავის ნიჟეგოროდის პოლკს დაუბრუნდა. აქ მან მე-7 ესკადრონის უფროსობა ჩაიბარა, რომელსაც აღრე ზაქარია ჭავჭავაძე მეთაურობდა.

1856 წლიდან ნიჟეგოროდის ლეგიონი კვლავ ჩრდილო კავკასიაში იდგა. ზაქარია ჭავჭავაძის ავადმყოფობის გამო, დივიზიონის მეთაურად ამილახვარი დანიშნეს. ხშირი იყო მთიელებთან ბრძოლები. აქ აჩხოვის ექსპედიციაში ი. ამილახვარმა ოქროს ხმალი დაიმსახურა.

1864 წ. კავკასიის ომი დამთავრდა. ნიჟეგოროდის პოლკის მეთაური გრაბე პეტერბურგს გაიძახეს, ხოლო მის ადგილზე პოლკოვნიკის ჩინში ამაღლებული ამილახვარი დანიშნეს. „ეს სენსაცია იყო, მე მხოლოდ 12 წელი იცოცხე თფიცრად...—წერდა იგი,—და ბუნებრივია, არავითარი ანგარიშით არ შემეძლო მეფიქრა ასე დიდი თანამდებობა დამეკავებინა“.

ი. ამილახვარი პოლკის მეთაურობას შეუდგა იმ დროს, როდესაც საჭირო იყო ლეგიონის დანაკარგის შევსება. ძველი თაობა კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ პოლკიდან წავიდა, ახალი მიღებული არ იყო. ახლა, მშვიდობის დროს, ახალი კადრების აღზრდა იყო საჭირო, საჭირო იყო ძველი საბრძოლო სულისკვეთების შენარჩუნება და ახალი თაობისათვის გადაცემა. ივანე ჩვეულებებისამებრ ენერგიულად შეუდგა საქმეს.

1869 წ. დასაწყისში ამილახვარმა 15 წლის სამსახურის შემდეგ პირველი შევებულება აიღო და მშობლიურ გორს ეწვია. ცოცხალი აღარ დახვდა პაპა ბარძიმი, რომელმაც გზა დაულოცა სამხედრო სამსახურში; დედაც გარდაცვლილიყო, მოხუც მამას ძლიერ სურდა სიცოცხლეში ენახა შვილი დაქორწინებული. შევებულებაში ივანე შემთხვევით გაეცნო გორის მაზრის თავადაზნაურ-

თა წინამძღოლის ალექსანდრე ერისთავის ოჯახს. მას საკმაოდ ლამაზი და განათლებული ასული ჰყავდა. ერისთავების გვარს ქსნის საერისთავოდან ქართულ ცნობილ თავადთა გვარებს შორის პირველი ადგილი ეკავა. თვით ალექსანდრე კი ცნობილი იყო, როგორც თავადაზნაურთა წინამძღოლი და ახალციხის, ქიურუქ-დარასა და ყარსის ბრძოლების მონაწილე. ამ ოჯახის გაცნობამ ივანეზე დიდი გავლენა მოახდინა და ხელი სთხოვა თავადის ასულს. 1866 წლის 30 იანვარს ჯვრისწერა მეფისნაცვლის ეკლესიაში მოხდა. ქორწილზე მეუღლის მხრიდან მამობილობა იკისრა გრიგოლ ორბელიანმა, დედობილობა კი ქვრივმა ანასტასია დავითის ასულმა გაგარინმა. დაქორწინებული ივანე ლეგიონს დაუბრუნდა, რომელიც ნოვოგოროდეესკიდან საქართველოში ჩამოვიდა და თეთრ წყაროში დაბანაკდა.

1869 წ. კრასნოსელსკის ბანაკში საკავალერიო მეცადინეობა ტარდებოდა. იქ მიავლინეს სამი გენერალი და ორი ოფიცერი, მათ შორის ივანეც. შეკრება დაათვალიერა ალექსანდრე II. იგი ნიჟეგოროდის ფორმაში მწყობრთან მივიდა და ამილახვარს მიმართა, რომ იგი გამოცხადდა ნიჟეგოროდის ლეგიონის მეთაურთან. ლეგიონის სახელით ივანემ მეფეს თავისი საგვარეულოს ძველი ხმალი გადასცა. როდესაც ივანე დაიხარა და მეფისადმი ხელზე კოცნა მოიწადინა, მონარქი მას გადაეხვია და უთხრა: „გადაეცი ლეგიონს, მე ვამაყობ მისი სახელოვანი ფორმის ტარებით“. შემდეგ მეფემ იწიშვლა ხმალი და პრუსიელ გენერალს უჩვენა, თუ როგორი საჩუქარი მიიღო ამ ლეგიონისაგან. განცვიფრებულმა გენერალმა უპასუხა, რომ ეს ხმალი ერთადერთი უძველესია, რომელიც მას უნახავს სიცოცხლეში. მან ხმალი სამხედრო მინისტრს მილიუტინს გადასცა და ასე ხელიდან ხელში გადადიოდა.

1871 წლის 22 იანვარს ვიურტენბერგის მეფეს ნიჟეგოროდის შეფობის 25 წლისთავი უსრულდებოდა. გამოიყო ლეგიონის დელეგაცია, რომელიც უნდა მისალმებოდა მას შტუტგარტში. დელეგაციაში შევიდა ივანე ამილახვარი. დიდმა მთავარმა ივანე ამილახვარს ხმალი მისცა იუბილარისათვის გადასაცემად, რომელიც თავის დროზე თავად შერვაშიძეს ეკუთვნოდა. დელეგაცია პეტერბურგში მეფეს ეწვია, მას მოეწონა ხმლის გადაცემის განზრახვა და დამშვიდობებისას ამილახვარს უთხრა: „გადაეცი მეფეს, რომ ახლანდელი ვი-



თარების გამო არ შემიძლია პირადად მივულოცო“ და დაავადებული დიპლომატიური მიდგომით პრუსიის ჯარის დათვლიერების უფლება მიეღო. ამილახვარი შტუტგარტში ჩავიდა: სადგურზე მას მეფის აღი-
 შტანტი დახვდა, ხოლო 5 საათზე თვით მეფემ მიიღო ფორმისა და ცერემონიის გარეშე. აუდიენცია მოკლე დროით განისაზღვრა, მეორე დღეს 11 საათზე კი ოფიციალური მიღება იყო. მეფე უკ-
 ვე ნიჟევროოდის ლეგიონის ფორმაში იყო ანდრეევსკის ლენტით. მასთანვე იღვა ნიკოლოზ მეფის და ოლგა ნიკოლოზის ასული. ამილახვარი წარუდგა იუბილარს და გადასცა ხმალი. მეფემ მად-
 ლობა გადაუხადა და პირობა მისცა ატარებდა მას ლეგიონის სამ-
 ხედრო დამსახურების მოსაგონებლად. ცერემონიისა და სადილის დროს ამილახვარმა მიაღწია ნებართვას — წასულიყო გერმანიის არმიისაში, რომელიც ფრანგებზე გამარჯვების შემდეგ კვლავ პარიზ-
 თან იღვა. 1871 წ. 10 თებერვალს ი. ამილახვარი მეფის კარეტით ჩავიდა ვერსალში, სადაც გერმანიის არმიის შტაბი იყო. იმავე დღეს იგი გერმანიის იმპერატორმა მიიღო ვერსალის რატუშის უდიდეს დარბაზში. ყველა დააინტერესა პოლკოვნიკის კავკასიურმა ხმალმა. ასეთი ხმალი ევროპის მუზეუმებშიც იშვიათი იყო. სადილზე მე-
 ფე, სამხედრო მინისტრი ფელდმარშალი მოლტკე და მათი თან-
 მხლები პირები დაინტერესდნენ რუსეთისა და კავკასიის ამბებით. იმპერატორმა ი. ამილახვარს მიამაგრა ინჟინერი — გენერალი გერ-
 გი, რომელმაც მას გააცნო ომის მსვლელობა და შედეგები. „მისი ხელმძღვანელობით, — წერს ივანე, — მე დაწვრილებით ვავიცა-
 ნი არა მარტო სააღყო სამუშაოები, არამედ ვავიგე ჩემთვის მე-
 ტად საჭირო და ბევრი რამ ახალი, საინტერესო და შესანიშნავი. მა-
 გალითად, ვნახე დინამიტის მოქმედება, რომელსაც მაშინ კავკასია-
 ში არ იყენებდნენ, ვნახე უდიდესი ხეებისაგან შექმნილი მავთუ-
 ლებით ურთიერთდამაგრებული კედელი, ვესწრებოდი მდ. სენა-
 ზე საპონტონო ხიდის გამართვას, რომლითაც ორი საათის შემ-
 დეგ პარიზიდან უკვე გამოქონდათ პოზიციებიდან მოხსნილი (ფრან-
 გული ვეებერთელა) ქვემეხები“. ასე რომ გერმანიის არმიისაში და სხვადასხვა ქალაქებში ყოფნამ მას ბევრი რამ მისცა სამხედრო თვალსაზრისით. უკან დაბრუნებისას შტუტგარტში იგი კვლავ ეწვია ნიჟევროოდის შეფს, რომელმაც ი. ამილახვარს გადასცა ვიჟრ-

ტენბერგის კომანდორის ჯვარი ხმლით, ხოლო დედოფალმა მეუღლისათვის თავისი ფოტოსურათი და სამკაული.

იმავე წლის სექტემბერში დელეგაცია ლეგიონში, საქართველოში, დაბრუნდა. მეფეც ჩამოვიდა, რომელმაც პოლკოვნიკ ი. ამილახვარს ფლიგელ-ადიუტანტობა უბოძა. თბილისიდან ბორჯომისაკენ მიმავალი მეფე გორში ამილახვარის სიმამრის, თავად ალექსანდრე ერისთავის ოჯახში შეჩერდა. მეფემ გაიხსენა, რომ იგი აქ 20 წლის წინათ იყო — როდესაც მან კავკასია ინახულა როგორც ტახტის მემკვიდრემ. კიბეზე საბატოთ თავადთა ყარაულში ივანეს მამა, მოხუცი გივი იდგა; ივანეს მეუღლემ კი პური და მარილი მიართვა სტუმარს. იქვე ოთახში მარმარილოს დაფა იყო წარწერით: „ეს სახლი გააბედნიერა თავისი სტუმრობით ტახტის მემკვიდრემ ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ 1850 წლის 17 სექტემბერს“; აქვე სახლის პატრონს, ალექსანდრე ერისთავს მეფემ პოლკოვნიკობა უბოძა და თავის ფლიგელ-ადიუტანტად დანიშნა. მეფე გორისა და ბორჯომის საზღვრამდე მიაცილა ივანემ და ლეგიონში დაბრუნდა.

1873 წლის 30 აგვისტოს პოლკოვნიკი ამილახვარი გენერალ-მაიორი გახდა და იმპერატორის ამაღალში ჩარიცხეს, ხოლო 1874 წ. 24 დეკემბერს ახალ დანიშნულებასთან დაკავშირებით ივანემ ნიყეგოროდის ლეგიონი დატოვა. მის უკანასკნელ ბრძანებაში ნათქვამი იყო: „ძვირფასო ნიყეგოროდელეზო, თქვენს რიგებში სრულიად ახალგაზრდა მოვედი, თქვენთან გავიზარდე და დავკვაყვაცდი; აქვე გავიარე სამხედრო წოდების ყველა საფეხური — რიგითი მებრძოლიდან გენერლობამდე და მთლიანად დავიასხოვდი თქვენ“.

1876 წლის დასაწყისში გენერალი ამილახვარი დროებით შვებულებას იღებს, მაგრამ ომის მოახლოების გამო მწყობრს დაუბრუნდა. ნიყეგოროდის ლეგიონი ჩრდილო კავკასიიდან მცირე აზიის ბრძოლის ასპარეზისაკენ დაიძრა. 29 სექტემბერს მათ მცხეთაში შეხვდა ყოფილი მეთაური ივანე ამილახვარი, რომელიც გორიდან ჩამოსულიყო. აქვე შეხვდა ვლადიკავკაზიდან მომავალ ზ. ჭავჭავაძეს. ორივე ინტერესით ათვალიერებდა ლეგიონს. კმაყოფილება გამოიწვია მათში იმ ფაქტმა, რომ ლეგიონი ბრძოლაში მხნე და მაღალი სულისკვეთებით მიდიოდა. მცხეთაში ლეგიონს სადილი გაუმართეს.



24 ნოემბერს ამილახვარი ერევნის რაზმის უფროსთან რაალ ტერ-გუკასოვთან გამოცხადდა. აქ იგი მკვიდრო ურთიერთობას ამყარებს სომეხ საზოგადო და სამხედრო მოღვაწეებთან. ომის გამოცხადების პირველი დღიდანვე ამილახვარი, ერევნის რაზმის კავალერიის მეთაური, ავანგარდში მოქმედებს, მიიწვევს წინ და პირველი იკავებს მოწინააღმდეგის სოფლებსა და ქალაქებს. ამილახვარმა აქ კავშირი დაამყარა ქურთთა მეთაურთან მირზა ალასთან. მან სრული თანხმობა განაცხადა რუსეთის მთავრობისადმი ერთგულ სამსახურზე, მაგრამ „მე მისი არა მჯერა, — წერდა ივანე, — იგი ცბიერია“. რაზმმა 30 აპრილს ქ. ბაიაზეთი დაიკავა და შეტევა ალაშქერტის მიმართულებით განაგრძო. ბაიაზეთში მცირერიცხოვანი გარნიზონი დატოვეს.

ერევნის რაზმი 200 კმ სიღრმით შეიჭრა თურქეთში სოღანლულის მიმართულებით, მუშირმა მუხტარ ფაშამ მის წინააღმდეგ ალაშქერტის რაზმი დაძრა მაგომედ ფაშას მეთაურობით.

16 ივნისს მოწინააღმდეგე მხარეთა ორი რაზმი დრამ-დაგას სიმაღლეზე ერთმანეთს შეხვდა. ამ ბრძოლის ბრწყინვალე გამარჯვების სულისჩამდგმელი ი. ამილახვარის კავალერია გახლდათ. ამიტომ იყო, რომ ბრძოლის შემდეგ რაზმის მეთაური ტერ-გუკასოვი გადაეხვია მას და გულითადი მადლობა გადაუხადა.

ამ დროს ქურთების რეგულარულმა ნაწილებმა ბაიაზეთს ალყა შემოარტყეს და ერევნის რაზმს უკან დასახევი გზა მოუჭრეს. ერევნის რაზმის მეთაურმა კი კორბუსის უფროსის დებეშა მიიღო დახმარებოდა გენერალ გეიმანის რაზმს, რომელიც მოქმედებდა სოღანლულისაკენ მუხტარ-ფაშას წინააღმდეგ და ერთდროული დარტყმით გაენადგურებინათ ზივინის სიმაღლეებზე გამარჯვებული მოწინააღმდეგე. თურქეთის მუშირმა გადაწყვიტა არ დაეშვა ორი რაზმის შეერთება და ცალ-ცალკე გაენადგურებინა ისინი.

21 ივლისს იგი ტერ-გუკასოვის წინააღმდეგ დაიძრა ორჯერ მეტი ძალებით და რუსებისათვის არახელსაყრელ პოზიციებზე ბრძოლა გაუძარტა სოფ. დაიართან. ყველაზე ძლიერი იერიში თურქებისა ამილახვარის წინააღმდეგ წარიმართა, პოზიცია სამჯერ გადავიდა ხელიდან ხელში და ზოლოს მთელი რაზმის ერთიანი იერიშით მტერი უკუგდებული იქნა, გამარჯვება ერევნის რაზმს ერგო. მიუხედავად ამისა, ტერ-გუკასოვი იძულებული იყო უკან დაეხია,

ხელსაყრელი პოზიციები დაეკავებინა და გენერალ გეიმანის ცნობებს დალოდებოდა. გეიმანი კი თავისი „კავკასიის რჩეული ნაწილებით“ ზივინთან დამარცხდა, რამაც განაპირობა შემდგომ მთელი კორპუსის საზღვრებისაკენ უკან დახევა. ალყაში მყოფმა ამილახვარმა შეძლო ალყიდან გამოსვლა და ერევნის გუბერნიაში დაბრუნება.

ი. ამილახვარი თავისი კავალერიით ბაიაზეთის გადასარჩენად დაიძრა და აქაც პირნათლად და სახელოვნად შეასრულა მასზედ დაკისრებული მოვალეობა. „მე მოვედი მასთან (ტერ-გუკასოვთან. — შ. მ.), ქუდი მოვიხადე და სულითა და გულით მივულოცე გამარჯვება და გაწამებული გარნიზონის გადარჩენა. მოწყენილი კეთილი მოხუცი, აჩხას არტამანის ძე, გადამეხვია, მაკოცა და შეწუხებულმა წაიცრემლა. ეს წუთები, როგორც მთელი დღე, 28 ივლისი, ყოველ ჩვენთაგანისათვის დაუვიწყარი იქნება“.

შემდგომ ამილახვარი მონაწილეობს ერევნის რაზმის ყველა ოპერაციაში. ერევნის რაზმი ვაერთიანდა გეიმანის რაზმთან, ვანსაკუთრებით ძლიერი იყო დევა-ბოინის სიმაღლეების იერიში, რომელიც არზრუმის უკანასკნელი დაცვის იმედი იყო. რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ სიმაგრეთა ცენტრს ამილახვარის კავალერია ეკეცა, ხელთ იგდო თურქთა 10 ქვემეხი და შემდეგ მოწინააღმდეგის ბანაკში შეიჭრა, რამაც გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. გამარჯვება რუსეთის არმიამ მოიპოვა. მხოლოდ სიბნელემ არ მისცა საშუალება ი. ამილახვარს შეტევა გაეგრძელებინა და არზრუმში სხვლთ ეგდო. არზრუმის კედლებთან დამთავრდა საბრძოლო ოპერაციები.

ომში ამილახვარმა ბევრი საბრძოლო ორდენი დაიმსახურა. ომის შემდეგ იგი დაინიშნა კავკასიის კავალერიის დივიზიის მეთაურად და 1883 წელს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა.

1886 წელს ჩეჩნეთში მღელვარება მოხდა. იგი გამოიწვია მოსახლეობის აღწერამ. აჯანყების მძვინვარების პერიოდში ოლქის მმართველად დაინიშნა ივანე ამილახვარი. მან დაუყოვნებლივ მოლაპარაკება გამართა ვავლენიან პირებთან, მოკლე დროში მოსახლეობა დააწყნარა და ოლქში სიმშვიდე დაამყარა. ამ დამსახურებისათვის მან თეთრი არწივის ორდენი დაიმსახურა.

1890 წლის 22 ივლისს ივანე ამილახვარს სამხედრო სამსახურში მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა, რაც დიდი ზემოთ აღინი-



შნა. ლეგიონიდან მისასაღმებლად სპეციალური დეპუტაციის ზაენა: პოდპოლკოვნიკი წერეთელი, როტმისტრი ლლონტი, შტაბროტმისტრი კობიაშვილი და სხვები. იუბილე 30 სექტემბერს მოეწყო სოფ. ჭალაში, თავადის მამულში. ბუნებრივია, სოფ. ჭალას არ ენახა ესოდენ მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალე საზოგადოება. ნიჟეგოროდელთა მისაღმებაში ნათქვამია: „50 წლის მანძილზე ხელს უწყობდით ნიჟეგოროდის ლეგიონის დიდებას, ხოლო ჩვენთვის, ნამდვილ ნიჟეგოროდელებისათვის, თქვენ იყავით იმ გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, რომლის გზაზე მავალი ყოველი ნიჟეგოროდელი თავისი ფიცის ერთგული დარჩება და დიდებით მიაღწევს უმაღლეს სამხედრო საფეხურებს“. მრავალი თბილი სიტყვა წარმოთქვეს, აგრეთვე მოვიდა ცნობა ვლადიმერის პირველი კლასის ორდენით ი. ამილახვარის დაჯილდოების შესახებ.

1893 წელს გენერალი ამილახვარი დაინიშნა კავკასიის არმიის კორპუსის მეთაურად, 1901 წელს კი გენერალ-ადიუტანტის საპატიო წოდება მიენიჭა.

კავკასიის კორპუსის მეთაურის თანამდებობაზე ი. ამილახვარი 4 წელი იყო. უკანასკნელ მის ბრძანებაში ამილახვარი წერდა: „ოთხი წლის წინათ ნამდვილი სიამაყით მივიღე კავკასიის კორპუსის რჩეული და ბრწყინვალე ჯარების მეთაურობა. და ახლა, როდესაც მათ ვემშვიდობები ღრმა მწუხარებით, თან მიმაქვს სასიხარულო, ყველა ჩემს ღირსეულ თანამოსამსახურეთა წმინდად შესრულებული მოვალეობის გრძნობა“.

1903 წელს ნიჟეგოროდის ლეგიონი ბაშკადიკლარისა და ქიურუქ-დარას ბრძოლების 50 წლისთავს ზეიმობდა. 19 ნოემბერს ლეგიონში შეიკრიბნენ ამ ბრძოლების მონაწილენი, მათ შორის გენერალ-ადიუტანტი ამილახვარი. ის მიესალმა მებრძოლთ და გვერდში ამოუდგა მათ, რათა შეხვედროდა მასზე უფროსს და ძველ ნიჟეგოროდელს, გენერალ-ადიუტანტს ზაქარია ჭავჭავაძეს.

ყველას ანცვიფრებდა ი. ამილახვარის გარეგნობა. ნაწილს ახსოვდა კიდევ, რომ სწორედ 50 წლის წინ, როდესაც იგი ამ ლეგიონის მე-7 ესკადრონს მეთაურობდა, პირველმა მიიღო წმინდა გიორგის ჯვარი.

ლეგიონის მეთაურმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ვახშამზე განსა-

კუთრებით აღნიშნა ბაშკადიკლარისა და ქიურუქ-დარას ბრძოლების ორი გმირის მამაცობა.

ამილახვარი ამავე დროს სამშობლოს დიდი პატრიოტი იყო. ძლიერ აწუხებდა მისი მომავალი ბედი. იგი მოესწრო რევოლუციურ გამოსვლებს, გრძნობდა მომავალი — ახალი თაობის გამარჯვებას, მაგრამ ამინებდა, რომ ცარიზმი სასტიკად დასჯიდა ქართველ ხალხს, ააწოკებდა და ააოხრებდა მათ სახლ-კარს. „ეხლა მოვკვდე ის მირჩევნია, — ამბობდა იგი, — ვიდრე ვიცოცხლო და ჩემის თვალთ ვნახო ჩემი სამშობლოს განადგურება, აოხრება და ქართველი ერის ქლექა-წყევტა“. ზ. ჭიჭინაძის სიტყვებით, ამ გარემოებამ დააჩქარა მისი სიკვდილი.

ცხოვრებაში იგი ყოფილა ძლიერ უბრალო და თავმდაბალი ადამიანი, მზად იყო ვინმე ლატაკსა და უბედურს დახმარებოდა, გამოქომაგებოდა, რითაც უბრალო ხალხის პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა. „ვიცი თ ისიც კარგად, — წერს ზ. ჭიჭინაძე, — რომ იგი თავისი ხელქვეითი სამხედრო პირების წინაშე და ნამეტურ ჯარისკაცთა მიმართ ყოფილა მეტისმეტი კეთილი და დიდად ლმობიერი. მათი სიყვარული და სიბრალული მამისებური ჭქონია და ამიტომ მათაც დიდი განუსაზღვრელი სიყვარული ჭქონიათ ამ პირის“.

ზ. ჭიჭინაძე მის პიროვნებას აღწერს და დასძენს: „ჩვენს დროში ასეთ საგმირო ტანის და შესახედაობის კაცი, როგორც გახლდათ ივანე გივის ძე, ძლიერ ცოტანი იყვნენ“-ო. ამავე დროს იგი მოკრძალებული ყოფილა ყველას წინაშე, ყველას ხვდებოდა, როგორც ამხანავს, საერთო ენას პოულობდა დიდთან თუ პატარასთან, სწავლულთან თუ უსწავლელთან და ა. შ.

„ივანე გივის ძე ამილახვარი, — იგონებს ზ. ჭიჭინაძე, — იყო მამა თავისი გლეხ-კაცობისა, იგი იყო მათი მარჯვენა მკლავი, მათი წინამძღვარი, ქომაგი, მორჩილი და პატრონი“.

როდესაც მოსავალი არ იყო, გაჭირვებაში ჩავარდნილ გლეხ-კაცობას ივანე დიდ დახმარებას უწევდა. მაგალითად, 1901 — 1902 წლებში მოუსავლობა იყო. ივანეს უშუალო ზრუნვით მთავრობისაგან მიუღია 30 ვაგონი პური, რომელიც გლეხობისათვის დაურიგებია და ხალხი შიმშილისაგან დაღუპვას გადაურჩენია. ხოლო წონასა და ზომაში რომ არ მოეტყუებინათ გლეხი, 300 ვედრო

შეუძენია და უფასოდ დაუბრუნებია მათთვის. ავადმყოფთა მოვლაში ძლიერ ხშირად დახმარება გაუწევია ფულით, წამლით, ექიმით და ა. შ. იგი ასწავლიდა გლეხებს საქონლის მოვლას და მოშენებას, მას რუსეთიდან გამოუწერია კარგი ჯიშის ძროხები და გლეხობისათვის მიუცია გასამრავლებლად. სოფელში მისი ინიციატივით გაიხსნა საავადმყოფო, თავისი ფულით შეუძენია წამლები. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ გლეხებს გადაუხადა მოიჯარადის ვალი. იგი მოუწოდებდა გლეხებს: ერთმანეთს გაუმართეთ ხელიო. ამილახვარს თავისი სოფლიდან მიჰყავდა ბავშვები ქალაქად და ვაჭრობასა და ხელოსნობას ასწავლიდა; სოფელს გაუკეთა გზა და ა. შ. „ვიტყვი თამამად, — დასძენდა ზ. ჭავჭავაძე, — უყვარდა მას საქართველო, ქართველი ერი, სურდა მას ამ ერის დაწინაურება, ამაღლება ცხოვრების მეურნეობით, ხელოსნობით, ვაჭრობითა და სხვათი“. მას მიაჩნდა, რომ რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა უნდა გამოეყენებინათ ქვეყნის დაწინაურებისათვის. ამიტომ იყო, რომ იგი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს ქვეყნის განვითარებას. იგი იყო წვერი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, იწერდა წიგნებს, რომლებიც საქართველოს ისტორიას ეხებოდა და ა. შ.

1905 წლის 27 აგვისტოს გარდაიცვალა გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი ივანე გვივის ძე ამილახვარი. რუსეთის მხედრობის რიცხვს გამოაკლდა კავკასიის ომების გამოწვრთნილი გმირი; კავკასიის არმიამ მისი სახით დაკარგა უდიდესი მასწავლებელი.

ივანე ამილახვარზე უკეთ არავინ იცნობდა კავკასიას და კავკასიის ომს ყველა მისი წვრილმანითა და დეტალით. ამით ხსნიან მის მანერებს ბაშკადიკლარისა და ქიურუქ-დარის ველებზე, ყარსის მიდამოებსა თუ ტყიან ჩაჩნეთში. გაზეთი „კავკაზი“ წერდა: „მეტს ვეღარ ვიხილავთ ძველი ნიქეგოროდელი დრაგუნის გიგანტურ ფიგურას, გვერდზე ჯარისკაცისა და ოფიცრის გიორგის ჯვრებით და ვერ ვნახავთ მის კარგ დამახასიათებელ ქართულ სახეს, ჭალარათი დამშვენებულს... და როგორი პურმარლიანი იყო იგი?“.

ამილახვარი ერთადერთი იყო დარჩენილი იმ მცირერიცხოვან პირთაგან, რომლებიც წმინდად ინახავდნენ ძველი მებრძოლი კავკასიის არმიის ანდერძს. ამილახვარს ღრმად სწამდა რუსეთის

იარაღის უძლეველობა, იგი ერთგული იყო რუსეთისა, ღრმად განიცდიდა რუსეთის უბედურებას და სწამდა მისი საუკეთესო მომავალი. ამილახვარი მეტად განათლებული ადამიანი იყო. იგი წერდა მოგონებებს, რომლებიც გამოქვეყნებულია „კავკასკი სბორნიკის“ 26—29 ტომებში.

ამ გამოჩენილ სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეს, რომელსაც უდიდესი დამსახურება მიუძღოდა თავისი ხალხისა და რუსეთის წინაშე, სათანადო პატივით დაკრძალვაც კი არ ერგო.

1905 წლის ზაფხულში საქართველოში რევოლუციური აღმავლობა იყო, თბილისში კი სერიოზული მღელვარება. გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, რომელსაც „უწესრიგობის“ ძალზე ეშინოდა, კავკასიის ამ გმირის ცხედარი სადგურიდან ჩუმად გადაასვენეს ქაშვეთის ეკლესიაში. მას მხოლოდ ნიჟეგოროდელთა ერთი ესკადრონი მიაცილებდა და მეორე დღეს, მხოლოდ დაკრძალვის დროს, ქვემეხების ზალპმა აუწყა ქალაქს, რომ მიწას მიაბარეს გენერალ-ადიუტანტი, თავადი ამილახვარი.

ორი თვის შემდეგ კი ქალაქმა გააცილა მეორე ცნობილი მხედართმთავარი, გენერალ-ადიუტანტი, „კავკასიის არმიის რაინდი“ ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძე.



ილია ჩოლოყაშვილი

კავკასიის არმიის სახელოვან, მამაც მხედართმთავართა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია კავალერიის გენერალ-მაიორ ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილს. იგი 1823 წელს დაიბადა თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში. კერძო სასწავლებელში აღზრდის შემდეგ 1842 წელს ი. ჩოლოყაშვილმა სამხედრო სამსახური დაიწყო ქართულ მილიციაში ურიადნიკად. ორი წლის შემდეგ მან პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო კავკასიის ომებში. აქ იგი მონაწილეობდა ექსპედიციებში, რომლებსაც მეთაურობდნენ პოლკოვნიკი ევლოკიმოვი, გენერლები გასეკი, ლიდერნი და არლუტინსკი. პირველსავე ბრძოლებში ისახელა მან თავი და 1845 წელს, პროპორშიჩის ჩინში, დაიმსახურა სამხედრო ორდენის ნიშანი და წმინდა ანას მეოთხე ხარისხის ორდენი წარწერით — „მამაცობისათვის“.

1847 წელს თავისი სტრუვილით გადადის კავკასიის მაჰმადიანთა ცხენოსან პოლკში. ამ ლეგიონის შემადგენლობაში იგი მონაწილეობს ახალ ლაშქრობაში და იმსახურებს წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენს ხმლითა და ბაბთით.

1852 წელს უკვე შტაბს-კაპიტანი ილია ჩოლოყაშვილი ნიყეგოროდის დრაგუნთა ლეგიონში გადაჰყავთ. ამ ლეგიონის შემადგენლობაში ყირიმის ომის დროს, 1854 წელს, ცნობილ ბაშკადიკლარისა და ქიურუქ-დარას ბრძოლებში მონაწილეობს. კავკასიის მცირერიცხოვანმა მამაცთა კორპუსმა ამ ბრძოლებით კატასტროფამდე მიიყვანა ანატოლიის მთელი არმია. ახალგაზრდა მამაცი ოფიცრების ნიკო ჭავჭავაძის, ბაგრატიონ-მუხრანელისა და სხვათა გვერდით თავი ისახელა ჩოლოყაშვილმა, რისთვისაც იგი ხმლითა და ბაბთით შემკული წმინდა ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

1858 წელს შტაბს-როტმისტრი ი. ჩოლოყაშვილი კავკასიის ლაიბ-ესკადრონში მსახურობს და მეფის ფლიგელ-ადიუტანტად გვევლინება. ამ შენაერთში მსახურობდა იგი 1861 წლამდე. ამერიიდან კი პოდპოლკოვნიკის ჩინით ლევერსკის დრაგუნთა ლეგიონში გადადის.

1862—1863 წლებში იგი მონაწილეობს ექსპედიციებში ჩრდილო-კავკასიაში, დაღესტნის ცხენოსან-რეგულარული ლეგიონის მეთაურის თანამდებობაზე. აქ იგი პოლკოვნიკის ჩინსა და წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენს იმსახურებს.

1872 წელს ჩოლოყაშვილი ხანგრძლივი, სახელოვანი სამსახურისათვის გენერალ-მაიორის ჩინში აამაღლეს და იმპერატორის ამაღალშიც ჩარიცხეს.

1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისას იგი მეთაურობს დაღესტნის ცხენოსან-რეგულარულ ბრიგადას და მოქმედი კორპუსის ავანგარდში იბრძვის. 4 მაისს განსაკუთრებით ცხარე ბრძოლა გაჩაღდა ყარსთან, აქ თურქეთის კავალერიას მდგრად ეკვეთნენ ილიას ბრიგადის დრაგუნები და მტერი უკუაგდეს. ამ ბრძოლაში მამაცმა მეთაურმა მძიმე ჭრილობა მიიღო და 11 მაისს იგი გარდაიცვალა.

35 წელი გაატარა ი. ჩოლოყაშვილმა განუწყვეტლივ სამხედრო სამსახურში. მონაწილეობდა ომებში და ომშივე დაამთავრა სიცოცხლე. სრულიად დამსახურებულად უწოდებდნენ მას „მამაცთა შორის მამაცს“.



ბრიგოლ ორბელიანი

დიდი ქართველი პოეტი-რომანტიკოსი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, გამოჩენილი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი XIX ს. საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მშვენიერბაა. კავკასიაში არც ერთ გენერალს არ ღირსებია ესოდენ დიდწარმატება და სახელმწიფო თუ სამოქალაქო მოღვაწეობა, იერარქიის მაღალ საფეხურზე ასვლა, როგორც გრ. ორბელიანს ხვდა წილად.

60 წელს ქუხდა მისი სახელი, როგორც მხნე მეომრისა და ერის მოჭირნახულესი. გრ. ორბელიანის ბიოგრაფები სამართლიანად შენიშნავენ, რომ მისი მხოლოდ სამხედრო მოღვაწეობის შესწავლისათვის საჭიროა ყველა ომის განხილვა, რომლებიც კი რუსეთს ჰქონდა კავკასიაში მთიელებთან, ირანთან თუ თურქეთთან



მთელი საუკუნის მანძილზე, ხოლო მისივე სახელმწიფო დედაქალაქის გაშუქებისათვის საჭიროა XIX ს. II ნახევრის საქართველოსა და მთელი კავკასიის ისტორიის შესწავლა.

ცხადია, როგორც სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გრ. ორბელიანი თვითმპყრობელობის პოლიტიკის გამტარებელია. იგი მხოლოდ რუსეთის სიძლიერეში ხედავდა სამშობლოს პროგრესს. მიუხედავად ამისა მგზნებარე მამულიშვილი ყოველმხრივ ცდილობდა თავისი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას, მძიმე პირობების შემსუბუქებასა და ქვეყნის აღორძინებას. იგი იყო მრავალი პროგრესული საქმის მოთავე და დიდი საზოგადო მოღვაწე, ხოლო როგორც პოეტმა, სამართლიანად დაიმკვიდრა ადგილი ქართველ კლასიკოსთა პანთეონში.

გრ. ორბელიანი ქართველი თავადის, დიმიტრი ორბელიანის ოჯახში დაიბადა 1800 წელს¹. გრიგოლის დედა, ერეკლე II-ის შვილიშვილი, ხორეშან ანდრონიკაშვილი განათლებული ქალი ყოფილა და დიდი გავლენა მოუხდენია შვილის აღზრდაზე.

სწავლა გრიგოლმა კეთილშობილთა სასწავლებელში დაიწყო, მაგრამ ვიდრე მას დაამთავრებდა, თბილისში საარტილერიო სასწავლებელი გაიხსნა და სამხედრო დიდების მოყვარული ყმაწვილი დაუყოვნებლივ იქ გადავიდა. 17 წლის ჭაბუკი იუნკრად განაწევწესეს 21-ე საარტილერიო ბრიგადაში, რომელიც საქართველოში იდგა. 1822 წელს გენერალ ერისთავის რაზმის შემადგენლობაში მყოფი ჭაბუკი, პრაპორშჩიკის ჩინით, პირველ საბრძოლო ნათლობას იღებს ჭარ-ბელაქანთან, ხოლო 1826 წელს ირანთან ომის დროს შამქორთან, განჯასა და არაქსს გაღმა ბრძოლებში მამაცობისათვის პირველი ორდენით იმშვენებს მკერდს. ამას მოჰყვა

¹ გრ. ორბელიანის დაბადების თარიღთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ იგი დაიბადა 1800 წელს. 1933 წლიდან გაბატონდა მოსაზრება, რომ იგი 1804 წელს უნდა იყოს დაბადებული. ჩვენ მაინც აღრინდელ მკვლევართა აზრს ვიზიარებთ, რომლებიც პირველად ფორმულიარებს, დოკუმენტებს, ნამსახურეობის სიას და მოწმობებს ეყრდნობიან, რადგან ამ თარიღიდან ხდება გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის შემდგომი ლოგიკური გაგრძელება: მისი შესვლა სამხედრო სამსახურში, პირველი საოფიცრო და შემდგომი ჩინების მიღება, საიუბილეო თარიღების აღნიშვნა და ა. შ.

ბრძოლები აბას აბადთან, ეჩმიაძინთან, ერევანთან და ა. შ. გრ. ორ-
ბელიანის სამხედრო კარიერა სწრაფად მიიწვედა მაღლა. სპარსეთ-
თან ომი არც კი დამთავრებულიყო, რომ საქართველოს საზღვრებს
თურქები დაემუქრნენ, ბრძოლის ასპარეზმა ირანიდან ოსმალთა
მიერ მიტაცებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალ-
ზე გადაინაცვლა. 1828 წელს ლეგიონის დროშით ხელში პორუ-
ჩიკი ორბელიანი პირველი ეკვეთა ყარსის სიმაგრეებს; ახალქალა-
ქის, ხერთვისისა და ახალციხის აღების შემდეგ იგი უკვე შტაბს-
კაპიტნად გვევლინება.

1831 წელს გრ. ორბელიანს გზავნიან პეტერბურგს, სადაც კავ-
კასიის კორპუსიდან რჩეული ჯარისკაცები ჩაიყვანა საგანგებო
ქვეითი პოლკისათვის, რომლის ფორმირება ნოვგოროდში ხდებო-
და. აქ მან თარგმნა ჰუმეინის, რილევისა და კრილოვის ლექსები.
პეტერბურგში გაეცნო იგი საქართველოდან გასახლებულ ქართ-
ველ ბატონიშვილებს, რომლებთან ურთიერთობამ დაუვიწყარი
შთაბეჭდილება დატოვა მასზე.

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გრ. ორბელი-
ანი დააპატიმრეს და თბილისში გადმოგზავნეს. იგი დამნაშავედ
სცნეს და რუსეთში — ნევის საზღვაო პოლკში განაწესეს სამხედრო
სამსახურში. მცირე დროში აქ მან უდიდესი სიყვარული დაიმსა-
ხურა მეგობარ ოფიცერთა შორის. სამშობლოში დაბრუნებას
შემდეგ ერთი მათგანი შემდეგი სახის წერილს წერდა მას: „ძვირ-
ფასო, საყვარელო, ღრმად პატივცემულო, სარწმუნო მეგობარო
გრიშა!.. მიყვარხარ, არა მარტო მე, არამედ ჩემს ცოლსაც, რომელ-
საც შენ არ უნახავხარ, რადგან ჰგონია, რომ შენ ხარ რაღაც ზეგარ-
დმო მოვლენილი იდეალი“.

1843 წელს გრ. ორბელიანს ხუნძის ავარიის მმართველად ნიშ-
ნავენ, სადაც პატივისცემის ნიშნად მას ავარიის ხანს ეძახდნენ. აქ იგი
მუდმივ ომებშია მთიელებთან და ახალ წარმატებებს ახალი ორ-
დენები და ჩინები ამზვენებს. 1848 წელს გრ. ორბელიანს გენე-
რალ-მაიორობა უბოძეს, 21-ე დივიზიის ბრიგადის მეთაურად
დანიშნეს და ჭარ-ბელაქნის სამხედრო მაზრა ჩააბარეს. იგი გან-
საკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა საქართველოდან მოწყვე-
ტილ აქ მცხოვრებ ქართველებს, რომელთათვის იგი წმინდა მოცი-



ქული გახდა. მისი ზეგავლენით 1851 წელს 62 კაცი თბილისში და მამა-პაპათა სარწმუნოებაზე მოინათლა.

ყირიმის ომის დროს, 1853—1856 წლებში, შამილი გააქტიურდა, რუსეთის არმიას ზურგში საშიშროება შეექმნა. გრ. ორბელიანს მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა დაეკისრა — ჩაეხშო აჯანყება და სიმშვიდე დაემყარებინა ჩრდილო კავკასიაში. შედარებით მცირე ძალებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კახეთზე მიურიდების ავანტიურისტულ თავდასხმას, ორბელიანმა შეძლო შამილის ჩაკეტვა მთებში.

1856 წელს გრ. ორბელიანი ახალ მეფისნაცვალს ბარიატინსკის პეტროვსკში შეხვდა, გამოსიტუმრა თბილისს და თვით კვლავ ბრძოლის ასპარეზს დაუბრუნდა. მომდევნო წელს მას აქ გენერალ-ადიუტანტის წოდება მიენიჭა. ჩრდილო კავკასიაში გაატარა მან ძირითადად თავისი სამხედრო-საბრძოლო გზა. მისი წარმატებები მეფისნაცვლისა და პეტერბურგის განცვიფრებას იწვევდა. ერთ-ერთ წერილში ბარიატინსკი წერდა: „აღარ მაცლით თითქმის გონს მოვიდე, უპატივცემულესო თავადო გრიგოლ დიმიტრის ძე, თითქმის ყოველ დღეს თქვენი ბრწყინვალე და ჩინებული გამარჯვებათა გრგვინვა-ქუხილით ისევ თავბრუს მახვევთ“. 1858 წელს გრ. ორბელიანი დაინიშნა კავკასიის მეფისნაცვლის მრჩეველი საბჭოს თავმჯდომარედ, სამუდამოდ დატოვა მან ბრძოლის ველი და მისი სამხედრო მოღვაწეობაც ამით დამთავრდა.

დაიწყო მისი სამოქალაქო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა. თავადაზნაურთა ყრილობა, საადგილმამულო ბანკი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენელი კომისია, წერა-კითხვის გამავრცელებელი და სხვადასხვა საქველმოქმედო თუ სამეცნიერო საზოგადოებები, საგლეხო რეფორმის მომამზადებელი კომისია — აი, მისი შემდგომი მოღვაწეობის ძირითადი ასპარეზი. გარდა ამისა, ნაცადი მოღვაწე უკვე ინფანტერიის გენერლის წოდებით 1859, 1860, 1861—1863 და 1865 წლებში მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებს.

საყოფადღებოა, რომ 1863 წელს, როდესაც კავკასიის ომი დასასრულს უახლოვდებოდა (1864წ.), შამილის აგენტებმა შეძლეს ზაქათალის მაჰმადიანი მოსახლეობის აჯანყება. მეფის მთავრობა მოითხოვდა აჯანყების სისხლში ჩახშობას, მოთავეთა სიკვდილით



დასჯას, აჯანყებულთა სახლების გადაწვას, ბაღების აჩეხვას და სხვა. ა. შ. მაგრამ მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელმა გრ. ორბელიანმა, რომელიც მთიელთა აჯანყების ჩახშობის დროს რეპრესიულ ზომებს არ ერიდებოდა, ამჟამად სულ სხვა გზა აირჩია. მოლაპარაკებით დამშვიდა ზაქათალის მაზრის აჯანყებული ხალხი. იგი პატივებს დაპირდა იმათ, ვინც იარაღს დაყრიდა და მორჩილებას აღიარებდა. მიზანსაც მიაღწია და მოსახლეობის პატივისცემაც დაიმსახურა.

1871 წელს გრ. ორბელიანს პირველი საოფიცრო ჩინის მიღებიდან 50 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით დიდი ზეიმი გადაუხადეს; იუბილარს სამხედრო, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა თითქმის ყველა უმაღლესმა პირმა მიულოცა. ქალაქის ბაღში საზეიმო სადილი გაიშალა, სადაც სადღეგრძელოს სადღეგრძელო ცვლიდა და ყველა ერთხმად აღიარებდა იუბილარის დიდ დამსახურებას, მეფემ კი იუბილარს ანდრია პირველწოდებულის ორდენი უბოძა.

1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს გრ. ორბელიანი დაჭრილ მეომართა დამხმარე კომიტეტშია და „დიდად და დიდად იმრომა ჩვენი ჯარების სასარგებლოდ“. იგი აღფრთოვანებული იყო რუსეთის არმიისა და ქართველ მოლაშქრეთა პირველი გამარჯვებებით; განიცდიდა შემდგომ წარუმატებლობას, აწუხებდა მღელვარება დაღესტანსა და ჩეჩნეთში, ხოლო საბოლოო გამარჯვებას უდიდესი სიხარულით შეხვდა. განსაკუთრებულ ბედნიერებას გრძნობდა გრ. ორბელიანი თურქთა ბატონობისაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის განთავისუფლებით და დედა სამშობლოსთან შემოერთებით. თავისი პირველი სიხარული გრ. ორბელიანმა გამოხატა სიტყვაში, რომელიც 22 სექტემბერს წარმოთქვა ე. წ. ალექსანდრეს ბაღში ბრძოლის ველიდან დაბრუნებული ქართული დრუჟინის წინაშე. მიმართა რა სახელოვან მებრძოლებს, მან აღნიშნა: „ჩემო ძმებო! სიხარულით გილოცავთ მშვიდობით, გამარჯვებით დაბრუნებას იმ დიდი საზარელის ბრძოლისაგან, სადაც თქვენ, საქართველოს სახელის დიდებისათვის გამოიჩინეთ ის ძველად ნათქვამი ვაჟკაცობა, რომლითაც იყვნენ განთქმული თქვენი მამა-პაპები.

საქართველო ჩვეულია ბრძოლასა და ან რომელი ხალხი არ



ებრძოდა ჩვენს პატარა სამეფოს... ოთხივე კუთხით დაუღწეველად გვებრძოდნენ ათასი წლის განმავლობაში. ბევრჯერაც ვაგვაოხრეს, მაგრამ ვერ დაგვიმორჩილეს! თქვენმა მამა-პაპებმა ხმლით დაიცივეს ქრისტეს სარწმუნოება, თავისი ენა, თავისი ლოცვა-საყდარი... — ესეთი იყვნენ თქვენი მამა-პაპები, მამულისათვის თავდადებულნი. ახლა სიხარულით და თავმოწონებით ვხედავთ, რომ თქვენ, მათ შვილებსაც, ვიღვათ იგივე სული მამა-პაპების ვაჟკაცობისა, ერთგულებისა, მამულის სიყვარულისა“.

1878 წლის ოქტომბერში დიდი ზეიმი იყო ქალაქ თბილისში. ქართველი ხალხი მასპინძლობდა ბათუმიდან ჩამოსულ სამხრეთ საქართველოს დელეგაციას, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი პატრიოტი შერიფ ბეგი ხიმშიაშვილი.

საზეიმო სხდომაზე მრავალ ორატორს შორის ყურადღებას იმსახურებს გრ. ორბელიანის სიტყვა: „კრება ესე წარმოგვიდგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედის შვილნი, შავი ბედის გამო განწორებულნი, დიდ ხანს ერთმანეთისაგან დაკარგულნი, ანაზღუელად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულით.“

ჩვენც აგრეთვე, საქართველოს შვილნი ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნეების განმავლობაში; ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი ვაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც კი არ დავვიწყებია დამორებულნი ძმები. თვალი, გული გვეჭირა თქვენკენ, ბატონებო, და ენატრობდით როდის ამოვა ჩვენი მზე შეერთებისა. შეერთდით... შეერთება ესე ჩვენი უნდა იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყევლად! დღეის იქეთ ლხინშიც, ჭირშიც უნდა ვიყოთ ჩვენ ერთად, ვითარცა შვილნი საქართველოსა“.

ცარიზმის პოლიტიკის მწარე გაცვეთილებიდან გამომდინარე, გრიგოლ ორბელიანს, როგორც ყველა პროგრესულ, მოწინავე და პატრიოტ ქართველს, დიდად აწუხებდა შემოერთებული სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის მომავალი ბედი, რომ ცარიზმს, როგორც ეს ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაში მოხდა, ნაჩქარევად არ გაეტარებინა ისეთი ღონისძიებები, რომლის შედეგად შესაძლებელი იყო მოსახლეობის ოსმალეთში გასახლება.

სამიწროება უსაფუძვლო არ იყო. შემოერთებიდან მოკლე დროში ყარსის ოლქის მოსახლეობის უმრავლესობა და ბათუმის

ოქლის ნაწილი ოსმალეთში გადაიხვეწა. ამ ტრაგიკული ფაქტით შექუხებული გრ. ორბელიანი კავკასიის მთავარსარდლის მოადგილეს სვიატოპოლკ-მირსკის სწერდა: „სირცხვილია ჩვენთვის, რომ ვით კირიანებს, გაგვირბის ხალხი! მაშ ამდენ სისხლს რისთვის ვღვრით, რად ვიმორჩილებთ! ლაპარაკობენ აჭარაშიაც დიდი უკმაყოფილებაა და ყოველივე ამას ფანატიზმს ამიხეზებენ. რა სიბეცეა“. ბარბარე ორბელიანისადმი წერილში კი დასძენს: „ყირიმი დიდი ხანა დაცარიელდა, აფხაზეთიც აგრეთვე; დაცარიელდა და გაიცალა ყარსის ოქჯი: რიგი ახლა აჭარაზე მიდგა. ამ უძველეს, საქართველოს ნაწილზე, რომელშიც დღემდე არის ქართული ენა წმინდათ შემონახული“.

გასახლების მიზეზებზე ორბელიანს მეტად საყურადღებო აზრი გამოუთქვამს და გაბედულად აკრიტიკებს მათ, ვინც ყოველივე ამის საბაბს ფანატიზმში ხედავდა. გასახლების მთავარ მიზეზად მას მიიჩნდა მოხელეების დაუდევრობა. იგი დასძენს, რომ სადაც ხალხის კეთილდღეობაზე მმართველი ზრუნავს, იქ ფანატისური გრძნობები არ მყდუნდება მთავრობის წინააღმდეგ, რადგან აღამიანი, რომელ რელიგიასაც არ უნდა ეყუთვნოდეს, უპირველეს ყოვლისა, ეძებს მშვიდობიან ცხოვრებას, უშიშარს, მღვიწროების გარეშე და ადვილად ეგუება სამართლიან კანონებს, რომელ ენაზედაც არ უნდა იყოს იგი დაწერილი.

გადასახლების მიზეზს იგი ხედავს უკიდურესად, გაუნათლებელ მოხელეებში, რომლებსაც არ ესმით ხალხის ზნე-ჩვეულებანი. 30 წლის სამსახურია საჭირო ჯარში დივიზიის მეთაურისათვის, რომელსაც 16 ათასი კაცი ემორჩილება და ამავე დროს იგი ხალხისა და მთავრობისათვის უკვე ცნობილია; მაგრამ არავინ არ იცნობს უბნის უფროსს, რომელსაც 20 ათას კაცს აბარებენ მცირე ხელფასით და ვინ წავიდოდა ამ თანამდებობაზე, რომ ახლო მომავალში გამდიდრების იმედი არ ჰქონდესო. გრ. ორბელიანს ამათ მიმართ უნდობლობა და მღელვარება ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნდა.

რა უნდა ყოფილიყო გენერალი რეადე, რომელსაც კავკასია ებარა და დუშეთს თუშეთისაგან ვერ არჩევდა. გრ. ორბელიანი ამბობდა, ნევის ნაპირებიდან კავკასიის მართვა შეუძლებელია. მოხელე უნდა იცნობდეს ხალხს; სასამართლო არ უნდა წარმოებდეს უცხო ენაზე. არაფერია ის სასამართლო, სადაც დამნაშავეს არ



ესმის მსაჯულის ენა და მსაჯულმა არ იცის ენა დამნაშავეისა და მსაჯულს იტყოდა რუსი ხალხი მოსკოვში, რომ ინგლისურ ენაზე გაეძარბათ სასამართლოები“, — ეკითხებოდა იგი თავად მირსკს.

1874 წ. რუსეთში დაწესდა საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო სამსახური. ყოფილი ფეოდალური არმია ბურჟუაზიულ არმიად იქცეოდა.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ რეფორმის რუსეთის განაპირა მხარეებში გავრცელებას.

კავკასიაში რეფორმის გატარება დაყოვნდა. ჯერ იყო და მსჯელობა გაგრძელდა რეფორმის აქ გატარების ვადებსა და პრინციპებზე, შემდეგ, 1877 წელს, ომი დაიწყო თურქეთთან და ბოლოს კი მეფისნაცვალთა ხშირმა ცვლამ კიდევ გადაწია მისი განხორციელების ვადები.

მაგრამ ომის შემდეგ რუსეთის მთავრობამ ენერგიულად დაიწყო კავკასიაში რეფორმის გატარების სამზადისი. მხარის ცალკეულ სამხედრო მოხელეებს დაევალით, წინასწარ შეედგინათ თავიანთი პროექტები, რომლებსაც შემდეგ განიხილავდნენ პეტერბურგში და მათ საფუძველზე კავკასიისათვის ერთიან პროექტს შეადგენდნენ.

წარმოდგენილ მოსაზრებათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გრ. ორბელიანის 1879 წლით დათარიღებული პროექტი. გრ. ორბელიანი წინააღმდეგი იყო კავკასიის ხალხებზე სამხედრო რეფორმის ერთდროულად გატარებისა, როგორც ამას პეტერბურგი მოითხოვდა. იგი მას ნაადრევ, არასწორ და საშიშ ღონისძიებად მიიჩნევდა, განსაკუთრებით, მაჰმადიანურ მოსახლეობაზე. ავტორი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც კავკასიის მძაფრი ომი დამთავრდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ის თაობა, რომელთა მოწოდებით მთიელი ხალხი ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ირავშებოდა. მას მოჰყავს აჯანყების ცალკეული მაგალითები. იგი დასძენდა: კავკასიაში ჯერ კიდევ ყველაფერი როდი დაწყნარებულა, და რომ ნაადრევად სამხედრო ბეგარის გავრცელება მაჰმადიანთა საერთო ამბოხებას და ოსმალეთში გასახლებას გამოიწვევსო.

გრ. ორბელიანი მოითხოვდა სამხედრო ბეგარის თანმიმდევრულად გავრცელებას კავკასიის ცალკეულ ხალხებზე, ისე, როგორც

საგლეხო რეფორმა გატარდა, ხოლო მაჰმადიანური მოსახლეობისათვის იგი ჯარში გაწვევის მაგივრად სპეციალურ სამხედრო ბეგარის დაწესების მომხრე იყო. მხარის ქრისტიანული მოსახლეობა, 80 წლის პრაქტიკით, მზად მიაჩნდა სამხედრო სამსახურისათვის. მოხსენებით ბარათში იგი დასძენდა: „ნუ იჩქარებთ“, „ღრო უდიდესი ძალაა დიდი გარდაქმნებისათვის“, „საჭიროა ხალხი ჯერ შეეგუოთ ახალ იდეებს“, „წავიდეთ ნელა, რომ ნამდვილად მივაღწიოთ მიზანს“ და ა. შ.

გრ. ორბელიანი მოითხოვდა 2-წლიან სამხედრო-სავალდებულო სამსახურს ოთხის ნაცვლად, რადგან სამსახურის მოკლე ვადა ნაკლებად დააშინებდა ხალხს. რაც ადრე დაბრუნდებოდნენ არმიიდან ჯარისკაცები და მოსახლეობა დაინახავდა ფიზიკურად გაწრთენილს, ნასწავლსა და ჩაცმულ თანასოფლელს, მით უფრო დარწმუნდებოდა იგი სამხედრო სამსახურის სიკეთეში და გაქრებოდა სალდათობასთან დაკავშირებული შიში. ამავე დროს გრ. ორბელიანი წინააღმდეგი იყო გადასახადებისა, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას და მოითხოვდა ეს ხარჯები ხაზინას გაეღო. გრ. ორბელიანის აზრით, საჭირო იყო შეექმნათ ეროვნული ნაწილები, რომლებიც მსხვილ სამხედრო შენაერთებში გაერთიანდებოდნენ.

გრ. ორბელიანის გონივრული პროექტი საფუძვლად დაედო მომავალ სამხედრო ბეგარას კავკასიაში, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, 1887 წ., ჩატარდა საქართველოში.

XIX საუკუნის გამოჩენილ გენერალთა უმრავლესობა, რომლებიც წარმოშობით კავკასიიდან იყვნენ ან აქ დაიწყეს სამხედრო სამსახური, გრიგოლ ორბელიანის აღზრდილნი იყვნენ, მისი სამხედრო სკოლა ჰქონდათ განვლილი ან მისი შერჩეული იყვნენ დაწინაურებისას.

ამ მხრივ საინტერესოა თვით გრ. ორბელიანის 1879 წლის ერთ-ერთი წერილი ეკატერინე ჭავჭავაძისადმი, რომელშიც, სხვათა შორის, შენიშნავს: „გებდავ დავიკვებებ, ვინც გაიარა ჩემს სკოლაში, ყველანი გამოვიდნენ განსხუებით გამოჩენილნი; რადეცკი, ტერ-გუკასოვი, ლაზარევი, დიმიტრი ჯორჯაძე, ლენერალი ასტაფოევი, დივიზიის ნაჩალნიკი ალექსანდრე თუმანოვი, უდროვოდ მკვდარი ივანე ბაგრატიონი, აგრეთვე სოსიკო ორბელიანი და ალექსა-



ნდრე ორბელიანი, ბრუსილოვი, უდროოდ დამბლად დატყვევებული
 ლენერალ-ლეიტენანტი დოპპე, აკოლნიჩნი და თვით ცოტაოდენად
 გრაფი ლორის მელიქოვიცა, რომელიც მე დანეშნე დერბენდის
 გრადონაჩაღნიკად და სულ ბოლოს ჩემი საკუთარი ნიკო ჭავჭავაძე
 ელისავეტოპოლის ღუბერნატორი, რომლის მსგავსი არავინ გვყავს
 ღუბერნატორებში“.

1883 წლის 20 მარტს 16 საათსა და 35 წუთზე შეწყდა მაჯის-
 ცემა დიდი ქართველი პოეტისა, სახელმწიფო მოღვაწისა და საარ-
 დლისა. მისი საცვდილის ამბავი სწრაფად მოედო საქართველოს,
 მთელ კავკასიას, პეტერბურგს და ყველგან დიდი მწუხარება გამო-
 იწვია. გარდაცვალების დღიდან დაკრძალვამდე „განსვენებულის
 ეზო აღდგომის ღამესავით გადაჭრელებულიყო პანაშვიდისათვის
 ანთებულ სანთლებისაგან“. ყოველი კუთხიდან მოდიოდა გვირგვი-
 ნები, დეპეშები, ჩამოვიდნენ დელეგაციები.

დამკრძალავი კომისიის წევრები იყვნენ ილია ჭავჭავაძე,
 გენერლები ნიკო ჭავჭავაძე, ივანე ამილახვარი, თავადაზნაურთა
 წინამძღოლი სუმბათაშვილი და ა. შ.

„ივერია“ იუწყებოდა: „აღარ არის კაცი, ასე ცხოველად რომ
 უყვარდა თავისი ერი და სამშობლო, რომელიც საქართველოს
 წარსული დიდებით იყო სულ-დგმული და უფერულ აწმყოს შე-
 ჰყურებდა მწუხარებით. მას ახარებდა ჩვენი ერის წარმატება და
 აღორძინება“. ხოლო რუსეთის ერთ-ერთი გაზეთი იუწყებოდა: „ამ
 დღეებში თბილისში გარდაიცვალა ერთ-ერთი უპატიოსნესი და
 უწმინდესი კაცი არა მარტო კავკასიის, არამედ მთელი რუსეთისა-
 თვის“.

გრ. ორბელიანი დაკრძალეს 26 მარტს. თბილისს ასეთი სა-
 მგლოვიარო პროცესია აქამდე არც კი ენახა. ქაშვეთის მახლობელ-
 ლი ქუჩები და მოედნები დილიდან დაბნელებამდე საესე იყო
 სხვადასხვა ფენის მოსახლეობით. ქაშვეთის ეკლესიის ეზოში გამარ-
 თულ სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ილია ჭავჭავა-
 ძე: „აჰა, ჩვენ წინაშე მდებარეა საუკუნოდ განსვენებული კაცი,
 რომლის მიცვალებამ გლოვის ზარით გაიხმაურა მთელს საქარ-
 თველოში და ყოველი ჭეშმარიტის ქართველის გულით შესძრა მა-
 რთლად ჭეშმარიტი მწუხარებითა.“

მისმა წარჩინებულმა სახელმა შეჰკრიბა აქ ყოველი წარმომა-

დგენელი ჩვენი ქვეყნისა. შეჰკრიბა სხვადასხვა წოდების და თანამდებობის ხალხი, რათა ერთად, შეერთებულის გლოვით ამ უკანასკნელ ჟამს საქართველოს ერთობით წარმოადგენილნი, გამოეთხოვოს თავის სასიქადულო კაცს, სახელოვან შვილს, სიტყვის მაღალს მოძღვარს, საუკუნოდ ჩვენთვის დადუმებულს, საუკუნოდ ჩვენგან წასულს.

არა მარტო მისმა ხარისხმა და დამსახურებამ, არა მარტო მისმა ღვაწლმა მხედრობისამ და მოქალაქეობისამ მოიწვია აქ საერთო გლოვის ჟამს, ამდენი ხალხი სხვადასხვა წოდებისა, სქესისა, ხარისხისა და ჰასაკისა, არამედ იმანაც, რომ იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენი ქართულის ენისა, იგი იყო „მეფე სიტყვიერების და სიმდიდრისა“, იგი იყო კაცი, რომელმაც ქვეყანას უანდერბა, „მიეცით ნიქსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას!“ იგი იყო კაცი, რომელმაც ღაღადებით წარმოსთქვა:

„იცილეთ, რომ არიან ღარიბნიც,
არის საღმე სიმწარითა ცხოვრება“.

იგი იყო კაცი, რომელსაც სწყუროდა:

„რომ ჩვენ განვახლდეთ,
სულით ავმალდეთ
და გაქრეს ბნელი უმეცრებისა“.

ჩვენის მშვენიერის ქვეყნის თავმოწონებულმა აღტაცებით წარმოსთქვა:

„სხვა საქართველო სად არისო!“

და, ეჰა ეხლა თვითონ საქართველო დაჰყურებს შენს საფლავს“. სიტყვები წარმოთქვეს აკ. წერეთელმა, საინგილოდან მოსე ჯანაშვილმა და მრავალმა ჩამოსულმა თუ ადგილობრივმა პირმა.

გრ. ორბელიანის დიდ დამსახურებაზე მეტყველებს ორდენები, რომლებიც მის მკერდს ამშვენებდნენ: ანდრია პირველწოდებულის, წმინდა ალექსანდრე ნეველის, თეთრი არწივის, წმინდა გიორგის მეოთხე კლასის, წმინდა ვლადიმერის მეორე, მესამე და მეოთხე ხარისხის ბაბთით, წმინდა ანას პირველი და მეორე ხარის-

ხის საიმპერატორო გვირგვინით, იგივე და იმავე ხარისხის ნები უგვირგვინოდ, წმინდა ანას მეოთხე ხარისხის წარწერით: „მამაცობისათვის“, წმინდა სტანისლავის პირველი და მეორე ხარისხის, საიმპერატორო გვირგვინით, იმავე მეორე ხარისხისა უგვირგვინოდ, გმირის დამსახურებული ჰქონდა ოქროს ხმალი მოქარგული აღმასებით და წარწერით „მამაცობისათვის“, ოქროს ხანჯალი წარწერით „მამაცობისათვის“, პრუსიის ორდენები — წითელი ჯვრისა, იტალიის — დიდი ჯვრისა, მავროკიისა და ლაზარეს ლენტით, სპარსეთის შაჰის პორტრეტი მეორე ხარისხისა ბრილიანტებით მორთული და სხვადასხვა მედლები.

კავკასიის არმიის სახელით მეფისნაცვალმა მიხეილმა, რომელიც იმ დღეს ბორჯომიდან სპეციალურად ჩამოსულიყო, განაცხადა: „არავინ არ სარგებლობდა კავკასიაში ისეთი საყოველთაო და დამსახურებული ავტორიტეტით, როგორითაც გრიგოლ ორბელიანი. მისი სახელი გადასცდა კავკასიის მთის მწვერვალებს, რომლებსაც იგი უმღეროდა, და შეიჭრა რუსეთის სიღრმეში, სადაც იგი ცნობილი იყო კავკასიის გენერალთა პატრიარქის საპატიო სახელით. დაჯილდოებული არაჩვეულებრივი ბუნებრივი თვისებებით, მებრძოლი, ადმინისტრატორი, პოეტი, ორატორი, მოქალაქე. თავად გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს თან მიაქვს სამარეში მთელი კავკასიის საყოველთაო სიყვარული და ღრმა პატივისცემა.“

საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხიდან და რუსეთის ქალაქებიდან უამრავი დეპეშა მოსულიყო. მათ შორის ყურადღებას იმსახურებს გერმანელი ქართველოლოგის არტურ ლაისტის დეპეშა ი. ჭავჭავაძის სახელზე: „ძლიერ შემაწუხა სახელოვანი ქართველი პოეტის ორბელიანის გარდაცვალების ცნობამ და მის თანამემამულეთა საერთო მწუხარებას ვუერთდები. თქვენი პოეტისადმი სრული პატივისცემით უცხოელი გთხოვთ, თქვენ თავადო, ჩემი სახელით ცოცხალყვავილებიანი გვირგვინით შეამკოთ მისი საფლავი“.

მისი ცხედარი ქაშვეთის ეკლესიას მიაბარეს.



ალექსანდრე ბუზიაშვილი

ბუჭყიაშვილთა გვარი ქართლის აზნაურთა ძველი წარმომადგენელია. ჯერ კიდევ მეფე ერეკლე II-ის დროს ივანე ბუჭყიაშვილი არტილერიის გამოჩენილი მეთაური ყოფილა მინბაშის (პოლკოვნიკის) ჩინით.

საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან ბუჭყიაშვილები რუსეთის სამხედრო სამსახურში არიან და არაერთხელ უსახელებიათ თავი საერთო მტრებთან ბრძოლებში. ივანე ბუჭყიაშვილის შვილი ბეჟანი (ბორისი) 1828 წელს ახალციხეზე ლაშქრობაში მონაწილეობდა პასკევიჩის კორპუსში; ხოლო მეორემ — დიმიტრიმ, რომელსაც შემდგომში გენერლობაც მიანიჭეს, ამავე ლაშქრობაში გიორგის ჯვარი დაიმსახურა. ეს უკანასკნელი კარგა ხანს ალექსანდრეპოლის (ამჟამად ლენინაკანის) კომენდანტიც იყო; გიორგის ჯვრის კავალერი გახდა მესამე ძმა — გედევანიც;



ხოლო მეოთხის — ბორისის 7 შვილთაგან მხოლოდ ერთი სამოქალაქო სამსახურში; ექვსი კი სამხედრო მოსამსახურე ყოველ მათგანს საკმაოდ დიდი დამსახურება მიუძღვის იარაღის დიდებაში.

ბუჭყიაშვილთა შთამომავლობის უკანასკნელი გენერალი ალექსანდრე ბეჟანის ძე იყო. იგი 1825 წელს დაიბადა თბილისში, აქვე გაატარა ბავშვობა.

XIX ს. 30-იან წლებში საქართველოს ადგილობრივი თავადიშვილები ცარიზმმა სამხედრო სამსახურში მიიწვია. ამ მიზნით 1837 წელს ქართველ დიდებულთა ოჯახებიდან 7—12 წლის 50 ყმაწვილი პეტერბურგს გაიგზავნა; მათ რიცხვში იყო ახალგაზრდა ალექსანდრე ბუჭყიაშვილი. თანამედროვეთა გადმოცემით, ძლიერ უჭირდა ალექსანდრეს მშობლიური კერის მიტოვება.

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ქართველ ყმაწვილთა პირველი პარტია იმპერიის სატახტო ქალაქს ეწვია. ალექსანდრე კადეტთა კორპუსში ჩარიცხეს, პირველსავე კვირა დღეს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ქართველი ყმაწვილები მეფეს წარუდგინეს. მომავალი კარიერით გარანტირებული ბავშვები ყაზარმას დაუბრუნდნენ და სამხედრო ხელოვნების შესწავლას შეუდგნენ. შეისწავლეს რუსული ენა და სამხედრო ხელოვნებას დაუფლებულნი 1844 წლის 10 აგვისტოს ოფიცრის ჩინითა და ფორმით დამშვენებულნი სასწავლებლიდან გაისტუმრეს. არტილერიისტი აღ. ბუჭყიაშვილი როგორც ფრიადოსანი სამაგალითო ბატარეაში ჩარიცხეს. ეს ნაწილი ცარსკოე სელოში იდგა. აქედან იგი გადაიყვანეს მე-15 საარტილერიო ბრიგადაში, რომელიც ბესარაბიაში იყო დისლოცირებული.

1848 წლის რევოლუციის ქარიშხალი თითქმის მთელ ევროპას მოედო. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშა უნგრელმა ხალხმაც აღმართა ავსტრიის ბატონობის წინააღმდეგ. მამაცმა უნგრელმა რევოლუციონერებმა ავსტრიის კორპუსი გაანადგურეს, რომელსაც გენერალი პუხნერი მეთაურობდა და გამხნევებულმა პატრიოტებმა ავსტრიის დედაქალაქს შეუტყეს. ვენაშიც რევოლუციამ იფეთქა. ჰაბსბურგების დინასტია კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

ცარიზმი ამ დროს ევროპის ყანდარმის როლს ასრულებდა და



მონარქმა მონარქს დახმარების ხელი გაუწოდა. 100-ათასიანი რუკარქონული სეთის არმია პასკევიჩის მეთაურობით დასავლეთისაკენ დაიძრა. ამ არმიის შემადგენლობაში შევიდა მე-15 საარტილერიო ბრიგადა, რომელშიც ალ. ბუჭყიაშვილი მსახურობდა.

1849 წლის აპრილში პასკევიჩის არმია კარპატების გავლით უნგრეთში შევიდა. ახალგაზრდა ოფიცერი ალექსანდრე ერთ უნგრელ ბერს გაეცნო და დაუმეგობრდა. ბერი პატრიოტი აღმოჩნდა და დამსჯელი არმიის ოფიცერს ა. ბუჭყიაშვილს რევოლუციის მიზნები გააცნო, შემდეგ კი ერთ-ერთ ვახშამზე უნგრეთის რევოლუციის ბელადი ლაიონ კოშუტი შეახვედრა. ეს უკანასკნელიც ბერის ფორმაში იყო. კოშუტმა რუს ოფიცერს რევოლუციის კრიტიკული მდგომარეობა აუხსნა; დაუსაბუთა, რომ პასკევიჩის არმიის მისვლამდე საჭირო იყო ავსტრიელთა განადგურება. კოშუტის მგზნებარე სიტყვებს დიდი გავლენა მოუხდენია ბუჭყიაშვილზე, რომელიც უკვე იცნობდა დეკაბრისტების იდეებს, იცოდა ცარიზმის უღელქვეშ მყოფი მისი სამშობლოს ბედი. მამაცმა ოფიცერმა, მიუხედავად დიდი საშიშროებისა, გადაწყვიტა დახმარებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლ მამაც ხალხს. დახმარება იმაში გამოიხატა, რომ მან სადილზე დაათრო გენერალი ლიდერსი და 10 საათით შეაჩერა პასკევიჩის არმიის ავანგარდის წინსვლა.

ბუნებრივია, ალ. ბუჭყიაშვილს არ შეეძლო ოფიციალურ მოვალეობაზე უარის თქმა. მომავალ ბრძოლებში კვლავ მონაწილეობდა. მან თითქმის მოკრძალებული როლი შეასრულა ამ კომპანიაში, მაგრამ წმინდა ანას მეოთხე ხარისხის ორდენი მაინც არგუენს. ეს მისი პირველი ჯილდო იყო, კომპანიის დამთავრების შემდეგ იგი დატოვეს ვლახეთში, სადაც არტილერიისათვის საჭირო ხე-ტყის მასალას ამზადებდა.

1851 წელს ალექსანდრე გადაჰყავთ ჩრდილო კავკასიაში, ერისთავის რაზმში და მონაწილეობას იღებს მთიელების წინააღმდეგ ბრძოლაში, სადაც წმ. ანას მესამე ხარისხის ორდენს იმსახურებს.

ახლოვდებოდა 1853—1856 წლების აღმოსავლეთის, ანუ ყირიმის ომი. ალ. ბუჭყიაშვილი გენერალ ბებუთოვის ე. წ. მოქმედი კორპუსის შემადგენლობაში იბრძვის. ოფიციალურად ომი ჯერ კიდევ არ გამოცხადებულა, როდესაც გენერალ ორბელიანის

რაზმს სოფ. ბაიანდურთან თავს დაესხა 30-ათასიანი თურქთა პუსი.

მამაცმა გენერალმა უკან დახევა არ იკადრა, არც იერიში შეეძლო და გადაწყვიტა ბრძოლის ადგილზევე მიღება. თუ ბრძოლის ველი დამარცხებულმა არ დატოვა, უდიდესი დამსახურება აღ. ბუჭყიაშვილის არტილერიას მიუძღვის. „ამ ბრძოლამ, — წერს სამხედრო ისტორიკოსი პოტო, — გამოავლინა ჩვენი არტილერისტების მამაცობა და სიმტკიცე“. გამარჯვების ერთ-ერთი გმირი, არტილერიის პორუჩიკი ალექსანდრე გმირობისა და თავდადებისათვის შტაბს-კაპიტნის ჩინში აამაღლეს.

ბაიანდურთან შეტაკების 17 დღის შემდეგ მოხდა ცნობილი ბაშკადიკლარის ბრძოლა, რომელშიც 9 ათასიანმა რუსეთის კორპუსმა 30-ათასიანი თურქეთის არმია გაანადგურა.

1853 წ. 31 დეკემბერს რიცხობრივი უპირატესობით და კარგი პოზიციით გამხნევებული თურქები გაშლილი დროშებით და მუსიკით ეკვეთნენ კავკასიის მცირერიცხოვან კორპუსს, რომელსაც მამაცი გენერალი ბებუთოვი სარდლობდა. მთავარი დარტყმა ისევ ბაიანდურის გმირმა გენერალმა ორბელიანმა მიიღო, რომელიც კავკასიის სათადარიგო ბრიგადას მეთაურობდა. პირველი იერიშის მოგერიების შემდეგ რუს ცხენზე ამხედრებული ი. ორბელიანი თვით ეკვეთა მტერს. მაგრამ მოწინააღმდეგის ტყვიამ იგი სასიკვდილოდ დაჭრა და რამდენიმე დღის შემდეგ ლევიონის დროშისა და ოფიცერთა ამბორში დალია სული. ი. ორბელიანის მებრძოლთა მწყობრს გვერდს უმშვენიებდა აღ. ბუჭყიაშვილის არტილერია, რომელიც კორპუსის გამარჯვების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

მოწინააღმდეგის ცენტრი სოფ. ოვლუზში გამაგრებულიყო. ბუჭყიაშვილის ბატარეამ თურქთა 60 ქვემეხს შეაწყვეტინა ცეცხლი; მისი არტილერისტები მშვიდად, ზუსტად და მამაცურად მოქმედებდნენ. არტილერისტების ცეცხლის შედეგად თურქები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ არაერთხელ წამოწყებულ იერიშზე. თურქთა უკანასკნელი დასაყრდენიც ბებუთოვის კორპუსის ხელში აღმოჩნდა და გამარჯვებულს 30 ქვემეხი, 18 დროშა და ორი ბანაკი დარჩა.

ამ ბრძოლისათვის აღ. ბუჭყიაშვილს ოქროს ხმალი უბოძეს.

ბუჭყიაშვილის არტილერისტები განსაკუთრებით განირჩეო-
დნენ 1854 წ. 29 ივლისის ქიურუქ-დარას ბრძოლაში, სადაც
16-ათასიანმა რუსეთის კორპუსმა 60-ათასიანი თურქთა არმია
სძლია. ბუჭყიაშვილი ზუსტად აფასებდა ბრძოლის ყოველ მო-
მენტს, წინდახედულად ინაცვლებდა პოზიციას, თურქთა რამ-
დენიმე კონტრიერში არტილერისტთა ცეცხლმა მოიგერია და ბო-
ლოს ხელჩართული ბრძოლა თურქთა გაქცევით დამთავრდა.
ბრწყინვალე გამარჯვებას სათანადო ჯილდოებიც მოჰყვა. ალ. ბუ-
ჭყიაშვილი წმინდა ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენით და
ბაბთით დააჯილდოვეს.

ყირიმის ომის შემდეგ ალ. ბუჭყიაშვილი თავისი ნაცადი არტი-
ლერისტებით კვლავ კავკასიის ექსპედიციებში მონაწილეობს,
კვლავ წარმატებები და ახალი დიდება. წმ. სტანისლავის მეორე ხა-
რისხის ორდენი ხმლით, წმ. ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენი
გვირგვინით, წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენი და კაპიტნის ჩინი
დაამსახურა სრულიად უმოკლეს დროში — 1856—1861 წლებში.
ხოლო შემდგომმა წარმატებებმა პოდპოლკოვნიკობა და წმ. ანას
მეორე ხარისხის ორდენი მოუტანა.

1874 წელს ალ. ბუჭყიაშვილი პოლკოვნიკის ჩინში საარტილე-
რიო ბრიგადის მეთაურია.

1877—1878 წლების ომის დროს იგი ოზურგეთის რაზმის რი-
გებშია და მონაწილეობს ბათუმზე შეტევაში. განსაკუთრებით ისა-
ხელეს თავი მისმა არტილერისტებმა 11 ივლისს ბათუმის უკანა-
სკნელი დამცველი ზღუდების იერიშის დროს. ციხისძირთან მი-
სი არტილერია ხელსაყრელ პოზიციებზე სოფ. სამების სიმაღლეებ-
ზე განლაგდა. აქედან კარგად ბატონობდა იგი თურქთა არტი-
ლერიაზე, რომელსაც სოფ. კვირიკეს მახლობლად აერჩია ადგი-
ლი. იერიშის დღეს ორივე მხრიდან ასი ქვემეხი გუგუნებდა. ორი
საათის ცეცხლის შემდეგ თურქთა იმედი ე. წ. „ყვითელი ბატარაია“
გაჩუმდა. არტილერისტები მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ, მა-
გრამ თურქებმა იერიში მოიგერიეს და ბრძოლა რუსთა ჯარის უკან
დახევით დამთავრდა. მიუხედავად დამარცხებისა ალ. ბუჭყია-
შვილის არტილერისტთა ენერგიული მოქმედება, ზუსტი ცეცხლი
და მამაცობა სარდლობის ყურადღების გარეშე არ დარჩენილა და
მამაცი მეთაური წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენით და-
ჯილდოვეს.



ომის შემდგომ ალ. ბუჭყიაშვილი განაგრძობს სამხედრო სახურს და 1887 წელს გენერალ-მაიორის ჩინში გვევლინება.

სამხედრო სამსახურის ბოლო წლები მან ფინეთში გაატარა. აქ იღვა მისი 24-ე საარტილერიო ბრიგადა და ამავე დროს იგი ფინეთის სამხედრო ოლქის არტილერიის უფროსის მოვალეობასაც ასრულებდა. 40 წლის სამხედრო სამსახურის თავზე ალ. ბუჭყიაშვილი წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

1892 წელს ბუჭყიაშვილის ბრიგადა ფინეთიდან პეტერბურგის სამხედრო ოლქში გადავიდა. ფინეთის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალ-ადიუტანტი გეიდენი ამასთან დაკავშირებით ბრძანებაში აღნიშნავდა, რომ არტილერიის ბრიგადა როგორც სამწყობრო, ასევე სამეურნეო დარგში ყოველთვის საუკეთესო იყო. „განსაკუთრებით ვაფასებ იმ საუკეთესო წესრიგს და დისციპლინას, — ნათქვამია ბრძანებაში, — რომლითაც ეს ნაწილი ყოველთვის განიჩეოდა“. ბოლოს მაღლობას უცხადებდა მის მეთაურსა და მებრძოლებს, ხოლო სამხედრო მინისტრის მოადგილეს გენერალ ფელცხმეისტერ სოფიანოს სწერდა: ლეგიონის „ფინეთში ყოფნის მთელ პერიოდში ყოველთვის ვტკბებოდი როგორც ბატონ ოფიცერთა და მებრძოლთა სამაგალითო წესრიგით, ასევე მათი მეთაურის გენერალ-მაიორ ბუჭყიაშვილის გამოცდილებით და საქმის ცოდნით“.

მუდმივმა შრომამ, ზრუნვამ და სიძნელეებმა, რომლებიც თან სდევდა 49 წლის სამხედრო სამსახურს, შეარყია მისი ჯანმრთელობა და იძულებული გახდა დაეტოვებინა პეტერბურგი და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

1893 წლის 24 მაისს ღვაწლმოსილ გენერალს გენერალ-ლეიტენანტობა უბოძეს და თადარიგში გაისტუმრეს ფორმისა და ხელფასის შენარჩუნებით. იგი მშვიდობიან შრომას შეუდგა და აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ალექსანდრე ბეჟანის ძე ბუჭყიაშვილი გარდაიცვალა 1902 წლის 28 თებერვალს 87 წლის ასაკში; იგი დაკრძალულია ქ. თბილისში ანჩისხატის ეკლესიაში.



ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი

ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი იყო კავკასიის არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი გენერალი, შეუპოვარი და მამაცი მეთომარი.

ი. ბაგრატიონ-მუხრანელი წარმოშობით ძველი ქართული სამეფო საგვარეულოდან იყო. მისი მამა თბილისის გუბერნიის მარშალი, შემდეგ კი მთავარი მარშალი იყო. ივანე დაიბადა 1812 წლის 7 თებერვალს ავჭალის საგვარეულო მამულში. ოჯახში მცირე განათლების მიღების შემდეგ იგი მიაბარეს პაეთა კორპუსში, რომელიც 1830 წელს წარმატებით დაამთავრა. სამსახური დაიწყო ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონში.

სამხედრო სამსახურის დაწყების პირველივე დღეებიდან მან ყურადღება მიიპყრო როგორც მტკიცე, მამაცმა და შეუპოვარმა



ყმაწვილმა. ახალგაზრდა მეომარი იშვიათი ნიჭითა და მამაცობით ადრე გადის სამხედრო საფეხურებს.

1833 წელს მთიელებთან ბრძოლაში მამაცობისათვის ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი ლეიბ-გვარდიის დრაგუნთა ლეგიონში გადაჰყავთ. იგი დააჯილდოვეს წმინდა ანას მესამე, ვლადიმერის მეოთხე კლასის, წმინდა სტანისლავის მეორე კლასისა და წმინდა ანას მეორე კლასის ორდენებით, ოქროს ხმლით წარწერით „მამაცობისათვის“ და პოლკოვნიკობა მიანიჭეს.

რამდენიმე თანამედრობის გამოცვლის შემდეგ 1848 წელს იგი დანიშნეს ერევნის ლეიბ-გვარდიერთა ლეგიონის უფროსად. ამ ლეგიონში სამსახური ივანე ბაგრატიონ-მუხრანელის ბიოგრაფიის საუკეთესო ფურცლებია. იგი რიგით მეომართან უბრალო, ამხანაგური იყო და ამავე დროს საუკეთესო დისციპლინა და ავტორიტეტიც ჰქონდა. „ხელქვეითებს უყვარდათ თავიანთი მეთაური და მზად იყვნენ მისთვის სიცოცხლე არ დაეზოვათ“.

40-იან წლებში ბრძოლებში წარჩინებისათვის ბაგრატიონ-მუხრანელს აჯილდოებენ წმინდა ანას მეორე კლასის ორდენით საიმპერატორო გვირგვინით; ხოლო 1851 წელს, სამხედრო მოღვაწეობის 25 წლისთავზე, მას აჯილდოებენ წმინდა გიორგის მეოთხე კლასის ორდენით და გენერალ-მაიორის ჩინი უბოძეს.

1853 წელს გენერალი მუხრანელი კავკასიის სათადარიგო ბრიგადის მეთაურია. იგი მონაწილეობს ცნობილ ბაშკადიკლარის ბრძოლაში და ილია ორბელიანთან ერთად მისი სახელი ლეგენდარული გახდა. ილია დაეცა ბრძოლის ველზე, ხოლო დაჭრილი ივანე ბოლომდე განაგრძობდა ბრძოლას. მის ლეგენდარულ მამაცობაზე სიმღერები შეთხზეს. ერთ-ერთი მოწმე ბაშკადიკლარის ბრძოლისა წერდა: „ჩვენ არ მოგვეყავს მნიშვნელოვანი ეპიზოდები ამ ბრძოლისა, მხოლოდ ვიტყვი იმას, რომ ცნობილი ბაშკადიკლარის ბრძოლა თავისი შედეგით, თურქეთის მრავალრიცხოვანი არმიის განადგურებას ყველაზე მეტად უნდა უმადლოდეს განსვენებული თავადის განკარგულებებსა და სამხედრო ტაქტს“.

ამ ბრძოლაში მან წმინდა გიორგის მესამე კლასის ორდენი დაიმსახურა.

1854 წელს ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, გენერალ ი. ანდრონიკაშვილის ნაცვლად, გურიის რაზმის მეთაურად დაინიშნა. მას

ემორჩილებოდა მთელი დასავლეთ საქართველო. ამავე წელს იგი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოვალეობას ასრულებდა.

ამ დროს განსაკუთრებით გააქტიურდნენ თურქეთი და მისი მოკავშირეები, დასავლეთ საქართველოში მათი ჯარების შემოჭრის საშიშროება შეიქმნა. მხარის დაცვის გეგმა გენერალმა ბაგრატიონ-მუხრანელმა შეადგინა, რომელიც მეფემ მოიწონა და წააწერა: „ბრწყინვალე და ჭკვიანურია“, ავტორს წმინდა სტანისლავის პირველი კლასის ორდენი უბოძა.

1856 წელს, საომარი მოქმედების დამთავრებამდე, ბაგრატიონ-მუხრანელი, როგორც უნიჭიერესი და მამაცი გენერალი, გაიგზავნა სახმელეთო და საზღვაო არმიის მთავარსარდლის განკარგულებაში, რომლის შტაბი ყირიმში იდგა. აქ იგი მე-18 დივიზიის მეთაურად დანიშნეს, მაგრამ საბრძოლო ოპერაციებში თავის გამოჩენა აღარ დასცალდა — ყირიმის ომი დამთავრდა. 1858 წელს მას გენერალ-ლეიტენანტის წოდება უბოძეს და დივიზიის მეთაურად დანიშნეს. შემდეგ იგი განაგრძობს ბრძოლას დასავლეთ კავკასიაში, სადაც წმინდა ანას პირველი კლასის ორდენი დაიმსახურა. შემდგომ საბატონო გლეხთა მოწყობის კავკასიის კომიტეტის შემადგენლობის მუდმივი წევრია, სადაც სამსახურებრივი წარჩინებისა და განსაკუთრებული შრომისათვის წმინდა გლადიმერის მეორე კლასის ორდენით დააჯილდოვეს. მეფემ 3 000 დესეტიანა მიწა უბოძა თურქეთის საზღვართან ქართლში.

1875 წლის 14 ნოემბერს ლივადიაში დიდი ზეიმი იყო იმპერატორ ალექსანდრე II-ის ლაიბ ერევნის ლეგიონის შეფად დანიშვნის 25 წლისთავის გამო. ბაგრატიონ-მუხრანელი ლეგიონის დელეგაციას მეთაურობდა. სამეფო სადილზე მან ისეთი სიტყვა წარმოთქვა, რომ მეფისა და მთელი მისი ამალის ყურადღება დაიმსახურა — აქ მეფემ პირადად დააბნია გულზე მას თეთრი ანწივის ორდენი.

1881 წლის 14 იანვარს გამოჩენილი გენერლის ივანე ბაგრატიონ-მუხრანელის სამხედრო კარიერა დასრულდა. 50 წლის სამხედრო მოღვაწეობის შემდეგ პირადი თხოვნით იგი თადარიგში გავიდა.

მისი სამხედრო სამსახური მტრებთან ბრძოლებისა და შეტაკებების განსაკუთრებული სიუხვით აღინიშნება.

სამხედრო სამსახურიდან გასვლის შემდეგ ი. ბაგრატიონ-მუხრანელმა ხელი მიჰყო სოფლის მეურნეობას, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან უყვარდა.

ი. ბაგრატიონ-მუხრანელს საერთოდ 35 ათასი დესეტინა მიწა ჰქონდა; ასე რომ, იგი თბილისის გუბერნიაში დიდი მიწათმფლობელი იყო. მისი მამული მოიცავდა თბილისის, დუშეთის, თელავისა და გორის მახრების ტერიტორიის ნაწილს. მის მეურნეობაში განთქმული იყო — მეღვინეობა და მეცხოველეობა. აქ მუშავდებოდა შალეული, თაფლი, სანთელი, აბრეშუმი, თამბაქო და ა. შ. მთავარი კი მეღვინეობა იყო. 400 დესეტინა მიწა 20 ათას ვედრო ღვინოს აძლევდა, ხოლო მისი მარანი მარტო მუხრანში 100000 ვედრო ღვინოს იტევდა და აღჭურვილი იყო უახლესი დანადგარებით; მისი ღვინო რუსეთსა და საზღვარგარეთაც კი გადიოდა. მან პირველმა დაამტკიცა, რომ ქართული ღვინო არა მარტო დროს, არამედ გადატანასაც უძლებს. 1882 წელს მოსკოვის გამოფენაზე ბაგრატიონ-მუხრანელის ღვინოებმა უმაღლესი ჯილდო — სახელმწიფო ღერბი დაიმსახურა; მრავალი ჯილდო მიიღო რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოფენებზეც. მეურნეობა ისე კარგად ჰქონდა მოწყობილი, რომ სტუმრები განცვიფრებაში მოჰყავდა.

ი. ბაგრატიონ-მუხრანელი კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია, შემდგომ ამ საზოგადოების საპატიო წევრიც იყო. მან სოფ. მუხრანში, მამაპაპისეულ მამულში, საუკეთესო სასახლე ააგო. 1891 წელს ი. ბაგრატიონ-მუხრანელი თბილისის საგუბერნიო თავადაზნაურთა წინამძღოლად აირჩიეს, მაგრამ მან უარი თქვა ამ თანამდებობაზე.

მას მეუღლედ ჰყავდა სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის ქალიშვილი ნინო. ი. ბაგრატიონ-მუხრანელი გარდაიცვალა 1895 წლის 15 მარტს — დაკრძალულია მცხეთის საგვარეულო საძვალე-ში, სვეტიცხოველში.



ალექსანდრე ბაგრატიონი-იმერეტინსკი

XIX ს. მეორე ნახევრის რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო ქართველ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონს, რომელიც რუსეთის ისტორიაში იმერეტინსკის გვარითაა ცნობილი. ალექსანდრე იმერთა მეფის დავითის შვილიშვილი და სოლომონ მეორის ბიძაშვილი იყო. დავითის ივარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი, როგორც პირდაპირ მემკვიდრეს, მის შვილს კონსტანტინეს ეკუთვნოდა, მაგრამ მეფე ერეკლე II-ისა და სხვათა მხარდაჭერით იგი დაიკავა დავითის ძმისშვილმა სოლომონ II-მ. ეს უკანასკნელი კონსტანტინეს, როგორც ტახტის უშუალო მემკვიდრეს, მოქიშპედ მიიჩნევდა და იგი მუხურის ციხეში ჩაკეტა.

დედისა (ანას) და რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I საქმეში ჩარევით სოლომონ მეფე იძულებული გახდა უფლისწული



გენთავისუფლებინა. იგი თავისი დედით პეტერბურგს გადასახლებაში
სადაც მან ჩინებული განათლება მიიღო და იმპერატორის სამსახურში ჩადგა.

1837 წელს კონსტანტინეს პეტერბურგში შეეძინა ვაჟი ალექსანდრე.

ალექსანდრე ბაგრატიონმა განათლება პაეთან კორპუსში მიიღო. 1855 წელს იგი კავალერიაში იწყებს სამსახურს, სადაც ორი წელი დაჰყო, შემდეგ გვარდიის ქართულ გრენადელთა მე-14 ლეგიონში გადავიდა და მალე პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო კავკასიის ომში.

22 წლის ალექსანდრე ბაგრატიონი გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში ავრძელებს სწავლას და მისი წარმატებით დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა შტაბს-კაპიტანს გვარდიის გენერალურ შტაბში ნიშნავენ, შემდეგ კი პოლონეთში განაგრძობს სამსახურს. ჭკვიანმა, განათლებულმა და მამაცმა ოფიცერმა მთავარსარდლობის ყურადღება მიიპყრო, პოლონეთის სამეფოში მეფისნაცვალმა ბერგმა იგი ჯერ ვარშავის ოლქის შტაბის უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდეგ საოლქო შტაბის უფროსად დანიშნა. 1863 წლიდან ალექსანდრე მოქმედ არმიამია (პოლონეთში) და დიდ სამხედრო წარმატებასაც აღწევს.

ალექსანდრემ სრულიად ახალგაზრდამ (32 წლისამ) მოიპოვა გენერლის მუნდირი და მეფის ამაღალშიც ჩარიცხეს. 1865 წლის 11 სექტემბრის სენატის ბრძანებულებით მას, როგორც იმერეთის მეფეთა ბაგრატიონთა შთამომავალს, უგანათლებულესი თავადის ტიტული და იმერეტინსკის წოდება უბოძეს.

ამ დროს დაქორწინდა იგი გრაფის — ალექსანდრე მორდვინოვის ასულ ანაზე, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა მისი სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობა.

მაგრამ მოულოდნელად ახალგაზრდა გენერალს უთანხმოება მოუხდა ვარშავის ოლქის ახალ მთავარსარდალ კოცებუსთან. მართალია, ეს უთანხმოება სამსახურებრივ საქმესთან არ იყო დაკავშირებული, მაგრამ მაინც შეაჩერა მისი ტრიუმფი. იგი იძულებული იყო შტაბის უფროსის თანამდებობა დაეტოვებინა.

მოუხედავად ამისა, გენერალ იმერეტინსკის ამ დროს უკვე მოხვეჭილი ჰქონდა ნიჭიერი, ენერგიული და ზედმიწევნით კე-

თილისინდისიერი სამხედრო მოღვაწის რეპუტაცია. მისი სახელი საკმაოდ ძლიერი და ცნობილი იყო.

1876 წელს მას ნიშნავენ მსროლელი ბატალიონების ინსპექტორად. ამ თანამდებობაზე მოუსწრო მას ომმა თურქეთთან.

ომის დაწყებისთანავე ალექსანდრე გაგზავნეს ბელგრადში, სადაც ომისათვის სერბიის მზადებას ამოწმებდა. აქედან დაბრუნებისას კი ქ. პლოცში იგი შეუერთდა იმპერატორის ამაღლას, რომელიც ფრონტზე მიემგზავრებოდა. გენერალი ა. იმერეტინსკი ხელმძღვანელობდა მდ. დუნაიზე რუსთა ჯარების გადასვლას. აქ პირველ საბრძოლო დავალებათა საუკეთესო შესრულებისათვის მან მეფის ყურადღება დაიმსახურა.

30 ივლისს პლევნაზე იერიშის დროს მეფის დავალებით გენერალი ა. იმერეტინსკი თვალყურს ადევნებდა ბრძოლის მსვლელობას. იერიში, როგორც ცნობილია, დიდი მსხვერპლის მიუხედავად უშედეგოდ დამთავრდა. მეფემ დაიბარა თავადი ალექსანდრე და უბრძანა გულახდილად მოესხენებინა მისი აზრი მარცხის მიზეზების შესახებ. მათ საუბარს არავინ არ ესწრებოდა. მან მართლაც გულახდილად და გონივრულად შეასრულა იმპერატორის დავალება. მიზეზებს შორის იგი შეეხო რუსთა ძალების რიცხობრივ სიმცირეს მოწინააღმდეგესთან შედარებით, მთავარსარდლობაში აზრთა და შეხედულებათა სხვადასხვაობას იერიშის შესახებ, უთანხმოებას მოიერიშე რაზმების მეთაურთა შორის, კორპუსების გენერალთა უნებისყოფობას, ოპერაციის საკმაოდ მოუმზადებლობას და ა. შ. კორპუსის გენერალთა უარყოფითი მხარეების აღნიშვნისას გენერალი შეეხო სკობოლევის გონიერ განკარგულებებს და მის საოცარ პირად მამაცობას. მან შენიშნა, რომ როდესაც სკობოლევი პლევნაში შეიჭრა, შეიძლებოდა მის მიერ დაკავებული პოზიციების შენარჩუნება, რომ მას დროულად დახმარება მიეღო. ამ საუბარში გენერალმა დიდი სამხედრო ნიჭიერება და ლოგიკა გამოავლინა. იმპერატორი მოხიბლა პლევნის იერიშის გენერლისეულმა ანალიზმა და სკობოლევის განკარგულებათა მაღალმა შეფასებამ.

ისტორიკოს ს. ტატიშჩევის სიტყვებით, „თავადმა ჭემმარტად მამაცობა და კეთილსინდისიერება გამოიჩინა, რადგან ზვიის ლაშქრობისა და ფერგანის გმირი ვერ სარგებლობდა კარგი გან-



წყობით სასახლის იმ დროის გავლენიან წრეებში და მიუხედავად შუა აზიაში მისი სამხედრო დამსახურებებისა, დუნაის არმიაში გამოცხადებისას, მან ვერ მიიღო ვერც ერთი დამოუკიდებელი რაზმის მეთაურობა“.

30 ივლისს პლევნის იერიშის მარცხის შემდეგ ბრძოლის ასპარეზზე გვარდია გამოიძახეს. იმერეტინსკის გვარდიის ერთ-ერთი დივიზიის მეთაურობას პირდებოდნენ, მაგრამ გვარდიაზე აღრემეორე მსროლელი დივიზია ჩამოვიდა დანიშნულების ადგილას და მისი მეთაურობა ჩააბარეს. ამ დროს შიპკის უღელტეხილზე დაძაბული ბრძოლები გრძელდებოდა. გენერალ გურკოს მცირერიცხოვანი რაზმი სულეიმან ფაშას ექვსჯერ მეტ ძალებს იგერიებდა. შიპკის დამცველთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მოწინააღმდეგის შეტევა რომ შეეჩერებინა, კვლავ იერიში გადაწყდა პლევნაზე. წინასწარ კი საჭირო იყო აეღოთ ქ. ლოვჩა, რომელიც მდ. დუნაიდან 60 კმ-ზე მდებარეობს და მნიშვნელოვანი სამხედრო პუნქტი იყო, რომლის აღებით ურთიერთობა შეწყდებოდა პლევნის ოსმან ფაშას გარნიზონსა და შიპკაზე მოიერიშე სულეიმან ფაშას არმიებს შორის. ლოვჩის გარნიზონი 12 ათას მებრძოლს ითვლიდა 6 ქვემეხით, მათ რიფატ ფაშა მეთაურობდა.

ლოვჩის აღებისათვის განსაკუთრებული რაზმი შეიქმნა, რომელსაც გენერალ-მაიორი ა. იმერეტინსკი მეთაურობდა. რაზმი 27 ათას მებრძოლს ითვლიდა 28 ქვემეხით. იერიშისათვის რაზმი ორ ნაწილად გაიყო. მარჯვენა ფრთაზე მოქმედ კოლონას გენერალი სკობოლევი მეთაურობდა, მარცხენა ფლანგს კი გენერალ-მაიორი დობროვოლსკი. ლოვჩაზე მოქმედი რაზმის შტაბის უფროსად იმერეტინსკიმ მიიწვია მისი მეგობარი პაეუთა კორპუსიდან პოლკოვნიკი პარენსოვი.

1877 წლის 3 სექტემბერს დილის 6 საათზე დაიწყო ბრძოლა ლოვჩისათვის და საღამოს 5 საათზე იერიში წარმატებით დასრულდა.

საყურადღებოა, რომ გენერალმა იმერეტინსკიმ იერიში არ გადაწყვიტა მანამ, სანამ მის რაზმში შემავალი ნაწილები მთლიანად არ შეიკრიბებოდა; გენერალი სკობოლევი ჯარების მთლიან თავმოყრამდე დაუყოვნებლივ იერიშს შიითხოვდა. შტაბის უფროსი პარენსოვი შენიშნავს, რომ „თუ ასეთი მოსაზრებები არ-



სებობდა, სასიხარულო იყო, რომ სწრაფვამ ადგილი დაუთმო კენჭისყრისათვის და თვითონვე დასწრეობდა. „ლოჯის სისხლისმღვრელმა იერიშმა, თურქთა წინააღმდეგობამ, ბრძოლის ხანგრძლივობამ, დიდმა დანაკარგმა მთლიანად გაამართლა რაზმის მეთაურის გადაწყვეტილება, რათა დაეცა ვიდრე მთელი ძალები თავს მოიყრიდა“.

როგორც კი ლოჯა აიღო, გენერალი ა. იმერეტინსკი მთავარსარდალს სწერდა: „მიუხედავად თურქთა ძლიერი წინააღმდეგობისა და ბუნებრივად მეტად ძლიერად გამაგრებული პოზიციებისა დღეს, 22 აგვისტოს 11-სათიანი ბრძოლის შემდეგ ლოჯა აღებულა. ჯარი, რომლის უმეტესი ნაწილი პირველად იყო ბრძოლაში, გმირულად იბრძოდა, ზედმეტია ლაპარაკი გვარდიასა და მეფის ამაღლებზე, რომელიც მოწინააღმდეგეს მისდევდა.“

ბრძოლის შემდეგ გამარჯვებულმა გენერალმა პოზიციებს შემოუარა და მადლობა გადაუხადა მეზობლებს. განუწყვეტელი „ვაშა“ ქუხდა ლოჯის კედლებთან. აქ, მადლობზე იგი შეხვდა გენერალ სკობოლევს, გადაეხვია და ბრწყინვალე გამარჯვება მიულოცა, ხოლო შემდეგ მის შესახებ მეფეს სწერდა: „პირადი მონაცემებით, ამ ბრწყინვალე და მამაც გენერალის რეპუტაცია თქვენს იმპერატორის უმაღლესებულობისათვის უკვე ცნობილია, მე დამრჩენია მხოლოდ მოგახსენოთ, რომ ლოჯასთან წარმატებას უმეტესად მას ვუმაღლი“. მთავარსარდალისადმი მოხსენებით ბარათში სკობოლევს დამსახურება მან უბრალოდ, მაგრამ მკვეთრად გამოხატა — „დღის გმირი სკობოლევი იყო“.

გამარჯვების ნადავლი იყო ორი დროშა, მრავალი სამხედრო საჭურველი და დიდძალი იარაღი. მოწინააღმდეგემ დაკარგა 8200 კაცი.

ოპერაციის წარმატებით დამთავრებისთვის გამარჯვების ორგანიზატორი ა. იმერეტინსკი წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. ლოჯის დაკავების შემდეგ გენერალ ა. იმერეტინსკის რაზმი პლევნასთან გადაისროლეს. აქ იგი სამ ნაწილად გაჰყვეს და თითოეული მათგანი დამოუკიდებლად დაუქვემდებარეს გენერალ-ლეიტენანტ ზოტოვს. ეს უკანასკნელი კი ბალკანეთში მოქმედი რუსეთის არმიის დასავლეთის რაზმის უფროსი იყო, რომელსაც პლევნა ბლოკადაში ჰქონდა მოქცეული.



10 სექტემბრისათვის პლევნაზე ახალი იერიში დაიწყო. გენერალი ყურადღებოა, რომ სამხედრო საბჭოზე ერთადერთი გენერალი ა. იმერეტინსკი იყო, რომელიც იერიშის წინააღმდეგ გამოვიდა. მან დეტალურად და ლოგიკურად დაამტკიცა იმ ვითარებაში არსებული ძალებით იერიშის უაზრობა, მხოლოდ სკობოლევმა დაუპირა მას მხარი და ისიც იერიშის წინააღმდეგი იყო დამატებითი ძალების მიღებამდე. თავად იმერეტინსკის ბრძნული სიტყვები არავინ მოისმინა. ორსაათიანი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ პლევნის იერიში დაიწყო. სკობოლევმა და იმერეტინსკიმ მოწინააღმდეგის წინა პოზიციები დაიკავეს; უკუვადეს თურქთა 4 კონტრიერიში, ბოლოს სკობოლევის მოქმედების რაიონში მაინც მძიმე ვითარება შეიქმნა. თავადმა ალექსანდრემ მთელი თავისი ნაწილები და რეზერვიც მისცა მეგობარს, თვით თითქმის მებრძოლთა გარეშე დარჩა, მაგრამ ესეც საკმარისი არ აღმოჩნდა დაკავებული პოზიციების შესანარჩუნებლად. პლევნის ეს იერიში 10—12 სექტემბერს მარცხით დამთავრდა. მიუხედავად ასეთი საბრძოლო თანამეგობრობისა, სკობოლვენი და იმერეტინსკი სხვადასხვა ხასიათის პიროვნებები იყვნენ, ხშირი იყო უთანხმოება პრინციპულ თუ უბრალო ხასიათის საკითხებზეც კი. თავადი ძლიერ ფრთხილი იყო სკობოლევის მიმართ. „უნდა ვაღიარო სინამდვილე, — წერს ერთ-ერთი მათი მეგობარი, — რომ ასეთ სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო პირთა შორის ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება იმერეტინსკის თავდაჭერისა და ტაქტის შედეგი იყო.

მე როგორც ფლეგმატური ბუნების ადამიანს, გული სკობოლვეისაკენ მიწევდა; თავადი ამას ამჩნევდა; მე ვხედავდი, რომ იგი ამით უკმაყოფილო იყო, მაგრამ არასოდეს მისგან საყვედური არ მსმენია“.

საერთოდ ახასიათებდა რა თავის ყოფილ უფროსსა და მეგობარს, პარენსოვი აღნიშნავდა: „მე ძლიერ მიყვარდა იმერეტინსკი, ბევრი რამ იყო მასში რაინდული და სიმპატიური. თავადი იყო გამჭირავნი, გონიერი, უკიდურესობამდე თავდაჭერილი, ნაკითხი და განათლებული. თავადი იმერეტინსკი ლაპარაკით ხიბლავდა თავის მსმენელს“. ხოლო სკობოლევს ახასიათებს როგორც საუკეთესო გენერალს, მამაცსა და რაინდს. ხასიათით მას იმერეტინსკის სრულიად საწინააღმდეგო პიროვნებად თვლის. ხოლო იმერეტინსკი

მას მიიჩნევს შტაბის საუკეთესო უფროსად, დაფიქრებულ და ზუსტ ადამიანად, რომელიც ბრმად კი არ ასრულებდა ბრძანებებს ზემოდან, არამედ თავისი მდგომარეობისა და ვითარების შესაბამისად.

ამ თანამდებობებზე ა. იმერეტინსკიმ დაამტკიცა, რომ იგი არა მარტო საუკეთესო მხედართმთავარია, არამედ მეტად განათლებული შტაბის ოფიცერი, რომელმაც თავისი საქმე ყველა დეტალში იცოდა.

გენერალი იმერეტინსკი გახდა ახლად ჩამოყალიბებული შტაბის ორგანიზატორი, სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი. მის დამსახურებაზე პლევნის აღების ერთი წლის შემდეგ, ერთ-ერთ სადილზე, ტოტლებენმა განაცხადა: „სექტემბერში, პლევნასთან ჩემს ჩასვლისას, თქვენთვის ცნობილ რთულ ვითარებაში, შტაბის უფროსად თავადი იმერეტინსკი დანიშნეს. თავადმა მოკლე დროში ჩამოაყალიბა შტაბი; მისი შემადგენლობა საუკეთესო იყო; თავადის მეთაურობით იგი დღე და ღამე მუშაობდა, მხედველობაში მაქვს საქმის წარმატება. წინა იერიშების შედეგად საოცარი დანაკარგების გამო ჯარი მოშლილი იყო, აუცილებელი იყო მისი წესრიგში მოყვანა, რაც მან საუკეთესოდ შეასრულა. რამდენადაც შესაძლებელი იყო, არმია უზრუნველყოფილ იქნა სურსათ-სანოვავით, კორპუსებისა და ცალკეული რაზმების მეთაურებით; ყველა თავის დროზე ღებულობდა დირექტივებს“. მან ხაზგასმით აღნიშნა თუ როგორ, ერთ პატარა ოთახში, რთულ პირობებში ცხოვრობდა შტაბის შემადგენლობა, რომ ღრმა შემოდგომის სიცივეში შიმშილსა და ყოველგვარ სიძნელეს იმერეტინსკი ისე იტანდა, რომ მისი „მაგალითი მთავრონებს ახდენდა და გვასულიერებდა ყველას“.

შტაბის უფროსი ხშირად გადიოდა ველზე — ნაწილებში, გვიან ღამით ბრუნდებოდა, მაგრამ როგორც გვიან არ უნდა დაბრუნებულყო, იგი არ დაიძინებდა, ვიდრე მთელი ღლის მანძილზე დაგროვილ ყოველგვარ სამუშაოს არ შეასრულებდა და წესრიგში არ მოიყვანდა.

მჭიდრო ბლოკადაში პლევნა მოწყვეტილი აღმოჩნდა გარე სამყაროს. ოსმან ფაშა ვერ ღებულობდა სურსათ-სანოვავებს, ტყვია-წამალს და ვერც დამხმარე ცოცხალ ძალას. რთულ ვითარებაში მყოფმა თურქეთის გენერალსიმუსმა ალყის გარღვევა სცადა,



მაგრამ იძულებული გახდა დანებებულიყო. პლევნის 1878 წ. 9 დეკემბერს რუსეთის არმიის გამარჯვებით დამთავრდა. ზემოი დიდი იყო. იმ ადგილას, სადაც ოსმან ფაშას კარავი იყო, რუსეთის არმიის წირვა ჩატარდა და აქვე ჭილდოები გადაეცა ბრძოლის გმირებს. გენერალ იმერეტინსკის თვით მეფემ დააბნია გულზე წმინდა გიორგის მესამე კლასის ჯვარი.

ა. იმერეტინსკის დამსახურების შესახებ გენერალი ტოტლებენი მთავარსარდალს სწერდა: „თავს ვაღივებულად ფთვლი ფაცნობოთ შტაბის უფროსის თავად იმერეტინსკის დამსახურება. იგი ჩემთვის შეუცვლელი მოადგილე იყო იმ რთულ ვითარებაში, რომელიც 28 ნოემბერს წარმატებით დამთავრდა“. ამის შემდეგ ტოტლებენი პეტერბურგს გაიძახეს. ხოლო იმერეტინსკი დუნაის არმიის ზურგის უფროსად დანიშნეს. მისი ადგილსამყოფელი ბუქარესტი იყო, მაგრამ იმერეტინსკი ადგილზე დარჩა და შეუერთდა მთავარსარდალობას სან-სტეფანოში. აქედან იგი მთავარსარდალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ბოსფორში შექმნილი რთული ვითარების შესახებ მეფისთვის მოსახსენებლად პეტერბურგს გაგზავნა. მეფეს ამჯერად ძლიერ მოეწონა იმერეტინსკის გულახდილი ვითარების ამსახველი მოხსენება და იქვე დანიშნა ელჩად სულთანთან. ა. იმერეტინსკი საგარეო საქმეთა მინისტრთან, თავად გორჩაკოვთან გამოცხადდა, უკანასკნელმა კმაყოფილება გამოთქვა იმერეტინსკის სახით დიპლომატიის კარგი მუშაკის შეძენის თაობაზე. ახალი ელჩი კონსტანტინოპოლში გამგზავრებას აპირებდა, რომ უცებ ბრძანება შეიცვალა.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მეფეს სთხოვა მოქმედი არმიის მთავარსარდალის თანამდებობიდან განთავისუფლება. მის ადგილას გენერალი ტოტლებენი დაინიშნა. იგი დათანხმდა ახალ თანამდებობას მხოლოდ იმ პირობით, თუ შტაბის უფროსად მის შეუცვლელ მოადგილეს, ძველ მეგობარსა და თანამებრძოლს გენერალ იმერეტინსკის დაუნიშნავდნენ. ასეც მოხდა. უკანასკნელმა უარი არ უთხრა და უკვე გენერალ-ადიუტანტად ამადლებული ტოტლებენთან ერთად 1878 წლის 15 აპრილს სან-სტეფანოში ჩავიდა. გაჩაღდა მჩქეფარე სამუშაო მუშაობა, როგორც ეს პლევნასთან იყო. მართალია, ამჟამად ომი ფაქტიურად დამთავრებული იყო, მაგრამ ვითარება კვლავ დაძაბული

რჩებოდა. გარდა ამისა, მისი ხელმძღვანელობით აღმოსავლეთ
რუმელიასა და ბულგარეთში ხდებოდა ახალი სამხედრო ძალების
ორგანიზაცია; საჭირო იყო აუტანელ მდგომარეობამდე მისული
პოსპიტლებისა და საინტენდანტო ნაწილების წესრიგში მოყვანა.

ა. იმერეთისკომ აქაც დაამტკიცა თავისი იშვიათი ორგანი-
ზატორული თვისებები. ეს იყო „ნათელი გონება, ნებისყოფის გა-
ნუყრელი სიმტკიცე და დაუშრეტელი ენერჯია“. ყოველივე ამას
ხშირად იმეორებდა ტოტლებენი მეფისადმი წერილში, იმპერატო-
რი კი 1878 წ. 27 აგვისტოს პასუხობს: „მეტად მოხარული ვარ,
რომ შენ კმაყოფილი რჩები იმერეთისკის სასარგებლო მოღვაწე-
ობით“.

ყოველთვის წყნარი, მშვიდი და წესიერი ახალგაზრდა შტაბის
უფროსი ბუნებრივად ავსებდა ფიცხს, სწრაფ მოხუც მთავარსარ-
დალს და უკანასკნელზე მისი გავლენით ხსნიან რუსეთის ჯარების
სრულიად ნორმალურად, ყოველგვარი გართულების გარეშე გა-
მოსვლას ფრაკიიდან, რუმელიიდან და ბულგარეთიდან.

გენერალ-ადიუტანტმა ა. იმერეთისკომ უდიდესი რეპუტაცია
მოიპოვა ომისა და ომისშემდგომ პერიოდში და დუნაის არმიის
შტაბის უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლებული მაშინვე
დანიშნა პეტერბურგის სამხედრო ოლქის გვარდიის ჯარების
მთავარსარდალად. ამ თანამდებობაზე იყო იგი ალექსანდრე II-ის
გარდაცვალებამდე (1881 წ.).

ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე III-მ იგი უფრო საპა-
სუხისმგებლო საქმეზე გადაიყვანა და იმპერიის სამხედრო სასა-
მართლოს უფროსად და მთავარ სამხედრო პროკურორად დანიშნა.

ა. იმერეთისკი აქაც ძველებურადვე საქმიანი მუშაკი რჩებოდა.
ამ თანამდებობაზე დაჰყო მან 11 წელი, 1892 წელს კი საიმპერიო
სამხედრო საბჭოს წევრად დანიშნა. „საკმარისად ვიმუშავე, დროა
დავისვენო“ — დასძენდა იგი. მაგრამ აქაც მეტად რთული საქ-
მეების გაკეთება მოუხდა. იგი ესწრებოდა ეკონომიკის დეპარტა-
მენტს, საქმიან მონაწილეობას ლებულობდა რუსეთის უმაღლესი
დაწესებულებებისა და ყველაზე რთული განყოფილებების მუშა-
ობაში. 5 წლის შემდეგ იგი კიდევ უფრო რთულ და საპასუხის-
მგებლო საქმეზე გადაიყვანეს.

1897 წლის 1 იანვარს გენერალ-ადიუტანტი ა. იმერეთისკი

დაინიშნა ვარშავის გენერალ-გუბერნატორად და ჯარების მთავარსარდლად.

ამიერიდან კიდევ უფრო ფართო ასპარეზი გაეხსნა მის ადმინისტრაციულ მოღვაწეობას.

გენერალი იმერეტინსკი ახლოს იცნობდა პოლონეთის სამეფოს, მის ხალხს, იგი ჯერ კიდევ 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში მუშაობდა ვარშავის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად. შემდეგ იგი თვალ-ყურს ადევნებდა იქ მომხდარ მოვლენებს.

გამოცდილებიდან გამომდინარე, ცარიზმის მიერ პოლონეთში გატარებული ღონისძიებები ახალ მთავარსარდალს არ ეჩვენებოდა ყოველთვის თანმიმდევრული და მიზანშეწონილი, ხოლო ზოგიერთი მათგანი საერთოდ უარყოფითად მიაჩნდა. იგი ხედავდა, რომ ზოგიერთ ღონისძიებას სრულიად საწინააღმდეგო შედეგები ჰქონდა, ვიდრე მთავრობა მოელოდა მისგან. მოუალოების შესრულების დასაწყისში მან დეტალურად შეისწავლა პოლონეთში შექმნილი ვითარება და დასძინდა: „პოლონეთის მიმართ ჩვენ შევჩერდით 1863 წელზე და იმ დონეზე გავიყინეთ. ეს არ შეიძლება, ცხოვრება წინ მიდის, მხარე ცოცხლობს, საჭიროა ჩვენც წინ წავიდეთ, საჭიროა მოქმედება“.

მოღვაწეობის პრინციპი და მეთოდი ა. იმერეტინსკის ჯერ კიდევ ადრევე განესაზღვრა. იგი წერდა: „არ ვიქნები მებრძოლი ყოველგვარი წვრილმანებისადმი, განსაკუთრებით რასაც შეუძლია შეურაცხყოს პოლონელთა ეროვნული გრძნობა, მათი ერთგულება სარწმუნოებისადმი, სიყვარული სამშობლოსადმი, სახელოვანი ისტორიული ტრადიციები, რომლებიც თუნდაც დრომოჭმული იყოს. მით უმეტეს ყოველივე ის, რაც ძვირფასია და ახლოა პოლონეთისა და პოლონელი ხალხისათვის“.

ბუნებრივია, ა. იმერეტინსკი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი იყო პოლონეთში, იგი უდავოდ მეფის ერთგული მოხელე და გენერალია. იბრძვის მხარის რუსეთის იმპერიასთან უკეთ დაკავშირებისათვის, არ ფიქრობდა ცარიზმის საერთო პოლიტიკის შესუსტებას, დათმობაზე წასვლას; იგი წინააღმდეგი იყო დამოუკიდებელი პოლონეთის აღდგენისა, მაგრამ უსამართლობა იქნებოდა დაგვეხახა ის პროგრესული ღონისძიებები და



მოქმედების გზები, რომლებსაც იგი ატარებდა. მას ესმოდა, რომ სამართლიანი, კეთილი და ალერსიანი მოქმედებით შეიძლებოდა მეტის მიღწევა, ვიდრე მუქარითა და ძალით; რომ კარგი ურთიერთობით უფრო აიძულებდა პოლონელებს პატივი ეცათ რუსეთისათვის. ამიტომ იყო, რომ ცარიზმის მოხელე მოითხოვდა კანონების მტკიცე დაცვას, არ დაეშვათ თვითნებობა და ძალადობა. სამი წლის მოღვაწეობის მანძილზე გენერალმა იმერეტინსკიმ დაამტკიცა, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთი იყო, ისტორიკოს ტატიშჩევის სიტყვებით, „მან დაათესა. მომკის დრო კი ჯერ არ დამდგარა. მას არ შეეძლო სამ წელიწადში შეეცვალა ძველთაგან დანერგილი, მაგრამ მალე დაიმსახურა ადგილობრივი საზოგადოების ყურადღება“. თუ დავუკვირდებით ა. იმერეტინსკის პოლონეთში მოღვაწეობის მეთოდებსა და გზებს, იგი სადაც მოგვაგონებს მეფისნაცვალ ვორონცოვის მოღვაწეობას კავკასიაში, სადაც მან ხელზე „რკინის მაგიერ ტყავის ხელთათმანები ჩაიცვა“ და ბევრი რამ კარგის გაკეთება შეძლო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შესაბამისად, ვიდრე მათ, რომლებიც ამჟამად კოლონიურ, შოვინისტურ პოლიტიკას ატარებდნენ.

არ იყო ცხოვრების არც ერთი მხარე, არც ერთი საქმე, რომელსაც იგი არ ჩასწვრილობდა და არ შეხებოდა. თანამედროვეთა სიტყვებით, ა. იმერეტინსკიმ „ყველგან ცეცხლი დაანთო“.

მისი მოღვაწეობის დროს დაარსდა ვარშავაში პოლიტექნიკური სასწავლებელი; გამოვიდა ორი გაზეთი. დადგეს მიცკევიჩის ძეგლი და გაიხსნა მრავალი საკომერციო სასწავლებელი. იგი კიდევ ბევრს ფიქრობდა, ბევრის გაკეთება სურდა, მაგრამ სამი წლის პოლონეთში მოღვაწეობის შემდეგ 1900 წელს გარდაიცვალა. „თავად იმერეტინსკის სახით, — წერდა მისი ერთი ბიოგრაფი, — ჩვენ დავკარგეთ არა მარტო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, არამედ ერთ-ერთი უნიჭიერესი, ღირსეული, ვიტყვი პირდაპირ — ერთ-ერთი საუკეთესო ადამიანი. როგორც სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, როგორც მებრძოლმა გენერალმა მან სახელი გაითქვა ბალკანეთის სლავი ხალხების განთავისუფლებისათვის ომებში და პოლონეთის მართვამში; მისი შრომითა და ზრუნვით იგი უფრო შეამჭიდროვა იმპერიასთან, ვიდრე ოდესმე. განსვენებულმა თავადმა სამუდამოდ ჩასწერა თავისი საგვარეულო სახელი რუსეთის სახელმწიფო ისტორიაში“.



პეტრე ბაბრატიონი

ოსმალეთისა და სპარსეთის ლაშქრობებით აოხრებულ და დარბეულ საქართველოს ლეკთა თარეშიც არ ასვენებდა. 1724 წ. 15 ივლისს ქართლის მეფე ვახტანგ VI ოჯახით, ქართველ მოღვაწეთა ამალით, სულ 1200 კაცამდე, რუსეთს გაემგზავრა. ქართველ მეფეს იმედი ჰქონდა, რუსთა ჯარით საქართველოში დაბრუნდებოდა და დამპყრობლებისაგან სამშობლოს გაანთავისუფლებდა, მაგრამ მაშინ რუსეთმა ვერ შეძლო დახმარების აღმოჩენა — ვახტანგ მეფე თავისი ამალით ასტრახანში დარჩა და იქვე გარდაიცვალა 1737 წ.

საქართველოს მდგომარეობა შემდგომ კიდევ უფრო გართულდა, ქართველ მეფეს მიჰყვნენ მისი მემკვიდრეებიც, „ჩვენი სამშობლო კულტურის მოღვაწე ადამიანთაგან დაცარიელდა“. სამაგიერ-

როდ, ნაყოფიერი მუშაობა რუსეთში გრძელდებოდა, იბეჭდებოდა წიგნები, მყარდებოდა კავშირი ინტელიგენციასთან და ა. შ.

ვახტანგ მეფის ამალის ნაწილი ყიზლარში დასახლდა, ბევრი მათგანი სამხედრო სამსახურში შევიდა. იქვე გადასახლდა ალექსანდრე ბატონიშვილი. იგი ერეკლე მეფის მამიდაშვილი იყო.

ალექსანდრე სამხედრო სამსახურში შევიდა თავისი ძმებითურთ, ხოლო და ანა თავად გოლიცინზე გათხოვდა და პეტერბურგში დასახლდა. ალექსანდრეს უფროსმა ვაჟმა ივანემ (1749—1763) სამხედრო სამსახური ირჩია. ლეგიონი, რომელშიც იგი მსახურობდა, ქართველ კოლონიასთან ახლო იდგა კრემენჩუგთან. ივანეს პატარა მამული ჰქონდა ყიზლარში და იქვე ცხოვრობდა მისი ოჯახი. აქვე შეეძინა მას ორი ვაჟი — შემდგომ რუსეთის ერთ-ერთი სახელოვანი სარდალი პეტრე (1765—1812) და რევაზი (რომანი 1778—1834). რომან ბაგრატიონი სამხედრო სამსახურში შევიდა 1809 წ. იგი იბრძოდა რუსეთ-ოსმალეთის ომში. აქტიური მონაწილეა სამამულო ომისა და საზღვარგარეთ ლაშქრობების. ამ დიდ კომპანიაში მან გენერალ-მაიორობა დაიმსახურა. მის გულმკერდს ამშვენებდა რუსეთის 6 და პრუსიის 1 ორდენი და და მრავალი მედალი.

სამამულო ომის შემდეგ, 1818 წელს, რომანს შეეძინა შვილი პეტრე. 1827 წელს რომან ბაგრატიონი ქართულ მილიციას მეთაურობს, ხოლო შემდეგ გუბერნატორის კანცელარიაში მსახურობს. როდესაც რომანი თბილისში ჩამოსულა, პეტრე 9 წლისა ყოფილა. მას აქ მიუღია განათლება, დაუმთავრებია „კეთილშობილთა გიმნაზია“, სადაც მაშინ მრავალი მომავალი ქართველი მოღვაწე სწავლობდა, მათ შორის ნიკოლოზ ბარათაშვილი.

თბილისში რომან ბაგრატიონი ხვდებოდა ადგილობრივ ინტელიგენციას, რუსეთიდან გადმოსახლებულ მოწინავე ადამიანებს, დასჯილ დეკაბრისტებს; მის ოჯახში იკრიბებოდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია — მწერლები, პოეტები, ითარგმნებოდა მათი ნაწარმოებები, იქვე მიმდინარეობდა მსჯელობა სხვადასხვა საჭირობო საკითხებზე. რომან ბაგრატიონისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონები მოწინავე ინტელიგენციის შეკრების ადგილი იყო, იდგმებოდა სპექტაკლები და ა. შ.

1833 წელს პეტრე პეტერბურგს გაიპარა პაპიდა ანა ბაგრა-



ტიონ-გოლიცინასთან. იქ იგი სამხედრო სკოლაში შედის. დევნო წელს მას მამა გარდაეცვალა, რომელიც მთაწმინდის ეკლესიაში დაკრძალეს. პეტრე იუნკრად გადავიდა ცხენოსანთა ლეგიონში; ორი წლის შემდეგ აქ მან პრაპორშჩიკობა მიიღო, ხოლო 1840 წელს პოდპორუჩიკობა, იგი გვარდიის კორპუსის მეთაურის ადიუტანტია. ორი წლის შემდეგ პეტრე პორუჩიკად გვევლინება და მუშაობას იწყებს ფიზიკასა და ქიმიაში. მის ექსპერიმენტულ ბაზას წარმოადგენდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის კაბინეტი.

1843 წლის ბოლოს პირველი სამეცნიერო წარმატებებისათვის იგი დააჯილდოვეს წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით. 1843 წლის ბოლოს პეტრე ბაგრატიონი მიავლინეს გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში, სადაც მან 7 წელი დაჰყო. იგი მუშაობდა ჰერცოგ მაქსიმილიანე ლაიხტენბერგსკის ადიუტანტად. მაქსიმილიანე ნიკოლოზ I-ის სიძე იყო და რუსეთში ცხოვრობდა, იგი იყო სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი და სამთო ინსტიტუტის ხელმძღვანელი. ევროპაში ისინი ერთად ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. ამ პერიოდში პ. ბაგრატიონის შრომები გალვანურ დენებზე აღარ ქვეყნდება, სამაგიეროდ გახშირდა გამოკვლევები ლაიხტენბერგსკის ავტორობით. მთელ რიგ გამოგონებას ამ დარგში პეტრეს სახელი არ ახლავს, მაგრამ უკვე პოლკოვნიკ ადიუტანტს ევროპის ქვეყნების სხვადასხვა ჯილდოები ამშვენებს: შვეციის — წმინდა ოლაფის ორდენი; ნეპოლიტანიის — წმინდა ფრანცისკის ორდენი; პრუსიის — ფილიპე ჰულდრძელის ორდენი; ბავარიის — წმინდა მიხეილის ორდენი; ბალენის — ცერინგენის ლომის ორდენი. თუ რისთვის მიიღო მან ესოდენ დიდი ჯილდოები, საიდუმლოებით მოცული დარჩა.

1852 წელს ლაიხტენბერგსკი გარდაეცვალა და პეტრე ბაგრატიონი პეტერბურგს დაბრუნდა.

ყირიმის ომის დასაწყისში პეტრე ჯარის მობილიზაციას ხელმძღვანელობდა ტულისა და ხარკოვის გუბერნიებში, სადაც არაჩვეულებრივი ენერგიით მოჰკიდა ხელი საქმეს და წარმატებით გაართვა კიდეც თავი.

1854 წელს პ. ბაგრატიონი ნიკოლოზ I-ის სასახლის კომენდანტია. აქ იგი წმინდა სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენს იმსა-

ხურებს; 1857 წელს დაინიშნა ლაიბგვარდიის კავკასიის ესკადრონის ხელმძღვანელად; აქ კი მისი დამსახურება წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით აღნიშნეს და გენერალ-მაიორის ხარისხი უბოძეს. ამ დროს იმპერატორის ამაღლის უფროსად დანიშნეს. დავალებათა საუკეთესო შესრულებისათვის მას აჯილდოებენ წმინდა ვლადიმერის მესამე და წმინდა სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენებით.

1859 წელს პ. ბაგრატიონი პეტერბურგში გაეცნო ახალგაზრდა პოეტს აკაკი წერეთელს. ეს უკანასკნელი ამ დროს იყო თავის ძმა ილიკო წერეთელთან, რომელიც ოფიცრის ჩინით იმპერატორის ამაღლაში მსახურობდა, ამაღლის უფროსი კი, როგორც აღინიშნა, პეტრე ბაგრატიონი იყო. აკაკიმ ძმას პეტერბურგში სწავლის გავრძელების სურვილი განუცხადა. სურვილის განხორციელების მიზნით აკაკი სამხედრო სამსახურში შესვლაზეც კი იყო თანახმა. რჩევა-დარიგებებისათვის ილიკომ უფროსს მიმართა, მანაც დახმარება აღუთქვა და აკაკი პეტრეს ხშირი სტუმარი გახდა.

1862 წელს პ. ბაგრატიონი ტვერის გუბერნატორად დანიშნეს. აქაც დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა. მის დროს გაკეთდა გუბერნიაში რკინიგზისა და ტელეგრაფის ახალი ხაზი, დაარსდა მუზეუმი და ა. შ. ენერგიულმა გუბერნატორმა ადრევე დაიმსახურა წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენი და გენერალ-ლეიტენანტის წოდებაც მიიღო, შემდეგ კი ლიფლანდიის, კურლანდიისა და ესტლანდიის გენერალ-გუბერნატორია. იგი ენერგიულად იბრძვის ამ მხარეში გერმანული გავლენის წინააღმდეგ; მისი ინიციატივით გაუმჯობესდა და გაფართოვდა რიგის პოლიტექნიკური სასწავლებელი, ამიერიდან ამ სკოლის კურსდამთავრებულებს სამხედრო სამსახურში ამწესებდნენ. მანქანათმშენებლობის ფაკულტეტებზე წარჩინებულ მოსწავლეთათვის მისი სახელობის სტიპენდია დააწესდა. აქ იმდენად დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა პეტრემ, რომ თვით იმპერატორიც კი არ ერეოდა მხარის ადგილობრივ საქმეებში. პეტრეს გარდაცვალების შემდეგ კი მისი თანამდებობა გაუქმდა და ლიტვა, ლატვია და ესტონეთი რუსეთის იმპერიის უმოულო ნაწილად გამოცხადდა სხვა გუბერნიების მსგავსად.

1876 წლის 17 იანვარს პეტრე ბაგრატიონი მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი ვოსკრესენსკის ნოვოდევიჩის მონასტერში დაკ-

რძალეს. მის შესახებ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „პ. ბაგრატიონის რატიონის ექვსწლიანმა მმართველობამ ბალტიისპირეთის ისტორიაში მრავალმხრივ აღსანიშნავი პერიოდი შექმნა. სამოციანი წლების დასასრულს ბალტიისპირეთის გუბერნიებში გაბატონებული კლასები რეფორმის მომხრე არ იყო არც სახელმწიფოებრივი და არც ადგილობრივი მოსახლეობის თვალსაზრისით. იმ დროს განსაკუთრებით გამაღიზიანებელი საგაზეთო პოლემიკა, რომელსაც მხარს უჭერდნენ გერმანოფილები, რუსეთის საწინააღმდეგო იყო. ამიტომაც თავად ბაგრატიონის მიერ დაკავებული თანამდებობა მრავალი წინააღმდეგობით იყო აღვსილი. ბალტიისპირეთის მმართველს, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვებოდა შემრიგებლის როლის შესრულება, გერმანული იგავლენის შესუსტება და სახელმწიფოებრივი დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა. ყოველივე ამას სჭირდებოდა დრო. პ. ბაგრატიონისათვის საკმარისი აღმოჩნდა ექვსი წელი. ამ პერიოდში მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მხარის ადგილობრივ ცხოვრებაში და, საერთოდ, სახელმწიფოებრივი საკითხების გადაჭრაში. მისი მმართველობის პერიოდში მომზადდა ნიადაგი მთელი რიგი რეფორმების გატარებისათვის და ადგილობრივმა ხალხებმა „რუსეთისაკენ სამეგობროდ იბრუნეს პირი“.

პ. ბაგრატიონის ოჯახის შესახებ ცნობილია მხოლოდ, რომ მას ჰყავდა მეუღლე ანა ალექსანდრეს ასული და ორი შვილი — დიმიტრი, პირველი მსოფლიო ომის დროს კავალერიის გენერალ-მაიორი, და გაუთხოვარი და, რომელიც პეტერბურგშივე გარდაიცვალა.

როგორც აღინიშნა, პეტრე ბაგრატიონი იყო სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, მაგრამ, ამავე დროს, გამოჩენილი მეცნიერი; მისი პირველი ნაშრომი დენის ვალვანური ელემენტის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 1843 წელს, ერთადერთი წყაროა ამ დარგში. მისი ნაშრომები დაიბეჭდა ლონდონში, პარიზსა და ჟენევაში, შემდეგ კი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენებში. მისი შრომები, რომლებიც მიეძღვნა ოქროს და მუშავეების ციანურ მეთოდს, პრაქტიკაშიც დაინერგა. მეთოდი, რომელიც XIX ს. ბოლოს მაკარტურისა და ძმები ფარესტების სახელწოდებითაა ცნობილი, პ. ბაგრატიონს ეკუთვნის. მათ პირვე-

ლუბმა დანერგეს წარმოებაში პეტრეს აღმოჩენები სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიისა და ამერიკის ქარხნებში. ყველგან აქ ოქროს დამუშავება პ. ბაგრატიონის მეთოდით წარმოებდა.

1897 წელს ეს მეთოდი რუსეთშიც დაინერგა და პატენტში ცარიზმი უამრავ თანხას იხდიდა.

სამწუხაროდ, მისი სიცოცხლის საბოლოო პერიოდი დღემდე უცნობი დარჩა.



მიხეილ ამირაჯიბი

გენერალ-ლეიტენანტი მ. ამირაჯიბი კავკასიის არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი მებრძოლი და მოღვაწეა. მან სახელოვანი გზა განვლო — რიგითი ჯარისკაციდან კავკასიის არმიის პირველი კორპუსის მეთაურამდე. იგი ადაშიანის საუკეთესო თვისებებისა და ბრწყინვალე მეთაურის განსახიერება იყო. კავკასიის ამ რაინდს გულმკერდს უმშვენებდა უმაღლესი ორდენები.


ქართველ თავადთა წთამომავალი მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირაჯიბი დაიბადა 1838 წლის 2 ნოემბერს. 1851 წელს იგი სამხედრო სამსახურს იწყებს თბილისის მე-15 გრენადერთა ლეგიონში ჯარისკაცად.

პირველი საბრძოლო ნათლობა ახალგაზრდა თავადმა ყირიმის ომში მიიღო. ეს მოხდა 1853 წლის 2 ნოემბერს, როდესაც თურქეთის მთელ კორპუსს გენერალ-მაიორ ი. ორბელიანის მცირერიცხოვანი რაზმი შეეჯახა სოფ. ბაიანდურთან. ამავე წლის 19

წომებერს თავი ისახელა ბაშკადიკლარის ბრძოლაში და პრაპორ-
შიკოება დაიმსახურა, ხოლო ომის დამთავრებამდე პოდპორუჟიკო-
ბა მიენიჭა.

1856 წელს ამირაჯიბი გრენადერად გადავიდა მე-14 ქართულ
ლეგიონში და მონაწილეობას ღებულობდა ექსპედიციებში, რომ-
ლებიც მოეწყო ჩრდილო კავკასიაში. კავკასიის ომის დამთავრები-
სას — 1864 წელს იგი უკვე კაპიტანია. ამ ჩინით გადადის იგი
ლაიბგვარდიის სემიონოვის ლეგიონში, სადაც 1871 წელს პოდ-
პოლკოვნიკობას ღებულობს და ელიზავეტოპოლის 156-ე ქვეითი
ლეგიონის მეთაურად დანიშნეს. ეს იყო თურქეთთან ომის პე-
რიოდი. დაიწყო ლეგიონის ენერგიული მზადება მომავალი
ლაშქრობისათვის და ომის დასაწყისს საუკეთესოდ გაწრთვნილი
მებრძოლებით შეხვდა.

1877 წლის 24 აპრილს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. პირ-
ველსავე დღეს ამირაჯიბის ლეგიონი, ახალციხის რაზმის შე-
მადგენლობაში, თურქეთის საზღვარს გადავიდა და არტაანისკენ
დაიძრა. 4 მაისს სიმაგრის იერიში დაინიშნა. მართალია, არტაანი
ისეთ სიმაგრეს არ წარმოადგენდა, როგორც ყარსი და არზრუმი
იყო, მაგრამ თურქებს იგი საკმაოდ გამაგრებული ჰქონდათ. მით
უმეტეს ამ ომს სულთანმა გამსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.
ამიტომ იყო, რომ მის გამაგრებაზე ინგლისელი ინჟინრებიც კი მო-
იწვია. ციხე 9 ცალკეული გამაგრებული ადვილისგან — ფორტი-
სგან შედგებოდა. აქედან უძლიერესას — ემირ ოღლის იერიში
ელიზავეტოპოლის პოლკს დაევალა. მამაცი მეთაური ლეგიონის
მებრძოლებით შეტევაზე გადავიდა; მზის ამოსვლისას თურქეთის
ქვემეხების ჭექა-ქუხილი გაისმა, მაგრამ რაზმები ვერ შეაჩერა
ცეცხლმა და სიკვდილის საშიშროებამ. მებრძოლები მტრის წინა
ხაზს მიუახლოვდნენ 200 ფეხის ნაბიჯზე, საჭირო იყო იერიში. ნა-
ცადმა მეთაურმა ბრძანება გასცა მუსიკა დაეკრათ, რომლის ხმაზე
მეომრები დროშებით ხელში მტერს ეკვეთნენ. პათ ვაშას ქვემე-
ხებისა და თოფების ხმა შეერწყა. წინა სანგრებს ამირაჯიბის
არწივები დაეუფლნენ. ვერავითარმა დაბრკოლებამ ვერ შეაჩერა
მებრძოლები. გაცეხული თურქები გაიქცნენ და პოზიციები მო-
წინააღმდეგეს დაუტოვეს, თვით კი ემირ ოღლს შეაფარეს თავი.
ოპერაციის პირველი ნაწილი ბრწყინვალედ განხორციელდა. ხუთა-



სი მეტრის მანძილზე თვით ემირ ოღლი იდგა. საჭირო იყო დაუფლება. რაზმის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი დეველი ვერ ბედავდა პოლკოვნიკ ამირაჯიბის დაღლილი მებრძოლებით იერიშის განახლებას. კორპუსის მეთაურმა ლორის-მელიქოვმა ბრძანება გასცა, რომ გენერალ ივლიმანს მიეტანა იერიში ემირ ოღლიზე დასავლეთის მხრიდან, მაგრამ მას აღარ დასცალდა იერიში მონაწილეობა; ემირ ოღლის სიმამრეზე ამირაჯიბის მებრძოლებმა გამარჯვების დროშა აღმართეს. ერთ-ერთი მოწმე ამ ამბებისა წერდა, რომ: „ელიზავეტაპოლელები, მიხეილ ქაიხოსროს ძის მაგიური სიტბოთი მთვრალეები, სიმამრეზე მიდიოდნენ როგორც ცაშმაგებული ლომები“. ხოლო რაზმის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი დეველი კორპუსის მეთაურისადმი მოხსენებით ბარათში წერდა: „კავკასიის ომებში მე-14 ექსპედიცია მოვაწყვე. წარსულ კომპანიაში თურქეთთან 26 მცირე და სამ დიდ ბრძოლაში ვმონაწილეობდი. ასეთმა პრაქტიკამ მასწავლა გამბრძოლის დაფასება, ამიტომაც ემირის ნანგრევებზე მეგობრულად გადავეხვიე თავად ამირაჯიბს და კავკასიის არმიის სახელით დიდი მადლობა გამოვუცხადე“. გამარჯვებულთა ზღელში აღმოჩნდა 10 დიდი ყალიბის ზარბაზანი, სურსათისა და ფურაჟის დიდი მარაგი.

ამ გამარჯვებამ განაპირობა მთელი რაზმის წარმატება და 5 მაისს არტანის დანებდა.

არტანის ალებით შეწყდა ურთიერთობა ბათუმის დერვიშ ფაშასა და მუხტარ ფაშას ძალებს შორის.

ეს იყო რუსეთის იარაღის პირველი ბრწყინვალე გამარჯვება არა მარტო აზიის ბრძოლის ასპარეზზე, არამედ საერთოდ ომის დასაწყისიდან. ამ გამარჯვების მთელი დიდება მხოლოდ თავად ამირაჯიბს ეკუთვნოდა.

პოლკოვნიკი მ. ამირაჯიბი შემდგომ მონაწილეობას იღებს ავღიარალაჯის ოპერაციაში, მაგრამ განსაკუთრებული დამსახურება ერგო დევე-ბონისთვის ბრძოლაში. დევე-ბონი არზრუმის უკანასკნელი დამცველი ქედი იყო. მუხტარ ფაშამ აქ შეკრიბა მთელი თავისი ძალების ნარჩენები — 40 ბატალიონი, 12 ესკადრონი კავალერია და 39 ქვემეხი. ამ ძალებზე ამყარებდა იგი უკანასკნელ იმედს, რომ ანატოლიის გასაღები — არზრუმი გადაერჩინა. დევე-ბონის ქედი გამაგრებული იყო ფორტიფიკაციური ნაგებო-

ბებით, ცალკეული სიმაგრეები კი — სანგრებით ერთმანეთთან დაკავშირებული. იმიერსოლანლუდის კორპუსი, რომლის მეთაური გენერალი გეიმანი იყო, შეტევისათვის 4 რაზმად გაიყო. მათგან მეორეს — ძირითადს პოლკოვნიკი ამირაჯიბი მეთაურობდა. ამ რაზმს მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგზე — უზუნ-ახმედის სიმაღლეებზე უნდა მიეტანა იერიში. სხვა რაზმებს უნდა ემოქმედა ამირაჯიბის რაზმის მოქმედებასთან დაკავშირებით. ამირაჯიბის უპირველესი ამოცანა იყო ხელთ ეგდო პლატოზე მიმავალი ერთადერთი გზა და ცეცხლის ქვეშ ჰყოლოდა მტრის ბანაკი. როდესაც კავალერია იერიშს მიიტანდა გამაგრებულ მოწინააღმდეგის პოზიციებზე, მხარი დაეჭირა მისთვის, სოლო როდესაც უზუნ-ახმედის ბანაკს რუსეთის ჯარი დაიკავებდა, შემდეგ მას არზრუმისაკენ უკანდასახევი გზა უნდა მოეჭრა მოწინააღმდეგისათვის. მიუხედავად მტრის ძლიერი ცეცხლისა, ამირაჯიბმა ბრწყინვალედ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა, მძაფრი იერიშით დაამარცხა მოწინააღმდეგე და გამარჯვებაც უზრუნველყოფილ იქნა. უზუნ-ახმედის სიმაღლეების დაკავების შემდეგ შეტევაზე გადავიდა მთელი კორპუსი, თურქებმა კი უწესრიგოდ უკან დაიხიეს და არზრუმს მიაშურეს. ბრძოლის ველზე გამარჯვებულს დარჩა 39 ქვემეხი, ჭურვებისა და ვაზნების დიდი მარაგი და ბანაკი მთელი სიმდიდრით. პოლკოვნიკ ამირაჯიბს სამართლიანად თვლიან დევე-ბონის სიმაღლეებზე რუსეთის არმიის გამარჯვების მთავარ გმირად. მამაცი მეთაურის დამსახურება ამ ოპერაციაში აღნიშნული იქნა წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით. გარდა ამისა 1878 წლის 8 ნოემბერს საერთო სამხედრო დამსახურებისათვის პოლკოვნიკ ამირაჯიბს გენერალ-მაიორის ჩინი უბოძეს.

დევე-ბონისთან გამარჯვებულმა რუსეთის რაზმმა არზრუმს მიაშურა, სადაც ძლივსლა მოასწრო შესვლა და ჩაეკეტა მუშირ მუხტარ ფამას ჯარის ნაჩიხებმა. საჭირო იყო დაუყოვნებლივ იერიში, მაგრამ რაზმის მეთაურმა გენერალმა შეცდომა დაუშვა და მოლაპარაკება გამართა მუშირთან. ამით ისარგებლა მოწინააღმდეგემ და თავდაცვის ორგანიზაცია მოასწრო, რის შემდეგ რუსეთის რაზმის იერიში უშედეგოდ დამთავრდა. გადაწყდა ციხე-სიმაგრის ალყაში მოქცევა და მტერი იძულებული გაეხადათვით დანებებულიყო. ამ ოპერაციაში უდიდესი წვლილი შეიტა-



ნა ამირაჯიბმა, რისთვისაც მან წმინდა სტანისლავის ხარისხის ორდენი დაიმსახურა და ელიზავეტობოლის ლევიონის მუღმივ სიაში შეიტანეს.

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, 1880 წელს, გენერალ-მაიორი მ. ამირაჯიბი კავკასიის გრენადერთა დივიზიის პირველი ბრიგადის მეთაურად დანიშნეს. ამ თანამდებობაზე დარჩა იგი 1893 წლამდე, ამიერიდან კი იგი გვევლნება 39-ე ქვეითი დივიზიის მეთაურად. 1899 წლის 3 აგვისტოს მას გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი მიანიჭეს და დივიზიის მეთაურად დაამტკიცეს.

1899 წ. 23 მარტს იგი დანიშნა კავკასიის არმიის პირველი კორპუსის მეთაურად; ამ თანამდებობაზე დაასრულა მან თავისი სახელოვანი სამხედრო ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბრწყინვალე გზა.

1903 წლის 28 ნოემბერს თბილისელებმა იგი მიაცილეს დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონამდე. მ. ამირაჯიბის სამხედრო დამსახურება მრავალი ორდენით აღინიშნა. მის გულმკერდს ამშვენებდა: წმინდა ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენი ხმლითა და ბაბთით; წმინდა გიორგის მეოთხე და მესამე, წმინდა ანას პირველი, წმინდა სტანისლავის პირველი, ვლადიმერის მეორე ხარისხისა და თეთრი არწივის ორდენები. გარდა ამისა, მას ჰქონდა პრუსიის „რკინის გვირგვინის“ ორდენი და მრავალი სხვა მედალი.

სახელოვან ქართველ გენერალს და მოღვაწეს შესანიშნავი ოჯახი ჰქონდა. მეუღლე — სოფიო ამირაჯიბი კარგად ფლობდა რუსულ და უცხო ენებს, თარგმნიდა და საკუთარ ლექსებსაც წერდა. ქართველი პოეტების ლექსების თარგმანის კრებული მან ჯერ კიდევ 1909 წელს გამოსცა რუსულ ენაზე. ცნობილი იყო მისი მუსიკოსი შვილი ბარბარე, გარდაიცვალა 1939 წელს, ხოლო ვაჟი — კონსტანტინე პეტერბურგსა და პარიზში სწავლობდა. მეუღლემ და თბილისის უნივერსიტეტში პროფესორად, ხოლო 1930 წლიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად. იგი 1948 წელს გარდაიცვალა. მეუღლე და შვილები დაკრძალული არიან მის გვერდით.



კონსტანტინე მამაცაშვილი

კავკასიის არმიის ერთ-ერთი ვეტერანი, მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი მხედართმთავარი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი დაიბადა 1818 წელს გორის მაზრის სოფ. რუისში.

დაწყებითი განათლება მან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიიღო. აქ სწავლობდნენ ისეთი სახელოვანი მამულიშვილები, როგორც იყვნენ პოეტი ნ. ბარათაშვილი, ილია ორბელიანი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე დ. ყიფიანი და მრავალი სხვა სამხედრო თუ საზოგადო მოღვაწე.

1831 წ. ახალგაზრდა კონსტანტინე პეტერბურგს გაგზავნეს და იქ კადეტთა კორპუსში მიაბარეს. 1837 წელს, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მას მიენიჭა პრაპორშჩიკის, პირველი საო-



ფიცრო ჩინი და დაინიშნა კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში.

საბრძოლო ნათლობა კ. მამაცაშვილმა 1839 წელს მიიღო ჩრდილოეთ კავკასიაში. შამილთან ბრძოლების დროს იგი ყველა შეტაკებაში მონაწილეობდა, დიდსა და მცირე ჩაჩნეთში. ამ დროს იგი გენერალ-ადიუტანტ პ. გრაბეს ექსპედიციაში იმყოფებოდა.

ეს ლაშქრობა საბრძოლო დიდებაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმით, რომ ამ დროს იგი გაეცნო და დაუახლოვდა მიხეილ ლერმონტოვს. მ. ლერმონტოვი ამ დროს ტეგინის ქვეით ლეგიონში მსახურობდა და მამაცაშვილთან ერთად მონაწილეობდა გრაბეს ექსპედიციაში. იგი სპეციალურ ე. წ. პარტიზანულ რაზმს მეთაურობდა, რომელიც 40 რჩეული კაზაკისაგან შედგებოდა.

კ. მამაცაშვილი იგონებს, რომ მ. ლერმონტოვი ფრთხილობდა ოფიცრებთან დაახლოებას, მაგრამ პირადად მასთან ადრე უპოვნია საერთო ენა, ძლიერ შეჰყვარებია არტილერიისტთა მეგობრული და უბრალო ოჯახი. „ის იყო საშუალო სიმაღლის, შავგვრემანი და მზემოკიდებული სახითა და დიდი, თაფლისფერი თვალებით. მისი ბუნების შეცნობა ძნელი იყო“, — იგონებს კ. მამაცაშვილი.

„ლერმონტოვს უყვარდა სატვა, — დასძენს კ. მამაცაშვილი, — განსაკუთრებით კი კარიკატურისა; უყვარდა, აგრეთვე, ჭადრაკის თამაში და თამაშობდა მას დიდი ხელოვნებით. ლერმონტოვი ხშირად თამაშობდა ჭადრაკს ჩემს კარავში არტილერიის პორუჩიკ მასლოვთან. უკანასკნელი ბრწყინვალე მოთამაშედ ითვლებოდა, მაგრამ ხშირად მარცხდებოდა ლერმონტოვთან“.

პირველი ძლიერი ბრძოლა, რომელშიც მამაცაშვილი მონაწილეობდა და რომელმაც მას მამაცი არტილერიისტი ოფიცრის რეპუტაცია შეუქმნა, 11 ივლისს მოხდა. ჯარი უღრანი ტყეებით დიდი ჩაჩნეთიდან მცირეში გადადიოდა. მამაცაშვილი თავისი 4 ქვემეხით არიერგარდში იმყოფებოდა. მთიელები, რომლებმაც ისარგებლეს ტყიანი მიდამოთი, ძლიერი ცეცხლით თან მისდევდნენ რუსეთის რაზმს და საგრძნობ ზიანსაც აყენებდნენ მას. მაგალითად, როდესაც მდ. ვალერიკაზე გადასვლა დაიწყო, აქ ავანგარდი შეაჩერა ხეების ნაყარს ამოფარებული მთიელების გახსნილ-

მა ცეცხლმა, მაშინ მამაცაშვილის ქვემეხებმა მოწინააღმდეგის ფრთაზე დაიკავე პოზიცია და ისე მოხერხებულად შეუტია, რომ მთიელები სიმაგრებიდან გაიქცნენ. მდინარეზე გადასვლის შემდეგ მამაცაშვილის არტილერიისტები მოწინააღმდეგის დიდ ძალას წააწყდნენ და უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ. რამდენიმე იერიში მოგერიებული იქნა. განსაკუთრებით მყოფი რაზმი მ. ლერმონტოვს შეუნიშნავს და თავისი მამაცი კაზაკებით დალუპვისაგან უხსნია.

11 ივლისის ბრძოლას თვით შამილი ხელმძღვანელობდა, აქვე იყვნენ მისი საუკეთესო ნაიბები. ბრძოლის წინ შამილმა თავის მეომრებს ფიცი დაადებინა ყურანთან, რომ მდ. ვალერიაზე რუსებს არ გადაუშვებდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ამ ბრძოლაში მონაწილეობას დებულობდა მ. ლერმონტოვი და ეს ბრძოლა აღწერა პოეტმა „ვალერიაში“. ამ ბრძოლის შემდეგ მამაცაშვილი მთელი რუსეთის რაზმში ვახდა ცნობილი.

11 ივლისის ბრძოლაში კ. მამაცაშვილმა პორუჩიკობა დაიმსახურა; იგი წმინდა გიორგის მეოთხე კლასის ორდენზე წარადგინეს, მაგრამ უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მოწინააღმდეგეს ბრძოლაში ქვემეხები არ ჰქონდა. მორიგ ბრძოლაში, იმავე წლის 27 ივლისს კონსტანტინეს შტაბს-კაპიტნობა უბოძეს. ერთ წელს ორი ჩინის მიღება, ისიც არტილერიაში, იშვიათი შემთხვევა იყო.

1842 წლის ივლისში გენერალ-ლეიტენანტმა ვრაბემ შეტევა განაახლა იჩკერის ტყეების გავლით სოფ. დარგოს მიმართულე-ბით. აქ ოთხდღიან ბრძოლებში შტაბს-კაპიტანმა კ. მამაცაშვილმა არტილერიის საუკეთესო მოქმედებით ხელი შეუწყო მოწინააღმდეგის გამაგრებული ადგილის აღებას, შემდეგ კი მონაწილეობდა სოფ. ინელის დაკავებაში, რომლის დაცვას თვით შამილი მეთაურობდა. ამ ბრძოლებში ქართველმა რაინდმა წმინდა ანას მესამე კლასის ორდენი დაიმსახურა.

1845 წ. შტაბს-კაპიტანი კ. მამაცაშვილი დაინიშნა შვარცის რაზმის არტილერიის უფროსად. მის განკარგულებაში იყო 12 ქვემეხი. რაზმი მოქმედებდა ანკრატის ხეობაში განლაგებული სოფლების წინააღმდეგ. ამ ხეობას ერთი მხრიდან კავკასიის მუდმივთოვლიანი მთები იცავდა. აქ არ იყო არავითარი გზა, გარდა ფეხით სავალისა. რუსთა რაზმმა არტილერიით უახლოეს სოფლებ-

ში შეაღწია — განსაკუთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა სოფ. დიდოვსა და ანცხოვთან. ყოველი სახლის ადებისათვის იერიში იყო საჭირო, რაც დიდ დანაკარგს იწვევდა. მხოლოდ კ. მამაცაშვილის არტილერიის ზუსტი ცეცხლი აიძულებდა მათ დანებებულიყვნენ და რუსეთისადმი მორჩილება ელიარებინათ. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელა თავი ქართულმა ქვეითმა დრუჟინამ, რომელსაც სპირიდონ ჭავჭავაძე მეთაურობდა.

შვარცის რაზმმა ანკრატის ხეობაში დაიმორჩილა სოფლები, რომლებმაც პირველად ნახეს რუსები. კავკასიის ქედის გადალახვისას რუს მეომართა სიმამაცე ადგილობრივი მოსახლეობის განცვიფრებას იწვევდა. სწორედ აქ დაიმსახურა კ. მამაცაშვილმა მთავარსარდალ მ. ვორონცოვის მადლობა, კაპიტნის ჩინი და წმინდა ვლადიმერის მეოთხე კლასის ორდენი ბაბთით.

1847 წლიდან კაპიტანი კ. მამაცაშვილი დანიშნეს კავკასიის გრენადერთა ბრიგადის I მსუბუქი ბატარეის მეთაურად. იგი წარმატებით მოქმედებს ახალ ექსპედიციებში და 1850 წ. 8 მაისს პოდპოლკოვნიკის ჩინი უბოძეს. ხოლო ორ წლას შემდეგ იგი საარტილერიო ბრიგადის ერთ-ერთი ბატარეის მეთაურია. ამ დროს იგი კვლავ ჩეჩნეთში მოქმედებს.

1852—1853 წლებში ჩეჩნეთში ახალი ექსპედიცია განხორციელდა. ამჟამად მას ბარიატინსკი მეთაურობდა, კ. მამაცაშვილი კი ამ რაზმის მთელ არტილერიას.

1852 წლის 15 აგვისტოს ბრძოლაში კ. მამაცაშვილს პოლკოვნიკობა უბოძეს, მომდევნო წელს კი მისი დამსახურება წმინდა ანას მეოთხე კლასის ორდენით აღინიშნა.

1853 წ. ყირიმის ომის დაწყებასთან დაკავშირებით პოლკოვნიკი კ. მამაცაშვილი ვორონცოვმა გამოიძახა და დანიშნა გურიისა და ახალციხის რაზმის არტილერიის უფროსად, რაზმს კი გენერალ-ლეიტენანტი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი მეთაურობდა. რაზმში გამოცხადებისას კ. მამაცაშვილმა, უპირველეს ყოვლისა, დაათვალიერა დასავლეთ საქართველოში განლაგებული საარტილერიო ნაწილები. დაუყოვნებლივ შექმნა მოძრავი საარტილერიო საწყობი და ომისათვის ენერგიული მზადება დაიწყო.

4 ივნისს გაჩაღდა ცნობილი ჩოლოქის ბრძოლა. გურიის ამ რაზმში კ. მამაცაშვილი არტილერიას მეთაურობდა, მის განკარგუ-

ლებაში 18 ქვემეხი იყო. ბრძოლა მოულოდნელად დაიწყო საარტილერიო ცეცხლით. კ. მამაცაშვილის არტილერისტები ბრძოლის პროცესში ინაცვლებდნენ პოზიციებს, მტერს თანდათან უახლოვდებოდნენ და ბოლოს 100 საყენის დაცილებით აღმოჩნდნენ მათგან. ასეთ ვითარებაში ქვემეხების ცეცხლი უფრო ეფექტური აღმოჩნდა; თურქთა არტილერია ჩაჩუმდა, მოწინააღმდეგის ბანაკში არეულობა დაიწყო, ამით ისარგებლა ანდრონიკაშვილმა და თურქთა ბანაკზე ფლანგებიდან მიიტანა იერიში; მოიერიშე ნაწილებს მუდმივად მხარს უჭერდნენ კ. მამაცაშვილის არტილერისტები; თურქები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. გამარჯვებულთ ხელთ დარჩათ 13 ქვემეხი, 35 დროშა და მთელი ბანაკის ალალი. ბრძოლის ველზე დარჩა სულთნის მიერ ნაბოძები სელიმ ფაშას ძვირფასი ხმალი, გენერლის მუნდირი და მთელი მისი პირადი ქონებაც. ანდრონიკაშვილის რაზმის დანაკარგი შედარებით უმნიშვნელო იყო. კ. მამაცაშვილს თურქეთის ჭურვმა ცხენი მოუკლა, თვით კი ფეხში ჭრილობით გადაარჩა, მაგრამ ბრძოლის ველი არ დაუტოვებია. ამ ბრძოლაში გამირობისა და მამაცობისათვის მას წმინდა გიორგის მეოთხე კლასის ორდენი უბოძეს.

1855 წელს პოლკოვნიკი მამაცაშვილი სამეგრელოში მოქმედებს ომერ ფაშას ე. წ. საექსპედიციო კორპუსის წინააღმდეგ, აქ იგი განუწყვეტლივ ომებშია და იმავე წელს წმინდა ანას ორდენი დაიმსახურა, ხმლითა და საიმპერატორო გვირგვინით.

1856 წელს, ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, პოლკოვნიკი კ. მამაცაშვილი დანიშნეს კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის მეთაურად. ამ ნაწილით იგი კვლავ ჩრდილო კავკასიაში მოქმედებს თვით შამილის დატყვევებამდე. საყურადღებოა, რომ შამილთან უკანასკნელი ბრძოლების დროს მას ხშირად უხდებოდა არტილერიისა და ქვეითის მეთაურობა.

1858 წ. სამხედრო დამსახურებისათვის კ. მამაცაშვილი წმინდა ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო მომდევნო წელს ოქროს ხმლით წარწერით „მამაცობისათვის“.

1860 წ. კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი მამაცაშვილი გენერალ-მაიორის ჩინში აამაღლეს, 1865 წ. წმინდა სტანისლავის პირველი კლასის ორდენით დააჯილდოვეს. ორი წლის შემდეგ ანას პირველი კლასის

ორდენი უბოძეს და კავკასიის სამხედრო ოლქის არტილერიის უფროსის მოადგილედ დანიშნეს.

1869 წ. 26 დეკემბერს წმინდა გიორგის ორდენის დაწესების 100 წლისთავი შესრულდა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მას გენერალ-ლეიტენანტის ჩინი უბოძეს. მორიგი დამსახურებისათვის 1871 წ. იგი კვლავ დააჯილდოვეს წმინდა ანას პირველი კლასის ორდენითა და სამეფო გვირგვინით, ხოლო 1873 წელს კავკასიის სამხედრო ოლქის არტილერიის დროებით უფროსად დანიშნეს. შემდგომ ეს თანამდებობა მან გენერალ-ლეიტენანტ სოფიანოს გადასცა.

დიდია კ. მამაცაშვილის დამსახურება 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. ომის დასაწყისში ჩრდილო კავკასიაში აჯანყებამ იფეთქა, რასაც მოჰყვა ალაზნის ვაღმა მცხოვრები ლეკების მღელვარება. ისინი თავს დაესხნენ ელიზავეტოპოლის გუბერნიას. 63 წლის გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე მამაცაშვილი გუბერნიის მმართველად და იქ განლაგებული ჯარების უფროსად დანიშნეს. მცირერიცხოვანი რაზმით მოწინააღმდეგის ჭარბი ძალები გაანადგურა და დარბევას გადარჩენილმა ნუხის მოსახლეობამ მადლობის ნიშნად ქართველ გენერალს ვერცხლის ფიალა მიართვა წარწერით: „ღენერალ-ლეიტენანტ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილს მადლიერი მოქალაქეებისაგან ნუხის გადარჩენისათვის 1877 წ.“. ხოლო მთავრობამ მისი დამსახურება წმინდა ვლადიმერის მეოთხე კლასის ორდენით აღნიშნა.

მამაცაშვილის დამსახურებაა ის, რომ მის კალამს ეკუთვნის ჩვენი სახელოვანი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი ბიოგრაფია, რომელიც დაიბეჭდა 1881 წელს გაზეთ „დროებაში“.

1884 წ. 24 თებერვალს გენერალ-ლეიტენანტი მამაცაშვილი თადარიგში გადის. ამიერიდან იგი აქტიურად ჩაება კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში და თითქმის ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობს. ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში იგი მოითხოვდა გლეხობის განთავისუფლებას „შელავათიან პირობებში“.

მრავალფეროვანი იყო კ. მამაცაშვილის სამოქალაქო. მოღვაწეობა. იგი იყო სამოქალაქო თვითმმართველობის დეპუტატი, თბილისის სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტის თავმჯდომარე,

ტექნიკური საზოგადოების წევრი, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და ა. შ.

სამხედრო თუ სამოქალაქო მოღვაწეობის პერიოდში კ. მამაცაშვილი დიდ დახმარებას უწევდა ღარიბ ახალგაზრდობას სწავლავანათლების საქმეში, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბანკის დაარსებასა და შემდგომ მის საქმიანობაში. ის იყო ბანკის წესდების შემმუშავებელი კომისიის წევრი, ბანკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე და მთელი ცოდნა და გამოცდილება მან ბანკის საქმის წარმატებას მოანდომა.

1885 წელს ერთ-ერთ სადილზე, რომელიც ზეიმად იქცა, ღვაწლმოსილ მოხუცს ორატორმა მიმართა: „თქვენ გამოჩენილი მეომარი ხართ, ომის დროს მტერი ტყვიებით შეგმიუსრავთ და მიუდგომელი კედლები ყუმბარებით დაგინგრევიათ. ამ ვაჟკაცობისათვის ღირსეულად ხართ დაჯილდოებული. მაგრამ რა მადლობა უნდა გადაგიხადოთ საზოგადოებამ იმ კეთილად ჩაგონებული გრძნობისათვის, რომელიც თქვენს მეორე ბუნებას შეადგენს. იმისათვის როგორ უნდა დაგაჯილდოვოთ, რომ დღესაც, წელთა სიმრავლით წელში მოხრილი და ჭალარამოსილი მოხუცი ძველებურ შრომას არ ერიდებით და რაკი ძალა არ შეგწვეთ... მტრის ციხეების ასაღებად, სასწავლებელთ უფროსებს კარებს უღეწავთ, მათ გრძნობას იმორჩილებთ და მტკიცედ ეუბნებით: „ნუ გვიხურავთ კარებს განათლებისას, მიიღეთ ჩვენი შვილები თქვენს სასწავლებელში და გზა გაგვიკვალეთ სინათლისა და ჭეშმარიტებისაკენ“.

1897 წელს თბილისის საზოგადოებამ და სამხედრო პირებმა კონსტანტინე მამაცაშვილის სამხედრო სამსახურის 50 წლისთავი აღნიშნეს. იუბილე საზეიმო ვითარებაში ჩატარდა, მრავალი მილოცვა მიიღო სახელოვანმა მამულიშვილმა. ორატორებმა, აღნიშნეს რა მისი სახელოვანი სამხედრო გზა, გაისვენეს ჩაჩეთის გაუვალი ტყეების, დაღესტნის უზარმაზარი მთებისა და გურია-ქობულეთის ბრძოლები, რომლებშიც კ. მამაცაშვილმა უკვდავი გმირის სახელი დაიმსახურა.

1900 წლის 2 სექტემბერს კ. მამაცაშვილი გარდაიცვალა. ნეკროლოგებში მკაფიოდ იყო ასახული ამავდარი ქართველის სახელოვანი გზა. „საქართველომ დაჰკარგა იმ დიდებულ კაცთაგანი,



რომელიც კი ჰყოლია მას ამ საუკუნეში. მიიცვალა ქვეყნის რელი და იმედი გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი.

...საუკუნოდ ხსენება შენი საუკეთესო და დიდებული ქართველო. არ უნდა იყოს ის ერი უიმედო, რომელსაც შეუძლიან შენგვარი შვილის შობა. ვაყრი შენს დიდებულ კუბოს ცხარე ცრემლებს. სტიროდე ქართველო, ჩვენთან ერთად, დიდებული ქართველის დაკარგვას“.

7 სექტემბერს კ. მამაცაშვილის დაკრძალვა სახალხო მწუხარებად იქცა. დიდუბის ეკლესიასთან სამგლოვიარო მიტინგზე ორატორი ორატორს ცვლიდა.

დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია უკვდავი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის სიტყვამ: „ჩვენთვის მარად სახსოვარო და სასიქადულო მოღვაწეო! შენის გარდაცვალების სამწუხარო ამბავმა მე, თვით ავადმყოფი, ფეხზედ წამომაყენა და მომიყვანა ამ სიშორეს, რომ შენს ღირსეულ კუბოს გამოსათხოვრად თაყვანი ვცე, როგორც პირადად ჩემის მხრივ, ისე იმერეთის მაგიერათაც, — იმ დასავლეთელ ქართველების მაგიერ, რომელნიც შორს მყოფს გიცნობდნენ და ახლოს-კი ჰყავდით გულში.“

შენი მოყვარულნი იმიერ-ამიერნი შენ თუმცა არც ოქროპირულის მჭერმეტყველებით გყოლია გატაცებული და არც სახენაო მგოსნობით მოხიბლული, მაგრამ არა ნაკლებად თვისის მოგონებისა და ორატორებისა გაფასებდნენ და შემოგტრფოდნენ შენ! და მაშ როგორ და რითი დაიმსახურე ეს საერთო თანაგრძნობა და პატივი? — უანგარო სიყვარულითვე! ...იმ თავიდან ამ ბოლომდე, სიყმაწვილიდან დაწყებული სიბერემდე ქვეყნის ერთგულება გულიდან არ მოგშორებია!... და სადაც-კი ყოფილხარ, ნებით თუ უნებურად გახსოვდა სამშობლო, ყოველთვის და ყოველგან გულსა გწყვეტდა მისი წარსული, გაკვნესებდა აწმყო და ტკბილი საოცნებო იმედით გაღელვებდა მისი მომავალი! და აი რამ მოგაგებია ქვეყნის გული“.

სიტყვებში გამოსულთა შემდეგ წაიკითხეს ახლო თუ შორეული ქალაქებიდან გამოგზავნილი დეპეშები.

ცერემონიალის შემდეგ ღირსეული მამულიშვილი დიდუბის პანთონს მიაბარეს.




ალექსი ქავთარაძე

1886 წლის 5 ივლისს ქ. პოლტავაში სამხედრო პირთა დიდი გამოცოცხლება შეიმჩნეოდა. აქ საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ალექსი გიორგის ძე ქავთარაძის 50 წლის სამხედრო მოღვაწეობა. მაგრამ იგი განსაკუთრებული სიმპათიებით, სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა არა მარტო სამხედროთა შორის, არამედ საზოგადოებაშიც, რომელშიც მას უხდებოდა ყოფნა, ჰქონდა მასთან კონტაქტი და ურთიერთობა.

გენერალი ქავთარაძე რუსეთის არმიის მამაც მეომართა რიცხვს ეკუთვნოდა; იგი ნახევარი საუკუნის განმავლობაში იბრძოდა რუსული იარაღის დიდებისათვის და სამშობლოს დასაცავად. მისი სიცოცხლე არაერთხელ ყოფილა განსაცდელში; იგი მონაწილეობდა 8 სამხედრო ლაშქრობაში; დაწყებული 1841 წლიდან

იგი მუდმივად ბრძოლებში იყო კავკასიის ექსპედიციებსა და 1877
—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში.



მთელი თავისი სახელოვანი სამხედრო ცხოვრება მან თითქმის კავკასიაში განვლო. იგი მონაწილეობდა კავკასიის არმიის ბრწყინვალე ოპერაციებსა და თვით შამილის დატყვევებაში, აგრეთვე ყირიმის ომის დროს 1855 წელს, ყარსის აღებასა და 1877—1878 წლების ომის ოპერაციებში, რომლებმაც დიდება მოუტანეს მთელ რუსთა მხედრობას.

ბრძოლებში იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მამაცობითა და შეუღრქველობით; თანამედროვეთა სიტყვებით, იგი იბრძოდა როგორც ლომი, რამდენჯერმე ყოფილა დაჭრილი, არაერთი ორდენი ამშვენებდა მის გულმკერდს, მათ შორის ჯარისკაცის ჯვარიც.

როგორც მეთაური, გენერალი ქავთარაძე იყო მკაცრი, მაგრამ სამართლიანი და ჰუმანური; მან შეძლო რიგითი მებრძოლების სიყვარულისა და პატივისცემის დამსახურება.

ალექსი გაბრიელის ძე ქავთარაძე დაიბადა 1820 წელს. პირველი განათლება მან კერძო სასწავლებელში მიიღო. 1836 წელს 16 წლის ჭაბუკი ჯარისკაცად ჩაირიცხა შავი ზღვის მე-16 ბატალიონში. 8 წლის მანძილზე იტანდა იგი სამსახურის მთელ სიძნელეს, მაგრამ ამ სიძნელეთა გადალახვაში იწრთობოდა მომავალი ოფიცერი და გენერალი.

1844 წელს მან მიიღო პირველი საოფიცრო ჩინი, 1848 წელს პოდპორუჩიკობა, ხოლო 1850 წლის 25 იანვარს, კავკასიის ექსპედიციის დროს, პორუჩიკობა დაიმსახურა. ამ ექსპედიციაში იგი 3 წელი მონაწილეობდა, რამდენჯერმე დაიჭრა ბრძოლებში, არაერთხელ საბრძოლო გმირობითაც თავი უსახელებია და შტაბს-კაპიტნის ჩინამდე მიაღწია.

განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ალექსი ქავთარაძეს 1853—1856 წლების ყირიმის ომში, ჯერ კიდევ შტაბს-კაპიტნის ჩინში, მან თავი ისახელა ცნობილ ქიურუქ-დარას ბრძოლაში. აქ მოწინააღმდეგეების პოზიციების ცენტრზე შეტევის დროს ქავთარაძემ ერევნის ლეგიონის ორი ბატალიონით და ორი ასეულთ იერიში მიიტანა და გაანადგურა თურქთა ძირითადი ძალების დასახმარებლად მიმავალი ნაწილები.

ამ დროს ქავთარაძის მცირერიცხოვან რაზმზე მოულოდნელად

კონტრიერიში მიიტანა რამდენიმე ბატალიონმა. აქვე იყო რევულარული კავალერია. ეს უკანასკნელი ხევში მიმალულიყო. გაჩაღდა ხელჩართული სისხლისმღვრელი ბრძოლა. დიდი იყო ქავთარაძის დანაკლისი, მებრძოლთა რიგები შეთხვლდა, დაეცა მედროშეც. ქავთარაძემ თვით სტაცა ხელი დროშას, შემჭიდროვდა რიგები და ხიშტებით გზა გადაკაფა, გაარღვია ალყა და ძირითად ნაწილებს შეუერთდა.

ასეთი მამაცობისა და გამჭრიახობისათვის იგი წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. ასევე შეუდრეკელი იყო იგი ყარსის იერიშის დროს. 1855 წლის 17 სექტემბერს მას უბოძეს წმინდა გიორგის მეორე ხარისხის ორდენი და კაპიტნის ჩინი.

1859 წ. მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ ალექსი ქავთარაძეს მაიორობა უბოძა, ხოლო 1861 წელს დანიშნა მეფისნაცვლის ფლიგელ-ადიუტანტად, 1863 წელს იგი პოდპოლკოვნიკია; 1865 წ. ალექსი დააჯილდოვეს წმინდა სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენით და ხმლით.

1871 წელს უკვე პოლკოვნიკმა ალექსი ქავთარაძემ მეორედ დაიმშვენა გულმკერდი წმინდა სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენითა და გვირგვინით. 1874 წელს იგი დანიშნეს 154-ე ქვეითი დარუბანდის ლეგიონის მეთაურად. ამ ლეგიონით ალექსი მონაწილეობს რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების მთელ კამპანიაში. ამ ომში ა. ქავთარაძეს არაერთხელ უსახელებია თავი, მაგრამ განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მას და მის ლეგიონს ავღიარალაჯის სიმაღლეების იერიშის დროს. როგორც ცნობილია, 1877 წლის ოქტომბერში კავკასიაში საომარი ოპერაციების საერთო ხელმძღვანელობისათვის ბრძოლის ასპარეზზე ჩამოვიდა სამხედრო აკადემიის პროფესორი ობრუჩევი. მან შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა თურქეთის საველე ჯარების განადგურებას ავღიარალაჯის სიმაღლეებზე.

ოპერაციის წარმატებით შესრულების მიზნით მტრის ზურგში შეგზავნეს მოქმედი კორპუსის ერთი მესამედი ნაწილი, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი ლახარევი მეთაურობდა. ამ რაზმის შემადგენლობაში მონაწილეობდა ა. ქავთარაძე თავისი პოლკით.

პოლკოვნიკ ქავთარაძეს ყველაზე რთული ამოცანა დაეკალა.

მას უნდა აეღო ძლიერად გამაგრებული ორლოვის სიმალღებელი და დამკვიდრებულიყო მასზე.

მისმა საოცარმა ენერგიამ და მამაცობამ ისეთი შედეგი გამოიღო, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დარუბანდელთა გამარჯვებამ მოწინააღმდეგის მარჯვენა ფრთასა და მცირე ზურგში უზრუნველყო გენერალ ლაზარევის მთელი ძალების წარმატებითი მოქმედება — მთელი რაზმი ორლოვის სიმალღებზე გამაგრდა. ამ გამარჯვებამ კი განაპირობა კორპუსის წარმატება და მუხტარ ფაშას არმიის სრული განადგურება. ოპერაციაში განსაკუთრებული მამაცობისა და დამსახურებისათვის ქავთარაძე და აჯილდოვეს წმინდა გიორგის მესამე ხარისხის ორდენით. გარდა ამისა, 1877 წლის 8 ნოემბერს მას მიანიჭეს გენერალ-მაიორის ხარისხი და იმპერატორის ამაღლაში ჩარიცხეს. იგი დანიშნეს 39-ე დივიზიის პირველი ბრიგადის უფროსად, ხოლო შემდეგ მას აბარებენ მე-9 დივიზიას, რომელსაც მეთაურობდა 1879 წლამდე.

1890 წლის 30 აგვისტოს გენერალ-მაიორი ა. ქავთარაძე გენერალ-ლეიტენანტის ჩინში აამაღლეს და წმინდა სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

1907 წელს გენერალ-ლეიტენანტი ა. ქავთარაძე გარდაიცვალა, როდესაც იგი სრულიად რუსეთის დაჭრილთა საზოგადოების კომიტეტის წევრი იყო.



ნიკო დადიანი

ნიკო დავითის ძე დადიანი, რომელიც რუსეთის ისტორიაში მინგრელსკის სახელითაა ცნობილი, სამეგრელოს მთავართა უკანასკნელი წარმომადგენელია. მისი მამა დავით დადიანი 1853 წელს გარდაიცვალა. მას დარჩა მეუღლე ეკატერინე ჭავჭავაძე, ვაჟიშვილები — ნიკო, ანდრო და ქალიშვილები — სალომე და სოფიო.

ნიკო დადიანი დაიბადა 1837 წ. მეფის სახელით იგი მეფის ნაცვალმა მ. ვორონცოვმა მონათლა თბილისში. ნიკოს შვირე-წლოვანების ვამო, სამეგრელოს განაგებდა დედამისი ეკატერინე, ცნობილი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი.

1856 წ. სამეგრელოს მმართველი ეკატერინე შვილებით პეტერ-ბურგს მიიწვიეს ალექსანდრე II-ის სამპერატორო ტახტზე კურთხევის ცერემონიაზე. აქ ისინი დიდი პატივით მიიღეს, მის ვაჟიშვილებს — ნიკოლოზსა და ანდროს მეფემ „უბრწყინვალე-



სის“ ტიტული, ოფიცერთა ჩინი უბოძა და თავის ფლიგელთა ადრუტანტებად დანიშნა. იმპერატორი აღარ ჩქარობდა დედოფლის დაბრუნებას საქართველოში, რადგან სამთავროს გაუქმების მომენტს ეძებდა.

ეკატერინე თავისი ოჯახით 12 წელი დარჩა პეტერბურგს. შვილებმა ბრწყინვალე განათლება მიიღეს პეტერბურგსა და პარიზში.

1857 წელს სამეგრელოში გლეხთა ძლიერი ამბოხება მოხდა უტუ მიქავას ხელმძღვანელობით. ცარიზმმა იგი სისხლში ჩაახშო, მაგრამ ეს ფაქტი საბაზად გამოიყენა და სამეგრელოში რუსული მმართველობა შემოიღო. სამეგრელომ ფაქტიურად დამოუკიდებლობა დაკარგა, თუმცა იურიდიულად ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მას.

1864 წელს ნიკოლოზ დავითის ძეს უარი ათქმევინეს სამთავროს ტახტზე და 1866 წელს სამეგრელო ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს. სამთავროს ყოფილ გამგებელს ნიკო დადიანს საკუთრების უფლება შეუნარჩუნეს მიწებსა და მოძრავ ქონებაზე, გარდა ზღვის სანაპიროსა და ნავსადგურებისა. გარდა ამისა, ნიკოლოზ დადიანს ტახტზე „ნებაყოფილობით“ უარის თქმისათვის მილიონი მანეთი მისცეს, რომლის პროცენტის დახარჯვა თავის შეხედულებისამებრ შეეძლო. ოჯახის სხვა წევრებს პენსიები დაუნიშნეს. ნიკოლოზი და ანდრო სამეგრელოს „უბრწყინვალეს“ თავადებად იწოდებოდნენ, ხოლო მის შვილებს „ბრწყინვალეების“ ტიტული შეუნარჩუნეს, ფაქტიურად მხოლოდ იწოდებოდნენ თავად დადიანებად.

ნიკო დადიანი ერთ-ერთი მსხვილი ფეოდალი იყო. მას 2929 დროებით ვალდებული გლეხთა კომლი ეკუთვნოდა. იგი ცნობილი იყო თავისი გარეგნული შეხედულებით, განათლებით, კულტურითა და ენების ცოდნით. ნიკოს ავტორიტეტს ისიც დაემატა. რომ მას ცოლად ჰყავდა მეფის ერთგული სასახლის მინისტრის გრაფ ოლდენბერგის ქალიშვილი. ადრევე მას გენერალ-მაიორის ჩინი უბოძეს და მეფის ამაღლშიც ჩარიცხეს¹.

ნიკო დადიანი რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომის

¹ მისი ძმა ანდრო რუსეთის არმიის გენერალი გახდა, შემდგომ თავისი დროის საუკეთესო მოჭადრაკე, სალომე კი ნაპოლეონ III-ის ბიძაშვილს პრინც აშლ მიურატს მითხოვდა.

მონაწილეა, ე. ი. ბულგარეთის განთავისუფლებისა თურქთა ტონობის უღლისაგან. კერძოდ, იგი ირიცხებოდა გენერალ გურკოს არმიის შემადგენლობაში, რომელმაც განსაკუთრებით ისახელა თავი შიპკის უღელტეხილის დაცვაში. აქ იგი მთავარსარდლის განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებელი იყო. მის საბრძოლო დამსახურებაზე გენერალ-ადიუტანტი გურკო თავის ერთ-ერთ პა-ტაკში მთავარსარდლის სახელზე აღნიშნავდა: „მისი იმპერატორის უდიდებულესობის ფლიველ-ადიუტანტი, თავადი დადიანი-მინ-გრელსკი, 18 და 19 ივლისის ბრძოლებში ჩემთან ყოფნისას, მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ, ჩემს სხვადასხვა დავალებებს ასრულებდა, ამასთან თავი ისახელა მამაცობითა და ვაჟკაცობით, რის გამოც გთხოვთ მის დაჯილდოებას ოქროს ხმლით წარწერით „მამაცობისათვის“. ამავე დროს იგი წმინდა ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენის ღირსადაც სცნეს. გარდა ამისა მის გულმკერდს ამშვენებდა წმინდა გიორგის ჯვრის ორი ორდენი.

შიპკის ეპოპეის დამთავრების შემდეგ ნიკო დადიანი კვლავ პეტერბურგს გაიძახეს და იქ სამეფო კარზე განაგრძობდა ცხოვრებას.

1886 წელს ბულგარეთში სამეფო კარზე გადატრიალება მოხდა. ტახტიდან ჩამოაგდეს თავადი ალექსანდრე ბატენგერგი. ამას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გავლენით ბულგარეთ-რუსეთის ურთიერთობის გამწვავება მოჰყვა. ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის ბულგარეთის სამეფო კარზე კანდიდატურის შერჩევის საკითხის გამო მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. კანდიდატად არ შეიძლებოდა წამოეყენებინათ ევროპის სახელმწიფოთა სამეფოს სავგარეულოს წარმომადგენელი, მაგრამ აუცილებელი იყო, რომ ცნობილ დიდებულთა გვარიდან ყოფილიყო. რუსეთმა ისარგებლა შემთხვევით და სრულიად კანონზომიერად ბულგარეთის სამეფო ტახტზე ნიკო დადიანის კანდიდატურა წამოაყენა. ამის საფუძველს იძლეოდა მისი წარმოშობა, ფანათლება, მისი სახელი ევროპაში და ამავე დროს, რომ იგი ვახდა ბულგარეთის განთავისუფლების მონაწილე. მიუხედავად იმისა, რომ მისი კანდიდატურა ყველაზე რეალური იყო, ბულგარეთში შექმნილი ანტირუსული ვითარების გამო ტახტზე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების კანდიდატი კეზიურგსკი გავიდა.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ნიკო დადიანმა თავის მამულში სოფ. გორდში გაატარა. იგი ცნობილი იყო, როგორც დიდი მეცენატი, საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი. ამ საზოგადოებას მან საკმაოდ მდიდარი საკუთარი ბიბლიოთეკა უბოძა საჩუქრად. იგი მატერიალურად ეხმარებოდა სენაკის თავადაზნაურობის სასწავლებელს და ა. შ.

1903 წელს ნ. დადიანი ივარდაიცვალა. იგი დაკრძალეს მარტვილის მონასტერში, სადაც მისი წინაპრები განისვენებენ.



გიორგი თარხნიშვილი

რუსეთის არმიის არტილერიის სახელოვან და მამაც მეთაურ-
 თა შორის საპატიო ადგილი უჭირავს გიორგი იორამის ძე თარხნი-
 შვილს. ოფიციალურ წყაროებში იგი თარხან-მოურავის სახელითაა
 ცნობილი.¹

გიორგი თარხნიშვილი დაიბადა 1841 წლის 23 ოქტომბერს
 გორის მაზრის სოფ. ახალქალაქში.

მისი მამა, იორამი, მცირეოდენი მამულის პატრონი იყო და
 დიდგვაროვანთა შორის სიმდიდრით არ გამოირჩეოდა. გიორგის

¹ მასალები გ. თარხნიშვილზე მოგვაწოდა მისმა შვილიშვილმა, ამჟამად
 რესპუბლიკის დამსახურებულმა იურისტმა გიორგი ესტატეს ძე თარხნიშვილმა,
 რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

გარდა მას კიდევ ორი ვაჟიშვილი — ზაალი, გრიგოლი და ოთხი ქალიშვილი ჰყავდა.

როგორც ცნობილია, იმ დროს მეტად პოპულარული იყო თავადაზნაურთა შვილების სამხედრო სასწავლებელში აღზრდა. ასევე მოიქცა იორამ თარხნიშვილი და უფროსი ვაჟიშვილი — 7 წლის გიორგი მოსკოვის კადეტთა კორპუსში განაწესა. საუკეთესო განათლებისა და აღზრდის მიღების შემდეგ 1860 წ. პრაპორშჩიკის ჩინით იგი მშობლიურ საქართველოს დაუბრუნდა. ახალგაზრდა, განათლებული არტილერიისტი კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში იწყებს სამსახურს, სამი წლის შემდეგ პოდპორუჩიკობას ღებულობს, ხოლო ერთი წლის შემდეგ ამავე ნაწილის შტაბ-კვარტირამაისტერის თანამდებობაზე ნიშნავენ.

1865 წლიდან იგი ხშირად იცვლის სამსახურს, თანამდებობებს. 1868 წ. თერგის საცხენოსნო არტილერიაში შტაბს-კაპიტნის წოდებას ანიჭებენ, ხოლო 1872 წლის 6 ნოემბრის ბრძანებით, სამსახურებრივი მოვალეობის წარჩინებით შესრულებისათვის, წმინდა სტანისლავისა და წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენებით დააჯილდოვეს.

1877—1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის მოახლოებასთან დაკავშირებით გიორგი თარხნიშვილი მიავლინეს ამიერკავკასია-თურქეთის საზღვარზე სამოქმედოდ შედგენილი კორპუსის შემადგენლობაში, კერძოდ, უშუალოდ ამ კორპუსის მეთაურის გენერალ-ლეიტენანტ მ. ლორის-მელიქოვის განკარგულებაში, რომელთანაც იგი ჯერ პირადი ადიუტანტის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო ომის წინა დღეებში დაინიშნა მასთანვე საგანგებო დავალებათა შესრულების ობერ-ოფიცრის თანამდებობაზე. ომის დაწყებიდან ოთხი თვეც არ გასულიყო, საბრძოლო დავალებათა საუკეთესო შესრულებისათვის მან პოდპოლკოვნიკობა დაიმსახურა.

მთელ პერიოდში გ. თარხნიშვილი მთავარი კორპუსის ბრძოლის ასპარეზის სხვადასხვა თანამდებობაზე გვევლინება და აქტიურად მონაწილეობს საბრძოლო ოპერაციებში. მოლამუსის თუ აზადხევის საარტილერიო შერკინება, არტანის საარტილერიო დაბომბვა, გელიავერდის იერიში, არტანისა და ყარსის აღება, ზივინისა და ავლიარ-ალაჯის ოპერაცია, არზრუმის ბლოკადა და სხვა მრავალი ბრძოლა თუ ოპერაცია უშუალოდ მის სახელ-

თანა დაკავშირებული; იგი ყველა ამ ბრძოლის მონაწილეა და ყველგან განიჩივრდა გმირობითა და მამაცობით.

აღსანიშნავია, რომ ომის დროს, როგორც განათლებულ ოფიცერს, მხოლოდ მას ავალდებნ სხვადასხვა სახის დავალებათა შესრულებას. მავალითად, ყარსის ბლოკადის დროს საგანგებო საიდუმლო დავალებითა და წერილით იგი იგაზავენეს ყარსის კომენდანტთან მოსალაპარაკებლად; ანალოგიურ მისიას ასრულებდა 1878 წლის 22 იანვარს არზრუმთან, ხოლო საბრძოლო მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მონაწილეობს სადემარკაციო ხაზის დამდგენელ კომისიაში, შემდეგ კი იგენერალ-მაიორ დუხნოვსკოისა და პოლკოვნიკ ტოლსტოისთან ერთად იგი შედიოდა იმ კომისიაში, რომელმაც სან-სტეფანოს საზავო მოლაპარაკების შედეგად ქ. არზრუმი ჩაიბარა. არზრუმში მას უშუალო კავშირი ჰქონდა რუსეთის ყოფილ გენერალ, იმჟამად ანატოლიის შტაბის უფროს მუსა ფაშა კუნდუხოვთან, მათ შორის ერთგვარი ნათესაური კავშირიც იყო (თარხნიშვილი სიძე იყო გვარდიის პოლკოვნიკ ვლას-ესენოვის, ეს უკანასკნელი კი მუსა ფაშა კუნდუხოვის ბიძაშვილი იყო). მათი დაახლოების შემდეგ მრავალი სადავო საკითხი შედარებით იოლად გადაიჭრა რუსეთის სასარგებლოდ.

საბრძოლო თუ სხვა სახის დავალებათა საუკეთესოდ შესრულებისათვის გ. თარხნიშვილის გულმკერდს დაემატა წმინდა სტანისლავის მეორე ხარისხის ბაბთიანი, წმინდა ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ბაბთიანი და წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენები.

ომის შემდეგ გ. თარხნიშვილი მონაწილეობს რუსეთ-თურქეთის იმ სასაზღვრო ხაზის დამდგენელ კომისიაში, რომელიც ბერლინის კონგრესმა განსაზღვრა.

როგორც ცნობილია, ბერლინის კონგრესის დადგენილებით ახალი საზღვარი რელიეფისა და სხვა ბუნებრივი პირობების გათვალისწინების გარეშე უბრალო სწორი ხაზის გავლებით გადაწყდა, ამიტომ 1879—1881 წლებში საზღვრის დამდგენელ კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც გ. თარხნიშვილი შედიოდა, უდიდესი მუშაობის ჩატარება მოუხდა და საქმე წარმატებით დაგვირგვინდა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგიდან გიორგი თარხნიშვილი განაწესეს კავკასიის არმიის მთავარსარდლის განკარგულებაში, რომლის დავალებითაც მუშაობდა სამარის, სარატოვისა

და ასტრახანის გუბერნიების გენერალ-გუბერნატორებთან, ხოლო შემდეგ განაგებს რუსეთის არმიის გენერალური შტაბის სამობილიზაციო განყოფილებას.

1890 წელს გიორგი თარხნიშვილს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. ამავე წელს ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა სამხედრო სამსახური დაეტოვებინა და თადარიგში გასულიყო. წლიურად მას 3416 მანეთი პენსია დაენიშნა. მიუხედავად შერყეული ჯანმრთელობისა, ღვაწლმოსილი გენერალი ენერგიულად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა ქართული საადგილმამულო ბანკის დირექტორის თანამდებობაზე. ამ დროს ბანკის დანიშნულებისა და საქმიანობის თაობაზე მწვავე კამათი მიმდინარეობდა ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს შორის. გ. თარხნიშვილი როდი ყოფილა ამ კამათის გულგრილი მაცურებელი.

1894 წ. გ. თარხნიშვილი ოჯახით თავის მამულში (გორის მაზრის სოფ. ახალქალაქში) დაბინავდა. აქ მან მნიშვნელოვნად გააფართოვა მამული და სამეურნეო ცხოვრებაშიც თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. ამავე დროს, იგი ენერგიულად მუშაობდა გორის მაზრის მომრიგებელი შუამავლის თანამდებობაზეც. აქ მან დიდი სიყვარული დაიმსახურა, მაგრამ, სამაგიეროდ, მაზრის ხელისუფლება გაანაწყენა. გუბერნატორმა შეიწყნარა მაზრის უფროსის საჩივარი და გ. თარხნიშვილი მომრიგებლის თანამდებობიდან გადააყენა. რა თქმა უნდა, მას აზრად არ მოსვლია „გლეხთა ამხედრება მემამულეთა წინააღმდეგ“, მაგრამ სამართალს არ ამრუდებდა, რასაც მეჭრთამე ადგილობრივმა ბიუროკრატებმა ასეთი დემაგოგიური კვალიფიკაცია მისცა. 1911 წ. 20 ივლისს გ. თარხნიშვილი თავის სოფელში გარდაიცვალა. სახელოვანი გიორგი სააკაძის შორეული შთამომავალი და ღირსეული სეხნია დაკრძალულია ერთაწმინდის გულავანში.

ძირითადი ლიტერატურა

1. ავალიანი გ. რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967.
2. ანთელავა ი. ქართველები 1812 წლის სამამულო ომში, თბ., 1962.
3. ბურჭულაძე ე. ყირიმის ომი და საქართველო, თბ., 1960.
4. დუმბაძე მ. გენერალი ანდრონიკაშვილი, თბ., 1943.
5. იობიძე კ., ჩხეტია შ. რუს-ქართველთა თანამეგობრობის ისტორიისათვის, „საისტორიო მოამბე“, 1964, № 17—18.
6. კარსანიძე ვ. პეტრე ბაგრატიონი, თბ., 1970.
7. მეგრელიძე შ. საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბ., 1974.
8. მეუნარგია ი. ქართველი მწერლები, 1954.
9. ნადირაძე ნ. ალექსანდრე ბაგრატიონი, თბ., „სამშობლო“, 1974, № 25—26.
10. Амлахвари Г. Записки. Тиф., 1909.
11. Богданович М. Восточная война 1853—1856, СПб., 1876.
12. Горгидзе М. Грузины в Петербурге, Тб., 1876.
13. Дубровин Н. Георгий XII последний царь Грузии и присоединение ее к России, СПб., 1900.
14. Дубровин Н. Закавказье от 1803—1806 гг., СПб., 1903.
15. Дубровин Н. История войны и владычество русских на Кавказе, т. IV, 1871.
16. Дубровин Н. Кавказская война, СПб., 1896.
17. Мегрелидзе Ш. Закавказье в русско-турецкой войне 1877 — 1878 гг., Тб., 1972.
18. Паренсов П. Из прошлого. Воспоминания офицера генерального штаба о войне, СПб., 1901.
19. Потто В. История 44-го драгунского нижегородского полка, т. III, СПб., 1905.
20. Потто В. Кавказская война в отдельных очерках, эпизодах и биографиях, вып. I—III, СПб., 1885.
21. Потто В. Утверждение русского владычества на Кавказе, т.т. I — IV, СПб., 1901.
22. Потто В. Памяти старых кавказцев, Тиф., 1897.
23. Татишвили В. Л. Грузины в Москве в 1653—1722, Тб., I, 1970.



24. Хаджи Мурат Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне 1853—1860 гг., М., 1971.
25. Эсадзе Б. Памяти генерал-лейтенанта М. К. Амираджиби, Тиф., 1903.

პიშნა

1. „ღრუბა“
2. „ოვეროა“
3. «Кавказ»
4. «Тифлисский вестник»

საგნობადო მამოცხობი

1. Военная энциклопедия
2. Большая Советская энциклопедия

ს ა რ ჩ ე ბ ი

რექტორისაგან	3
ალექსანდრე ბაგრატიონი	7
პავლე ციციშვილი	14
პეტრე ბაგრატიონი	27
სიმონ განგებლიძე	39
გიორგი ერისთავი	44
ალექსანდრე ჭავჭავაძე	53
იასონ ჭავჭავაძე	64
ზაქარია ჭავჭავაძე	72
ნიკო ჭავჭავაძე	80
არჩილ ჭავჭავაძე	95
ილია ორბელიანი	91
ნიკოლოზ ერისთავი	98
ივანე ანდრონიკაშვილი	102
ივანე ამილახვარი	114
ილია ჩოლოყაშვილი	130
ვრიგოლ ორბელიანი	133
ალექსანდრე ბუჭუიაშვილი	145
ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი	151
ალექსანდრე ბაგრატიონ -იმერეთინსკი	155
პეტრე ბაგრატიონი	166
მიხეილ ამირაჯიბი	172
კონსტანტინე მამაცაშვილი	177
ალექსი ქავთარაძე	185
ნიკო დადიანი	189
გიორგი თარხნიშვილი	193
ძირითადი ლიტერატურა	197

Шамше Варфоломеевич Мегрелидзе

НАШИ СЛАВНЫЕ ВОЕННЫЕ ПРЕДКИ

(На грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

ИБ—567

რედაქტორი ს. ლეკიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
ტექნორედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ი. ნასარაძე

გადაეცა წარმოებას 4.5.1978; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.11.1978;
ქალაქის ზომა 60×84¹/₁₆; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 12.5;
საარტიკულო-საგამომცემლო თაბახი 9.31

უე 01190;

ტირაჟი 25000;

შეკვეთა № 1561;

ფასი 1 მან. 15 კპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

